ახალი მოკოლაღი

იანვარი 2011 №67
ფასი 5 ლარი

დათო გოგიშვილი

ისტორიები
რეზო გაბრიაძე
დავით ბუხრიკიძე

ჯულიან ასანჟი
რაფი ხაჩადურიანი

ინტერვიუ
ჰანა მახმალბაფი
თეო ხატიაშვილი, დავით გაბუნია

სპეცპროექტები
წლის ადამიანები
ჩემი ინსპირაცია

ესეი
სექსი და სიკვდილი
თეონა დოლენჯაშვილი

საბედისწერო პრემია
ლევან ბერძენიშვილი

ლიტერატურა
ზურაბ ქარუმიძე
მიშელ უელბეკი
მარიო ვარგას ლიოსა
ლია სტურუა

ISSN 1512-2220

თქვენი ქსელი გიღოცავთ
შობა-ახალ წელს
ჯეოსელი
7777
822770177
www.geocell.ge

გარეკანზე: დათო გოგიშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

ცხელი შოკოლადი

N67, იანვარი 2011

	6	რედაქტორის წერილი
	8	ჩვენი ავტორები
მიმოხილვა	10	„მძიმე კინო“ თბილისის მე-11 კინოფესტივალზე ***ქეთა კირტავა***
კრიტიკა	14	ჰომოფობია სირცხვილია, ჰომოფობი პოლიტიკოსი – საფრთხე საზოგადოებისთვის ***ნინო დანელია***
	18	დამლაგებელი ქალი ჰამლეტიზმის ზღვარზე ***დავით ბუხრიკიძე***
	20	.კონკურსების ქვეყანა ***მიშა მდინარაძე***
კომენტარები	22	„ცუდზე უარესი“ ***ბექა მინდიაშვილი***
	26	2010. ***ქეთი ქანთარია***
კულინარია	30	ლიტერატურა მთავარ კერძად ***დიანა ანფიმიადი***
ისტორიები	36	*რეზო გაბრიაძე* სულ სხვა კოშკი და ისევ ის თეატრი ***დავით ბუხრიკიძე***
სპეცპროექტი	42	წლის ადამიანები ***ნათია გულიაშვილი***
	66	ჩემი ინსპირაცია
თარგმანი	60	*ჯულიან ასანჟი* ფარდაახდილი საიდუმლოებები ***რაფი ხაჩადურიანი ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ.***
ინტერვიუ	82	„მშობლები სჯიან თავიანთ შვილებს, სახელმწიფო სჯის თავის მოქალაქეებს“ ***თეო ხატიაშვილი, დავით გაბუნია***
ესეი	86	სექსი და სიკვდილი – არაბი მწერალი ქალების სახიფათო თამაშები ***თეონა დოლენჯაშვილი***
	98	საბედისწერო პრემია ***ლევან ბერძენიშვილი***
საავტორო	90	დიდი და „მცირე“ იმპერიები ***გიორგი მაისურაძე***

მთავარი რედაქტორები:
ნინო ლომაძე, რატი ამაღლობელი
არტ-რედაქტორი:
გიორგი ნადირაძე
რედაქტორ-სტილისტი:
პაატა შამუგია
კორექტორი: თამარ ღონღაძე
ნომერზე მუშაობდნენ:
დავით ბუხრიკიძე, ლევან ბერძენიშვილი, ირმა ტაველიძე, დიანა ანფიმიადი, მიშა მდინარაძე, შოთა გაგარინი, ნინო დანელია, ბექა მინდიაშვილი, ქეთი ქანთარია, ნათია გულიაშვილი, თეო ხატიაშვილი, დავით გაბუნია, თეონა დოლენჯაშვილი, გიორგი მაისურაძე, ქეთა კირტავა, პაატა ქურდაძე, დავით ჩიხლაძე, ზურა ჯიშკარიანი, ლევან ბუთხუზი, აკა მორჩილაძე
ფოტო:
მარიკა ქოჩიაშვილი, ლევან ხერხეულიძე
ილუსტრაცია:
მაია სუმბაძე
დიზაინი:
თორნიკე ლორთქიფანიძე
მენეჯერი:
რუსუდან ფურცელაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობა:
ლელა შუბითიძე
კლიენტთა მომსახურების მენეჯერი:
ნათია რუსაძე
სარეკლამო გაყიდვები:
თინა ოსეფაშვილი
დისტრიბუცია:
ზვიად შენგელია
გამომცემელი:
შორენა შავერდაშვილი

გამომცემლობა:
შპს „ემ ფაბლიშინგი“, თბილისი 0105, ფალიაშვილის ქ. 108, ტელ.: 912326
ელ-ფოსტა: mpublishing@caucasus.net
სხვა გამოცემები:
ლიბერალი, ბიზნესი-ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები, დიალოგი.
სტამბა:
„ფავორიტი“, თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50, ტელ.: 951952

ჟურნალი გამოდის 2004 წლის 25 დეკემბრიდან
© “M Publishing” საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი ან მთლიანი გამოყენება გამომცემლობის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

მალე, სავსებით შესაძლებელია „ცხელი შოკოლადი“ არა მხოლოდ წაიკითხოთ, არამედ – მოისმინოთ კიდეც. მაგალითად, ასე: – „თქვენთვის მაუწყებლობს რადიო „ცხელი შოკოლადი“, ტალღაზე FM... ა.შ და ა.შ. მერწმუნეთ, არ არის ცუდი იდეა, იდეა, რომელიც იკითხებოდა, მოსალოდნელია, სივრცეში და დროში გაისმას, როგორც ხმა.

ჩვენ თქვენთან ერთად დაველოდებით 14 იანვარს, სწორედ 14-მდე უნდა გაირკვეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საბოლოო პასუხი „ცხელი შოკოლადისთვის“ რადიო მაუწყებლობის მინიჭებასთან დაკავშირებით.

მაშ ასე, ვიტოვებთ იმედს თქვენთან შეხვედრისა, უკვე რადიოტალღებზე და სიხშირეებზე.

რატი ამაღლობელი
მოგვწერეთ, editor@shokoladi.ge

SINCE 1884
SARAJISHVILI

დიანა ანფიმიადი

კულინარიულ წიგნს რომ გამოვცემ, იქ რეცეპტები ისე ეწერება, როგორც მათ ბებიაჩემი ყვებოდა ხოლმე – ეს ერთი კვირის წინ გადავწყვიტე, რადგან ერთი კვირის წინ ბებია მომიკვდა.

ბებია ბებიაა, მეტყვის ვინმე, ყველას უკვდება, მაგრამ მარტო ბებია კი არა, ჩემი გემრიელი მუზა გარდაიცვალა – საცივისა და ხარჩოს მაგისტრი, კულინარიულ მეცნიერებათა დოქტორი და გემოს პროფესორი. რა უცნაურია, რომ ახალი წელი მაინც მოვა, საშობაო სამზადისსაც ვერ ავცდებით, მაგრამ ამჯერად ნიორ-სუნელებს როდინში კი არ დავნაყავთ – დავაბლენდერებთ, დედალსაც – გაყინულს და ქარხნული წესით შეფუთულს ვიყიდით, ყველს – სუპერმარკეტში, სანელებლები – მისი შერჩეულ-გამშრალ-დაფქვილი კი არ იქნება, არამედ ისე, ბაზარში ალალბედად შეძენილი, მოვახერხებთ რამეს, უმისოდ, ოღონდ ამ ყველაფერს ნახევარფაბრიკატების გემო ექნება და სულ სხვანაირი სურნელი.

ახალი წელი კი მაინც მოვა, ყველაზე სხვანაირი და უცნაური ჩემს ცხოვრებაში, რადგან ახალი წლის დღეებში დედა გავხდები. რაღაცნაირი შეგრძნებაა, ცოტა მეშინია კიდეც. ადამიანების აღზრდის პასუხისმგებლობას რომ გავექეცი, იმიტომ დავანებე თავი პედაგოგობას, რადგან ძალიან თვითდარწმუნებული უნდა იყო, რომ მშვიდად უყურო, ყოველდღიურად როგორ გემსგავსებიან შენი მოსწავლეები, შენი ფრაზებით როგორ საუბრობენ, წინადადების წევრებსაც კი შენნაირი მიმდევრობით როგორ ალაგებენ. ამიტომ ვამტკიცებ ექოსკოპიის ბუნდოვანი სურათის მიხედვით, რომ მე კი არა, ზაზას, ჩემს ქმარს ჰგავს ჩვენი შვილი. ძალიან მეშინია ვიღაც ახალი ადამიანის, რომელსაც ჩემი სისხლის ჯგუფის გარდა ცხოვრებასთან ჩემს დამოკიდებულებებს, ჩემს გემოვნებას, ჩემ საყვარელ წიგნებს გავუნაწილებ.. (სულ მიკვირს, ერთდროულად როგორ ახერხებს მასწავლებლობას, ოთხი შვილის დედობას და ლექსების წერას ჩემი უსაყვარლესი პოეტი – მაია სარიშვილი.)

იმედია, ახალ წელს ყველაფერი კარგად იქნება, მე მჯერა სასწაულების, ყველაზე ხელშესახები სასწაულების – 5 პურითა და 2 თევზით უამრავი ადამიანის დაპურების, ხმელა პურის ხაჭაპურად და იაფფასიანი ერბოს შოკოლადის კარაქად ქცევის, ჩემი ბებიის ჯადოსნური ხელების, ქვრივი დედაჩემის საოცარი გამძლეობის, თოვლის ბაბუის და შობა ღამის სასწაულებისაც, ადამიანების მეხსიერების, – სასწაულების მჯერა, რადგან მინახავს და გემოც გამისინჯავს.

ხოდა, ამიტომაც, სრული პასუხისმგებლობით გილოცავთ შობა-ახალ წელს.

დავით ბუხრიკიძე

მწერალ-მკითხველი კაცობრიობა წლის ბოლოს აუცილებლად რაღაც მნიშვნელოვანს აჯამებს და, როგორც ჩანს, ეს ჩვენი ჟურნალისთვისაც გარდუვალია, და მაინც, მინდა გასული წლის ჩემს ორ სუბიექტურ აღმოჩენაზე ვისაუბრო, რომელმაც, არ ვაჭარბებ, შეცვალა სამყაროსადმი ჩემი დამოკიდებულება. ორივე აღმოჩენა წლის ბოლოს, ნოემბერ-დეკემბერში გავაკეთე.

პირველი ცხადია, ჯულიან ასანჟია, თუმცა მის შესახებ წერა უკვე სასაცილოა, რადგან „ნახევარი“ „ცხელი შოკოლადი“ ლამის მისი ფსიქოანალიზითაა დაკავებული. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ძალიანაც საინტერესოა, რადგან ცინიკოსი, უხეში და ზოგჯერ „ჩასვრილი“ N დიპლომატის არანორმატიული ლექსიკა ინფორმაციულად უფრო საინტერესოა, ვიდრე ვთქვათ, „ჟუჩოკებით“ გამოჭერილი საქართველოს შრომის პარტიის ლიდერის სატელევიზიო „აღსარება“, ან მოულოდნელად გამოვლენილი და ძლივს მეტყველ ტერორისტთა ბოდვები. სხვათა შორის, ხელისუფლების ფაქიზად მხარდამჭერ ერთ ლიბერტარიანელ ფილოსოფოსს „ვიკილიქსი“ რატომღაც დიპლო-პორნოგრაფიის ჟანრად წარმოუდგენია... და ეს მრავლისმეტყველი ამბავია.

მეორე აღმოჩენა, ეს არის 34 წლის ბელგიელი ქორეოგრაფი უცნაური გვარ-სახელით სიდი ლარბი შერკაუი. მამით მაროკოელი და დედით ბელგიელი, რომელიც 20 წლისა სახლიდან წავიდა, რათა თავისი იდეალების, ნიჭისა და თავისათვის არ ეღალატა. „ბაბილონი“ – ასე ეწოდება მის ქორეოგრაფიულ ოპუსს, რომელიც ახლახან, დეკემბერში გამართულ ბერლინის თეატრალურ ფესტივალზე ნამდვილად ყველაზე შთამბეჭდავი იყო.

მან რამდენიმე საინტერესო პროექტი განახორციელა. მაგალითად, „სუტრა“, რომელშიც შაოლინის მამაკაცთა მონასტრის ახალგაზრდა ბერები ცეკვავენ; „მითი“, რომელიც ექსტრემალურ გარემოში სხეულისა და პოლიტიკური სიტუაციის კონფლიქტს ასახავს. და კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ სისულელეა, როცა ნეიტრალური ხელოვნების, ან ხელოვანის ნეიტრალურობის შესახებ საუბრობენ. ეს ნონსენსია, რადგან სამყარო მუდამ გეხება და გაიძულებს არჩევანი გააკეთო. გულწრფელად, ხმამაღლა და თამამად ნათქვამი უკვე „ვიკილიქსია“! ტყუილად არ უწოდეს სიდი ლარბი შერკაუის გერმანულ პრესაში „ქორეოგრაფიის ვიკილიქსი“. ჩემთვის ეს შეფასებაა და გასული წლის ყველაზე დიდი აღმოჩენა.

ჯი პი სი GPC

ჯი პი სი-ს აფთიაქებში
აირჩიე 5 მედიკამენტი
და მიიღე ბარანტირებული საუკეთესო ფასი

✓ **ისარგებლე სამედიცინო შეღავათით** - ყოველთვიურად, კვალიფიციური ექიმის უფასო სამედიცინო კონსულტაცია ექსპრეს კლინიკაში და ექსკლუზიური ფასდაკლება სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციებსა და ლაბორატორიულ კვლევებზე.

✓ **გამოიყენე გარანტია** - თუ აღმოაჩენთ, რომ "ჯი-პი-სი" აფთიაქში შენი კალათის ფარგლებში შერჩეული მედიკამენტის ღირებულება აღემატება სხვა აფთიაქებში არსებულ ფასს, დაგვიკავშირდით ნომერზე 0-007, დააფიქსირეთ ინფორმაცია და ჩვენ ვუზრუნველყოფთ "ჯი-პი-სი" სააფთიაქო ქსელში ფასის შესაბამის კორექციას (5 სამუშაო დღის განმავლობაში).

✓ პროგრამაში ჩართვის შემდეგ, თქვენ გეყოლებათ **პირადი სამედიცინო მრჩეველი,** რომელიც:

- 24 საათის განმავლობაში უპასუხებს თქვენს ნებისმიერ შეკითხვას.
- დაგიკავშირდებათ თავად მკურნალობის პროცესის მიმდინარეობისა და ეფექტურობის, სასარგებლო რჩევებისა და მოსალოდნელი სიახლეების თაობაზე.
- დაგიგეგმავთ ურთიერთობას ჩვენი ქსელის კონკრეტულ აფთიაქსა და ექსპრეს კლინიკასთან (აფთიაქში მედიკამენტების მარტივად და დროულად მიღების უზრუნველყოფა წინასწარ შეთანხმებით; ექიმთან ვიზიტის დანიშვნა; მანიპულაციებისა და გამოკვლევების განრიგის განსაზღვრა და ა.შ.).

შენი სააფთიაქო კალათა

ჯი პი სი GPC
www.gpc.ge

www.reda.ge

0-007
საინფორმაციო სამსახური



„მძიმე კინო“ თბილისის მე-11 კინოფესტივალზე

ქეთა კირტავა

კინოფესტივალი ერთი დიდი სიამოვნებაა, განსაკუთრებით – კინომანებისთვის. კინომანები იმიტომ გამოვყავი, რომ მხოლოდ ისინი ნახულობენ დღეში 3-4 ფილმს მოხალისეს სტატუსით. „პრომეთეს“ წლევანდელ ფესტივალზე მივხვდი, რომ ასეთი რეჟიმი კარგი სულაც არ არის; ერთი ფილმიდან გამოყოლილ ემოციას მეორე ენაცვლება, სახელები და გვარები ერთმანეთში ირევა, დღის ბოლოს კი თვალებდაბინდული მიდიხარ სახლში. მაგრამ ამ რეჟიმს ისეთი დადებითი მხარეებიც აქვს, რომელთა დათმობაც კინომანს ძალიან გაუჭირდება. მისვლისთანავე რაღაც ატმოსფერო გითრევს. ეს ფილმებსშორისი რეალობაა და ისევე მიბმულია ერთმანეთზე, როგორც კარგი დრამატურგის მიერ, მძივივით აწყობილი კადრები.

1. „სუსა“ რეჟისორი რუსუდან პირველი
2. „რენე მიდის ჰოლივუდში“ რეჟისორი ალეკო ცაბაძე

ასეთი იყო კინოფესტივალის 7 დღე. ბოლო საღამოს, როდესაც სეანსებიდან სახლში დავბრუნდი, ერთი კვირის მანძილზე ნანახი ფილმები თითქოს ჩემს მეხსიერებაში დაიწმინდა და ზედაპირზე სულ რამდენიმე დარჩა.

წლევანდელი ფესტივალი განსაკუთრებულად „ეროვნული“ იყო. ფესტივალი ქართული ფილმით გაიხსნა, ქართული ფილმით დაიხურა და მთავარი პრიზიც ქართულ ფილმს – რუსუდან პირველის „სუსას“ გადასცეს. „სუსა“ სოციალური დრამაა, სადაც ძალადატანების გარეშე კვეთს ერთმანეთს ორი ხაზი: სუსას (მთავარი გმირი) პირადი დრამა და არანაკლებ პრობლემური სოციალური ფონი. ერთი სიტყვით, ძალიან სადა, გაწონასწორებული და დრამატურგიულად გამართული ფილმია, რომელიც, ვფიქრობ, მხოლოდ სიმპათიას იმსახურებს. განსაკუთრებით საინტერესო მთავარი გმირის შემსრულებელი, 12 წლის ავთანდილ თეთრაძეა – ბუნებრივი, თამაშის თავისუფალი მანერით, რაც ასე დეფიციტურია ბოლო წლების ქართულ ფილმებში.

ფესტივალის ფილმებს ერთი მთავარი ხაზი აერთიანებდა, რასაც შეიძლება ფესტივალის კონცეფციაც დაერქვას. ეს იყო საზოგადოებისგან, ან გარემოსგან გაუცხოებული ადამიანი, რომელიც რაღაცას ეძებს; ადამიანი კრიზისულ მომენტში, მძიმე ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ მიღებული გადაწყვეტილებები; ან საკუთარი სურვილით გაღებული მსხვერპლი რაღაცის ფასად: ცოლის, მამის, ქვეყნის კეთილდღეობის, თვითდამკვიდრების, გადარჩენის, თუ სხვა ადამიანების დახმარების ფასად.

დღევანდელი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ამ პრობლემაზე დაფიქრება. ხანდახან გაუცხოება შეიძლება სასარგებლოც იყოს, თუკი მას მოსდევს თვითშემეცნება... საკუთარი თავის შეცნობის აქტი დეფიციტურია, როგორც საზოგადოებაში, ასევე – ქართულ კინოშიც.

საინტერესოა ამ თემის ირანული ინტერპრეტაცია, რაც ორ ფილმში საკმაოდ კარგად ჩანს: ჰანა მაჰმალბაფის „მწვანე დღეები“ (დოკუმენტური) და ბაჰმან ღობადის „არავინ იცნობს სპარსელ კატებს.“ ღობადი, ირანში არსებული რეჟიმის ფონზე, აღმოაჩენს ახალგაზრდებს, ვინც ალტერნატიულ მუსიკას ქმნის; შესაბამისად ისინი, ირანული კანონმდებლობით, არალეგალები არიან. ეს მუსიკა უაღრესად პროგრესულია. ერთ-ერთი ჯგუფი ელექტრო „ფსიქოდელიის“ მაგვარ მუსიკას უკრავს; წარმოიდგინეთ „ფსიქოდელია“ ირანულ ენაზე... ძალიან საინტერესოა, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ მუსიკას განსაკუთრებული სევდა და სიღრმე აქვს. ეს ფილმი ხელოვან ადამიანებზეა, თითქოს გალიაში დამწყვდეულ ხელოვან ადამიანებზე. ფილმი კვაზი-დოკუმენტურ სტილშია გაკეთებული; იმდენად, რომ ხშირად ვერც კი ხვდები, დოკუმენტურ კადრს უყურებ, თუ დადგმულ სცენას.

ამ ფესტივალზე აღმოვა-

ევროტექნიკა
Smiley
ტექნო ლიდერი
TECHNO Leader



1. „თეთრი ბაფთა“ რეჟისორი მიხაილ ჰანეკე
2. „თამარა დრიუ“ რეჟისორი სტივენ ფრირზი
3. „ჩემი ბედნიერება“ რეჟისორი სერგეი ლოზნიცა
4. „ერიკის ძიებაში“ რეჟისორი კენ ლოუჩი

ჩინე, რომ ყველაზე „კარგი მაყურებელი“ 11-საათიან სეანსზე ვიყავი. დასვენებული გონებით, შემართებით ველოდებოდი დღის პირველ შთაბეჭდილებას. ეს მოლოდინი ყველაზე მეტად გამიმართლდა, როცა 11 საათზე ხავიერ რებოლოს ფილმი „ქალი პიანინოს გარეშე“ ვნახე. ფილმი არის ესპანელ დიასახლისზე, რომელიც მთელ დღეს სახლის საქმით არის დაკავებული. შვილი სხვა ქალაქში ცხოვრობს, ქმარი მუშაობს... ეს ის დროა, როდესაც ქალის ცხოვრებაში შვილზე ზრუნვის პერიოდი სრულდება, ქმარზე ზრუნვა რუტინაშია გადასული და სოციალურ კონტექსტს მოშორებული ქალი საკუთარი თავის ძებნას იწყებს. რებოლო ზომიერი და არამანერულია; ის კამერას ძალდატანების გარეშე იყენებს, კონცენტრაციას მთავარ გმირზე აკეთებს და ისეთივე მშვიდია, როგორც მთავარი პროტაგონისტი.

კიდევ ერთ მძიმე რეალობას გვთავაზობს სერგეი ლოზნიცა ფილმით „ჩემი ბედნიერება“. ბოროტ გარემოში სიკეთე ვერ გადარჩება, მეტიც, ისიც ბოროტებად იქცევა. რეჟისორი იმდენჯერ იმეორებს ამას ფილმში, რომ მთავარ გმირზე განხორციელებული ძალადობა თითქოს მექანიკურ ხასიათს იღებს; გარდა ამისა, რამდენიმე ისტორია და რამდენიმე დრო, თითქოს არაორგანულად ებმის ერთმანეთს.

დიმიტრი მამულია ფილმით „სხვა ზეცა“, თითქოს ძმები დარდენებისეულ ენას მიმართავს; შედეგი კი სულ სხვა არის... ეს ენა განსაკუთრებულად მოითხოვს კინემატოგრაფიულ სახეებს, კინო-სახეებით თხრობას; წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოდის მშრალი ყოფა, რომელიც ძალიან მოსაწყენია... ერთ-ერთი საინტერესო სახე ამ ფილმში არის ტელევიზორის ტრანსლაციის და მოცემული რეალობის დაპირისპირება, რაც, თითქოს, ევროპოცენტრიზმის სახეა.

„თამარა დრუ“ – ეს ფილმი გამორჩეულია ფესტივალის პროგრამაში. ფილმი „ბრიტანულმა შოუქეისმა“ აჩვენა და ამავე სექციაში წარმოდგენილი კენ ლოუჩიც („ერიკის ძიებაში“) კი დაჩრდილა. ეს არის სტივენ ფრირზის კომედია... ის ინგლისური სარკასტული იუმორით ისეთ თემებს ეხება, როგორიც არის შემოქმედება, ოჯახი, ღალატი, სექსი... მხოლოდ რეჟისორის ინტონაცია, თითქოს ყველაფერს აუფასურებს. მაყურებელი იქამდე იცინის, სანამ ერთ-ერთი მთავარი გმირი დაიღუპება... სწორედ აქ ხვდები, რომ არც ისე სასაცილო რამეებთან გაქვს საქმე და მართლაც, ყველაფერი უფასურდება მაშინ, როცა ადამიანი კვდება.

ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე ალეკო ცაბაძის ფილმი „რენე მიდის ჰოლივუდში“ აჩვენეს.

ფილმი მშვენივრად დაიწყო, მაგრამ ცუდად დამთავრდა; დაწყებიდან რამდენიმე ხანს ყურადღება არ მომიდუნებია. ეს, მსახიობების (ნიკა თავაძე, ზურა ბეგალიშვილი, მიშა გომიაშვილი) დამსახურებაა. დრამატურგიულად საკმაოდ კარგად გაიშალა მთავარი გმირის, რენეს (ნიკა თავაძე) ცხოვრება: ის რამდენიმე, ურთიერთგამომრიცხავ რეალობაში ცხოვრობს. რენეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას კონფლიქტი მოსდის „იაჰუებში“ მცხოვრებ ვაცასთან (ზურა ბეგალიშვილი). „იაჰუები“ ქალაქის გარეუბანში დასახლებული ე.წ. სუბ-პროლეტარიატის დაჯგუფებაა. სცენა უკიდურესად თეატრალურია; თითქოს რეჟისორი ცდილობს blow-up-ის ტრანსცენდენტულ „მასოვკას“ მიამსგავსოს... „იაჰუებით“ მთავარი გმირის ჰალუცინაციები, დროში მოგზაურობა იწყება. შემდეგ მოდის ალუზიები ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე, ძველი თავადური ოჯახის ფოტო და შემდეგ მისი გაცოცხლება... მოკლედ რეჟისორი გაუგებარ მისტიკას ეჭიდავება;

ულევი ფანტაზია კულმინაციას აღწევს მაშინ, როდესაც რენე პირისპირ ხვდება ილიას. ილიას სახეც სწორხაზოვანი და ბანალურია; იმდენად, რომ მან სტალინი გამახსენა „ბერლინის დაცემიდან“; შელამაზებული, დარბაისელი ბაბუა თეთრ სამოსში...

ჩეხლამის მილმა ანუ პროჩეხლის ბანკის გამჭვირვალე აქსია

ათიოდე წლის წინ საქართველოში გაჩნდა სიტყვები: „გარანტია“, „სესხი“, „ანაბარი“. 90-იანებ-გამოვლილი, ნდობადაკარგული და სტაბილურობას გადაჩვეული ადამიანებისთვის ეს სიტყვები უცხო იყო და ეჭვითაც უყურებდნენ.

დრო გავიდა, რაღაცები შეიცვალა და დღეს ჩვენთან უკვე 19 ბანკია. მათ დღეს უმნიშვნელოვანესი როლი აქვთ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, ამასთან, ერთ-ერთი მთავარი დამსაქმებლის როლსაც ითავსებენ და, ბუნებრივია, თითქმის არ დარჩა ადამიანი, რომელსაც ბანკთან ურთიერთობა არ გამოუცდია.

მაგრამ რა ვიცით ბანკების, საბანკო მომსახურების შესახებ? უფრო სწორად, რა არის ის აუცილებელი მინიმუმი, რაც უნდა ვიცოდეთ? რამდენი თქვენგანი შეჯახებია ბანკთან ურთიერთობისას თუნდაც პატარა უსიამოვნო ფინანსურ მოულოდნელობას?

სწორედ ამ უსიამოვნებების თავიდან აცილებასა და მომხმარებლის მაქსიმალურ ინფორმირებულობას ემსახურება „პროკრედიტ ბანკის“ ახალი ინიციატივა: გამჭვირვალობის აქცია, რომელიც ლაკონური ბროშურის სახით ამ ბანკის ნებისმიერ ფილიალში შეგიძლიათ მოიკითხოთ. ბროშურას „რა უნდა ვიცოდეთ საბანკო მომსახურების შესახებ“ ჰქვია და აუცილებელი მეგზურია ბანკისა და მომხმარებლის ურთიერთობაში.

როგორ სიმართლესაც უნდა ღაღადებდეს რეკლამა, ყველამ ვიცით, რომ მისი მთავარი მიზანი პროდუქტის გაყიდვაა, და ამ პროდუქტთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად სერიოზული გადაწყვეტილების მისაღებად მხოლოდ მასზე დაყრდნობა საფრთხილო საქმეა. ხოლო ფინანსები რომ საკმაოდ სერიოზული სფეროა, და ჩვენს ცხოვრებაზე დიდ გავლენას რომ ახდენს, ესეც კარგად მოგვეხსენება.

„პროკრედიტ ბანკის“ ახალი ინიციატივა კი ზუსტად იმ ცნობებზე იძლევა ამომწურავ ინფორმაციას, რაც ძირითადად, რეკლამის მიღმაა დარჩენილი, მაგრამ ბანკის ნებისმიერმა კლიენტმა უნდა იცოდეს. თანაც გაითვალისწინეთ – ეს ბროშურა, არა მხოლოდ „პროკრედიტ ბანკის“, არამედ ნებისმიერი ბანკის მომხმარებელს გამოადგება.

ცხოვრების ტემპი აჩქარებულია, ბანკების რიცხვი, საბანკო სერვისების ხარისხი თუ ოდენობა იზრდება და ინფორმაციით გადაღლილ ადამიანს შეიძლება გაუჭირდეს მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღება. თანაც, „პროკრედიტ ბანკის“ ზემოთ აღნიშნულ ბროშურას თუ დავესესხებით, „საბანკო მომსახურების სწრაფი განვითარება მოსახლეობის ფინანსური განათლების პარალელურად არ მომხდარა“. არაინფორმირებული საზოგადოების შეცდომაში შეყვანის რისკი კი დაბალი არაა. ასე რომ, ვფიქრობ, პროკრედიტ ბანკის ახალი ბროშურა გაცილებით მაღალ და სასარგებლო მიზანს ემსახურება, ვიდრე ზედაპირული შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს: ის სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. თანამედროვე ადამიანი იმდენადვე უნდა იყოს გათვითცნობიერებული ბანკთან დაკავშირებულ საკითხებში – თავის უფლებებში, როგორც ზოგადად ადამიანის უფლებებში.

„პროკრედიტ ბანკის“ ბროშურა ბანკის ყველაზე ცნობისმოყვარე მომხარებელს დააკმაყოფილებს. ყველასათვის გასაგები ენითაა ჩამოყალიბებული და რამდენიმე ძირითადი თავისგან შედგება.

აი, მაგალითად: „როგორ უნდა შეარჩიოთ თქვენთვის ყველაზე შესაფერისი ბანკი“ – ბროშურა რამდენიმე უტყუარ კრიტერიუმს გვთავაზობს. დაინტერესებულხართ ოდესმე, სად აბანდებს ბანკი თქვენს შეტანილ ფულს? ხომ ნამდვილად არ გაგიხარდებათ, თუ აღმოაჩენთ, რომ თქვენს ფულს ბანკი, ვთქვათ, ნარკო-ბიზნესის ბარონებს ახმარს?! ხომ უფრო გესიამოვნებათ, ის ქვეყანაში ლეგალური და სასარგებლო საქმიანობას ხმარდებოდეს, რაც თქვენც საქართველოს განვითარებაში წვლილის შემტანად გაქცევდათ?! იკითხეთ ეს ანაბრის გახსნამდე, უფლება ნამდვილად გაქვთ.

და საერთოდ, „რა უნდა ვიცოდეთ ანაბრების შესახებ“ – იცით, თქვენს მოთხოვნებს რომელი სახის ანაბარი შეეფერება?

რამდენჯერ გსმენიათ ბოლო დროს: „აუ, ბანკის ვალი მაქვს“. ჰოდა, თუ ამ დღეში ხართ ან აპირებთ სესხის აღებას, აუცილებლად წაიკითხეთ თავი, „რა უნდა ვიცოდეთ ბანკის სესხის შესახებ“. ინფორმაციასთან ერთად, პრაქტიკულ რჩევებსაც მიიღებთ.

იცოდით, რომ საკრედიტო მონაცემთა ბაზა – კრედიტინფო არსებობს? ის თქვენი საკრედიტო გამოცდილების ისტორიას ინახავს და ამ ისტორიის ავ-კარგიანობა თქვენი, როგორც ბანკის კლიენტის სტატუსზე ახდენს გავლენას.

ერთი სიტყვით, „პროკრედიტ ბანკის“ ბროშურას ნამდვილად უნდა გაეცნოთ. ის საბანკო ლაბირინთებში ძალიან კარგი გზამკვლევია, და თქვენთვისვე, თქვენი ბანკისა და თქვენი ქვეყნისთვისაა სასარგებლო.

ისარგებლეთ ამ უპირატესობით – „პროკრედიტ ბანკის“ 57-დან ნებისმიერ ფილიალში მოიკითხეთ ბროშურა, „რა უნდა ვიცოდეთ საბანკო მომსახურების შესახებ“. იქ უფრო სასიამოვნოდ შეიტყობთ დეტალურ ინფორმაციას, ვიდრე ეს აქამდე, ამ წერილით გააკეთეთ.

ჰომოფობია – სირცხვილია, ჰომოფობი პოლიტიკოსი – საფრთხე საზოგადოებისთვის

ნინო დანელია

14 დეკემბერს დილიდან რამდენიმე ჟურნალისტმა დამირეკა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გასულ გადაცემაზე „აუდიტორია“ კომენტარი მთხოვა. გადაცემის თემა იყო: „აქვს თუ არა ჰომოსექსუალს უფლება, იყოს სკოლაში მასწავლებელი“. გადაცემა არ მენახა, მაგრამ „ცხელ შოკოლადს“ შევპირდი, რომ ვნახავდი და მოკლე კომენტარსაც დავწერდი. გადაცემის ნახვამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ ძირითადად, წამყვანზე მომიწევდა საუბარი და იმაზე, მაუწყებლის ქცევის კოდექსის რომელი მუხლები დაირღვა. თუმცა, საბოლოოდ, სულ სხვა აქცენტების დასმა გადავწყვიტე.

„რომ არ არსებობდეს საზოგადოებაში ჰომოფობია, ამ ადამიანს ჰომოსექსუალის იარლიყს არ მიაკერებდნენ“.

გადაცემის პრობლემა არა უშუალოდ რომელიმე ეთიკური ნორმის დარღვევა, არამედ ზოგადი პროფესიული სტანდარტები იყო. მაგ: მთელი გადაცემა გადაუმოწმებელ ინფორმაციაზე აიგო — ინგლისური ენის ერთ-ერთმა მასწავლებლმა თომას ფლეთჩერმა საკუთარი შიშველი ფოტოები გამოაქვეყნა სოციალურ ქსელში, თავის პირად გვერდზე, რომლის ნახვა შეეძლოთ მის მოსწავლეებსაც. ქართულმა მედიამ დაასკვნა, რომ ასეთი უხამსი საქციელის ჩამდენი მხოლოდ ჰომოსექსუალი იქნებოდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა თემა აიტაცეს და ზვიად ძიძიგურმა ფლეთჩერის საქციელი ასევე გადაუმოწმებლად, კიდევ უფრო გააზვიადა და განაცხადა, რომ ჰომოსექსუალები ბავშვებთან არ უნდა მიუშვა. არც საზოგადოებრივი მაუწყებელი ჩამორჩა და ასევე გადაუმოწმებლად, სოციალურ ქსელში საჯარო სიშიშვლე, მასწავლებლისთვის ეს არაეთიკური საქციელი, პირდაპირ დაუკავშირა ჰომოსექსუალიზმს. თვალნათლივ გამოჩნდა ის, რაც საზოგადოებრივი აზრის შესწავლისას გასული საუკუნის დასაწყისში თქვა ვოლტერ ლიპმანმა, რომ ადამიანები აზრს მათ თავში არსებული სურათების მიხედვით იქმნიან. სწორედ ეს იგულისხმა ერთ-ერთმა სტუმარმა, უფლებადაცვითი ორგანიზაციის წარმომადგენელმა პაატა საბელაშვილმა, როცა თქვა: „რომ არ არსებობდეს საზოგადოებაში ჰომოფობია, ამ ადამიანს ჰომოსექსუალის იარლიყს არ მიაკერებდნენ.“

ალბათ, შესაძლებელი იყო, რომ გადაცემა არა რადიკალურ აზრთა არენა, არამედ საკითხზე მშვიდი მსჯელობის სივრცე ყოფილიყო. შესაძლებელი იყო ისეთი სტუმრების მიწვევა, რომლებიც უფრო კვალიფიციურად ისაუბრებდნენ ჰომოსექსუალიზმზე, ვიდრე ამას დარბაზში მყოფი რამდენიმე სტუმარი აკეთებდა. ხშირად ვამბობ, რომ აფრო-ამერიკელებზე სასაუბროდ კუ-კლუქს-კლანი არ მოჰყავთ, ებრაელებზე სასაუბროდ ფაშისტებს და ანტისემიტებს არ იწვევენ. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ გადაცემის პროდიუსერმა მცდელობა არ დააკლო, რომ სტუდიაში არაჰომოფობიური პოზიცია უკეთ ყოფილიყო წარმოდგენილი, ვიდრე საბოლოოდ გამოვიდა. მაგრამ ზოგი თბილისში არ იყო, ზოგმა მნიშვნელოვანი შეხვედრა ვერ გადადო და გამოვიდა ის, რაც გამოვიდა.

ორი სტუმარი, რომელთაგან ერთ-ერთს სტერეოტიპული გარეგნობა ჰქონდა, შემაღლებულ სცენაზე, დანარჩენი სტუმრებისაგან განცალკევებით დასვეს. რამაც, კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოებაში არსებული წინასწარგანწყობები: ჰომოსექსუალები განსხვავებულები, გამორჩეულები, „დასათვალიერებელი პერსონაჟები“ არიან და რაც მთავარია, ყველას აქვს უფლება, მათ მორალი უკითხოს.

თუმცა ცალსახაა, რომ ამჯერად, საზოგადოებრივ მაუწყებელს ქცევის კოდექსი არ დაურღვევია. გადაცემის წამყვანი, ეკა ხოფერია ოპონირებას უწევდა სტუმრებს და ცდილობდა, შეეზღუდა ჰომოფობიური გამონათქვამები. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შექმნა დისკუსიისთვის თავისუფალი სივრცე, სადაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა ის, რომ დიმიტრი ლორთქიფანიძე არ შეიძლება იყოს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრი და რომ პარლამენტმა უნდა შეიმუშავოს საკუთარი ქცევის ნორმები, რომლის მიხედვითაც ფაშისტური შეხედულების ადამიანებს თავად პარლამენტი დაატოვებინებს თანამდებობას. მით უფრო, რომ ლორთქიფანიძეს პირველად არ გამოუთქვამს ჰომოფობიური მოსაზრებები. მართალია, შესაძლებელი იყო, დიმიტრი ლორთქიფანიძისა და ზვიად ძიძიგურის არაკორე-

26 ნლის ლიზა:
ფრიდომ მიუზიქმა კიდევ ერთხელ უმაგრესი ივენთი მოაწყო. მუსიკის ხარისხი და კონცეპტუალური გარემო აქ მთელი ქალაქისგან განსხვავებულ საფეხურზე დგას. მუდამ ევროპის წამყვანი დიჯეები ჩამოყავთ.

19 ნლის ანა და ლუკა, შეყვარებულები:
ყველაფერი დაგვახვედრეს კარგი დროის სატარებლად. მარტო თომას და გიო შენგელიას მოსასმენადაც კი მოვიდოდი მაგრამ ნიკ ფანჩიულიმ ისეთი მუსიკა დაუკრა საერთოდ ვერ გავჩერდი, მთელი ღამე ვცეკვავდი.

24 ნლის სანდრო:
სურვილი მაქვს, ყოველ ვიქენდზე ფრიდომ მიუზიქ ივენთები იმართებოდეს ქალაქში. ხალხი, მუსიკა, სხვადასხვა საჩუქრები, ფრიდომ ზონები — ფრიდომ მიუზიქზე გასართობი მუდამ და ყველასთვის არის.

20 ნლის იკა:
ყოველთვის მოუთმენლად ველი შემდეგ ივენთზე რა სიახლეს შემოგვთავაზებენ. ფრიდომ ზონები ყოველ ჯერზე უფრო და უფრო საინტერესო ხდება!

ქტული განცხადებების ამოჭრა გადაცემიდან, მაგრამ ვფიქრობ, საჭიროა ვიცოდეთ როგორია ჩვენი პოლიტიკოსების სწორხაზოვანი, საკუთარი ფობიებითა და სტერეოტიპებით შექმნილი ღირებულებათა სისტემა და არჩევანიც შესაბამისი გავაკეთოთ, როცა ამის დრო დადგება.

„ბრმები, ყრუები, არ უნდა იყვნენ ჩვენი ბავშვების მასწავლებლები, არ მინდა ადამიანები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული ასეთი (გადაცემის სტუმრისნაირი) ჩაცმულობა... მეძავები, მკვლელები, ჰომოსექსუალისტები, გინდა ჰეტეროსექსუალები, რომლებსაც აქვთ მანიაკალური და არანორმალური გამოხდომები, ბავშვთან არ უნდა მივიდნენ“ — ამბობს აღშფოთებული ძიძიგური და ყველაფერს ერთ ქვაბში ყრის. თემას აგრძელებს დიმიტრი ლორთქიფანიძე: „ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ იცავენ მათივე (ლგბტ) შემქმნელი ორგანიზაციები ზოოფილების, ნეკროფილების, გერონტოფილების უფლებებს, რა, ისინი ადამიანები არ არიან?“ გეგონება, ამორალური ჰეტეროსექსუალი, საჯარო ტრანსპორტში პატარა გოგონებზე მონადირე ან ცოლებზე მოძალადე მამაკაცები ძალიან უცხოა ჩვენი საზოგადოებისათვის. ან თითქოს, ორი ზრდასრული ადამიანის მიერ გაკეთებული ცნობიერი არჩევანი აპრიორი პათოლოგიას ნიშნავდეს.

სწორედ ამ არგუმენტების კომუნიკაციას ცდილობდა ჟურნალისტი ლუბა ელიაშვილი, გადაცემის ერთ-ერთი სტუმარი, რომელიც საჩვენებელ სცენაზე არ იჯდა და ჰუმანურობის ღირებულებებს იცავდა. ცდილობდა დამსწრეთათვის აეხსნა, რომ კრიმინალი, უზნეობა და სექსუალობა არაა ერთმანეთთან კავშირში და ადამიანებს მათი სექსუალური ორიენტაციის, ისევე როგორც ჩაცმულობის, თმის ვარცხნილობისა და ცხვირის სიგრძის გამო ვერ დაუწესებ შეზღუდვებს პროფესიის არჩევაში.

გადაცემის ერთ-ერთმა სტუმარმა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მეურვემ, გიორგი მელაძემ აღნიშნა, რომ ორი პოლიტიკოსი პოპულარულ პოზიციას ხმამაღლა გამოხატავს, რადგან, იცის, რომ არაფერს დაკარგავს. ვფიქრობ, სწორედაც ასეთი კაცთმოძულე გამონათქვამების გამო პოლიტიკოსები ბევრს უნდა კარგავდნენ. ასეთი გამონათქვამების გამო, მოქალაქეები აქტიურად უნდა გამოხატავდნენ საკუთარ პოზიციას და დისკომფორტს უქმნიდნენ ჰომოფობ საჯარო მოხელეებს. გავიხსენებ ბრიტანეთის სატელევიზიო რეალითი შოუს „უფროსი ძმა ცნობილი ადამიანების მონაწილეობით“, სადაც ერთ-ერთმა მონაწილემ შეურაცხყოფა მიაყენა მეორეს მისი აზიური წარმომავლობის გამო. ეს იყო ყველაზე სკანდალური შოუ ბრიტანეთის ისტორიაში. 16 000-ზე მეტმა ადამიანმა დაწერა საჩივარი. ბრიტანეთის მაშინდელმა კანცლერმა და მომავალმა პრემიერ-მინისტრმა გორდონ ბრაუნმა განაცხადა: „მე ვფიქრობ, ჩვენი წუხილი საფუძვლიანია. მინდა გამოვხატო ბრიტანელი ხალხის უმრავლესობის სათქმელი. ჩვენ ვართ ტოლერანტი და სამართლიანი ერი და ვფიქრობ, სწორედ ასეთად უნდა გვიცნობდეს მსოფლიო“.

დარწმუნებული ვარ, არც საზოგადოებრივ მაუწყებელში და არც საქართველოს პარლამენტში არცერთი საჩივარი არ შესულა და არც პოლიტიკოსებს უგრძვნიათ რაიმე უხერხულობა მათივე კოლეგების არაჰუმანური და ჰომოფობიური გამონათქვამების გამო.

დამლაგებელი ქალი ჰამლეტიზმის ზღვარზე

დავით ბუხრიკიძე

ბესო კუპრეიშვილის მიერ, თითებს მიღმა და მარჯანიშვილის თეატრალურ „სხვენში“ დანახული „ჰამლეტი“

ნებისმიერი რეჟისორი (დიდი თუ მცირე, ახალგაზრდა თუ ხნიერი, ნიჭიერი, შედარებით ნიჭიერი, ან ვითომ ნიჭიერი), ვინც „ჰამლეტის“ დადგმას გადაწყვეტს, წინასწარვე გრძნობს, რომ დიდ შემოქმედებით შარშია გახვეული. თუმცა სადღაც, გულის სიღრმეში მაინც სჯერა პატარა სასწაულის და საკუთარი შემოქმედებითი პრეტენზიის. იქნებ რეჟისურამ ან კონცეფციამ მართლა „გაისროლოს“; ან დადგმა და მსახიობების თამაში იმდენად შთამბეჭდავი გამოვიდეს, რომ მაყურებელს სპექტაკლი დაამახსოვრდეს, ხოლო მედიამ რეჟისორსა და მსახიობებზე დიდ ხანს ისაუბროს; ან ჯანდაბას, უფრო მეტი იჭორაოს.

ქალი ძლივს მბჟუტავი სოფიტების შუქზე საკუთარ სახეს ჩააშტერდება და ჰამლეტის ყბადაღებული ფრაზის გამეორების შემდეგ თითქოს ჩვენს თვალწინ შეიცვლის სქესს.

ბათუმიდან, ჯერ კიდევ ასლან აბაშიძის ჟამს, თბილისში გადმოსული, მუდმივ ხეტიალში გაწვრთნილი და უცხოეთშიც საკმაოდ პოპულარული „თითების თეატრის“ დამაარსებელი, ბესო კუპრეიშვილი მარჯანიშვილის „სხვენში“ სწორედ შექსპირის „ჰამლეტს“ ჩაუღრმავდა. ამჯერად თითების მარდი კომბინაციის მიღმა, გაცილებით უფრო საინტერესო იდეით და რაც მთავარია, მსახიობი ქალის მიერ განსახიერებული ჰამლეტით. სხვათა შორის, სპექტაკლის სახელწოდება – „ჩემი ჰამლეტი“, უკვე განსაზღვრავს გარკვეულ ტექსტურ-სუბიექტურ „სივრცეს“, სადაც რეჟისორს თამაშის თავისი წესები აქვს დადგენილი. სწორედ ამ მოედანზე საპაექროდ ეპატიჟება მაყურებელსაც და კრიტიკასაც.

ქეთი ცხაკაია უდავოდ გამორჩეული მსახიობი ქალბატონია თეატრალურ სივრცეში და სახასიათო პერსონაჟების შექმნის ოსტატობითაც გამოირჩევა. მაგრამ ბესო კუპრეიშვილის ფანტაზიის „გადამკიდე“, ისეთივე გამოცდის წინაშე აღმოჩნდა, როგორც მისი პერსონაჟი: სათვალეებიანი, ცოტათი კომპლექსიანი, ნიჭიერი დამლაგებელი ქალი, რომელიც ოცნებობს თეატრალურ ინსტიტუტში მოხვედრაზე. ასეა თუ ისე, ქეთი ცხაკაია ახალი როლით საამაყო თუ საინტერესო კამპანიას შეუერთდა: სარა ბერნარი, რომელმაც პირველმა დაარღვია ტრადიცია და ჰამლეტი სცენაზე ითამაშა; ასტა ნილსენი, რომელმაც ჯერ კიდევ მუნჯურ კინოში სცადა ამ როლის თამაში; გერმანელი დრამატული მსახიობი ჰილდეგარდ შმალი, რომელსაც გასული საუკუნის 70-იან წლებში რეჟისორმა პეტერ ზადეკმა ანდო „ყოფნა-არყოფნის“ წაკითხვა; ბრწყინვალე ალა დემიდოვა, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა ჟამს იური ლუბიმოვმა შეაგულიანა...

მოქმედება თეატრში, უფრო ზუსტად, კულისებში მიმდინარეობს, რომელსაც რეპეტიციის შემდეგ ახლომხედველი დამლაგებელი ქალი აწესრიგებს. თავიდანვე გასაგებია, რომ ის მთელი ცხოვრება თეატრზე ოცნებობს და ამდენად, კულისები და საგრიმიორო სპექტაკლში არა მხოლოდ ფერუმარილის, ჩამქრალი სოფიტებისა და საგრიმიოროს მეტაფორაა, არამედ მისი ვერგანხორციელებული ფანტაზიაც და მისთვის რეალური სამყაროც.

უბრალო მოსასხამი, მტვრის ტილო, მძიმე, გამადიდებელი შუშის სათვალე და მონოლოგები შექსპირის პიესებიდან, ამ შეუმჩნეველი ქალის ცხოვრების პროზაული დეტალებია, რომელიც ერთხელაც ჯადოსნურად იცვლება: ძლივს მბჟუტავი სოფიტების შუქზე ის საკუთარ სახეს ჩააშტერდება და ჰამლეტის ყბადაღებული ფრაზის („არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ!..) გამეორების შემდეგ თითქოს ჩვენს თვალწინ შეიცვლის სქესს. ამასობაში სარკის მიღმა თოჯინები გაცოცხლდებიან, რომლებიც შექსპირის პერსონაჟებს განასახიერებენ. განსაკუთრებით აქცენტირებულია კლავდიუსის, გერტრუდას, პოლონიუსის, ოფელიას, მესაფლავეების და ლაერტის თოჯინები.

ჰამლეტი ყველა პერსონაჟის მაგივრად მეტყველებს, რაც კიდევ უფრო ართულებს მსახიობის ამოცანას. ზოგჯერ საგრძნობი და გასაგები ნერვიულობის მიუხედავად, ქეთი ცხაკაია ყველა ცნობილ მონოლოგს თუ უმნიშვნელო ფრაზას კარგად უმკლავდება. ერთადერთი შენიშვნა: პერსონაჟთა სიჭრელეში ზოგჯერ თავად ჰამლეტი „იკარგება“. თუმცა ამას შესანიშნავი ფინალით გამოისყიდის, როცა რეალობაში დაბრუნებული დამლაგებელი ქალი ჰამლეტის კოსტუმით, ისევ უხილავ, ჩაბნელებულ სარკეებში რჩება, როგორც ალისა სარკისმიღმა სამყაროში. სპექტაკლის მხატვრობა და სცენოგრაფია ვახტანგ ქორიძეს ეკუთვნის, ხოლო მუსიკა შესანიშნავმა კომპოზიტორმა იოსებ ბარდანაშვილმა დაწერა.

Visa Festival

გადაიხადეთ თიბისი ბანკის *VISA* ბარათით
და მოიგეთ:

- **1 000 000** Smart ქულა
- მოგზაურობა თქვენი ოცნების ქალაქში
- და სხვა უამრავი საჩუქარი

27 27 27 | * 27 27 | www.tbcbank.ge

თიბისი ბანკი
TBC BANK

ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

კონკურსების ქვეყანა

მიშა მდინარაძე

რა საერთო აქვს პატრიოტიზმს მუსიკასთან? ბერძენი მემატიანე გვამცნობს, რომ ქართველები ბრძოლაში მხოლოდ სიმღერით შედიან. იმ პერიოდისთვის სიმღერა პატრიოტიზმის არაფუნქციური შემადგენელია, ბრძოლაში კი – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღია, რომელსაც ქართველები შესანიშნავად ფლობდნენ.

ნორმალურ პირობებში, სიმღერა უმნიშვნელოვანესი რგოლია ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესში, მაგრამ როდესაც მუსიკა პროპაგანდის ნაწილად იქცევა, ის საშიში იარაღი ხდება.

ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე ასეთი მაგალითი გვახსოვს, მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი კონკურსი „პატრინოტია“, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში ტარდებოდა. ამ პერიოდში ქართველმა კომპოზიტორებმა და პოეტებმა ასობით სიმღერა და პატრიოტული ტექსტი შექმნეს. საინტერესოა, რომელი მათგანი ახსოვს დღეს საზოგადოებას? და თუ არ ახსოვს, რატომ? ამ კითხვას ძალიან მარტივი პასუხი აქვს – ყველაფერი არაფუნქციური მეხსიერების მიღმა რჩება. საზოგადოების ზედმეტად დამუხტვა კი არაფრის მომტანია, რადგან პატრიოტული განწყობა ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის არსებობს და მისი მუდმივად ხაზგასმა კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ასეთი ტიპის კონკურსები მხოლოდ სისტემას სჭირდება. ვუმღეროთ სამშობლოს! ვუმღეროთ, მაგრამ არა ასე უგემოვნოდ და უსაფუძვლოდ. სიყალბე ადვილად საცნობია. „ვუმღეროთ სამშობლოს ძლიერს და ერთიანს!“ – მღერის მომღერალი, მე კი არც ერთი სიტყვის და ნოტის არ მჯერა. რადგან ვიცი, რომ ამ ნამღერს საფუძველი არ აქვს. ეს სიმღერები პლაცებია, ისინი წამით ქმნიან ნირვანას ეფექტს, რომლიდან მყისიერად გამოსვლის შემდეგ ასმაგად მტკივნეული ხდება რეალობის აღქმა. ჰეფი ენდის მოლოდინში მხოლოდ ასეთი მუსიკალური ფანტაზიის ამარა ვრჩებით და ბოლოს სრულიად უნუგეშოები ასეც ვმღერით – „დამიბრუნე აფხაზეთი, გეევედრები, ღმერთო!“ პატრიოტული სიმღერის კონკურსი ატავიზმია, რომელიც 70–წლიანი საპირველმაისო დემონსტრაციებისა და გახარებული პიონერების ეპოქიდან მოგვყვა. ასეთი კონკურსების სანაცვლოდ მუსიკოსებსა და პოეტებს სრული თავისუფლება რომ მივცეთ, რამდენად მეტ ნამდვილ პატრიოტს შეიძენს საქართველო! არა „პატრინოტი“, არამედ „ვუდსტოკი“ გვჭირდება ჩვენ, მთელი თავისი თავისუფალი, არაპოლიტკორექტული, სიუზერენატისგან დამოუკიდებელი სივრცით. კონცეფცია გვჭირდება, რომელშიც პატრიოტებად ვიგრძნობთ თავს, რადგან ქართველმა კაცმა შეიძლება, ისლანდიაზე დავწერო მუსიკა და გაცილებით უფრო დიდ პატრიოტად ვიგრძნო თავი, ვიდრე აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე ნაძალადევად მუსიკის წერისას...

სულ ახლახან ჩატარდა კონკურსი „სიმღერა ბათუმზე“. როგორ ჰყვარებიათ კომპოზიტორებს ეს ქალაქი! საინტერესოა, აქამდე რატომ არ გაუჩნდა ვინმეს სურვილი, ქალაქის სიყვარულით მუსიკა დაეწერა? ოჰ, როგორ გვიყვარს ქართველებს კონკურსები, რა გასაოცარი ენთუზიაზმით ვეჯიბრებით ერთმანეთს! რომ არა კონკურსები, ალბათ, საერთოდ, აღარაფერს დავწერდით და აღარც ვიმღერებდით. მუსიკალურ კონკურსებს წამყვანი ტელევიზიების საეთერო პრაიმ ტაიმის საკმაოდ დიდი ნაწილი უკავიათ. მივეჩვიეთ იმას, რომ ასეთ შოუებში მოხვედრის მსურველთა უუნარობა საყოველთაო დაცინვის, შეურაცხყოფის და ქილიკის საგანი ხდება. მაყურებელს ეს მოსწონს და ამით შეგულიანებული „ჟიურის“ წევრები ძალ–ღონეს არ იშურებენ, როგორმე ერთმანეთს აჯობონ ნიჭიერებას მოკლებული ახალგაზრდების „შემკობაში“.

ქართველებს ძალიან გვიყვარს კონკურსები და შეჯიბრებები, ეს ჩვენი ხასიათის ნაწილია, თორემ როგორ შეიძლება, თავმოყვარე ადამიანს ისეთ კონკურსზე მოუნდეს გამოსვლა, სადაც ჟიურის თავმჯდომარე იგორ კრუტოი იქნება?! და მაინც ჩვენ გვიყვარს „ნოვაია ვოლნა“ და „იურმალა“; გვიყვარს, რადგან ვიცით, რომ იქ „სულიკო“ იციან და „გამარდჟობა გენაცვალესაც“ ჯერ კიდევ ქართული სუფრის სიტკბოების მოლოდინში სიამოვნებით გაიძახიან. გვიყვარს, რადგან ჩვენი პროფესიონალიზმი და შესრულების დონე მხოლოდ ასეთი უმდაბიოესი კონკურსისთვის თუ იქნება საკმარისი. შეგახსენებთ, ეს ის კონკურსია, სადაც ჟიურის ყველა წევრი თავად აღებს პირს პლუს ფონოგრამაზე და უარესიც, ბატონი კრუტოი პლუს ფონოგრამაზე როიალზე „აკაკუნებს“ თითებს (ისე, მაინცდამაინც კრუტოის გინება რომ არ გამომივიდეს, ჩვენ, თბილისში, პლუს ფონოგრამაზე ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მიერ „შესრულებული“ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაც კი გვახსოვს). ჰოდა, ვაკეთოთ ბევრი კონკურსი, ვეჯიბროთ ერთმანეთს. ერთს შეგახსენებთ მხოლოდ, ჯიბრით საქმე არ კეთდება. აი, ერთმანეთის მოსმენით კი უამრავი კეთილი საქმის გაკეთება შეიძლება! მუსიკის არსი მოსმენაშია, ერთმანეთის მოსმენაში და არა ერთმანეთის დაჯაბნის სურვილში. ჩემი ნება რომ იყოს ერთიანად გავაუქმებდი ყველა კონკურსს და მათ ფესტივალებად, დღესასწაულებად ვაქცევდი, სადაც არა გაგდებული კონკურსანტების ცრემლიანი სახეებია, არამედ თავისუფალი ხელოვნების კოსმოსია, უკიდეგანო, მარადიული და ფუნქციური.

„ცუდზე უარესი“

საქართველოს კათოლიკოსმა 17 დეკემბერს, ბარბარობას, უნიკალური ქადაგება წარმოთქვა. იგი გამოეხმაურა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერით გასულ გადაცემას „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“, რომლის სტუმრები ფილოსოფოსი გიგა ზედანია და მე ვიყავით. ილია მეორემ ტოკ–შოუს უპრეცედენტო შეფასება მისცა – „ცუდზე უარესი“, ხოლო მე დამახასიათა, როგორც „ათეისტზე უარესი“. ეს ეპითეტი გაიმეორა მაშინაც, როცა გამოთქვა ვარაუდი, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ შესაძლოა ხელისუფლების ინტერესს ახმოვანებდა. პატრიარქმა ეს კონსპირაციული სქემა შეაფასა, როგორც „მთლად უარესი“.

ავტორი: ბექა მინდიაშვილი

ილია მეორე აცხადებს, რომ ეკლესიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ერის გადარჩენა. ჩემი აზრით კი, სწორედ 90–იან წლებში ხდება „საყოველთაო კარგის“ შესახებ კოლექტიური წარმოდგენის ფორმირება: მე კომუნისტი კაცი ვარ, მაგრამ მე პატრიარქის ნაჩუქარი ჯვარი მკიდია... მე ქრისტიანი კაცი ვარ... მე ქართველი ვარ!“ რეზო ამაშუკელი

მივყვეთ თავიდან: რატომ შეიძლება, გადაცემა „ცუდზე უარესი“ ყოფილიყო? წლების განმავლობაში საქართველოს პატრიარქი, მღვდელმთავრები, მართლმადიდებელი ეკლესია დაცულია ელექტრონული მედიის ყოველგვარი კრიტიკული შეფასებისაგან. საპატრიარქო, ამ მხრივ, ფაქტობრივად, იმავე დახურულ რეჟიმში მუშაობს, რომელშიც კომუნისტური პარტია მოქმედებდა საბჭოთა კავშირში. ის არის აბსოლუტური, ობიექტური, საყოველთაო ჭეშმარიტების წყარო, რომლის საკრალურობის ეჭვქვეშ დაყენება ისჯება.

რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? როგორ აიშენა მან ეს შეუვალი „წმინდა“ ციხესიმაგრე? 90–იანი წლებიდან ეკლესია საქართველოში პოლიტიკურ ველზე ლეგიტიმაციისა და კონფლიქტებისას უზენაესი არბიტრის ფუნქციას ასრულებს, ამავდროულად ის მართლმადიდებლობას მხოლოდ სარწმუნოებად არ მიიჩნევს, მისთვის ეს ეროვნული იდეოლოგიისა და იდენტობის საფუძველია. თავად პატრიარქი პოზიციონირებს, როგორც ეროვნული ერთიანობისა და უსაფრთხოების გარანტი. ილია მეორე აცხადებს, რომ ეკლესიის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ერის გადარჩენა. სწორედ ამ დროს, 90–იან წლებში ხდება „საყოველთაო კარგის“ შესახებ კოლექტიური წარმოდგენის ფორმირება: კარგია, როცა აცხადებ: მე კომუნისტი კაცი ვარ (ან ვიყავი), მაგრამ მე პატრიარქის ნაჩუქარი ჯვარი მკიდია... მე ქრისტიანი კაცი ვარ... მე ქართველი ვარ!“ (რეზო ამაშუკელის გამოსვლის პერიფრაზი 1990 წელს).

ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ორი კონსტრუქციის: ერთი მხრივ, პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და მეორე მხრივ, რელიგიურ-იდეოლოგიური კოლექტივიზმის გადაკვეთამ განაპირობა ის, რომ მედიაში, გავრცელდა „კარგის“ ნორმატიული ძალაუფლება. მყარი ტაბუ დაედო საპატრიარქოსა და სასულიერო პირების კრიტიკულ კონტექსტში მოხსენიებას.

მაგრამ, თუკი თვალს გადავავლებთ გასულ ოც წელინადს, ვნახავთ, რომ იყო გამონაკლისებიც. მაშინ, როცა ქვეყანაში ვითარება ყველაზე კრიტიკულ წერტილს უახლოვდებოდა, როცა პოლიტიკური ხელისუფლება ყველაზე დაუცველად და სუსტად გრძნობდა თავს, პიკს აღწევდა ხელისუფლებისა და მედიის პიეტეტი პატრიარქისა და საპატრიარქოსადმი. ამის საპირისპიროდ, მაშინ, როცა პოლიტიკური ძალაუფლების პოზიციები ძლიერდებოდა, აქა–იქ აღმოცენდებოდა ხოლმე რელიგიისგან თავისუფალი მედია კუნძულებიც.

1992–იდან 1997 წლის ჩათვლით შევარდნაძის ხელისუფლება და მედიაც საპატრიარქოს სოციალური პოზიციებისა და გავლენის გამყარებით იყო დაკავებული, რითაც შევარდნაძე, საბოლოო ჯამში, საკუთარი ავტორიტეტისა და ლეგიტიმაციის გაძლიერებას უწყობდა ხელს. ვინაიდან მისი ლეგიტიმურობა პოლიტიკურად ფუყე იყო, ამიტომ მას რელიგიურ–კულტურული საზრისითაც უნდა დაეტვირთა და გაემართლებინა საკუთარი არსებობა და მისია. 1994 წელს იგი უშუალოდ კათოლიკოსმა გამოაცხადა ერის მმართველად და წმინდა გიორგისაც კი შეადარა.

მაგრამ შევარდნაძის ხელისუფლების ყველაზე წარმატებულ პერიოდში, 1997 წელს გაჩნდა პირველი თავისუფალი არხი: „რუსთავი 2“, რომლის ეთერში რელიგიური რეალობის შესახებ კრიტიკული აზრისთვისაც გამოთავისუფლდა ადგილი. მომზადდა გადაცემა „აგორა“, რელიგიური სტერეოტიპების თემა აქტუალური გახადა გოგი გვახარიას გადაცემა „ფსიქომ“, რომელშიც უცნაური, გამომწვევი ფილმების ჩვენების გარდა, უბრალოდ თავისუფლად საუბრობდნენ ინტელექტუალი „ლიბერალები“.

საპატრიარქო მსგავსი გადაცემებისადმი თავიდანვე კრიტიკულად განეწყო. ამას მოჰყვა ის, რომ საეკლესიო ამბიონებიდან დაიგმო ლიბერალიზმი, დემოკრატია, ადამიანის უფლებები,

RESTAURANT THE

მისამართი: ჩაინის ჩიგი 6
ტელ.: 43 89 50 / 43 89 51

ჩესტოჩანი "ოვალი" გთავაზობთ:
- მაღალი დონის მომსახურებას და ჯომფოჩტუე გაჩემოს
- გემრიელ ჯეიძებს, დესერტს და ღვინის ფართო ასორტიმენტს

ჩესტოჩანი "ოვალი" იდეალური ადგილია
თქვენთვის და თქვენი სტუმრებისათვის

გლობალიზაცია, ზოგადად – დასავლურობა. ეს ყველაფერი ეკლესიის წინააღმდეგ „გახრწნილი დასავლეთისა და მისი აგენტების“ შეთქმულებას დაუკავშირდა. ამ მასალისგან შეიქმნა „ცუდის შესახებ“ საეკლესიო ხატი.

1999 წლის არჩევნებიდან დაწყებული 2004 წლამდე – მწვავე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა, საპატრიარქოს როლი და იდეოლოგიური ძალაუფლება კიდევ უფრო უალტერნატივო და ყოვლისმომცველი გახადა. ის ყველა ინტერესჯგუფის, ყველა პოლიტიკური, სოციალური, კულტურული თუ მედია აქტორის ლტოლვის მთავარი ობიექტი გახდა.

„რუსთავი 2“–ის საპირისპიროდ, შევარდნაძის „1-ლ არხზე“ სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება ეკლესიის „პიარი“ და მართლმადიდებლური პროპაგანდა. იწყება მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო საეკლესიო დღესასწაულის „ნიუსებში“ დატრიალება, მოდაში შემოდის ტელექადაგებები, მზადდება სატელევიზიო „ნოველები“ სამონასტრო ცხოვრებასა და სასწაულებზე, დიდ საეკლესიო დღეებში კი ლიტურგიის საფეხბურთო მატჩებივით ტრანსლაციის ტრადიციას ეყრება საფუძველი თავის კომენტატორებიანად.

ამ პერიოდში ხელისუფლება აკმაყოფილებს საპატრიარქოს რამდენიმე მოთხოვნას: სასტიკად ზღუდავს რელიგიურ უმცირესობებს, ანუ რელიგიურ სივრცეში საპატრიარქოს ექსკლუზიურ ბატონობას უზრუნველყოფს, აფინანსებს საბიუჯეტო სახსრებიდან, ანიჭებს უნიკალურ სტატუსსა და პრივილეგიებს – სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური ხელშეკრულება იდება. სწორედ ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ეკლესიისადმი კრიტიკული პოზიციის გამოხატვა არამარტო „ცუდ ტონად“, არამედ უკვე „სიგიჟედ“ ან ანტისახელმწიფოებრივ, ანტიკონსტიტუციურ ქმედებად ფასდება, ერთი სიტყვით, „ცუდზე უარესი“ ხდება.

რევოლუციის შემდეგ წარმოუდგენლად მაღალი რეიტინგი ახალ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, გადადგას არაპოპულარული ნაბიჯები, რათა ძალაუფლების მიმოფანტულ სადავეებს მოუყაროს თავი. იგი დაუნდობლად ებრძვის კრიმინალურ, ქურდულ სამყაროს, კორუფციას, ასლან აბაშიძის ავტორიტარულ რეჟიმს, შეიარაღებულ დაჯგუფებებს. ამ პროცესში ის თითქოს დისტანცირდება საპატრიარქოსგანაც. მას არც პოლიტიკური და არც იდეოლოგიური ძალაუფლების ვინმესთვის გაყოფა აღარ სურს. ხელისუფლება რელიგიის თავისუფლების დამკვიდრებაზე იწყებს ზრუნვას, თუმცა საპატრიარქოს არაფორმალური ლეგიტიმაციის ფუნქციას ისევ უტოვებს.

სწორედ ამ დროს, 2004 წელს, უფრო ფართოდ იხსნება სივრცე „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, „რუსთავზე“, „იმედზე“, ტელეკომპანია „202“–ზე რელიგიის კრიტიკისთვის. მზადდება რამდენიმე ტოკ–შოუ, სადაც საკმაოდ მწვავე დისკუსიები იმართება სემინარიისა და აკადემიის 24 სტუდენტის საპროტესტო მოძრაობის თაობაზე.

მაგრამ როგორც კი თემა პოლიტიკურ ელფერს იძენს, როგორც კი უკლებლივ ყველა ოპოზიციური პოლიტიკური პარტია, ხელისუფლებას პატრიარქის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებს, პრეზიდენტის საჯარო მითითებით მედია დისკუსიები წყდება, ანუ ქვეყნის მეთაური ტაბუახსნილი რელიგიის მხრიდან პოლიტიკურ საფრთხეს გრძნობს. ამან შედეგად მხოლოდ ის გამოიღო, რომ ეროვნული „საკრალური“ ციხე–კოშკის მშენებლობა გაგრძელდა. 2005 – 2010 წლებში საპატრიარქოს იდეოლოგიამ უმნიშვნელო გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, მოიცვა მთელი საჯარო სივრცე, თავის ერთიან „კარგ“ ენაზე აამეტყველა პოლიტიკოსები, მედია, კულტურა, ბიზნესი, ინტელიგენცია.

მიუხედავად იმისა, რომ დავით პაიჭაძესთან დიალოგი ხაზგასმით „აკადემიური“ და მაქსიმალურად კორექტული იყო. ამ გადაცემამ, წამყვანმა და მისმა სტუმრებმა ვცადეთ ამ ციხე–კოშკის შიგნით შეგვეხედა, ვცადეთ იმის თქმა, რომ მის მიღმა ეპიკური ღმერთები და გმირები კი არა, ჩვეულებრივი ხალხი ფუსფუსებს. ჩვეულებრივი ადამიანები კი ზოგჯერ ცდებიან. ვცადეთ იმის ჩვენება, რომ „წმიდათა წმიდას“ მეორე მხარეს ძლაუფლება, გავლენა, ბატონობა, მატერიალური სიმდიდრე ისევეა მნიშვნელოვანი, როგორც აქეთ, ჩვენთან, პროფანულ სივრცეში. ვცადეთ იმის შეხსენება, რომ საზოგადოებას ამ კოშკიდან გადმოფრქვეული საკმევლის სუნი ოპიუმივით შეიძლება აბრუებდეს და ტოტალურად იმონებდეს საღვთო სასჯელის შიშით, იმის შიშით, რომ თუ ხმას ამოიღებ, „ღმერთი დაგეჯახება და დაგამსხვრევს ან დაგეცემა და გაგჭყლიტავს.“

ამ გადაცემამ, გიგა ზედანიას თქმისა არ

ამ კოშკიდან გადმოფრქვეული საკმევლის სუნი შეიძლება ოპიუმივით აბრუებდეს საზოგადოებას და ტოტალურად იმონებდეს იმის შიშით, რომ თუ ხმას ამოიღებ, „ღმერთი დაგეჯახება და დაგამსხვრევს ან დაგეცემა და გაგჭყლიტავს“.

ვნელოვანი და უმნიშვნელო საეკლესიო დღესასწაულის „ნიუსებში“ დატრიალება, მოდაში შემოდის ტელექადაგებები, მზადდება სატელევიზიო „ნოველები“ სამონასტრო ცხოვრებასა და სასწაულებზე, დიდ საეკლესიო დღეებში კი ლიტურგიის საფეხბურთო მატჩებივით ტრანსლაციის ტრადიციას ეყრება საფუძველი თავის კომენტატორებიანად.

ამ პერიოდში ხელისუფლება აკმაყოფილებს საპატრიარქოს რამდენიმე მოთხოვნას: სასტიკად ზღუდავს რელიგიურ უმცირესობებს, ანუ რელიგიურ სივრცეში საპატრიარქოს ექსკლუზიურ ბატონობას უზრუნველყოფს, აფინანსებს საბიუჯეტო სახსრებიდან, ანიჭებს უნიკალურ სტატუსსა და პრივილეგიებს – სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური ხელშეკრულება იდება. სწორედ ამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ეკლესიისადმი კრიტიკული პოზიციის გამოხატვა არამარტო „ცუდ ტონად“, არამედ უკვე „სიგიჟედ“ ან ანტისახელმწიფოებრივ, ანტიკონსტიტუციურ ქმედებად ფასდება, ერთი სიტყვით, „ცუდზე უარესი“ ხდება.

ინოვაცია
ქართული
სნაფი ხვების
ბაზარზე

სიახლე
ჯიმ.მარკის-გან!

Panorama
Buffet

ქართველი, ფოტნე დადიანის 7, V სართული

- მსოფლიო სამზარეული
- 300-მდე დასახელების მზა საჭმელი და საუზმეულის ნაწარმი
- ფოიერიანი მომსახურება
- საოცარი ფასები

Panorama

2010.

რობინზონ კრუზოს, ალბათ, ჰქონდა მიზეზი, რომ წლების დასათვლელად თოკი ეკვანძა, ან ხეზე ნაჭდევები დაესვა. ყოველ შემთხვევაში, ამდენი წელი გავიდა, მაგრამ ადამიანებში არაფერი შეცვლილა: ყოველი ამ ნაჭდევის წინ ადამიანი რიტუალურად ჩერდება, მომდევნო კვანძის იქით ახალი ტენდენციების გამოჩენას ელის. პატივი ვცეთ ამ პატარა სისუსტეს, ჯერ უკან მოვიხედოთ და მერე ეგებ, წინ გახედვაც მოგვინდეს.

ავტორი: ქეთი ქანთარია

ასაკში, როცა დალაი ლამა ცხოველი მეგონა, რომელიც ტიბეტის მთებში ბალახს ძოვს და ცუდ ხალხს ემალება, ვიცოდი, რომ არის კაცი, რომელსაც ტელევიზორში ვერასდროს ნახავ, ადამიანი, ვინც პროტესტის ნიშნად მოსკოვში არ დადიოდა. **ჩემს ცხოვრებაში ეს იყო შეურიგებლობის პირველი ამბავი.**

წელიწადის პირველივე დღეებში კარი ახალგაზრდა ლჰასამ მიიხურა, გარდაიცვალა მშვიდი მჭვრეტელი ერიკ რომერი, მეორე დღეს კი ჰაიტიში მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ასობით ათასი ადამიანი შეიწირა. რუსეთის პატრიარქს ეს „ღმერთის ქმედება“ კანონზმიერ სასჯელად მოეჩვენა. ეს სამი ამბავი, ერთმანეთზე დადებული, რაღაც ნიშანივით იყო: კატაკლიზმებმა გადაფარეს სიმშვიდის სული და სილამაზე, რომელიც ადამიანს ყველა ვითარებაში სჭირდება. წლის განმსაზღვრელ შტრიხად კი რეტროგრადულ თუ საშიშ რელიგიურ გამოვლინებებთან წინააღმდეგობის მცდელობები იქცა, ყოველ შემთხვევაში, მსოფლიოსთან ერთად, ამ ტენდენციას ვერც ჩვენ ავცდით. წელს კოსმოსიც აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს ცხოვრებაში. კიდევ ერთი მიწისძვრის შემდეგ, რომელიც მარტში ჩილეში მოხდა, საინფორმაციო წყაროებმა გვამცნეს, რომ დედამიწის ღერძი საითკენღაც დაიხარა, რომ დღე წამის რაღაც ძნელად დასახსომებელი წილით აჩქარდა, და ზოგიერთებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, იგრძნეს, რა დამთრგუნველად დაგრძელდა ღამე და როგორ დაიწყო „გარდაუვალი“ დასრულება იმისკენ, რასაც ფილმი „2012“ გვპირდება. წლის დასაწყისშივე მოხდა რაღაცნაირი მზის დაბნელება, რომლისმაგვარი სამი ათას წელიწადში ერთხელ ხდება, ზაფხულში, მგონი აგვისტოში, პლანეტები ერთ მწრიკვად დალაგდნენ, ანუ აღლუმზე გამოვიდნენ, მერე კი ასტრონომებმა ახალი პლანეტა იპოვეს, რომლამდეც ადამიანმა 1200 წელიწადი უნდა იფრინოს, მაგრამ თუ მიაღწია, აუცილებლად გადარჩება, იმიტომ რომ პლანეტა ადამიანის საცხოვრებლად გამოდგება და შთამომავლობასაც გადაარჩენს.

ისლანდიური ვულკანის – ეიიაფიატლაიოკულის – ამოფრქვევას აპრილში, მექსიკის ყურეში ეკოკატასტროფა მოჰყვა. ნავთობის ჩაღვრის გამო წყლებში მობინადრე ყოველი მეათე სულიერი არსება დაიღუპა. სპაიკ ლიმ ამ ამბავს განმაქიქებელი ფილმი უძღვნა, ბრედ პიტმა კი ასეთი „შეცდომებისთვის“ სიკვდილით დასჯა მოითხოვა.

მარტი ჩემთვის უკვე კავკასიური პრობლემების თვე იყო, მგონი, ცხრამეტ რიცხვში მოეწყო თბილისის პირველი კავკასიური კონფერენცია. საიდანაც სასიამოვნო შთაბეჭდილებები დამრჩა და ზოგიერთ მონაწილესთან ინტერნეტურთიერთობაც განვაგრძე. მარტის ბოლოს მოსკოვის მეტროში ტერაქტების შემდეგ ამ ურთიერთობაში რაღაც ძნელად აღსაწერი დაძაბულობის სიმი გაიჭიმა.

ისე, წელიწადიც ასე დაიწყო, ტერაქტით: პაკისტანში თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი სტადიონზე აიფეთქა და ფრენბურთის საყურებლად მოსული 105 ადამიანი მოკლა.

ნიუ-იორკში, „გრაუნდ ზეროს“ სიახლოვეს, ისლამური ცენტრის მშენებლობის იდეამ ამერიკა ორ ბანაკად დაჰყო. იდეის ზოგი მოწინააღმდეგე იქამდე მივიდა, რომ მუჰამედი პედოფილად და მკვლელად გამოაცხადა, „ყურანი“ კი სატანურ წიგნად, რომელიც უნდა დამწვარიყო. წელს პირველად შევხვდი გოგონას, რომელმაც სახელი დაკარგა. ის რუსი მხატვარია. წლების წინ საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად, იქ ისლამი მიიღო და მასთან ახალი სახელი ერგო. დაბნეულ სულთა ისლამით დაინტერესება ახალი ტენდენცია მგონია, რომელიც ევროპაში გრძელდება. „თავისუფალი სამყაროს შვილები“ ისლამს ირჩევენ, რაციონალისტურ ევროპაში ადამიანები მეტაფიზიკის თუ არა, „ძლიერი მფარველის“ მოთხოვნილებას გრძნობენ.

ევროპის სურათი წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა, როცა აპრილში, სმოლენსკთან პოლონეთის პრეზიდენტის თვითმფრინავი დაიღუპა, რომელშიც, მის გარდა, პოლიტიკური ელიტა იჯდა. ამ ამბებსაც რუსული ეჭვი გასდევდა, განსაკუთრებით, ყირგიზეთის ამბების შემდეგ. ჩვენთან ბევრს გული დაწყდა, რომ პოლონელებმა რუსებს გულწრფელი თანაგრძნობისთვის მადლობა გადაუხადეს. ერთი სიტყვით, აპრილი – ზბიგნევ პრეისნერის „ლაკრიმოზას“ თვე იყო,

„თავისუფალი სამყაროს შვილები“ ისლამს ირჩევენ, რაციონალისტურ ევროპაში ადამიანები მეტაფიზიკის თუ არა, „ძლიერი მფარველის“ მოთხოვნილებას გრძნობენ.

პოლონეთის მიერ განცდილი ელდის და ტრაგედიის გაზიარების თვე.

წელსვე გარდაიცვალა სელინჯერი და იმედი დაგვიტოვა, რომ თუ 50 წელიწადს კიდევ ვიცოცხლებთ, მის დარჩენილ ნაწერებსაც ვიხილავთ. ნოემბრის დასაწყისში წავიდა ადამიანი, რომლის გამოც მთარგმნელის პროფესია ბაშვობიდან ყველაზე საპატიო და „მყუდრო“ მეჩვენებოდა, და ეს იმ იშვიათ დამოკიდებულებათაგანია, რომელიც ჯერ არ შემცვლია. ასაკში, როცა დალაი ლამა ცხოველი მეგონა, რომელიც ტიბეტის მთებში ბალახს ძოვს და ცუდ ხალხს ემალება, ვიცოდი, რომ არის კაცი, რომელსაც ტელევიზორში ვერასდროს ნახავ, ადამიანი, ვინც პროტესტის ნიშნად მოსკოვში არ დადიოდა. ჩემს ცხოვრებაში ეს იყო შეურიგებლობის პირველი ამბავი. თამაზ ჩხენკელი ერეკლე ტატიშვილთან, გერონტი ქიქოძესთან და რამდენიმე სხვა მოაზროვნე, კულტურული პოზიციის მქონე მთარგმნელთან ერთად, იმ სფეროს ნამდვილი პატრონი იყო, სადაც ენა და აზროვნება ერთმანეთს კვეთს. წელს, შემოდგომაზე, ბუკინისტებთან დაკავშირებული დისკუსიების დროს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ამ, და ზოგადად, წიგნის სფეროს ასეთი პატრონები თითქმის აღარ ჰყავს, საგამომცემლო სფერო მოხერხებული ბიზნესმენების პლეადას უკავია ხელში, მათი „კულტურტრეგერობა“ მხოლოდ მათი საქმიანი იმიჯის ნაწილია, ნამდვილი კულტურისათვის კი – ჩვეულებრივი შარლატანობა.

წელს ჩემთვის პირველად გამოიკვეთა ქართული მემარცხენე ძალები და ჩემდა სამწუხაროდ, მივხვდი, რომ ამ ადამიანებისგან ტყუილად ველოდი სოციალური სოლიდარობის ისეთსავე მაგალითს, როგორსაც ადრინდელი ქართველი ხალხოსნებისგან. გაირკვა, რომ ეს ხალხი უფრო ზოგადი თეორიებითაა დაკავებული. და როცა ერთი თვის წინ დაუცველმა, სასოწარკვეთილმა ადამიანმა, დევნილმა, თავი ყველაზე სასტიკი ხერხით მოიკლა, კონკრეტულ ტრაგედიამდე არც არავინ ჩამოქვეითებულა. ჩემთვის ესეც ქართული შარლატანობის ერთი გამოვლინება იყო, დაახლოებით ისეთივე, როგორიც თანამედროვე ლიტერატურული პროვოკაციებია მხოლოდ ქართული ეკლესიის შესაჩიჩხინებლად შექმნილი (რომლის წარმომადგენლები წელს უფრო ხშირად ისეთივე გაღიზიანებულები, აგრესიულები და აქტიურები იყვნენ, როგორიც წლევანდელი ბზიკები ივლის-აგვისტოში).

ერთი სიტყვით, დეკემბრისთვის მგონი, ბევრი დაგვიგროვდა საერთო სიტუაციით გაბეზრება და დაღლილობა. ამ დროისთვის მობეზრებული მქონდა კავკასიური კონფერენციების მთელი წყება, სადაც ჯურღმულებში ჩარჩენილი ადამიანების წამებაზე მეტად რაღაც კულტურულ, ეთნოგრაფიულ და გეოსტრატეგიულ ერთიანობაზე ლაპარაკობდნენ. ის ადამიანები, როგორც ჩანს, უკვე ყველამ ჩამოწერა. მომბეზრდა ფეისბუკზე, ჩემს კედელზე ათასნაირ „ლეზგინკაზე“ რეაგირებაც და უსაგნო და უნაყოფო საქმეებზე ერთმანეთისთვის ტაშის კვრაც.

წლის ბოლოს თბილისის კინოფესტივალის რამდენიმე ფილმი ძალიან მომიხდა და გუნება-განწყობის კორექტირებაში დამეხმარა, განსაკუთრებით, „ჩემი ბებია“. სულ ბოლოს ვნახე დიმა მამულიას რუსული ფილმი „სხვა ზეცა“. ფილმი, რომელიც მე ძალიან მომეწონა.

წლის ბოლოს მოსკოვის არეულობების დროს დაახლოებით ისეთი შუაგზიელი მოკლეს, როგორიც ეს მოწურული, არაადამიანურ ქალაქში, თავისი სიყვარულის საძებნელად ჩასული კაცი მამულიას ფილმში. როცა წელს რამდენჯერმე რუსეთზე, მოსკოვზე დაწერე, სულ მინდოდა სადმე მეთქვა, როგორ მიყვარდა ერთ დროს ეს ქალაქი. მაგრამ ამისი მრცხვენოდა, და თან ჩემი სირცხვილისაც მეთაკილებოდა.

სწორედ, ამ დღეებში ზაალ ანდრონიკაშვილის ბლოგზე მოსკოვში გატარებული დღეებისადმი მიძღვნილი წერილი წავიკითხე და მივხვდი, რომ ნამდვილი ძალა მაინც გონიერებაში და დისტანცირებაშია – მშვიდ და გაწონასწორებულ ჭვრეტაში, რომლის არეალშიც აუცილებლად მოხვდება ყველაფერი, რაც კულტურული ადამიანის აღფრთოვანების ღირსია.

წლის ბოლოს კი, ფეისბუკზე მოვძებნე და ჩემი ინიციატივით პირველად დავუმეგობრდი რუს ადამიანს, პეტერბურგელ მხატვარს და პერფორმერს ვლად მამიშევ-მონროს. მამიშევი ისეთი გიჟია, ისეთი „ფერადი“, რომ საკუთარ ქვეყანაში, წესით, დიდი ხანია, ის მუშტი უნდა მოხვედროდა, რომლის ტრიალიც სულ ცოტა ხნის წინ მოსკოვის მოედნებზე ვნახეთ. მაგრამ მეტისმეტად „კოსტიუმირებულია“, სინამდვილეს არ ჰგავს და ჩამოუყალიბებელი ტვინები მის გამოჩენაზე რეაგირებას ვერ ასწრებენ.

საპასუხო წერილში მომწერა, რომ ახალ წლამდე კუნძულ ბალიზე მიემგზავრება და მაისამდე იქ იქნება; ჩამოდით, ეს კუნძული ნამდვილად ყველასია და იქ თავს ყველა ისე გრძნობს, როგორც სამოთხეშიო.

ინტერნეტში რა სისულელეს აღარ წააწყდები და 2010 წელი ერთგან ფოსოფორისებრი ლოკოკინის წელიწადად იყო მოხსენიებული. ბუნდოვნად მახსოვს, მანდელშტამს უწერია, რომ ლოკოკინა ადამიანის ევოლუციის რომელიღაც ეტაპის განსახიერებაა. პირველად იყო თვალი, – ამბობს მანდელშტამი; როცა წყლიდან პირველად ამოვიდა, ლოკოკინის მთელი სხეული, საცეცებიც – რითაც გარემოს აღიქვამს, თვალის ფუნქციას ასრულებდა. როცა სიტყვები გღლიან, თვალად ქცევა კარგი გამოსავალია.

მეეჭვება, რომ გაისად ბალიზე წავიდე. თუმცა ამ რუს „ფრიკში“, რომელიც ყველას და ყველაფერს აშარჟებს მე სილამაზის და სრულყოფილების აბსოლუტურ წყურვილს ვხედავ, რომელიც არც მის ქვეყანაშია და არც ჩემთან. ძალიან მომინდა, რომ გაისად სამოთხისებრი ბალის წელიწადი იყოს. რომელიც ყველასია და ისეთი ლამაზია, რომ ყველა „მრიცხველის“ მუშაობას აჩერებს და თვალებად გაქცევს.



GUAM

ცელულიტთან ბრძოლის პროგრამა

შემუშავებულია ცელულიტის წარმოშობისა და განვითარების მიზეზების განსაზღვრისათვის.
აღნიშნული სერიის კოსმეტიკური საშუალება შესაძლოა გამოყენებულ იქნას როგორც პროფილაქტიკის მიზნით, ასევე ცელულიტის წინააღმდეგ ბრძოლის ძლიერ საშუალებად.

ტანის მოვლა

აღნიშნული სერია წმენდს, ატენიანებს და კვებავს თქვენს კანს, უნარჩუნებს და ზრდის მის ტონუსს. ეხმარება კანს დაჭიმულობის გაქრობაში.

ორგანიზმის ზოგადი გაჯანსაღება

კომპლექსი სპეციალურად შემუშავებულია იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს სისხლის მიმოქცევის აქტივიზირებას, ქსოვილები გაამდიდროს ჟანგბადით. პრეპარატები გამოდევნის ტოქსინებსა და შლაკებს, ხელს უწყობს შეშუპების გაქრობასა და დაძაბულობის მოხსნას.

კანის ასაკობრივ ცვლილებებთან ბრძოლა

GUAM-ის პროდუქციაში წარმოდგენილია ისეთი პროდუქტები, რომლებიც ხელს უწყობენ კანის გაახალგაზრდავებას და გამაჭიმვას. აღმოფხვრიან კანისა და კუნთების მოდუნებას. სახის ანტიასაკობრივი კრემები კი ამცირებენ პიგმენტურ ლაქებს, თვალი ქვეშ მუქ წრეებსა და შეშუპებებს.

სახის მოვლა

GUAM-ის კოსმეტიკის დამზადებისას გამოიყენება მხოლოდ ნატურალური კომპონენტები. მაგალითად, ფიტოპლანქტონი ავლენს კანის ასაკობრივი ცვლილებების ძირითად მიზეზებს. მიკროუჯრედოვანი ხაზი ფიტოპლანქტონითა და ზღვის წყლით ხელს უწყობს კოლაგენის გამომუშავებას, რომელიც საჭიროა კანის მოქნილობისა და ელასტიურობისათვის და ასრულებს უჯრედებში ნივთიერებათა ცვლის პროცეისის აქტივიზატორის როლს

თმის მოვლა

ზღვის წყლის, ფიტოექსტრაქტების და ვიტამინების შენაერთი თმას აძლიერებს და ბზინვარებას ანიჭებს.
GUAM-ის თმის მოვლის საშუალებების უნიკალური მოქმედების წყალობით, თმები აქტიურად იკვებება ძირებიდან, ხოლო სისხლის მიკროცირკულაცია ძლიერდება.

GUAM-ის კოსმეტიკის შეძენა შეგიძლიათ **GPC**-ის სააფთიაქო ქსელსა და სილამაზის სალონებში.

Audrey

შ.პ.ს. „ოდრი“, GUAM-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში
საქართველო, თბილისი, კოსტავას ქ. 67/85; ტელ./ფაქსი: (995 32) 213096
E-mail: audrey@audrey.ge

ლიტერატურა მთავარ კერძად

(ლიტერატურულ-გასტრონომიული ფანტაზიები)

ავტორი: დიანა ანფიმიადი

პირველ რიგში, რაც ჩემს ყურადღებას იქცევს, უზარმაზარი, თეთრსუფრაგადაფარებული მაგიდაა, განსაკუთრებული ფაიფურისა და ბროლის ჭურჭლით, გაპრიალებული ვერცხლეულით გაწყობილი.

ერთი შეხედვითაც მიხვდებით, რომ განსაკუთრებულ სტუმრებს ელიან განსაკუთრებული მასპინძლები. დიახ, დიახ, ამ ლხინის შესახებ კიდევ დიდხანს ილაპარაკებენ, იკამათებენ, იმსჯელებენ – განიხილავენ მენიუსა და პროდუქტების ხარისხს, მზარეულთა ოსტატობასა და კერძების გემოსა და სურნელებას, ბოლოს სტუმრებისა და მასპინძლების ინტიმურ საქმეებსაც აუცილებლად მისწვდებიან, აბა, როგორ გგონიათ, ლიტერატურა სხვა კი არაფერი – გემრიელი კერძების გემრიელად მირთმევის უნარია, ზედ დაყოლებული ხან საინტერესო, ხან უინტერესო დიალოგებით.

მზადება დიდი ხნით ადრე დაიწყო: მზარეულებს წინასწარ დაურიგეს პატარ-პატარა ფურცლებზე დაწერილი ტექსტები, მაგალითად, ასეთი:

„ეს იდალგო ძალიან უბრალო ცხოვრებას ეწეოდა: ბევრჯერ სადილად ძროხის ხორცის ოლასა ჭამდა, ცხვრის ხორცს კი იშვიათად მიირთმევდა, თითქმის ყოველ ვახშმად ვინეგრეტს გეახლებოდათ, შაბათობით ქონიან ტაფამწვარს, პარასკევობით ოსპის შეჭამანდს, და კვირაობით კი, სხვა ჩვეულებრივ სანოვაგეს გარდა, მტრედის ტაბაკას“ (მიგელ დე სერვანტესი, „დონ კიხოტი“.

„სუფრის თავში მსუქანი, დაბრაწული ბატი იდო. ბოლოში, დანაოჭებული ქაღალდის საფენზე უზარმაზარი შაშხი, შაშხს კანი ათლილი ჰქონდა

TBILVINO

საახალწლო საჩუქარი

შეიძინეთ 3 ბოთლი თბილღვინო და მიიღეთ

1 ბოთლი საჩუქრად!

აქცია ძალაშია 2010 წლის 20 დეკემბრიდან 2011 წლის 20 იანვრამდე შემდეგ სუპერმარკეტებში

BIfess The most delicious supermarket ყველაზე გემრიელი სუპერმარკეტი

GOODWILL

ღვინის კუთხე WINE CORNER BENJAMIN

ჯ.მახარ

MIX

და ოხრახუშის ფოჩებითა და დაფშვნილი წიწაკით იყო მორთული. ძვალი ქათქათა ქაღალდით მოეარშიებინათ. შაშხის გვერდით შეზავებული ხორცის რულეტი იდო. სუფრის მოქიშპე თავსა და ბოლოს შორის პარალელურ ზოლებად ჩაემწკრივებინათ სხვადასხვა საჭმელები: წითელი და ყვითელი ჟელეს გუმბათები, ბლომანჟეს ნაჭრები და წითელი მურაბა, ჩამიჩის აცმებითა და გარჩეული ნუშით სავსე დიდი, მწვანე ფოთლისებური ლანგარი, ღეროს მოყვანილობის სახელურით. აქვე იდო დიდ სწორკუთხედებად დალაგებული სმირნული ლეღვის ჩირი და გახეხილ ჯავზმოყრილი კრემი...“ (ჯეიმს ჯოისი, „მკვდრები“)

„ძინხუა იჯდა წითელი სანდალის ხის სკამზე და ჩხირებით შეექცეოდა მაგიდაზე დახვავებულ ნაირ-ნაირ კერძებს. აქ იყო მერცხლის ბუდეები, ზვიგენის ფარფლები, მოშუშული კვერცხი, შებოლილი ჭანარი, შემწვარი ღორის ხორცი, ტრეპანგით მომზადებული უხა – ყველაფერს ვინ ჩამოთვლის“ (რიუნოსკე აკუტაგავა, „ნანკინელი ქრისტე“).

„ო-ჰო-ჰო, რა იყო, რა იყო! ძველ მოსკოველებს კარგად ახსოვთ სახელგანთქმული გრიბოედოვი, მოხარშული პორციული ფარგა რა სახსენებელია! ანგარიშში ჩასაგდები არც არის, ძვირფასო ამბროსი! გახსოვთ ცქვრინა, მოვერცხლილი ქვაბით მორთმეული ცქვრინა, ნაჭერი – ნაჭერი ცქვრინა, ზედაც კიბოს კისერი და ახალი ხიზილალა? კვერცხი – კოკოტი და ქამა სოკოს პიურე ფინჯნით? არ მოგწონდათ შაშვის ფილე თირკმელა სოკოთი, მწყერი გენუურად? ახლა ჯაზი, თავაზიანი მომსახურება“ (მიხეილ ბულგაკოვი „ოსტატი და მარგარიტა“).

„ღომი და სულგუნი, ჭყინტი ყველი და პრასშემოხვეული მჭადი, ღვინო ზედ... ქოთნის ლობიო, კარგად შეკმაზული, მწვადი, გენაცვალე, თევზი შემწვარი, თავისი მაშარაფით, უჰუჰუჰუჰუ! ნაქეიფევს კაი დილის არაყი, მუავე კიტრი და პომიდორი, გამხმარი ტარანა, ხაში ვიცოდით ქონიანი ისეთი, მსოფლიოს რუკას ჰგავდა – პაჰ – პაჰ, პაჰ – პაჰ!“ (გურამ დოჩანაშვილი;“ ჩვენი ბუჭუტა, ჩვენი ტერეზა“)

„ახლა იმაზე ვიმტვრევ თავს, სუფრაზე გემრიელი რა მივიტანო. პირველად, ალბათ, მელკერის რეცეპტით მომზადებული ქორჭილა, მერე სალაკა და სოკოს ომლეტი, შეიძლება მადის მომგვრელი პატარ-პატარა გუფთებიც მივართვა. ბოლოს კი ნაღების ტორტსა და ყავას შევექცევით“ (ასტრიდ ლინდგრენი, „ჩვენც სალტკროკელები ვართ“).

„ფქვილს თბილი მარილწყლით ზელდნენ. ცომი არც ძალიან ჩვილი უნდა გამოსულიყო, არც ძალიან მაგარი ზილვაში ტკაცა–ტკუცს რომ დაიწყებდა, მზად იყო. საფანელს მოაყრიდნენ და ხელით ჯვარს გადასწერდნენ, თან დააყოლებდნენ, „ღმერთო, შენ დასწერე ჯვარი, ბარაქა მიეციო!“ მერე გადააფარებდნენ სუფრას და ზოგჯერ, ზემოდან,

„ძინხუა იჯდა წითელი სანდალის ხის სკამზე და ჩხირებით შეექცეოდა მაგიდაზე დახვავებულ ნაირ-ნაირ კერძებს. აქ იყო მერცხლის ბუდეები, ზვიგენის ფარფლები, მოშუშული კვერცხი, შებოლილი ჭანარი, შემწვარი ღორის ხორცი, – ყველაფერს ვინ ჩამოთვლის“.

ტომრებსაც, რომ ცომი თბილად ყოფილიყო, არ „შესცივნოდა“. ცომის გაღვივებას, „შეცოლქმარებას“, ანუ წყლისა და ფქვილის ერთმანეთთან შეთვისებას ორი–სამი საათი მაინც უნდოდა. ხელს რომ დააჭერდნენ და მალევე ამოიბურცებოდა, თონე უნდა გაეხურებინათ“ (ნუგზარ შატაიძე, „პურის მოთხრობა“).

და კიდევ რამდენი ასეთი მსუყე და კარგად შეზავებული ტექსტი.

ეს ფურცლები მზარეულებს უზარმაზარი სამზარეულოს თეთრ კედლებზე აქვთ მიკრული, ხშირ-ხშირად ჩახედავენ, რაღაცებს აზუსტებენ, ზოგჯერ ერთმანეთს რჩევას ეკითხებიან ან მწიკვით ვანილს თუ ილს სთხოვენ.

ამ დღესასწაულისათვის საჭმელებს სწორედ ისინი ამზადებენ, უზარმაზარ ქვაბებში ათასი საოცრება დუღს და გადმოდუღს, წამდაუწუმ შემორბის ქათქათა ფორმაში გამოწყობილი სიმპათიური მიმტანი და მზარეულებისათვის ახალ–ახალი შეკვეთები მოაქვს:

– „ნუშის დესერტი ქალბატონი ბოვარისათვის!“

– „ბატონ ოდისევსს ტახის ხორცი სურს, ცეცხლზე შემწვარი!“

– „შემწვარი თირკმელები მისტერ ბლუმისათვის!“

– „ბუენდიების სუფრას ბანანის დესერტი დააკლდა!“

– „კუპატი და ძეხვი მიუტანეთ ჩვენს ფლამანდელ ოინბაზ სტუმარს, მერვე მაგიდაზე,“

– „ბატატის ფაფა ბატონი სამურაისათვის!“

– „ქართველების სუფრასთან ზურგიელი არ მიგვიტანია, იჩქარეთ, ბატონებო!“

– „ბავშვებს მაჭკატები და ფუნთუშები დაუმატეთ, ცხელი კაკაოც, თუ შეიძლება!“

და ისინიც ჭრიან, წვავენ, თუთქავენ, ბრაწავენ, ხრაკავენ, თუშავენ, ხარშავენ, ორთქლზე ამზადებენ, აცხობენ. სიტყვები აღარ არის საკმარისი მთელი ამ პროცესის აღსაწერად.

თუ ქურასთან ახლოს დგახართ, აუცილებლად მოჰკრავთ ყურს საინ-

FRANCK PROVOST PARIS

swiss line BY DERMALABE

~~33~~ ლარი
28 ლარი

ნორმალური თმის შამპუნი
ქერტლის საწინააღმდეგო შამპუნი
დამატენიანებელი შამპუნი
შეღებილი თმის შამპუნი
თმის მოცულობის შამპუნი

~~44~~ ლარი 37 ლარი | ~~44~~ ლარი 37 ლარი | ~~47~~ ლარი 40 ლარი

თმის დამატენიანებელი და მოცულობის მიმცემი შრატი

თმის მკვებავი ორფაზიანი შრატი

სიყვითლის საწინააღმდეგო შრატი ღია მელირებული და ჭაღარა თმისთვის

~~279~~ ლარი
237 ლარი
Swiss Line-ის გამწმენდი გლიკოლის პილინგი

~~49~~ ლარი
42 ლარი

თმის ნიღაბი-პიგმენტი. კვებავს და არბილებს შეღებილ თმას, ახალისებს და ინარჩუნებს ფერს.

~~40~~ ლარი
34 ლარი
ძლიერი ფიქსაციის ცვილი

~~354~~ ლარი
301 ლარი
Swiss Line-ის უჯრედული აღმდგენი კომპლექსი Age Intelligence

მისამართი: პეკინის გამზირი 28, ტელ : +995 32 38 60 68, +995 32 38 60 58
E-mail: franckprovost@franckprovost.ge, www.franckprovost.com

ტერესოზე საინტერესო დიალოგს, როგორ ასწავლის „სამი მუშკეტერის“ და „გრაფი მონტე კრისტოს“ ავტორი ფრანგული ლოკოკინების მომზადებას მსუყე გერმანული კერძების მოყვარულ გერმანელ მწერალს.

აი, ლოკოკინების მომზადების ერთ-ერთი რეცეპტი დიუმას „დიდი კულინარიული ენციკლოპედიიდან“:

„ლოკოკინების კერძი ბურგუნდიულად:

ლოკოკინების ჯაგრისით გულდაგულ გასუფთავების შემდეგ, ჩაყარეთ ისინი კარაქში, ისე, რომ არ აცალოთ დაწითლება, დაამატეთ ერთი კოვზი ფქვილი, დანამეთ თეთრი ბორდოთი და ბულიონით, დაამატეთ მარილი, წიწაკა, დაფქვილი მუსკატი, დაფნა, ბაზილიკი, ნიორი, მიხაკი და მოამზადეთ მანამ, სანამ ლოკოკინები არ დარბილდება. ლოკოკინებს მოაშორეთ ზედმეტი ცხიმი და გადაიღეთ სხვა ქვაბში, დაუმატეთ წინასწარ მოხარშული შამპინიონების რამდენიმე ნაჭერი, სამი ათქვეფილი კვერცხი, დაქუცმაცებული კარაქი, წვრილად დაჭრილი ოხრახუში, ხახვი და ლიმონის წვენი“.

გერმანელი ცხვირს იჭმუხნის და, სამაგიეროდ, თევზის მომზადების საკუთარი რეცეპტით უმასპინძლდება:

„თევზი, გენაცვალე, მოზრდილ ნაჭრებად დაჭერით. ზედ ხახვი, მიხაკი და დაფშვნილი ორცხობილა მოაყარეთ, ქვაბში ჩააწყვეთ და ცოტა შაქარი მოაფრქვიეთ, ერთი კოვზი კარაქიც ჩაუმატეთ და ცეცხლზე შემოდგით... ოღონდ თუ ღმერთი გწამთ, თევზი არ გარეცხოთ, მთელი სისხლი უნდა შეჰყვეს...“ (თომას მანი, ბუდენბროკები“.)

აქ საუბარში ბრაზილიელი რომანისტი ერთვება, კულინარიულ ამბებში ჭკუა და გამოცდილება თუ ვინმეს მოეკითხება, ერთ-ერთი უდავოდ ის არის, გაინტერესებთ, როგორ უნდა მოამზადოთ შემწვარი კუ? აი, ასე:

„კუს გამოშიგნავენ, ხორცს აქნიან და ნაწლავებს გადაყრიან. შემდეგ კარგად გარეცხილ ხორცსა და შიგნეულს მარილით, ლიმონით, ნივრით, ხახვით, პომიდვრით და წიწაკით შეანელებენ, ზეითუნის ზეთს მოასხამენ და დადგამენ ზომიერ ცეცხლზე. უნდა იხრაკებოდეს მანამდე, სანამ ხორცი კარგად დაიბრაწება და თავისებურ არომატს გამოსცემს. სუფრაზე ამ კერძთან ერთად უნდა მიიტანოთ სამეფო კარტოფილი და ქინძი“ (ჟორჟი ამადუ, „დონა ფლორი და მისი ორი ქმარი“).

აქ საუბარში ბრაზილიელი რომანისტი ერთვება, კულინარიულ ამბებში ჭკუა და გამოცდილება თუ ვინმეს მოეკითხება, ერთ-ერთი უდავოდ ის არის, გაინტერესებთ, როგორ უნდა მოამზადოთ შემწვარი კუ?

სერბი მწერალი თავისთვის, ჩუმად საქმიანობს, ძალიან ფაქიზ და რთულ კერძს ამზადებს, ზედმეტი სიტყვები ხელს უშლის და ახლოს არავის იკარებს.:

„აიღეთ ერთი დიდი ხამანწკა, იმხელა, რომ ზომით გაუთქვეფავად შემწვარი კვერცხის გულს არ ჩამოუვარდებოდეს. მოხარშეთ იგი მდუღარე წითელ ღვინოში, რომელშიც წინასწარ ჩაყრილია ერთი ცალი ნაჭუჭიანი კაკალი, ლიმონი და ერთი კოვზი ნაცარი.

ცალკე ჭურჭელში აადუღეთ წყალი და შიგ ჩაამატეთ ცოტაოდენი ზღვის მარილი, ჩაის ფოთოლი და მწვანე ფორთოხლის ლებანი. ტილოს ხელსახოცში გახვეული სოკო ცოტა ხანს ორთქლზე გააჩერეთ, ოღონდ ყურადღება მიაქციეთ, რომ არ დასველდეს.

ხამანწკა ჩააგდეთ ძალიან ცხელ ზეითუნის ზეთში, ოდნავ დაბრაწეთ და სოკოსთან ერთად დადეთ ქაღალდის დიდ მარაოზე, რათა ზეთი შეინოვოს. ზემოდან გააწყვეთ ბანანებით“ (მილორად პავიჩი, „საწერი მოწყობილობების ყუთი“).

საერთოდ არ ეკარება ქურას გენიალური ბრმა არგენტინელი, იგი ნაცრიდან ვარდის აღმოცენების სულ სხვა, საკუთარ მეთოდს ფლობს.

დიდი ამბები ტრიალებს მთავარ დარბაზში, სადაც ლხინი თანდათან ეშხში შედის და უფრო და უფრო ხურდება, თეფშზე ძვლების გროვას ვეღარ ატევენ გარგანტუა და ლუარსაბ თათქარიძე, ნაზად იკიკნებიან მადამ ბოვარი და ანა კარენინა, პურის პუდინგს მიირთმევენ ტომ სოიერი და დევიდ კოპერფილდი, პირს არაფერს აკარებს და მხოლოდ სასმელს ეძალება კვენტინ კომპსონი, არც თავადი მიშკინი და ბატონი ნაგელი გამოირჩევიან განსაკუთრებული მადით, ცირცეს მომზადებულ ამბროზიას მიირთმევენ ოდისევსი და ენეასი, ესპანურ კერძებს შეექცევა ამერიკელი ჯარისკაცი, ერთმანეთს ცხელ კერძებს სთავაზობენ გულივერი და რობინზონ კრუზო, ხინკლის ფილოსოფიაზე მსჯელობს მესამე ძმა კეჟერაძე და ლობიოს დაუჯდომელს ღაღადებს ჭამპურა, ალუდა კი თვალმოუცილებლად ჩაჰყურებს თავის თეფშს და ისევ ის, სიზმრისეული კერძი ელანდება.

დიდ სამზარეულოში გენიალური შეფ-მზარეულები საქმიანობენ, საჭელებლები სიტყვებისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც წყალი შოკოლადისთვის.

ხოდა, კარგ მადას გისურვებთ!

ახალი Pampers Premium Care რიგოლოფცეფრი შიგთავსით DryMax, ფოლგრა მშრალი და. ამავე დროს, 20%-ით თხელია. ეს ჩვენი ყველაზე მშრალი და თხელი ტანსაცმია. ანა რომ ვერავინ ვერფერს ვერ ბრალობს. ნიან ბოსიფავრფოლ შეხებინ ტრფოლოთეილ შეგრძნებას.

Pampers Premium Care

რეზო გაბრიაძე

სულ სხვა კოშკი და ისევ ის თეატრი

ვიდრე რეზო გაბრიაძის შეყვარებული „ლოკომოტივები“ მაყურებელს შეხვდებიან

ავტორი: დავით ბუხრიკიძე
ფოტო: გურამ წიბახაშვილი

ყველა სნეულებზე, სიყვარული ძნელია...

გახსოვთ ასეთი პერსონაჟი - ჩიტო, რეზო გაბრიაძის მოთხრობიდან „ექიმი და ავადმყოფი“? ადამიანი-მანქანა, რომელიც ოდესღაც ჩრდილოეთის ფლოტში მსახურობდა და მერე შრომის, ბედისწერისა თუ მარიფათის გამო დაუფლებულ „პაბედას“ ცოცხალი ადამიანივით ელაპარაკებოდა. მდიდარი საბჭოთა ბიოგრაფიითა და სახელმწიფო ნომრით гк 49-54, უკვე ლეგენდად ქცეულ ამ ჟანგმოკიდებულ ავტომობილში, რომლის ისტორია, ავტორის აზრით, ზოგიერთი ადამიანის ბიოგრაფიაზე უფრო საინტერესოა, რადიო განუწყვეტლივ გადმოსცემს მუსიკას მსმენელის თხოვნით. ერთხელაც, შოსტაკოვიჩის სიმფონიის მოსმენისას („გულობიზა“, როგორც გაბრიაძე წერს) მგრძნობიარე ჩიტოს მრავალჯერ დალეწილი „პაბედით” კინაღამ მოქალაქე კუპრავა შემოაკვდება.

რაღაც ამდაგვარი დამემართა ნოემბრის ერთ მშვიდ და თბილ დღეს, როცა მარიონეტების განახლებული თეატრისა და უკვე გაბრიაძის ახალი სიმბოლოს – „დახრილი კოშკის“ „გულობიზა“, ღამის ერთი პატიოსანი და ხანდაზმული მოქალაქე „ვიმსხვერპლე“. იმ დღეს, ზუსტად დღის თორმეტ საათზე, ახალგახსნილი კოშკის თავზე, ოქროსფრთიანი ანგელოზი უნდა გამოჩენილიყო, რომელიც ზარს ფაქიზად შემოჰკრავდა და სამყაროს

ფოტო: მარიამ ქორიაშვილი

უკვე მოქანდაკე რეზო გაბრიაძის ფანტაზიით შექმნილი ახალი, „არტისტული დროის“ დაწყებას ამცნობდა.

რადგან ღირსშესანიშნავ მოვლენას ქვეყნის პრეზიდენტიც ესწრებოდა, ანჩისხატისა და შავთელის ქუჩის მიმდებარე პატარა ქუჩებიც დაცვას გადაკეტილი ჰქონდა. შესაბამისად, ყველა მიპატიჟებულ სტუმარს თუ ცნობისმოყვარე ადამიანს საგანგებოდ ჩხრეკდნენ. უკვე გაჩხრეკილი და დაგვიანების გამო ოდნავ გავეშებულიც, ისეთი ძალით მოვრბოდი, რომ ქუჩის მოსახვევში მოულოდნელად მოხუცს დავეჯახე და წავაქციე... საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა არც ჩიტოს „პობედა“ გამხსენებია და არც მოქალაქე კუპრავა.

ახლად გახსნილი კოშკის თავზე 12 საათზე გამოჩენილ ანგელოზს ვეღარ მივუსწარი. მხოლოდ შორიდან მომესმა უცნაური, მუსიკალური ზარდახშის მსგავსი საამო იმერული მოტივი: „ყველა სნეულებაზე, სიყვარული ძნელია“... და თვალი მოვკარი როგორ გაუჩინარდნენ მუსიკის რიტმში მოსრიალე გაბრიაძის ახალი მარიონეტები კოშკის შიგნით, კოხტა და ფერადი კარის მიღმა. ეს პატარა წარმოდგენა შუადღის ზღაპარს ჰგავს. ის ყოველ დღე ზუსტად თორმეტ საათზე იწყება და დღის განმავლობაში მეორდება.

შავთელის ქუჩაზე, სადაც მარიონეტების თეატრი და „დახრილი კოშკი“ მეზობლობენ, თვალში საცემია საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა თუ უმცროსკლასელთა ექსკურსიები. ნავარჯიშევი საფორტეპიანო ეტიუდივით გესმით თინეიჯერი გოგონების ფრაზაც: „აუ, ჩქარა რა, დავაგვიანებთ, ანგელოზი გამოვა...“ ტურისტები ფოტოაპარატებს აჩხაკუნებენ, „ნარინჯისფერი“ მეეზოვე ჩქარობს, შავთელის ქუჩა ზუსტად 12-ზე დაგავოს.

გაბრიაძის დახრილ კოშკთან უკვე ნოემბრიდან ლამის საექსკურსიოესთეტიკური გაკვეთილები ტარდება. თუმცა ყველამ იცის, რომ ის არც პიზის მოხდენილი კოშკის კონკურენციისთვის აშენებულა და არც პრაღის გიგანტურ გოთიკურ მასშტაბს შეედრება. ის, უბრალოდ, ძველი თბილისის ძველი აივანივით დახრილია და მისივე დრამატული, მაგრამ დახვეწილი ბიოგრაფიით აღბეჭდილი.

კოშკი, როგორც თეატრის მეტაფორა

კოშკი, რომელსაც არტისტული (და არა მხოლოდ) საზოგადოება კარგა ხნის განმავლობაში ელოდა, გაბრიაძის სპექტაკლების გაგრძელებას ჰგავს. რაღაცით ის ავტორის შემოქმედებით გზას, მის ფილოსოფიას, აზროვნების სტილს, სიკვდილ-სიცოცხლის მუდმივი მონაცვლეობის მეტაფორას იმეორებს. ავტორისათვის დამახასიათებელი ზღაპრულ-იგავური ხატებით და რბილი ირონიით. კოშკის „სიუჟეტი“ ერთი შეხედვით უბრალო, თითქმის შეუმჩნეველი იუმორით გაჯერებულ დეტალებშია გაბნეული. განსაკუთრებულ განწყობას ქმნიან გამომწვარი, მომწვანო თუ ზურმუხტისფერი მოზაიკურ-კერამიკული ფილები; მასზე ამოტვიფრული ადამიანების, მცენარეებისა და ცხოველების პატარა, გულისამაჩუყებელი ფიგურებით. უცნაურად პოეტურია დაქანებულ კოშკზე დამაგრებული რომაულ ციფერბლატიანი საათის „გაფუჭებული“ ისრებიც; ან ცხაური კოშკის „სარდაფის“ ფანჯარაზე.

თუ კარგად დააკვირდებით, შეამჩნევთ სადღაც შემომდგარ ფერად კერამიკულ ქოთნებს და აუცილებლად გაგეცინებათ გვერდიდან შეყენებული რელსის დანახვაზე, რომელიც დახრილ კოშკს „ამაგრებს“. კოშკის კენწეროზე ნატვრის ხეა, რომლის გვერდით ბროწეულის პატარა ბუჩქებია. ფანჯრიდან მოულოდნელად ამოჩრილ პატარა, საკვამურ მილსაც დაინახავთ, რომელიც უფრო ზღაპრულ და ინტიმურ ატმოსფეროს ანიჭებს კოშკს. იგი ძველი თბილისის უსწორმასწორო ქუჩების მეტაფორადაც აღიქმება და გაბრიაძის ფანტაზიით შექმნილ, ოდნავ სიურრეალისტურ-თეატრალურ ზღაპარსაც მოგაგონებთ.

დახრილი კოშკის ავტორი გადაღლილი და ოდნავ დეპრესიული გვეჩვენება. თვალზე გადატანილი რამდენიმე ურთულესი ოპერაციის შემდეგ, თითქოს ჩაკეტილი და სიტყვაძუნწი გახდა. ცხადია, მშენებლობამ დიდი დრო და ენერგია წაართვა – დაახლოებით ოთხი წელი დასჭირდა დახრილი კოშკის მშენებლობასა და განახლებული მარიონეტების თეატრის რეკონსტრუქციას. სამშენებლო მასალად, ძირითადად, დანგრეული სახლების ძველ აგურსა და, ნაწილობრივ, ქვასაც იყენებდა.

კოშკის გახსნაზე შემოსეულ, დაინტერესებულ ჟურნალისტთა ინტერესი გაბრიაძემ მხოლოდ ნაწილობრივ დააკმაყოფილა: „კარგი იქნება, ყველა ქალაქს რომ თავისი სილუეტი ჰქონდეს, რომელზეც გამოყვანილი იქნება ლოგო. მთელი ევროპა ასეა... რაც შეეხება კოშკს, ძველი ტექნოლოგიით არის ნაშენი. უმთავრესად კირს, სილას და ძველ აგურს ვხმარობდით. ამ კოშკზე იმდენი რამ შემიძლია გითხრათ, რამდენიც არაფერი. კარგია, რომ ჩვენი თეატრი აღდგა და სპექტაკლების ჩვენებას გააგრძელე-

თუ კარგად დააკვირდებით, შეამჩნევთ სადღაც შემომდგარ ფერად კერამიკულ ქოთნებს და აუცილებლად გაგეცინებათ გვერდიდან შეყენებული რელსის დანახვაზე, რომელიც დახრილ კოშკს „ამაგრებს“.

„გაბრიაძე აღწევს გორდონ კრეგის იდეალს, როცა მარიონეტი

და მსახიობი, რეალობა და გამონაგონი ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთის ტოლფასია.

თეატრში ასეთი რამ იშვიათია და ეს ნამდვილი ტრანსცედენტული რეალიზმია“.

ბს. იმედი მაქვს, მაყურებლით ისევ გაივსება დარბაზი და ისევ გიხილავთ ჩვენს პატარა თეატრში“.

ყოველგვარი მცდელობის მიუხედავად, რეზო გაბრიაძე ინტერვიუზე მაინც ვერ დავითანხმეთ. ამიტომ ათასჯერ მოსმენილი თუ ნანახი სპექტაკლებით, ფილმებით და წაკითხული წიგნებით ან საინტერესო ადამიანების კომენტარებით შემოვიფარგლებით. თუმცა ზოგჯერ საკუთარ ფანტაზიასაც უნდა დავეყრდნოთ. როგორც ჰაინრიხ ბიოლის რომანში „ჯგუფური პორტრეტი ქალბატონით“, სადაც მთავარი გმირის შესახებ მხოლოდ სხვები ლაპარაკობენ, ავტორი კი კომენტარებით და ვარაუდებით შემოიფარგლება.

„ჯგუფური“ პორტრეტი, ანუ გაბრიაძე გარედან

როგორია შორიდან და ახლოდან (ანუ შინიდან და გარედან) დანახული გაბრიაძის „ჯგუფური“ პორტრეტი? სად გადის ზღვარი ხელოვანის სამყაროსა და შემფასებელთა თუ მაყურებელთა კრიტერიუმებს შორის? რა უხილავი თუ ხილული მიზეზები განსაზღვრავს მის პოპულარობას; იმას, რომ ამდენმა განსხვავებულმა ხელოვანმა, მაყურებელმა თუ მკითხველმა რეზო გაბრიაძის შემოქმედებაზე ასეთი განსხვავებული შეფასებები გამოთქვას?

მისი მეგობარი და ცნობილი მწერალი, ანდრეი ბიტოვი ამბობს, რომ „რეზო გაბრიაძე რენესანსული ტიპის ადამიანია, რომელშიც ღმერთმა ხელოვნება, ფილოსოფია და აზროვნება გრძნობათა დახვეწილი ბუნებით შეაერთა“.

კინორეჟისორი ირაკლი კვირიკაძე (მისი შემოქმედება სწორედ გაბრიაძის სცენარის მიხედვით გადაღებული „ქვევრით“ დაიწყო) გაბრიაძეს „მდიდარი, ულევი ფანტაზიის საბადოს მფლობელსა და პატარა ფორმების დიდ ხელოვანს“ უწოდებს.

მსახიობი კახი კავსაძე პარადოქსულ აზრს იშველიებს: „როცა მის საოცარ სცენარებს კითხულობ, რეჟისორიც რომ არ იყო, დადგმა ან გადაღება მოგინდება, ხოლო მსახიობისათვის მისი პერსონაჟების თამაში საოცნებოა“.

რეზო გაბრიაძის მეგობრის, მწერლისა და ფოტოგრაფის, იური როსტის აზრით, „მიუხედავად იმისა, რომ ახლა ძალიან ხშირად ხმარობენ სიტყვა „გენიოსს“ და შესაბამისად, მომრავლდნენ გენიოსები, მათ შორის გაბრიაძე მაინც ნიჭიერი გენიოსია.“

პიანისტი და მისი სპექტაკლების მუსიკალური გამფორმებელი, ნანა ავალიშვილი გვეუბნება: „რეზო გაბრიაძეს ისეთი ფანტაზია აქვს, რომ ნებისმიერი ნივთის, მცენარის ან ცხოველის შესახებ ისტორია იგავად შეუძლია აქციოს, ან სრულიად ჩვეულებრივი ამბავი – ტრაგიკომიკულ პიესად“.

თეატრმცოდნე მარინა დმიტრიევსკაია, რომელმაც რეზო გაბრიაძის შემოქმედებას ვრცელი წიგნი უძღვნა, მიიჩნევს, რომ „გაბრიაძემ დასაბამი დაუდო ვიზუალურ პოეზიას, კოსმიური განცდების თოჯინების ხატებსა და მრავალგანზომილებიან, უნივერსალურ თეატრს“.

ცნობილმა რუსმა მსახიობმა ლია ახეჯაკოვამ, რომელიც მხოლოდ ჭიანჭველას ახმოვანებდა რეზო გაბრიაძის ერთ-ერთ საუკეთესო მარიონეტულ სპექტაკლში „სტალინგარდის ბრძოლა“, თქვა, რომ ამ „როლმა“ მისი შემოქმედება და ცხოვრებაც კი შეცვალა.

კრიტიკოსი და ლიტერატორი მალხაზ ხარბედია მახვილგონივრულად აღწერს „გაბრიაძის „საშობაო მოთხრობას“: „ის სავსეა პარადოქსული პოეტური გაელვებებით და ამგვარი ქროლვა მანამ გაგრძელდება, ვიდრე წიგნის ბოლოს მოკრძალებული საშობაო სუფრა არ გაიშლება... და გამთენიისას ზარების ხმით განწმენდილი და განათლული ჰაერი არ წამოუბერავს მკითხველისაკენ“.

და ბოლოს, სახელოვანი რეჟისორის, პიტერ ბრუკის შეფასება, რომელიც რეზო გაბრიაძეს უდიდეს ხელოვანს უწოდებს: „დიდი გამოცდილება და ცოდნა ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, საშუალებას აძლევს გაბრიაძეს მიაღწიოს გორდონ კრეგის იდეალს, როცა მარიონეტი და მსახიობი, რეალობა და გამონაგონი ერთმანეთს ავსებს, ერთმანეთის ტოლფასია. თეატრში ასეთი რამ იშვიათია და ეს ნამდვილი ტრანსცედენტული რეალიზმია“.

თავისუფლების ფანტომი

თავად გაბრიაძე ამგვარი ჭრელი „ჰიმნოგრაფიის“ მოსმენისას უხერხულ მდგომარეობაში ვარდება და ირონიით ამბობს, რომ ბავშვობიდან მოყოლებული, ტარზანის თავისუფლების შურდა: „თავისუფლება შემოქმედებაშიც და ცხოვრებაშიც განსაცვიფრებლად ძნელად მისაღწევი რამეა. თავისუფლებაზე როცა მეკითხებიან, ხშირად ტარზანი მახსენდება და ვცდილობ, გავერკვე რატომ მოახდინა ლამის ჰაერში მოსიარულე კაცმა ჩვენზე დიდი გავლენა, რატომ დაგვიპყრო ყველანი? პირველ რიგში იმიტომ, რომ მაშინ ჩვენს ირგვლივ არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ჩაცმის მანერით, სიარულით, საერთოდ ცხოვრების სტილით, ავეჯს უფრო მოგაგონებდნენ. და მოულოდნელად ეკრანზე ვნახეთ ჯონი ვაისმიულერის ტარზანი... მფრინავი, თავისუფალი კაცი. ვინ გაბედავდა სტალინის დროს ხიდან ხეზე ეხტუნა და თავისუფლებისგან ეყვირა? ეს გამორიცხული იყო“.

>>> გაგრძელება გვ. 102

სპეცპროექტი

წლის ადამიანები

ავტორი: ნათია გულიაშვილი
ფოტო: ლევან ხერხეულიძე

საქართველოში მემარჯვენეობა და მემარცხენეობა, უბრალოდ, არ ფუნქციონირებს, თუმცა ამ თემებზე დისკუსიები და პოლემიკა უწყვეტია და აქტუალური. საინტერესოა, სინამდვილეში რა ფუნქციონირებს? ბოლო წლებმა და არა მარტო ბოლო წლებმა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ბოლო ორმა საუკუნემ საქართველოში გვაჩვენა, რომ „აქ და ამჟამად“ ყველაზე ფუნქციური და ქმედითი ადამიანური უნარი, რომელიც პოლიტიკურად, სოციალურად და, სხვათა შორის, ეკონომიკურადაც ფასდება, კონფორმიზმია. კონფორმიზმი ყველგან და ყველაფერში. ტოტალური კონფორმიზმი. საქართველოში მისი ფეხის ხმა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ისმის, ამ ხმას მრავალმა აუწყო ნაბიჯი უნისონში. ერთი შეხედვით, თითქოს გასაგებიცაა, რომ ადამიანებს ჩვენს ეპოქაში უკიდურესად უჭირთ მარტო დარჩენა. ჩვენთვის ბევრად იოლია, კორპორატიული, რელიგიური, სახელისუფლებო და პარტიული კონიუნქტურის დათბილულ ფრთებქვეშ ყოფნა. როდესაც რომელიმე სოციალური ჯგუფი გიცავს, როცა რომელიმე გაერთიანებას ანდობ საკუთარ თავს, ჩნდება ილუზია, რომ უფრო დაცული ხარ. 1989 წლის მონაცემებით, საქართველოში 400 000 ათასზე მეტი წევრი ჰყავდა კომუნისტურ პარტიას, ეს კი იმ პირობებში, როდესაც პარტიაში გაწევრიანება ყველა მსურველს როდი შეეძლო, კომუნისტური პარტია აქტივისტობასა და მნიშვნელოვან ძალისხმევას ითხოვდა კანდიდატებისგან. ზემოთ ხსენებულსაც თუ გავითვალისწინებთ, მაშინდელი მონაცემებით, 5 000 000-იან ქვეყანაში 400 000 პარტიული, დამეთანხმებით, შთამბეჭდავი ციფრია. ხსენებული რეალობა სულ რაღაც 20 წლის წინანდელია და როდესაც ჩვენი საზოგადოების სამოქალაქო პასუხისმგებლობების სიმწირეზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, თუ როგორი იყო ჩვენი უახლესი წარსული. მართლაც ბევრი რამ შეიცვალა ამ 20 წლის განმავლობაში, თავბრუდამხვევად ბევრი, მაგრამ ის, რაც მარადიულია, ის, რაც უნუგეშოდ გამძლე და წარუვალი აღმოჩნდა ხსენებული ისტორიის სახეცვლილებებში, ეს ისევ და ისევ უკვდავი კონფორმიზმია, იგი ყველაფერს მოერგო, ყოველგვარ პოლიტიკურ კლიმატს, საბჭოთა გარდაქმნისა და «გლასნოსტის» დისკურსიდან მოყოლებული, თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული ლექსიკოგრაფიით აღჭურვილი და მოჭიკჭიკე ინტელექტუალების ჩათვლით. მან უამრავჯერ იცვალა სახე, გამოიარა „მხედრიონი“, მოქალაქეთა კავშირი, ნაციონალური მოძრაობა, და რაც მთავარია – მას წინ კიდევ ბევრი აქვს. კონფორმიზმი, როგორც უკვე ჩამოყალიბებული ნაციონალური უნარი და ხასიათი, ნაკლებად გვაკვირვებს. მისი საყოველთაოობისა და პანდემიურობის ფონზე, გასაკვირი სწორედ ისაა, რომ მიუხედავად საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი პასიურობისა, არიან ადამიანები, რომელთა ნაკრებიც არ არის ლეგიონი, მაგრამ ისინი ყოველგვარი კონიუნქტურისა და ინდოქტრინაციის გარეშე ახერხებენ, სოციალურ სივრცეში შინაგანი თავისუფლების, ინდივიდუალობისა და პროფესიული განვითარების ჰარმონიზაციას. ადამიანები, რომელნიც თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ სამყაროს, ყოველგვარი ფობიებისა და შიშების გარეშე, მიუხედავად იმისა, თუ რა სტიგმის ქვეშ მოაქცევს მათ თანამედროვე კონიუნქტურა. აი, ეს ხედვა და სულისკვეთება ედო საფუძვლად ჩვენს სურვილს, გაგვეხსენებინა გასული წელი და წარმოგვედგინა ჩვენი მკითხველისთვის წლის ადამიანები.

რატი ამაღლობელი

სიმონ ჯანაშია
კვალიფიციური კრიტიკისთვის

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დამაარსებელი და ყოფილი ხელმძღვანელი წლის განმავლობაში ბეჭდურ თუ ონლაინ გამოცემებში არაერთი კრიტიკული წერილით გამოეხმაურა განათლების რეფორმის საკითხებს. ხმაურიანი მანდატურის ინსტიტუტი, წიგნების გრიფირება, მეთორმეტეკლასელთა საატესტატო გამოცდები და, ზოგადად, სკოლაში ბავშვის აღზრდის მეთოდები ხშირად ხდებოდა მისი მსჯელობის საგანი. საკითხის შეფასებისას კი წარმატებით მიმართავდა როგორც განათლების სფეროში საერთაშორისო გამოცდილებიდან მოტანილ ფაქტებს, ისე – მხატვრულ ლიტერატურას თუ შედარებებს. განათლების საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტებისთვის კი, მისი კომპეტენციის გამო, თითქმის უცვლელ რესპონდენტად იქცა.

საბა და ბექა ცერცვაძეები
სამართლიანი პროტესტისთვის

173–ე სკოლის მოსწავლეები, ძმები საბა და ბექა ცერცვაძეები ერთ–ერთი პირველები იყვნენ, ვინც სკოლაში განათლების მინისტრის ვიზიტისას უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატეს. ძმები მედიასთან ინტერვიუში ამბობდნენ, რომ მათ სკოლაში დირექტორად ყოფილი მანდატურის დანიშვნის შემდეგ, მოულოდნელად დაიწყო მასწავლებლების გათავისუფლების პროცესი, რის გამოც სკოლაში წასვლა აღარ უხაროდათ. ხოლო მინისტრის განცხადებას, რომ სკოლის თანამშრომლები ბუფეტის მოუწესრიგებლობის და გათბობის ჩაურთველობის გამო გათავისუფლდნენ, უსაფუძვლო ბრალდება უწოდეს.

შოთა გაგარინი ალექს ჩიღვინაძე (ირაკლი კაკაბაძე)

სამოქალაქო აქტივიზმისთვის

14 აგვისტოს სამმა პოეტმა, ბუშის ქუჩის სახელწოდება გაპროტესტა და ქუჩისთვის ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის სახელის დარქმევა მოითხოვა. აქციის მონაწილეები უიტმენის და სხვა პოეტების ლექსების კითხვისას პოლიციამ დააკავა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, თითოეულს „პოლიციისათვის ბოროტი წინააღმდეგობის გაწევის“ მუხლით, 400-ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმის გადახდა დაეკისრა. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა რამდენიმე ვიდეოჩანაწერი, რომელიც აქციაზე პოლიციისადმი წინააღმდეგობას არ ადასტურებდა, მოსამართლემ მტკიცებულების ნახვა არ ისურვა. მწერალთა მსოფლიო გაერთიანება „საერთაშორისო პენ-კლუბის“ სახელით საქართველოს პრეზიდენტმა და გენერალურმა პროკურორმა ამ ფაქტთან დაკავშირებით საპროტესტო წერილებიც მიიღეს.

დათო გოგიშვილი

სამოქალაქო პოზიციისთვის

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორიის ახალგაზრდა წევრი და ურბანისტი სოციალური ქსელებში ბლოგების საშუალებით წლის განმავლობაში აქტიურად ცდილობდა საზოგადოების ყურადღება ქალაქის ურბანულ ცხოვრებაში მიმდინარე რამდენიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე მიეპყრო. მათ შორის, გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის შემაერთებელი მაგისტრალის მშენებლობაზე, რითაც მზიურის პარკს ეკოლოგიური საფრთხე შეექმნა. როგორც საბჭოთა წარსულის მკვლევარი, არ ეთანხმება ახალ კანონ-პროექტს საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის შესახებ. ამ თემაზე, ჟურნალ „ლიბერალში“ ის ოპონირებას უწევდა პარლამენტარ გია თორთლაძეს და ამბობდა, რომ დესოვიეტიზაციის ყველაზე ეფექტური გზა განათლებაა და არა სიმბოლიკის თავიდან მოცილება: „თუ მიზნად დავისახავთ, გავთავისუფლდეთ იმ მატერიალური ნარჩენებისაგან, რომელიც საბჭოთა სისტემამ დაგვიტოვა, გამოვა, რომ თბილისის განაშენებული ტერიტორიის ნახევარი მაინც მიწასთან არის გასასწორებელი“.



კოტე ჯანდიერი
ხარისხიანი ლიტერატურისთვის

მწერალი საზოგადოებას ლიტერატურულ პერიოდიკაში ხშირი გამოჩენით და, მით უმეტეს, წიგნებით არ ანებივრებს. სწორედ ამიტომ, პროზის მოყვარულებისთვის განსაკუთრებით ძვირფასია თითოეული მოთხრობა, რომელსაც მან „კონკიას ღამეში“ მოუყარა თავი – პოსტმოდერნული „მაყვლოვანი“, „საოჯახო ქრონიკა“ ეპისტოლარული პროზიდან, „დაპატიჟება კინოში“ და, რა თქმა უნდა, „გლობალიზაცია“, მოთხრობა, რომელიც 2005 წელს მაშინ ჯერ კიდევ გამომავალ „არილში“ დაიბეჭდა და მკითხველს განსაკუთრებით კარგად დაანახა ჯანდიერის შემოქმედებითი სიმწიფე. „კონკიას ღამე“ ლიტერატურულ კონკურს „საბას“ წლევანდელ დაჯილდოებაზეც გამორჩეული სიტყვა აღმოჩნდა და წლის საუკეთესო პროზაული კრებულის ტიტულიც დამსახურებულად მიიღო.

მაია გიორგაძე
პროფესიული სიმამაცისთვის

149–ე სკოლის დირექტორი მაია გიორგაძე ერთადერთი აღმოჩნდა მეთორმეტეკლასელთა საპროტესტო აქციის გამო განათლების სამინისტროში 9 ნოემბრის ღამეს დაბარებული 8 დირექტორიდან, რომელმაც გათავისუფლების შესახებ განცხადებას ხელი არ მოაწერა. გიორგაძის მეუღლემ, ასევე ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა სამინისტროდან მუქარაც მიიღო, რომ მეუღლე გადადგომაში დაერწმუნებინა. მეორე დღეს კი, სამინისტროს გენერალური ინსპექცია 149–ე სკოლაში „ეკონომიკური გადაცდენებისა და დარღვევების“ შესამოწმებლად შევიდა, თუმცა სკოლის სამეურვეო საბჭომ წარმოდგენილი მასალები საკმარისად დასაბუთებულად არ მიიჩნია და მინისტრის მოთხოვნა დირექტორის გადაყენების თაობაზე, არ დააკმაყოფილა. მაია გიორგაძე 13 დეკემბერს ერთი თვით გაიფიცა და ამ პერიოდში მისი გათავისუფლების უფლება სამინისტროს არ აქვს, თუმცა ვადის გასვლის შემდეგ, კანონის თანახმად, საბოლოო სიტყვა არა სკოლის სამეურვეო საბჭოს, არამედ მინისტრს ეკუთვნის.



ელისო ვირსალაძე
მუსიკალური ფესტივალის ტრადიციის აღდგენისთვის

პიანისტის მიერ ჯერ კიდევ 1984 წელს დაარსებული კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ქება ვაზისა“, რომლის ტრადიციული ყოველწლიური ფორმატი მძიმე 90-იან წლებს შეეწირა, კვლავ განახლდა. 16-წლიანი პაუზის შემდეგ „ქება ვაზისას“ ისევ შემოდგომის თელავმა უმასპინძლა. ფესტივალს საერთაშორისო შემადგენლობის ორკესტრმა გარდა ბეთჰოვენის, შუბერტის და ბრამსის ნაწარმოებებისა, გია ყანჩელის „**Ex contrario**“ პაველ ვერნიკოვთან და ანდრეს მუსტონენთან ერთად შეასრულა. ხოლო ბეთჰოვენის სამმაგი კონცერტი თელავმა ელისო ვირსალაძის, პაველ ვერნიკოვის და ნატალია გუტმანის ტრიოს ბრწყინვალე შესრულებით მოისმინა. ფესტივალის აღდგენით ქართველი პიანისტი ქართველ მსმენელს ამიერიდან ყოველწლიური გარანტირებული სიხარულის რამდენიმე დღეს ჩუქნის.

პაატა ქურდაძე
სამოქალაქო ასპარეზზე აქტიურობისთვის

მწერალი, რომელმაც 1991 წელს ირაკლი ჩარკვიანთან და კოტე ყუბანეიშვილთან ერთად, „რეაქტიული კლუბი“ დააარსა, ქვეყანა მალევე დატოვა და უკვე 18 წელია საფრანგეთში ცხოვრობს. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე კი ამჯერად უკვე ინტერნეტ სივრციდან დაბრუნდა და საკუთარ ბლოგზე /**paatakourdadze.blogspot.com**/ საქართველოს უახლესი წარსულისა და აწმყოს შეფასება პუბლიცისტური წერილებით დაიწყო. გაზაფხულზე, საქართველოში ჩამოსულმა, ელექტრონული ნაწერები რეალურ წიგნად აქცია და ქართული სოციო–კულტურულ–პოლიტიკური მოვლენების შეფასება „ფსიქოდელიური ქრონიკა 2009“ სახელწოდების ქვეშ გააერთიანა.

ფოტო: გაჩიკა ქოჩიაშვილი

გიორგი კეკელიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკის პოპულარიზებისთვის

პირველი ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკა **lib.ge** მან, მეგობრებთან ერთად, 2006 წელს დააარსა, თუმცა წელს ახალი განყოფილებების (პერიოდიკა, ფოტო-გალერეა, **PDF** წიგნები, ლექსიკონები და ა.შ.) დამატების და სოციალურ ქსელებზე გავრცელების შემდეგ, საიტი გაცილებით პოპულარული გახდა და მკითხველის რიცხვმაც დღეში საშუალოდ 6000–ს მიაღწია. 2010 წლიდან ლიტერატურულ გაზეთ „გალაკტიონში“ **lib.ge**-ს საკუთარი გვერდი აქვს. ხოლო ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად, პერიოდულად, არტაქციებს აწყობს. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა **lib.ge**-ს და როკ კლუბის თანამშრომლობა, რომელიც პოეზიისა და პროზის მოყვარულებს, კვირაში ორჯერ მუსიკალური და ვიდეო პერფორმანსების თანხლებით, ახალბედა და კარგად ნაცნობ ავტორებთან შეხვედრას სთავაზობს. **lib.ge**-ს სამომავლო პროექტი ახლად დაარსებულ კლუბ **frontline Georgia**–სთან ერთად ლიტერატურის შესახებ სადისკუსიო შეხვედრებია, რომელიც მომდევნო წლიდან დაიწყება.

თინა ჭავჭანიძე

ცხოველთა უფლებების აქტიური დაცვისათვის

ცხოველთა უფლებების კომიტეტი, ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით, ერთი მხრივ, იმ პოლიტიკას აპროტესტებს, რომელსაც სახელმწიფო მაწანწალა ძაღლების მიმართ იყენებს და რაც ხშირად მათი დაჭერითა და მოკვლით გამოიხატება. მეორე მხრივ კი, ორგანიზაცია ცდილობს, საზოგადოებაში აქტიური გახადოს უპატრონო ცხოველებისადმი ჰუმანური მოპყრობის და მათთვის არსებობის უსაფრთხო გარემოს შექმნის საკითხი. თინა ჭავჭანიძე ცხოველთა უფლებების კომიტეტის მოხალისეებთან ერთად მსოფლიოს სხვა მრავალ ქვეყანაში ჩატარებულ აქციას შეუერთდა და მოქალაქეებისგან პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო, რათა ხელისუფლებისთვის მოეწოდებინა ცხოველთა მიმართ სისასტიკის წინააღმდეგ კანონის გამკაცრება. აქციის ფარგლებში კი მოხალისეები გამვლელებს ურიგებდნენ სტიკერებს სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებით და წარწერით „მე მიყვარს ცხოველები“.

მაგდა გურული

თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზებისთვის

უკვე მესამე წელია, ის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „არტისტერიუმის“ კურატორია. ქართულ სახელოვნებო რეალობაში, სადაც თანამედროვე მიმდინარეობების განვითარებისთვის სივრცეც და ფინანსებიც დეფიციტურია, „არტისტერიუმი“ ყველაზე მასშტაბური მოვლენაა. პროგრამის შედგენისას კურატორი ცდილობს, სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე არტისტები ერთი თემის, კონცეფციის ირგვლივ შეკრიბოს, როგორც, მაგალითად წლევანდელი დევიზით – „წარმოიდგინე მომავალი“. „ქარვასლას“ მუზეუმის გარემონტებულ და შეურემონტებელ სივრცეს კი ეკლექტური პროგრამის – ფოტოგამოფენის, ინსტალაციების, ვიდეოარტების თუ პერფორმანსების წარმოსადგენად ეფექტურად იყენებს.



ზურაბ ლეჟავა

პირველი ქართული მოთხრობა ევროპულ ანთოლოგიაში

„მაცივარი სექსისა წილ“ ერთ-ერთია იმ 40 მოთხრობას შორის, რომელიც ამერიკულმა საქველმოქმედო გამომცემლობა **Dalkey Archive Press**–მა 2011 წლის საუკეთესო ევროპული მოთხრობების ანთოლოგიაში შეიტანა. ამით ქართულმა მოთხრობამ 100 ათასიანი პოტენციური მკითხველისკენ პირველად გაიხსნა გზა. თავად მწერლის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ მოთხრობას საქართველოშიც არაერთგვაროვანი შეფასება ჰქონდა, მისი მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ მხოლოდ ქართველი მკითხველისთვის არაა განკუთვნილი. „მაცივარი სექსისა წილ“ 2 წლის წინ სულაკაურის გამომცემლობის 15 საუკეთესო მოთხრობის, წელს კი თავად ლეჟავას მოთხრობების კრებულში „ბავშვის ნაკბენი კარალიოკზე - ოქტომბრის თვეში“ შევიდა. ამ უკანასკნელმა ლიტერატურული პრემია „გალას“ წლევანდელ დაჯილდოებაზე „წლის წიგნის“ ნომინაციაში გაიმარჯვა.

თამარ ამაშუკელი

პროფესიული კრიტიკისთვის და სამოქალაქო აქტივიზმისთვის

მირზა შაფის ქუჩა, გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლების პროექტები, იმელის შენობის ნგრევა – ნაწილია იმ ჩამონათვალიდან, რომელთა გამოც ქალაქის ურბანული დაგეგმარებით და ისტორიული დატვირთვის მქონე შენობების საკითხებით დაინტერესებულმა ორგანიზაცია „ტფილისის ჰამქარმა“ მნიშვნელოვანი აქციები მოაწყო. ზოგი შემთხვევა, მაგალითად, მირზა შაფის ქუჩა, შემდეგში პოლიტიკური დაინტერესების საგანიც გახდა და ვერც ნგრევა შეჩერდა. სამაგიეროდ, იმელის შენობასთან გამართული აქციების შედეგად, კერძო კომპანიამ, რომელიც შენობის დანგრევას აპირებდა, პროცესი შეაჩერა, მერიიდან კი შენობისთვის ისტორიული იერსახის შენარჩუნების შეთავაზება მიიღო. გარდა აქტიური საპროტესტო აქციებისა, ორგანიზაციამ წლის განმავლობაში რამდენიმე საინტერესო საჯარო ლექცია და ფოტოგამოფენა მოაწყო, მათ შორის ერთ-ერთი უკანასკნელი თბილისის ხიდების შესახებ.



სოსო აბესაძე

პალიატიური მზრუნველობის დანერგვისთვის

მეექვსე წელია საქართველოში ონკოპრევენციის ბაზაზე გახსნილ პირველ ჰოსპისს ხელმძღვანელობს. გარდაუვალი სიკვდილის მოლოდინში მყოფ ადამიანებთან ურთიერთობისას, პროფესორის თქმით, მთავარია „პაციენტს არ ეტკინოს“. მისი აზრით „პალიატიური მზრუნველობა უფრო მოვლის ფილოსოფიაა, ვიდრე მედიცინის დარგი“. საქართველოში წლის განმავლობაში ათასობით პაციენტს სჭირდება ტკივილის შემამსუბუქებელი თერაპია, თუმცა ჩვენთან ეს ჯერ მხოლოდ ფუფუნებაა. სოსო აბესაძე კი ცდილობს, 22–საწოლიან პალატაში მოხვედრილთ მაინც დაეხმაროს ფიზიკურ და სულიერ ტკივილთან გამკლავებაში.

ნესტან ნიჟარაძე
ყველაზე მასშტაბური ფოტოფესტივალის მოწყობისთვის

„მთელ მულტიმედიურ სივრცეებში და მისტერიებში, რომლებშიც დღეს თანამედროვე ხელოვნება ეხვევა, ფოტოგრაფია დომინანტურია“, – ამბობს ფოტოგრაფი ნესტან ნიჟარაძე, რომლის ორგანიზატორობით მაისში ძველი თბილისის უბანმა **Tbilisi Open Air Photo Fest**-ს უმასპინძლა. ფოტოგრაფიასთან დაკავშირებით აქამდე მოწყობილ ღონისძიებებს შორის ეს ყველაზე მასშტაბური და ორიგინალური სანახაობა იყო.

დათო ჩაჩანიძე
ბიოპროდუქტების პოპულარიზებისთვის

პროფესიით ჰომეოპათმა წელს ბიოპროდუქტების პირველი ინტერნეტ–მაღაზია **biofood.ge** გახსნა. არც ისე ჯანსაღი ნახევარფაბრიკატებისა და საკვები პროდუქტების ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, აუცილებელი ხდება მწერებისგან თუ სხვა მავნე ზეგავლენისგან დასაცავად მრავალგვარი ქიმიკატების და არაორგანული სასუქების გამოყენება. მაშინ, როცა ჩაჩანიძეს, სოფელ თამარისსა და მარნეულში, სპეციალურად დამუშავებულ მიწებზე, მცენარეთა მოვლის განსაკუთრებული მეთოდებით, ქიმიური ნივთიერებებისგან სუფთა პროდუქტი მოჰყავს. ეს კი ჯანმრთელი პროდუქტის გემოზეც აისახება.

თარგმანი

ჯულიან ასანჟი

ფარდაახდილი საიდუმლოებები

ავტორი: რაფი ხაჩადურიანი
ინგლისურიდან თარგმნა ირმა ტაველიძემ.

სტატია პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიუ-იორკერში“, ივლისი 2010

წრე შეიკრა: დიდი ძმა გვაკვირდება ჩვენ – ჩვენ ვაკვირდებით დიდ ძმას.

დიდმა ძმამ ძალიან განიცადა – არ უყვარს, როდესაც უსმენენ მის სატელეფონო საუბრებს, კითხულობენ მის ფოსტას, აღბეჭდავენ, როგორ ცდილობს ცხვირიდან ფერიმჭამელა ამოირწყას.

ასეც უნდა ყოფილიყო. თქვენ არ გაბრაზდებოდით? წარმოიდგინეთ, ხართ საპასუხისმგებლო თანამდებობის პირი, სამაგალითო მეოჯახე, მზრუნველი მამა. სამეზობლოში სიტყვა გეთქმით, მეგობრები გთხოვენ, მის ონავარ ბიჭს ჭკუა დაარიგოთ; საზოგადოება გიცნობთ, როგორც გაწონასწორებულ, მყარი პრინციპების, მტკიცე მორალის ადამიანს.

ერთ მშვენიერ დღესაც იღვიძებთ ნაბახუსევზე. პომადის კვალი ჩამოიბანეთ, გამოდიხართ გარეთ და ამჩნევთ, ის უსირცხვილო მეზობელი ისე უკმეხად გესალმებათ, თითქოს მისი კი არა, თქვენი ფანჯრებიდან ცვივა ორ დღეში ერთხელ ავეჯი, აყალმაყალის და უშვერი გინების თანხლებით. სხვებიც თქვენსკენ მომართავენ საყვედურნარევ მზერას. აბა რა, მასზე ყველამ იცის, ვინ არის და რა არის – თქვენ კი სხვა ეგონეთ... მიდიხართ მანქანასთან, საბურავი გახვრეტილია. სათადარიგოს გადმოღებისას მთლად ამოიგანგლეთ. ეს გინდოდათ ახლა? პრესკონფერენცია სულ რაღაც წუთებში იწყება. ოფლი გასხამთ. გზაზე მანქანები გისიგნალებენ. ნუთუ ჟურ-

ნალისტებმაც იციან? ჰალსტუხს იხსნით. შეხვედრა ბოლო სართულზეა. ლიფტში ცდილობთ, თავი მოინესრიგოთ. ისეთი გრძნობა გაქვთ, რომ ამ რკინის კედლებმაც კი იციან, რას აკეთებდით გუშინ და ლიფტი საჭირო სართულზე კი არ ჩამოგსვამს, არამედ გადმოგაფურთხებს. შედიხართ დარბაზში. ცნობისმოყვარეთა ზურგებს მიღმა ცდილობთ თქვენც დაინახოთ, რას უჩვენებენ პროექტორით. ყველა ეკრანს მისჩერებია. აი, გზაც გაიკვალეთ და გაშრით: საკუთარ თავს ხედავთ გუშინდელ წვეულებაზე „ჯენტლმენურ კლუბში“. ტყავის შარვალი გაცვიათ, ხელში კარგად შეკეთებული ტარიანი გიჭირავთ, მეორეში კი აღვირი, რომლის ბოლოზეც არასრულწლოვანი, ტკივილისგან სახედამანჭული გოგონაა გამობმული. ქვემოთ წარწერა: ჯულიან ასანჟი მადლობას უხდის ანონიმურ წყაროს ფოტოს მოწოდებისთვის.

დამეთანხმეთ, ეს მდგომარეობა თქვენ და დიდ ძმას კი არა, ბუდასაც გამოიყვანდა მწყობრიდან. მთავრობების და კორპორაციების საიდუმლოებათა გამმჟღავნებელ საიტ wikileaks.org-ის დაარსებიდან ოთხი წლის შემდეგ ჯულიან ასანჟზე ძებნა გამოცხადდა. ბევრი ადამიანი დააფიქრა ამ ფაქტმა: ასანჟზე ლეგალური ნადირობა ხომ სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ეს უკანასკნელი დაიმუქრა, მალე ბანკების და კორპორაციების დანაშაულებსაც გამოვამზეურებო. არც მანამდე გამოქვეყნებული მასალა ყოფილა უწყინარი – ერაყში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ჟურნალისტების და ბავშვების ჩახოცვის კადრები, სამხედრო კამპანიების უდანაშაულო მსხვერპლებზე მონაცემები, რომ აღარაფერი ვთქვათ დიპლომატების საიდუმლო კორესპონდენციაზე. საბედისწერო მაინც ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე მიტანილი იერიში გამოდგა. ასანჟის „ტერორისტობაზე“ პირველად რესპუბლიკელი სენატორები ალაპარაკდნენ. ტყუილად არ უთქვამს დისიდენტ ალექს კონსტანტაინს – ბანკი, კორპორაცია, ნავთობი – აი, ამერიკელი „რესპუბლიკელების“ წმინდა სამებაო.

2010 წლის 7 დეკემბერს, ლონდონში, ასანჟი სკოტლენდ იარდს ჩაბარდა. დღეისთვის უკვე თავისუფალია, ოღონდაც თავდებით. ორი ქალის გაუპატიურება მსუბუქი ბრალდება არაა, თუმცა, არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოელის, თუკი ამერიკულმა დეპარტამენტებმა, ბოლო-ბოლო ,მოძებნეს იურიდიული საფუძველი ასანჟის „ტერორისტად“, ხოლო „ვიკილიქსის“ „ტერორისტულ ორგანიზაციად“ შესარაცხად. ამ შემთხვევაში, საფრთხე არა მხოლოდ ასანჟს, არამედ ყველა იმ ჟურნალისტს ემუქრება, ვინც სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა კანონდარღვევაზე კომპრომატები კანონდამრღვევების კანონის გვერდის ავლით მოიპოვა – ანუ პროფესიონალ ჟურნალისტებს.

შოთა გაგარინი

ეს ვიდეო გამაოგნებელი არტეფაქტი იყო, რომელშიც

დღევანდელი ომის ორსახოვნება და სისასტიკეები ჩანდა. ასანჟი იმედოვნებდა,

რომ მის ჩვენებას მსოფლიოში დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა დებატები ერაყისა და ავღანეთის კონფლიქტების შესახებ.

რეიკიავიკში საუკუნის წინ აშენებული, გრეტისგატაზე მდებარე, პატარა, თეთრი სახლი ატლანტიკის ოკეანისგან მხოლოდ რამდენიმე ქუჩით არის დაშორებული. ჩრდილოეთის დაუდეგარი ქარები, გაზაფხულზეც კი, მოულოდნელად წამოუბერავენ და ქალაქს ყინულსა და თოვლში ხვევენ ხოლმე. ამ დროს ირგვლივ მდუმარება ისადგურებს. 30 მარტის დილაც ასეთი იყო, როდესაც მაღალი ავსტრალიელი, სახელად ჯულიან პოლ ასანჟი, ნაცრისფერი თვალებითა და ვერცხლისფერი თმით, სახლის დასაქირავებლად მოვიდა. ასანჟს რუხი კომბინეზონი ეცვა და თან რამდენიმე პირი ახლდა. „ჟურნალისტები ვართ“, – უთხრა მან სახლის მფლობელს. ეიაფიალაიეკულის ამოფრქვევა ცოტა ხნის წინ დაწყებულიყო და ჯულიანმა განმარტა: „აქ იმიტომ ჩამოვედით, რომ ვულკანის შესახებ დავწეროთ“. როგორც კი სახლის მფლობელი წავიდა, ავსტრალიელმა შტორები სწრაფად ჩამოუშვა და ისე დაამაგრა, რომ დღე და ღამ ჩამოშვებული ყოფილიყო. მის თვალში, ეს სახლი საბრძოლო შტაბი უნდა გამხდარიყო. მოგვიანებით მას ბუნკერი უწოდეს. სახელდახელოდ შერემონტებულ, თეთრი კედლებით შემოსაზღვრულ საცხოვრებელ სივრცეში ექვსი კომპიუტერი დადგეს. მერე ისლანდიელი აქტივისტებიც გამოჩნდნენ და მუშაობა დაიწყეს: ასანჟს მეტ-ნაკლებად აუბეს მხარი დღე-ღამეში 24 საათის მანძილზე. ისინი B-გეგმაზე მუშაობდნენ, რომელიც 2007 წელს, ერაყში, „აპაჩის“ ტიპის მოიერიშე შვეულმფრენის კაბინიდან გადაღებული 28-წუთიანი ვიდეოს კოდური სახელწოდება იყო. ვიდეოში ჩანდა, თუ როგორ კლავდნენ ამერიკელი ჯარისკაცები, სულ ცოტა, 18 ადამიანს, მათ შორის „როიტერის“ ორ ჟურნალისტს. მოგვიანებით ეს კადრები საყოველთაო განსჯის საგნად იქცა, მაგრამ ამ სანყის ეტაპზე ის ჯერ კიდევ მკაცრად დაცულ, სამხედრო საიდუმლოს წარმოადგენდა.

ასანჟი საერთაშორისო დონის ერთგვარი შუამავალია. ის და მისი კოლეგები იმ დოკუმენტებსა და ვიზუალურ მასალებს აგროვებენ, რომლებსაც



ასანჟი ხშირად ფიქრით გართული და ენერგიულია. შეუძლია ერთ საკითხზე ბოლომდე კონცენტრირებული იყოს, მაგრამ ამავე დროს თვითმფრინავის ბილეთის დაჯავშნა ავიწყდება, ან ბილეთს დაჯავშნის და ფულის გადახდა.

მთავრობები თუ სხვა ინსტიტუციები საიდუმლოდ ინახავენ. მერე ისინი მათ ვებსაიტ WikiLeaks.org-ზე აქვეყნებენ. საიტი 3 წლისა და 6 თვის წინ ამუშავდა და დღემდე უამრავი საიდუმლო მასალა გამოაქვეყნა „გუანტანამოს ყურეში მოქმედებების სტანდარტული წესითა“ და „კლაიმიტგეიტის“ სკანდალში გახვეული, აღმოსავლეთ ინგლისის უნივერსიტეტის პროფესორების ელფოსტებით დაწყებული, სარა პეილინის მიერ Yahoo-ზე გახსნილი პირადი ელექტრონული ფოსტის შინაარსით დამთავრებული. ამ მასალების ჩამონათვალი განსაკუთრებით გამაოგნებელია, რადგან „ვიკილიქსი“ ორგანიზაციაც კი არ არის. ის უფრო მედია-ამბოხია. მას არ ჰყავს ისეთი თანამშრომლები, რომლებსაც ხელფასს უხდის, არც ქსეროქსის აპარატები აქვს, არც სამუშაო მაგიდები, არც ოფისი. ასანჟს სახლიც კი არა აქვს. ის ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობს და ხან მხარდამჭერებთან რჩება, ხან – მეგობრების მეგობრებთან. ერთხელ მითხრა, ბოლო დროს აეროპორტებში ვცხოვრობო. ის ამ პროცესის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა და სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სადაც ისაა, „ვიკილიქსიც“ იქ არის. ამავე დროს მთელ მსოფლიოში ასობით მოხალისე ჯულიანს ვებსაიტის რთული ინფრასტრუქტურის გამართულად მუშაობაში ეხმარება. მათ შორის ბევრი მხოლოდ მცირეოდენ დახმარებას უწევს, 3-დან 5 კაცამდე კი მთელი დატვირთვით ემსახურება. მთავარი წევრები მხოლოდ ინიციალებით არიან ცნობილი (მაგალითად, M) თავად „ვიკილიქსშიც“ კი, სადაც კომუნიკაცია დაშიფრული ონლაინ-საუბრების საშუალებით ხორციელდება. ასეთი გასაიდუმლოება იმ რწმენით არის გამოწვეული, რომ ხალხის ინტერესის დასაკმაყოფილებლად ინფორმაციის მოგროვების ოპერაციას, რომელიც, ფაქტობრივად, რესურსების გარეშე ხორციელდება და იმ ინფორმაციის საჯაროდ გამოტანას, რომლის გამოქვეყნებაც ძალაუფლების მქონე ინსტიტუციებს არ სურთ, ბევრი სერიოზული მოწინააღმდეგე ეყოლება.

ისლანდია ბუნებრივად შეირჩა B-გეგმაზე მუშაობის ადგილად. გასულ წელს ასანჟი აქაურ პოლიტიკოსებსა და აქტივისტებთან უპრეცენდენტოდ ლიბერალური სიტყვის თავისუფლების კანონმდებლობის შესაქმნელად თანამშრომლობდა და ზოგიერთი დაეთანხმა, რომ ვიდეოზე საიდუმლოდ მუშაობისას დაეხმარებოდა. ეს ვიდეო გამაოგნებელი არტეფაქტი იყო, რომელშიც პირდაპირ ჩანდა დღევანდელი ომის ორსახოვნება და სისასტიკეები. ასანჟი იმედოვნებდა, რომ მის ჩვენებას მთელ მსოფლიოში დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა დებატები და დისკუსიები ერაყისა და ავღანეთის კონფლიქტების შესახებ. ის გეგმავდა, გადაღებული მასალა რეპორტიორებისთვის ეჩვენებინა ეროვნულ პრესკლუბში, ვაშინგტონში, 5 აპრილს, აღდგომის მომდევნო დილით. ახალი ამბების კუთხით ეს დღე, სავარაუდოდ, უფერული იქნებოდა. ამის განხორციელებამდე მას და „ვიკილიქსის“ თანამშრომლებს დაუმონტაჟებელი ვიდეო უნდა გაეანალიზებინათ და მოკლე ფილმად ექციათ, შეექმნათ დამოუკიდებელი ვებგვერდი, რომელზეც მას განათავსებდნენ, წამოეწყოთ მედია-კამპანია და შესაბამისი დოკუმენტაცია მოემზადებინათ. ამ ყველაფრისთვის მათ ერთ კვირაზე ნაკლები დრო ჰქონდათ.

ასანჟს სურდა, თავი დაეზღვია და ინტერნეტ-სივრცეში ვიდეოს წაშლა შეუძლებელი გაეხადა. როგორც მითხრა, „ვიკილიქსზე“ განთავსებული ინფორმაცია 20-ზე მეტ სერვერსა და ასობით დომენზე ინახება მთელ მსოფლიოში (ხარჯებს შემოწირულობებით ფარავენ, რამდენიმე კეთილისმსურველი კი, მხარდაჭერის ნიშნად, „სარკე საიტების“ არსებობას უზრუნველყოფს). ასანჟი „ვიკილიქსს“ უწოდებს „ცენზურისათვის ხელმიუწვდომელ სისტემას უცნობი გზებით ინფორმაციის მასობრივად გაჟონვისა და საჯარო ანალიზისთვის“. იმ მთავრობასა თუ კომპანიას, რომელიც საიტზე განთავსებული ინფორმაციის გაქრობას მოინდომებს, პრაქტიკულად, ინტერნეტის განადგურება მოუწევს. მართალია, საიტს სასამართლო პროცესით 100-ჯერ მაინც დაემუქრნენ, მაგრამ საქმე ერთხელაც არ აღძრულა. British bank Northern Rock-ის ადვოკატები მას სასამართლოში ჩივილით სამარცხვინო ჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ დაემუქრნენ, თუმცა ბოლოს ხვეწნაზე გადავიდნენ. ერთმა კენიელმა პოლიტიკოსმაც დაიფიცა, რომ ასანჟს სასამართლოში უჩივლებდა იმ საიდუმლო ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, რომელიც ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტმა დანიელ არაპ მოიმ და მისმა მოკავშირეებმა მილიარდობით დოლარი გადარიცხეს საზღვარგარეთ გახსნილ ანგარიშებზე. სხვათა შორის, კენიაში ჩატარებული სამუშაოსთვის საიტი „ემნესტი ინტერნეშენელმა“ დააჯილდოვა.

>>> გაგრძელება გვ. 104

ჩემი ინსპირაცია

პროექტის ავტორი: ნინო ლომაძე

„არ იცის, რომ მან ქალები კინოეკრანში, როგორც სარკეში ჩაახედა და ყოველ მათგანს სწორედ იმ წლებში, როდესაც ისინი ჯერ მხოლოდ იწყებდნენ საკუთარ თავში ინდივიდის ძებნას, საკუთარი პიროვნების უნიკალურობის განცდა აჩუქა.“

„რამდენადაც არ არსებობს მიღმიერი ცხოვრება, ერთადერთი ჯოჯოხეთი ლოცვის, კანონმორჩილებისა და ავტორიტეტულ ფიგურებთან საკუთარი თავის დამცირების ჯოჯოხეთია, ერთადერთი სამოთხე ცოდვის სამოთხეა, იყო მოჯანყე, ტყნაურობდე, სწავლობდე ახალ რაღაცებს და არღვევდე იმდენ კანონს, რამდენსაც შეძლებ...“

„ეს იყო იმიჯი, რომელიც არა მხოლოდ მოგვწონდა და ვეთანხმებოდით, რომ აი, ჩვენ, ეს ვართ, ჩვენ ეს გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი მაღალი კაცი ვართ, ძალიან ჭკვიანი, მდუმარედ ემოციური, დახვეწილი. არა მხოლოდ მოგვწონდა, არამედ აღფრთოვანებული ვიყავით, რომ ასეთი იმიჯი გვაქვს.“

„შესაძლოა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით, როგორ ცვლის ჩვენს სამყაროს, კულტურას, სამყაროს აღქმას ეს ქსელი, რომელმაც უკვე მოასწრო კაცობრიობის ციფრულ არქივად ქცევა...“

„მას სჯერა, რომ კარგი ცვლილება შეიძლება, ფეხაკრეფით შემოვიდეს ჩვენს სამყაროში და სამუდამოდ შეცვალოს იგი. პარადოქსი ისაა, რომ ეს მოუსვენარი „ბუნტარი“ სამყაროს „წყნარად“ ცვლის და ბევრმა არ იცის, რომ ჩვენს უახლეს ისტორიაში საქართველოს ბუნებრივი საუნჯის გადარჩენისთვის გაკეთებული მრავალი საქმე მისგან მოდის“.

„მუშაობს გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების საბჭოში, პალესტინის ტერიტორიებზე ისრაელის მოქმედებების მეთვალყურედ დანიშნეს, კითხულობს ლექციებს, გამოსცემს წიგნებს, არ ერიდება ისრაელს „ნაცისტური“ უწოდოს და „პალესტინური ჰოლოკოსტი“ იყვიროს საჯაროდ, ან 11 სექტემბრის ტერაქტში ამერიკელი ნეოკონსერვატორი სენატორების და პრეზიდენტის კვალი ეძებოს, პრინსტონის უნივერსიტეტის კათედრალიდან... მაგრამ შოთას არ ეცოდინება, ვინ არის რიჩარდ ფალკი...“

ადამიანები ყოველთვის ვეძებთ ინსპირაციის წყაროს. ინპირაცია გვიქმნის განწყობას, აფართოებს სააზროვნო სივრცეს და გვიჩენს სურვილს, ვიმოქმედოთ, ვიყოთ შემოქმედები. იმედი გვაქვს, პაატა ქურდაძის, შოთა გაგარინის, აკა მორჩილაძის, დავით ჩიხლაძის, ლევან ბუთხუზის და ზურა ჯიშკარიანის ინსპირაციის პატარ-პატარა წყაროები თქვენიც გახდება.

ანი ჯერ კიდევ აქ ცხოვრობს

პაატა ქურდაძე
ანი ჟირარდოზე

ნატიფ სამკაულში, პარიზში ჩასმული ბრილიანტი – ვოჟის მოედანი.

პარკში, გრძელ მერხზე ხანში შეშესული ქალი ზის, მოციმციმე თვალებით უყურებს იქვე, მის წინ, შტატივზე დამაგრებულ კამერასთან მოფუსფუსე ოპერატორს. საყელოზე პატარა მიკროფონი აქვს მიმაგრებული. ეწევა. „ჟიტანს“.

გამვლელები ღიმილით უყურებენ.

ყველა იცნობს. განსაკუთრებით ამ მოედანზე. აქ მან ცხოვრების ყველაზე ბედნიერი და ყველაზე გაცრუებული იმედების წლები გაატარა.

მოთმინებით ელოდება ჩაწერის დაწყებას. ღიმილით ათვალიერებს ხალხს...

როგორც იქნა, ოპერატორმა კამერისა და ხმის რეგულირება დაამთავრა, რეჟისორს – ნიკოლას თითქმის ჩურჩულით „გასძახა“ ბანალური – ოკ! ის კი არც განძრეულა. დიდი ბლოკნოტი და კალამი რატომღაც ჯიბეში ჩაიდო. ჩუმად ანიშნა ოპერატორს კამერა ჩაერთო.

ქალი უცნაურად იქცეოდა, ჯერ აქეთ-იქით დაიწყო ცქერა, სახეზე ოდნავ შიშნარევი ღიმილით, თითქოს რაღაცას ან ვიღაცას ეძებდა. მერე წამოდგა და ვიღაც ტურისტებს გამოელაპარაკა.

– მივხვდი, რომ წავიდა. აი, ასე... უცებ, ორ წუთში. ვეღარც კამერას ხედავდა, ვერც მე, ვერც ჯულიეტს. ჯერ იღიმოდა დაბნეული. ადამიანებს აკვირდებოდა. მერე ცოტა შეშფოთება დაეტყო. წამოდგა. პირველივე გამვლელი შუახნის ამერიკელი ტურისტი წყვილი გააჩერა და უთხრა – „ბოდიში. ვიცი რომ სულელურად ჟღერს, მაგრამ მგონი, დავიკარგე. ხომ ვერ დამეხმარებით, ხომ არ იცით, სად ვარ, რა ქვია ამ ადგილს?..მეღდ!..“ – ბოლოს მაინც დააყოლა.

ამერიკელმა ტურისტებმა ვერაფერი ვერ გაიგეს, ვერც კი იცნეს. ინგლისურად მოუბოდიშეს და გზა გააგრძელეს...

არა მარტო მოედნის სახელი და საკუთარი მისამართი, ისიც კი დაავიწყდა, თავად ვინ იყო. ფილმის გაგრძელება ამორალური იქნებოდა. ოპერატორს ვანიშნე კამერა საბოლოოდ გამოერთო. ერთწლიანი გადაღებები ამ დღეს დამთავრდა. ეს მისი ბოლო კადრია.“

ეს ქალი კინოს დიდი ქალბატონი ანი ჟირარდო იყო. ხოლო რეჟისორი ნიკოლა ბოლიო, რომელმაც 2008 წელს ბოლო დოკუმენტალური ფილმი (Ainsi va la vie) გადაიღო ანის შესახებ.

ნიკოლა ბოლიომ ეს ამბავი 2010 წლის მარტში, ვოჟზე, სასტუმრო „დედოფლის პავილიონის“ ჰოლში მოგვიყვა.

ის დღეს ალცჰეიმერის უმძიმესი ფორმით დაავადებული სპეციალურ თავშესაფარში ცხოვრობს, და სულ აღარ ახსოვს, არ იცის, რომ იშვიათად ყოფილა კინოს ისტორიაში მისი მსგავსი მსახიობი ქალი, რომელიც ასე ერთნაირად უყვარდათ კონსიერჟებს და პრინცესებს, რუს ხელებდაკოჟრილ „კოლმეურნე“ ქალებსა და არაბი შეიხების ბურკაში „შეხვეულ“ მზეთუნახავებს – არ იცის, რომ 60-იან წლებში კინოვარსკვლავი ქალების ფეერიული მითოლოგიის დემისტიფიკაცია სწორედ მან მოახდინა ევროპაში, სილამაზე „მიწიერი“ გახადა – ჩვეულებრივი ქალი, ისეთი, როგორსაც ყოველდღე ვხედავთ, გვიყვარს, ან გვძულს, როგორებიც სინამდვილეში ვართ – მონროსა და ბარდოს სიმაღლეზე აიყვანა. ადრე, როცა ახსოვდა, ძალიან ამაყობდა ამით, თუმცა დიდი ხალასი იუმორით.

დღეს აღარ ახსოვს. ისიც კი აღარ ახსოვს, ვინ არის ანი ჟირარდო.

2000 წლის გაზაფხულზე სააგენტო „არტ მედიაში“ შევხვდი უკანასკნელად. რაღაც ჩავწერეთ. მერე იქვე ავენიუ რაპზე, პირველივე კაფეში შევედით. საღამოს 7 თუ 8 საათი იყო. წვიმდა. იმ დღეს პირველად ვნახეთ იქვე, ორი ქუჩის იქით ეიფელზე მოციმციმე პატარა თეთრი ვარსკვლავები. კაფეს ვიტრინიდან ჩანდა.

მეორე დღეს პაკო რაბანთან გვქონდა ჩაწერა მისივე ცნობილ სახელოსნოში, მიდის ქუჩაზე. მოკითხვა ხომ არ გადავცეთო? – რატომღაც ჰკითხა ჩემმა კოლეგამ კაფეში.

– არა! მხოლედ ეს არა! ამ ტიპის ატანა არ შემიძლია!

არც მიკითხია მიზეზი, ვიცოდი ისედაც მოყვებოდა. საერთოდ ძალიან ბევრს ლაპარაკობდა, ერთი ისტორიიდან მეორეში, მერე კიდევ სხვაში რაღაც ბუნებრივად სეირნობდა, თვითონ ვერც კი გრძნობდა და დიდ სიამოვნებას იღებდა ამისგან, ლაპარაკისას ყოველთვის ისე ამოძრავებდა ორივე ხელს, თითებს, თითქოს ოცდაათიანი წლების ტრადიციულ პარიზულ „მუზეტს“ უკრავდა აკორდეონზე – ერთ მელოდიას მეორეთი, მესამეთი ცვლიდა და მერე ისევ უკან ბრუნდებოდა, თვალები ისე უბრწყინავდა, როგორც არავის.

მაშინ ყველას პაკო რაბანი ეკერა პირზე – „უკრავდა“ ანი – ყველას! თავისი ალუმინის კაბებისა და პირველი დეფილე – სპექტაკლების გამო. 67-თუ 68-ში კატრინ დენევთან ერთად წავედი მასთან სახელოსნოში.

„მე განსაკუთრებულად ღამაზი არასოდეს ვყოფილვარ, მით უმეტეს, კატრინთან შედარებით, მაგრამ მაინც, ხომ ხვდები... თავი ცოტათი მეც მომწონდა, თან უკვე ცნობილი მსახიობი ვიყავი ვისკონტის წყალობით. მოკლედ ამ თქვენმა პაკომ ზედ არ შემომხედა. კატრინზე, რა თქმა უნდა, შეიშალა, ხან ერთი კაბა ჩააცვა, ხან მეორე, ხან ქვედატანი, ხან შარვალი... მართლა ძალიან უხდებოდა. მე კი ვიდექი დენევის საცოდავი მოახლესავით. მხოლოდ ერთხელ შევბედე პაკოს, იქნებ ეს კაბა ჩავიცვა-მეთქი. ისეთი თვალებით შემომხედა, რომ ტირილი მომინდა – ეს თქვენი სტილი არ არისო, ცივად მომიგდო და მაშინვე დამივიწყა, ისევ კატრინზე გადაერთო! ნუ ვილაპარაკებთ პაკოზე... რა მოკითხვა, surtout pas!“



თან მომხიბლავად იცინოდა. ძალიან იშვიათად შემხვედრია ადამიანები, რომელთაგან ეს ყბადაღებული აურა ნამდვილად მოდის. ანისგან უჩვეულოდ ინტენსიურად მოდიოდა – შეიძლება ითქვას, თითქმის ფიზიკურად გრძნობდი.

70-იანი წლების ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფრანგი კინომსახიობი 80-იანებიდან მოყოლებული, სერიოზული ფინანსური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მას ძალიან იშვიათად იღებდნენ, მხოლოდ ძალიან უყვარდათ.

ყველა, ვისაც ანისთან შეხვედრის საშუალება მისცემია, აუცილებლად იგრძნობდა მის მიმართ ადამიანების ნამდვილ სიყვარულს, ნამდვილ სითბოს. დღეს, როცა ისიც კი არ იცის, თუ რატომ უყვართ ასე ძალიან კლინიკის მომვლელ ქალებს, რომ ის სახალხო არტისტზე მეტი – სახალხო ქალია, და არა მარტო საფრანგეთში. არ იცის, რომ მან ქალები კინოეკრანში, როგორც სარკეში ჩაახედა და ყოველ მათგანს სწორედ იმ წლებში, როდესაც ისინი ჯერ მხოლოდ იწყებდნენ საკუთარ თავში ინდივიდის ძებნას, საკუთარი პიროვნების უნიკალურობის განცდა აჩუქა.

დღესაც, ულამაზეს „პლას დე ვოჟზე“ , წარსულ დროში მას არავინ მოიხსენიებს. ნებისმიერი კაფეს პატრონისათვის, ჯერ კიდევ შემორჩენილი ორი სამი ძველი ოფიციანტისათვის, აგრეთვე, კოპწია, ეშმაკი მოხუცებისათვის, რომლებიც პირში სასტვენგაჩრილ უნიფორმიანი მრისხანე პარკის დარაჯისაგან მალულად, მტრედებს ხორბალს უყრიან – ანი ჯერ კიდევ აქ ცხოვრობს. დარაჯისთვისაც კი – თვითონ მითხრა ამ გაზაფხულზე.

WWW – მსოფლიო აბლაბუდა

ზურა ჯიშკარიანი

ტიმ ბერნერს ლიზე

თავის დროზე გუტენბერგის მიერ საბეჭდი მანქანის გამოგონებამ – ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა ფეოდალური საზოგადოების ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებად ქცევაში. ის, რაც აქამდე მხოლოდ მეფეთა, კარდინალთა და სწავლულ-ბერთა პრეროგატივა იყო [წერა-კითხვა] – გახდა სახალხო ტექნოლოგია. გაჩნდა ნებისმიერი ინფორმაციის შუა საუკუნეების ტემპისთვის უსწრაფესად გავრცელების საშუალება. ამ რევოლუციურმა ტექნოლოგიამ შემდგომში, ფაქტობრივად, შეცვალა ადამიანის წარმოდგენა სამყაროზე, სახელმწიფო წყობები და ინფორმაციისა და კომუნიკაციის აქამდე არარსებულ კონცეფციებამდე მიგვიყვანა.

გუტენბერგის ინფორმაციულ-ატომური აფეთქების შემდეგ კი ყველაზე საინტერესო, არსით ანალოგიური, ხოლო პოტენციურად უფრო მასშტაბური ინფორმაციული ბომბი შეიქმნა შვეიცარიაში, წინა საუკუნის დასასრულს, ატომური კვლევების ცენტრ „ცერნში," იქ, სადაც ახლა ადრონული კოლაიდერის ექსპერიმენტები ტარდება.

1989 წელს ახალგაზრდა ინგლისელმა მკვლევარმა ტიმ ბერნერს ლიმ თავის უფროსს, „ცერნის" ლაბორატორიაში წარუდგინა რამდენიმეგვერდიანი პროექტი, რომელშიც საუბარი იყო ბრაუზერებზე, ჰიპერტექსტებზე, „ლინკებზე" და ინფორმაციის გაცვლის ახალ მეთოდებზე. ტიმის უფროსმა, მაიკ სენდალმა, დოკუმენტთან გაცნობის შემდეგ, პირველ გვერდს დააწერა: „ბუნდოვანია, მაგრამ საინტერესო!" და ტიმს პროექტზე მუშაობის საშუალება მისცა.

ასე შეიქმნა ის, რასაც დღეს ვიცნობთ, როგორც ქსელს, მსოფლიო აბლაბუდას, World Wide Web.

ტიმ ბერნერს ლიმ მოიგონა „ლინკები" – ამისთვის მან ლიტერატურული ჰიპერტექსტის ცნება გადმოიტანა კომპიუტერულ დოკუმენტებზე, მან დაწერა მსოფლიოში პირველი ბრაუზერი, მოიგონა ვებგვერდების შემქმნელი პირველი პროგრამული ენა და მსოფლიოში პირველი ვებგვერდი. მანვე შექმნა კონსორციუმი, რომელიც დღემდე კურირებს საერთაშორისო ვებსტანდარტებს და მსოფლიო ქსელის ფონდი, რომლის მიზანია ქსელის ფილოსოფიისა და ეთიკის განვითარება.

შესაძლოა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვხვდებით, როგორ ცვლის ჩვენს სამყაროს, კულტურას, სამყაროს აღქმას ეს ქსელი, რომელმაც უკვე მოასწრო კაცობრიობის ციფრულ არქივად ქცევა, მოასწრო მილიონობით ადამიანის ერთმანეთთან დაკავშირება. დღესდღეობით არ არსებობს სფერო, რომელიც თავისი საქმიანობისთვის არ იყენებს ქსელს და „ჰიპერტექსტურ დოკუმენტებს".

ამ ახალმა ფილოსოფიამ კიდევ უფრო მეტი თავისუფლება მისცა ხალხს. ნებისმიერი ადამიანი გუტენბერგის ორგანზომილებიანი, პასიური მომხმარებლიდან გადაიქცა ინფორმაციისა და მულტიმედიური ხატების შემქმნელად, ორგანიზატორად, გარდამქმნელად და გამავრცელებლად. წიგნებისა და ტელევიზიის იერარქიული სისტემისგან განსხვავებით – ქსელი არაიერარქიულია. აქ ყველა მომხმარებელი პოტენციური მედია-არტისტია. ამიტომაც ქსელის მთავარი პრინციპი – ინფორმაციის ტოტალური თავისუფლებაა. ტიმ ბერნერს ლი დღემდე უჭერს მხარს „ნეტ ნეიტრალობას", რომლის მიხედვით, არავის აქვს უფლება, ზეწოლა მოახდინოს ამ ციფრულ სივრცეზე ფიზიკური სამყაროდან. შარშან ტიმმა შექმნა საიტი data.gov.uk, რომლის მიზანია ყველა არაპირადი სახელმწიფო ინფორმაცია გახადოს საჯარო და გაავრცელოს ქსელში. იგივე ქსელი, რიგ ქვეყნებში, ტოტალიტარიზმთან ბრძოლის თითქმის ერთადერთი საშუალებაა. მსოფლიოს უდიდესი ნაწილისთვის კი განათლების უნიკალურ წყაროდ არის ქცეული, ეს სიტუაცია კი იმდენად ორიგინალურია, რომ თავის მხრივ, განათლების ძველი ორგანზომილებიანი, იერარქიული სტრუქტურის გამოცვლაზე ბადებს დისკუსიას.

დღესდღეობით ტიმი ახალ რევოლუციურ იდეაზე – სემანტიკურ ქსელზე მუშაობს. სემანტიკური ქსელის პრინციპი ყველაზე მარტივად ასე შეიძლება ახსნა: თუ დღეს ადამიანი ეძებს ინფორმაციას ქსელში, სემანტიკურ ქსელში ინფორმაცია ეძებს ადამიანს და პოულობს მას.

რაც შეეხება ტიმის ბიოგრაფიას, მასზე ბევრს ვერაფერს მოგიყვებით. ის არაა სავსე ნარკოტიკებით, ტაბუდადებული სექსით, მოკლული სხეულებით, ზეადამიანური ტრაგიზმითა და ღვთაებათა გამოცხადებით, თუმცა დარწმუნებული ვარ, ტიმსაც ექნება თავისი საიდუმლო სკივრები. თუმცა, ამის გამო მე ეს ადამიანი უფრო მეტად მესიმპათიურება. ცნობილი კულტურული პროგრამის მიხედვით, არ არის აუცილებელი, მთებს ძრავდე ყოველდღიურობაში – იმისთვის, რომ სამყარო შეცვალო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ხანდახან საკმარისია საკუთარი საქმის და თავისუფლების სიყვარული, შრომა და კრეატიულობა.

მადლობა ჯადოქარ ტიმს ქსელის გამოგონებისთვის, ასეთი შესაძლებლობებისა და ასეთი გასართობი ცენტრის ჩუქებისთვის.

თქვენ კი შეგხვდებით მომავალ ათწლეულში. ამბობენ, რომ ტექნოლოგიური სინგულარობა შესაძლოა, შემდეგი ათწლეულის განმავლობაში მოხდეს – ეს კი ახალი ჯადოსნური რეალობებისა და წარმოუდგენელი ცვლილებების კარნავალის საწინდარია. „მომავალი წარსულში აგდებს საკუთარ ჩრდილს" – ამიტომ, ყურადღებით იყავით, რამე არ გამოგრჩეთ. ხანდახან, ერთი შეხედვით, „ბუნდოვანი იდეები" – გენიალური იდეებია.



ყიფო

აკა მორჩილაძე
დავით ყიფიანზე

ახლა, როგორღაც, მოდაში აღარ არის ასეთ რამეებზე წერა – ეგ არ იყო ნამდვილი ამბავიო, ქვეყანაც არასწორი იყო და იმიტომ იყო ეგრეო, სხვა არაფერი გვქონდა შემორჩენილიო და ეგეთი რამეების შემყურე ვიყავითო, იმიტომ, რომ ეგეთი რამეები არ გვქონდა წართმეული, მეტიც განგებაც კი გვქონდა დატოვებული, რომ ყურადღება მაგეებზე გადაგვეტანა და ნამდვილი ამბავი კი განზე დაგვრჩენოდაო.

ამბობენ და, რა ვიცი. მართალია, თუ ტყუილია, მგონი, არც აქვს მნიშვნელობა იმიტომ, რომ წარსულია და ვერ შეცვლი. რაც არ უნდა ფურცლები ხიო და სხვა ფურცლები ჩააწებო, ერთ დღეს მაინც გამოირკვევა. ზოგჯერ ისეც კი წავა ლაპარაკი, რომ საკუთარი განცდების შეგრცხვება, ესე იგი, რა დებილი ვყოფილვარ, რომ სისულელე კი მქონია გულში, მაგრამ ეს სისულელე მაინც ფერადად და ტკბილად მახსენდება-თქო.

უბრალო საქმეა, სულ უბრალო.

ნამდვილი განცდა რო გაქვს ნამდვილ რაღაცაზე.

მაშინაც ეგრე იყო, რომ ადამიანზე უამრავი რამე ახდენდა გავლენას. ბიჭზე – განსაკუთრებით. სკოლა, წიგნები, ქუჩა, რა ვიცი, მართლა ბევრი იყო. ოღონდაც, მაშინ ისე იყო, რომ პერსონის დანახვა ჭირდა. ხალხი არ იყო ტელევიზორში და არც სადმე სხვაგან. თუ იყო და, ძალიან ცოტა. იმათზე ვამბობ, ვინც ირიბად ახდენდნენ გავლენას, ოღონდ კი ვერსად ნახავდი.

თორემ, ქუჩაში ვინც იყვნენ და ვისაც ხედავდი, ისინი ბევრად იოლად ახდენდნენ გავლენას. ამიტომ ცხოვრება სხვანაირი იყო. სოციალიზმი და ის მოგონილები კი არა, თვითონ ცხოვრება იყო სხვანაირი.

ერთადერთი, რასაც ყველაზე მეტი ხალხი ერთად ხედავდა, ცოცხლად და სინამდვილეში, იყო ფეხბურთი და ფეხბურთი ახდენდა გავლენას ყველაზე და ყველაფერზე. ადამიანების უმრავლესობის ხასიათი და გუნება-განწყობა, განსაკუთრებით, ფეხბურთზე იყო დამოკიდებული, თორემ იმ დროს თბილისში შაქარი და კარაქი ტალონებზეც კი იყო. ეს ასე იყო 1977 წლიდან, როცა მიძინებული თბილისის „დინამო“ ისევ გამოფხიზლდა და ისევ სახალხო საქმედ შეიქნა.

რაც არ უნდა, რბილად რომ ვთქვათ, მოულოდნელად გაისმოდეს, მე ფეხბურთის გარდა ბევრი არაფერი მიანტერესებდა და ცხოვრებას აზრი და აზარტი „დინამოს“ თამაშიდან თამაშამდე ჰქონდა. რატომ და იმიტომ, რომ, ალბათ, ეს იყო ნამდვილი საერთო სიხარულის ერთადერთი საშუალება.

არც ისეთი გემრიელი და ბედნიერი სურათი მინახავს ოდესმე, გაზაფხულის საღამოს ჩვენი სტადიონი რომ წარმოადგენდა. არ მინახავს და რა ვქნა! ეგრე, თამაშის დაწყებამდე, ეგრე ორმოცი წუთით, ნახევარი საათით ადრე.

სტადიონის მეორე იარუსს დიდი ცისფერი წარწერა ჰქონდა შემოვლებული. იქ ეწერა „სლავა კპსს“. მაგრამ მაგ წარწერებს მაშინ ყურადღებას არავინ აქცევდა.

არც ისეთი სურათი მინახავს ოდესმე, მეორე ტაიმის დაწყების წინ, სტადიონზე პროჟექტორებს რომ აანთებდნენ და მინდორი სულ სხვანაირ მწვანე ფერს რომ მიიღებდა. სხვათა შორის, დინამოს სტადიონიდან განათებული თამაშების ტელეგადაცემა უვარგისი იყო, ცუდად ჩანდა, თურმე რაღაცა ლუქსები არ იყო საკმარისი, თუ მერე დაცოტავდა, არ ვიცი. პროჟექტორებზე უამრავი ჩიტი იჯდა ხოლმე.

არ ვიცი, სხვები როგორ იყვნენ, ისეთ ბიჭებსაც ვიცნობდი, რომლებიც ფეხბურთს საერთოდ არ უყურებდნენ და მასე არც ფიქრობდნენ, მაგრამ გარშემო სხვა სალაპარაკო მე არ მახსოვს. სპორტს, ისევე როგორც კულტურას, მოგეხსენებათ, საზღვრები არა აქვს და ფეხბურთით რაღაცნაირად მაინც ხედავდი მსოფლიოს. რაღაცნაირად.

იყო ასეთი მოლოდინი: როდის მომჯობინდება ყიფო.

დათო ყიფიანი ხშირად იყო ხოლმე დამტვრეული, მაშინ ფეხებში რტყმაზე ბარათებს არ იძლეოდნენ.

ეს იყო სერიოზული მოლოდინი.

რა თქმა უნდა, ეს იყო უბრალო გულშემატკივრის მოლოდინიც, რომ გუნდის ლიდერი მწყობრში ჰყოლოდა, ანდა უფრო შემოქმედებითი ხალხისთვის – მოლოდინი მისი თამაშით ტკბობისა, ანდა ორივე ერთად. მაგრამ სინამდვილეში, ამ კაცის საქმიანობის არსი და გავლენა უკიდეგანო იყო. თანაც ყიფო იყო ყველაზე ცნობილ ადამიანთა შორის, ალბათ, ერთადერთი, ვისაც ცოცხლად ნახავდი კვირაში ერთხელ. ვერ მისწვდებოდი, ვერ დაელაპარაკებოდი, მაგრამ ხედავდი.

ყველაზე ახლოს იყო.

ყიფო მხოლოდ ფეხბურთი არ იყო. ისე გამოვიდა, რომ იმ წლებში ყიფო დღევანდელი სიტყვით რომ ვთქვათ, იმიჯი იყო. მთელი იმ პატარა და მსოფლიოსთვის უცნობი ქვეყნის იმიჯი იყო ყიფო, ესესერ-შიც და იმის გარეთაც.

ეს იყო იმიჯი, რომელიც არა მხოლოდ მოგვწონდა და ვეთანხმებოდით, რომ აი, ჩვენ, ეს ვართ, ჩვენ ეს გამხდარი, მხრებში ოდნავ მოხრილი მაღალი კაცი ვართ, ძალიან ჭკვიანი, მდუმარედ ემოციური, დახვეწილი. არა მხოლოდ მოგვწონდა, არამედ აღფრთოვანებული ვიყავით, რომ ასეთი იმიჯი გვაქვს.

ეს ნამდვილად ასე იყო. მე ასე მახსოვს. ასეთი გავლენა ქვეყანაზე არავის ჰქონდა. პოლიტიკას და იმეებს კი არ ვამბობ, ცეკა-ტეკა, ძალა, კანონები, პარლამენტები, მილიციაპოლიციები და რაღაცები რომ გაქვს და შენი რომ ეშინიათ იმიტომ, რომ რაც გინდა, იმას უზამ და გავლენაც დიდი გაქვს იმათ ფიქრებზე და გუნებაზე.

არა, უბრალო სახალხო გავლენისას მოგახსენებთ. ანუ მე ვიცი, რომ ასეთი ვარ. კი, ბატონო, შეიძლება, არ ვარ ასეთი, მაგრამ ყიფოს თამაშისა და იერის შემხედვარე ყველა ფიქრობს, რომ მე ასეთი ვარ და ეგ უკვე ძალიან მაგარია. იმიტომ, რომ ასეთი კარგი, ასე ყველას დასანახად, მე მეტი არაფერი მაქვს.

ეგრე იყო გავლენის ამბავი, მე მომწონდა და, ალბათ, სხვებსაც, ძალიან ბევრს.

თორემ ჩემზე, სხვა რაღაცებმაც მოახდინეს გავლენა: ფილმმა „არ დაიდარდო“, წიგნმა „უცხო ჩიტი“ და სპექტაკლმა „კავკასიური ცარცის წრე“.

ოღონდ, ყიფო სხვა იყო. სულ სხვა. კიდევ როდის მოხდება, რომ რაღაც მსგავსი იყოს, არ ვიცი.

თავისუფალი ბაზარი VS თავისუფალი „ბაზარი“

შოთა გაგარინი
რიჩარდ ფალკზე

რატომ არ არიან დღევანდელი დისიდენტები ისევე ცნობილნი, როგორც მათი წინამორბედები, რომლებიც საბჭოთა იმპერიას უპირისპირდებოდნენ 1970-80 წლებში?

ჰო, „ცნობილი“ და არა – „წარმატებული“. წარმატებულები – არიან.

21-ე საუკუნის დისიდენტებს, ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლებს, ყველა სანატრი ინსტრუმენტი აქვთ ხელთ – იუთუბი, ი-მეილი, ბლოგი. და მაინც, იშვიათი გამონაკლისების გარდა (მაგ. ჯულიან ასანჟი, მაგრამ ეს ცალკე ფენომენია), ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია ცნობადობის ისეთ ხარისხს, როგორსაც, მაგალითად, ანდრეი სახაროვმა, ვაცლავ ჰაველმა.

რაშია საქმე? გულუბრყვილო პასუხია, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად ყველა არაჰუმანური სისტემა ამოიძირკვა ან აღარ ხდება იმ მასშტაბის დანაშაულები კაცობრიობის წინააღმდეგ... რომ ჯავშნოსნები გადაშენდნენ და სულ არაა საჭირო კურდღელზე 50მმ კალიბრიანი მაგნუმით ინადირო.

ეშმაკის მთავარი ოინიც ხომ ეგაა – დაგარწმუნოს, თითქოს იგი არ არსებობს.

თანამედროვე, საკულტო დისიდენტები და აქტივისტები ამ ეშმაკს ეძებენ სწორედ. ერთ-ერთ მათგანზე მოვყვები, რიჩარდ ფალკზე. ეგეც ეშმაკს ეძებს. თითქოს „წარმატებულადაც“, მაგრამ არა – სახალხოდ. არა კი არა, ვერა. დღეს ცენზურა სხვანაირად გამოიყურება. „წამყვან დემოკრატიებში“ არავინ აკრძალავს შენს წიგნს. რად უნდათ? უარესი შეუძლიათ – სრული იგნორირება. უამრავი ტრანსგრესიული მესიჯის წამლეკავ ნაკადში უფრო და უფრო რთულია რამის გამორჩევა. პარადოქსია – უამრავი არხის, წელიწადში ასი ათასი რომანის, მილიონი ანგარიშის და ასი მილიონი პუბლიკაციის ერთ ბაზარზე მოხვედრა ახალი ნაკადების წარმოქმნას ხელს უშლის. ოკეანეში ეს ნაკადი შეუმჩნეველია. სიმრავლე – მრავალფეროვნების ილუზიას ბადებს, როცა, სინამდვილეში, შენს წინ ერთი დიდი ნაცრისფერი მასაა.

თანამედროვე დისიდენტები წამყვან უნივერსიტეტში კითხულობენ ლექციებს, უამრავ რესურსზე მიუწვდებათ ხელი, მაგრამ ისინი არ არიან „ტროცკები“.

იქნებ დრამა, სისასტიკე, სიკვდილია გადამწყვეტი? იქნებ მხოლოდ ამის შემდეგ მიგიღებს ხალხი, როგორც „მართალს“?

შეიძლება.

მაგრამ განა არის რამე უფრო ტრაგიკული, ვიდრე შეუსმენლობა, იგნორირება, შეშლილად შერაცხვა? ეს ხომ ყველაზე ტრაგიკულ ეპოსებშიც ყველაზე საშინელი წყევლაა – მითიური კასანდრას წყევლა.

რიჩარდ ფალკი საუცხოო მაგალითია – საერთაშორისო სამართლის პროფესორი პრინსტონის და კალიფორნიის უნივერსიტეტებში. ყველაფერი აქვს – 80 წელი ზურგს უკან, ქარიზმა... რადიკალიზმსაც ვერ დაუწუნებთ: აშშ-ს „პატრიოტიზმის აქტს“ „ფაშისტური მონაჩმახი“ უწოდა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას გენოციდად აფასებს. ერთ მონაკვეთს მოვიტან მისი ნაწერიდან, თვალსაჩინოებისთვის. აი, მაგალითად ეს: 2003 წლის პუბლიკაციაში „იქნება იმპერია ფაშისტი?“ ვკითხულობთ, – „ანგარიშუგები სამხედრო ძალა, უკრიტიკო, შოვინისტური პატრიოტიზმი და კანონის დაცვისადმი ავტორიტარული მიდგომა ინდიკატორია ამერიკის ფაშიზმისკენ მოძრაობისა. ტერორიზმისგან მომავალი საფრთხე უბრალო იარაღია აშშ-ს სახელმწიფოს ხელში, რათა ლეგალურად აკონტროლოს შიშის ქვეშ მყოფი ამერიკელი ხალხი“. ოცამდე წიგნის ავტორია. პოლიტიკური თეორიის – კოსმოპოლიტური დემოკრატიის – სულისჩამდგმელი. ამბობს, რომ 1950 წლებში, როცა პრეზიდენტ მაკარტისეული ანტიდემოკრატიული ძალები ამოქმედდნენ კომუნისტ კუდიანებზე სანადიროდ, მაშინ ამერიკამ პირველად დაამტკიცა, რომ შეუძლია თავად იყოს კუდიანიო. და ახლაც, პოლიტიკური ძალაუფლების სიმაღლეები თეთრ სახლში და პენტაგონში დაიპყრეს ამერიკული გლობალური სტრატეგიის ექსტრემისტმა მომხრეებმაო (ბუშს და კომპანიას გულისხმობდა). „ამერიკული ფაშიზმის ანტიდოტად“ მიაჩნია „ხალხის გლობალური ასამბლეის“ შექმნა, მმართველი ორგანოსი, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის ჩართვას გლობალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში. ამგვარმა ორგანიზაციამ უნდა განაგოს ყველა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაო.

მოკლედ, ისეთი კაცია, ნებისმიერ თავმოყვარე მემარცხენეს დორბლები რომ უნდა სდიოდეს მის ხსენებაზე. ყოველ შემთხვევაში, იცოდეს მაინც. მე კი აზრზე ვერ მოვედი, ვინ იყო. სტამბულში გავიცანი წელს, გამოხატვის თავისუფლებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. კონფერენციის მერე მწვანეების აქციაზე წავედით ერთად. ჩემი გაუთვითცნობიერებლობის და კიდევ იმის გამო, რომ სხვა ბევრი საინტერესო ადამიანი იყო გარშემო, კარგად ვერ ველაპარაკე. თუმცა ზუსტად მახსოვს ერთი ფრაზა: „დაჩქარებული ისტორიის და ურთიერთსაპირისპირო ტენდენციების პირობებში, უფრო ნათელია, ვიდრე ოდესმე, თუ რა აუცილებელია ადამიანის ცნობიერების შემზადება შემდეგი ათასწლეულისთვის“. მაშინ რიჩარდ ფალკი ჩემთვის „ბრენდი“ არ იყო და ეს ფრაზა გავატარე – ჩაიპრესა გალანტურობის უაზრო დემონსტრაციებსა და სხვა წინადადებებს შორის, ნაღეჭი კევივით რომ იცის აკრობა – არც გჭირდება, ვერც იშორებ.

ახლა რომ ვფიქრობ, ეს ფრაზა იმაზე მეტს ამბობს, ვიდრე ფალკი გულისხმობდა. პრობლემა შემდეგშია: რიჩარდ ფალკს სურს „ახალი ადამიანის“ შექმნა, მაგრამ, აბა რა ახალი, ძველებამდეც ვერასოდეს მიაღწევს. ფალკს აქვს წარმატება: მუშაობს გაერთიანებული ერების ადამიანთა უფლებების საბჭოში, პალესტინის ტერიტორიებზე ისრაელის მოქმედებების მეთვალყურედ დანიშნეს, კითხულობს ლექციებს, გამოსცემს წიგნებს, არ ერიდება ისრაელს „ნაცისტური“ უწოდოს და „პალესტინური ჰოლოკოსტი“ იყვიროს საჯაროდ (თვითონაც ებრაელია), ან 11 სექტემბრის ტერაქტში ამერიკელი ნეოკონსერვატორი სენატორების და პრეზიდენტის კვალი ეძებოს, პრინსტონის უნივერსიტეტის კათედრალიდან... მაგრამ შოთას არ ეცოდინება, ვინ არის რიჩარდ ფალკი. ჟაკს არ ეცოდინება რას ბაზრობს რიჩარდ ფალკი. აშშ კი დაიკვეხნის, რომ ასე მტრულად განწყობილ აქტივისტს ქვეყნიდან არ აძევებს.

აი, რას ქვია თავისუფალი ბაზარი VS თავისუფალი „ბაზარი“.



„მადლობა ჩვენი სვეტიცხოველისთვის!“

ლევან ბუთხუზი
ნუგზარ ზაზანაშვილზე

სამწუხაროა, მაგრამ უნდა გამოვტყდე – საკუთარი ენა ჯეროვნად არ ვიცი და ზოგიერთი უცხო ტერმინის შესატყვის ქართულს ვერ ვძებნი. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა „visionary“. ჩემმა მეგობარმა სიტყვა „მჭვრეტელი“ შემომთავაზა. არ ვიცი, „მჭვრეტელი“ გამოხატავს თუ არა „visionary ადამიანს“, ანუ იმ ბრძენს, რომელსაც აქვს ტალანტი, თავისი „ფეთქებადი ფანტაზიით“ მომავალი განჭვრიტოს, იგრძნოს, რა უნდა მოხდეს, რა იქნება საჭირო და შესაბამისად იმოქმედოს. ანუ, მარტივად – ადამიანი, რომელიც დროს უსწრებს!

ზოგი თავის დროს საუკუნეებით უსწრებს (მაგალითად, ლეონარდო), ზოგიც ერთი ათწლეულით (მაგალითად, ნუგზარ ზაზანაშვილი), მაგრამ ორივეს ერთი რამ აქვს საერთო – ისინი მომავლის ჭვრეტის ტალანტით არიან დაჯილდოებულნი. მათ იციან, რა მოხდება და ამისთვის დღეს დებენ აგურებს მომავლის საძირკველში.

ბევრს დღემდე არ ესმის, რომ საქართველოს განძი მხოლოდ სვეტიცხოველი (კრებითად) არ არის. საქართველოს საუნჯე მისი ველური ბუნებაც და მისი ბიომრავალფეროვნებაცაა. თამამად ვამბობ – ლაგოდეხის ნაკრძალი, ვაშლოვანის ნაკრძალი, თუშეთის ნაკრძალი და საქართველოს ოცამდე სხვა დაცული ტერიტორია ჩვენი სვეტიცხოველია! დღეს თუ ყველას პირზე გვაკერია დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა და ვამაყობთ იმით, რომ ყბაჩამოგდებული და ხორკლიანი კანით დაფარული ქართველი თუ უცხოელი უყურებს ჩვენს ბუნებას, ნუგზარის დამსახურებაა! ცხადია, იყვნენ და არიან სხვებიც – გოგა სანადირაძე, ნინო ჩხობაძე, ზურა გურიელიძე, ირაკლი მაჭარაშვილი, იასონ ბადრიძე, ირაკლი შავგულიძე, ბეჟან ლორთქიფანიძე... და ყველა ჩვენგანის დიდი მასწავლებელი, ასევე visionary გია ნახუცრიშვილი, მაგრამ ნუგზარ ზაზანაშვილი სულ პირველი იყო, ვინც 90-იანების გაჭირვებისას „ჩაიციკლა“ ჩვენი საუნჯის გადარჩენის იდეით და საქართველოში დაცული ტერიტორიების უკეთ განვითარების საფუძველი ჩაყარა.

მავანს შესაძლოა, ეს მხოლოდ დიდ ეროვნულ საქმედ მიაჩნდეს. მაგრამ თუ საკითხს ცოტა უფრო ღრმად ჩავუფიქრდებით, მივხვდებით, რომ ეს ნამდვილად გლობალური მნიშვნელობის საკითხია. დღეს მთელ სამყაროში, მხოლოდ და მხოლოდ 25 აღიარებული ადგილია, რომლებსაც ბიომრავალფეროვნების „ცხელი წერტილი“ ეწოდება. ანუ ადგილი, სადაც დედამიწის (ბიოლოგიური თვალსაზრისით) ყველაზე მდიდარი და ამავდროულად, ყველაზე იშვიათი ეკოლოგიური რეგიონებია. იმისთვის, რომ რომელიმე ადგილი ამ ნუსხაში მოხვდეს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ მკაცრ კრიტერიუმს:

ა) იგი უნდა გამოირჩეოდეს ბიომრავალფეროვნების ძალიან მდიდარი მაჩვენებლით. ანუ, უნდა შეიცავდეს სამყაროში გავრცელებული ენდემური სახეობებიდან მინიმუმ ათას ხუთასს. გაუცნობიერებელი მკითხველისთვის ვიტყვი, რომ ენდემური სახეობა ის უნიკალური ბუნებრივი საუნჯეა, რომელიც სამყაროს სხვა არცერთ ადგილას არ გვხვდება (ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი კულტურული საუნჯე – სვეტიცხოველი).

ბ) ამ ადგილს ისტორიულ წარსულში (სამწუხაროდ) დაკარგული უნდა ჰქონდეს თავისი პირველადი მცენარეული საფარის 70%, რაც დედამიწაზე სიცოცხლის დაღუპვის სერიოზულ საფრთხეს შეიძლება, წარმოადგენდეს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რომელიმე ამ წერტილის „ნგრევის“ გაგრძელება მთელ სამყაროს უქმნის საფრთხეს (ხატოვანი და ტრაგიკული მაგალითია ამაზონის ჯუნგლები, როგორც სამყაროს ფილტვები).

სამყაროს ამ 25 „ცხელ წერტილში“ საქართველოს ბუნებაც შედის, როგორც სამხრეთ კავკასიის უმდიდრესი ფლორის და ფაუნის ყველაზე მნიშვნელოვანი რეზერვუარი.

თუ გავიხსენებთ შავბნელ 90-იანებს და ჩვენი ტყეების უმოწყალო „პარსვას“, მივხვდებით, გლობალური თვალსაზრისით, რა საშიშროებას ვქმნიდით არამარტო ჩვენთვის, არამედ სამყაროსთვისაც. ხოლო თუ ამ ლოგიკას მივყვებით, მარტივად მივხვდებით, რომ ახალი დაცული ტერიტორიების შექმნით და ძველების გაძლიერებით, ჩვენ სამყაროს ფილტვებს ვმკურნალობთ და მარტო ქართველი ბავშვის გადარჩენაზე არ ვზრუნავთ.

დღეს, სიტყვა „ჩვენ“, ცხადია, რელევანტურია (რადგან უკვე ძალიან ბევრი ადამიანია ჩაბმული ამ საქმეში), მაგრამ, ამავე დროს, ცოტა ხმამაღალი ნათქვამიცაა, რადგან იმ შავბნელ 90-იანებში ყველაზე უკეთ ნუგზარ ზაზანაშვილი ხედავდა, რა იყო გასაკეთებელი, და რაც ყველაზე მთავარია, ის ყველაზე ზუსტად ჭვრეტდა როგორ (!) უნდა გაკეთებულიყო საქმე.

უმრავლესობა, ვინც სამყაროს ცვლის, მოურიდებლად ლაპარაკობს ამაზე. და ეს კარგია, რადგან ჩვენ, დანარჩენებს, გვიჩნდება მოტივაცია, მათ მივბაძოთ. მაგრამ ამ კაცს, ერთი განმასხვავებელი თვისება აქვს. მას სჯერა, რომ კარგი ცვლილება შეიძლება, ფეხაკრეფით შემოვიდეს ჩვენს სამყაროში და სამუდამოდ შეცვალოს იგი.

პარადოქსი ისაა, რომ ეს მოუსვენარი „ბუნტარი“ სამყაროს „წყნარად“ ცვლის და ბევრმა არ იცის, რომ ჩვენს უახლეს ისტორიაში საქართველოს ბუნებრივი საუნჯის გადარჩენისთვის გაკეთებული მრავალი საქმე მისგან მოდის. რომ ქვეყანაში შემოსული მრავალი ათეული მილიონი მის იდეებს და „visionary ხედვებს“ ეფუძნება. ამ თვალსაზრისით, მან საქართველოს ბუნების დაცვის თვისობრივად ახალ ეპოქას ჩაუყარა საფუძველი.

ღრმად მწამს, რომ თუ ადამიანი იმსახურებს, მას სიცოცხლეშივე უნდა დაუდგა ძეგლი. და რადგან ქვასთან მუშაობის არანაირი ნიჭი არ მაქვს, ვცდილობ, ამ სიტყვებით მაინც ვუთხრა:

ნუგზარ, ძეგლს გიდგამთ ყველანი, ვინც ვიცით, ვინ ხარ და გვინდა, რომ მთელმა ქვეყანამ გაიგოს, ვინ ხარ! მადლობა ბორჯომისთვის, მადლობა ლაგოდეხისთვის და ბევრი რომ არ ჩამოვთვალო, მადლობა ჩვენი სვეტიცხოველისთვის!

„ჩემი დაქირავება შეიძლება, მაგრამ ვერ მიყიდი“

დავით ჩიხლაძე

ნიკ ზედზე

2003 წელს ნიკ ზედი ბრუკლინის დამბოს რაიონში ვნახე შუაღამისას. დიახ, სწორედ ღამის 12 საათზე. მერე დილამდე ერთად ვიყავით, ცოტა ლუდიც დავლიეთ და ეს რამდენიმე დღეს გაგრძელდა. დამბო აკრონიმია და ინგლისურად ნიშნავს Down Under the Manhattan Bridge Overpass, ანუ ეს ის მონაკვეთია, რომელიც მანჰეტენისა და ბრუკლინის დამაკავშირებელი ორი ხიდის, მანჰეტენისა და ბრუკლინის ხიდების ქვეშ მდებარე ინდუსტრიულ ტერიტორიას მოიცავს ბრუკლინის მხარეს. ისევე, როგორც ბრუკლინის მეორე ჰიპსტერული უბანი – უილიამსბურგი, დამბოც კონტრკულტურის ტრადიციის ერთგვარ თავშესაფარს წარმოადგენს. აქ შედარებით იაფად შეიძლება საცხოვრებელი ადგილის მოძებნა, ვიდრე ეს მანჰეტენის რომელიმე მსგავს უბანში, ისტ ვილიჯში თუ ლოუერ ისტ საიდზე იქნებოდა შესაძლებელი.

მაშინ ნიკ ზედს, იმ დროისთვის უკვე ანდერგრაუნდის ლეგენდად ქცეულ კინორეჟისორს საკუთარი კინო-პროგრამებისთვის დაუთმეს აქ ერთი თეატრის სივრცე. სეანსები გვიან, ღამის 10 საათზე იწყებოდა და დილის 6 საათამდე ატანდა, რაც ნიუ-იორკისთვისაც კი ნამდვილად უცხოა და ასეთი ენერგეტიკული ტვირთის ტარება ისევ მხოლოდ ნიკ ზედისთვის თუ იქნებოდა ასატანი. ამ პროგრამაში ერთ დღეს მთლიანად 70-იანი წლების ავსტრიელი პერფორმანსის ჯგუფს, ვენის აქციონისტების დეკადენტურ ფილმებს დაუთმო სეანსი. ეკრანის წინ გამოვიდა, სათვალე მოირგო და ფურცლიდან ამოიკითხა, თუ ვინ იყო ოტო მიული ან ჰერმან ნიცში, რა როლი შეასრულეს მათ თანამედროვე ხელოვნებაში და კერძოდ, ანდერგრაუნდის კინოში. ამ ფილმების ჩვენება ამერიკაში მხოლოდ მეორედ გაიმართა, პირველად რომელიღაც უნივერსიტეტის კამპუსში აჩვენეს და ამჯერად, ფაქტობრივად, არა მხოლოდ ნიუ-იორკის, საერთოდ ამერიკის პრემიერაც გამოვიდა. მიუხედავად ასეთი კონტექსტისა, მახსოვს, სულ 3 ადამიანი ვისხედით დარბაზში 14 მილიონიანი ქალაქიდან. მაგრამ აღარ მიკვირდა, ასე იყო მანამდეც და მერეც, ჟან ლუკ გოდარის ახალი ფილმის „ნოტრ მიუზიკის“ პრემიერა რომ მოეწყო „ანთოლოჯი ფილმ არქივში“, სულ 8 კაცი ვიყავით მაყურებელი.

2003 წელი ჯერ კიდევ ის დროა, როცა ინტერნეტში იმდენ რამეს ვერ ნახავდი, რასაც დღეს (თუმცა ის დღესაც შორსაა იმისგან, რომ ყველაფერი ნახო, როგორც ეს მისი ყოვლისშემძლეობისადმი პოპულარულ რწმენაშია დამკვიდრებული). ნიუ-იორკში ნიკ ზედს მანამდეც შევხვედრივარ და ეს სწორედ ისეთი ადგილები იყო, რომლებიც არათუ მსოფლიოში, მათი მსგავსი ამერიკის სხვა ქალაქებშიც არ არსებობდა, ინტერნეტში არსებობაზე ხომ საერთოდ ირონიული იქნება ლაპარაკი – მაგალითად, მაღაზია „კიმს ვიდეო“, სადაც შეგეძლოთ, შეგეძინათ ან დაგექირავებინათ ყველაფერი, რაც კი კინოს ანდერგრაუნდს და, საერთოდ, კონტრკულტურას შეეხება – ნიუ იორკ დოლზი, აიზენშტაინი, ვერტოვი, დებორი, ჯეკ სმითი, რიჩარდ კერნი, პაზოლინი, კენეტ ანგერი და გოდარი, ლიდია ლანჩი, დაიმანდა გალასი, ნიკ ზედი, სერგო ფარაჯანოვი, გიორგი შენგელაია და სხვ. სენტ მარკსის ქუჩაზე მდებარე ეს ლეგენდარული მაღაზია დღეს დაკეტილია, ინტერნეტმა ჩაძირა. ნიკ ზედის ფილმებს დივიდიზე კი მხოლოდ აქ შეიძენდით. 2001 წელს ამ დივიდი კოლექციის („არანორმალური: ნიკ ზედის კინო“) პრეზენტაცია ლოუერ ისტ საიდში, ლადლოუ სტრიტზე, ანდერგრაუნდის ცნობილ თეატრში „კოლექტივ: ანკონჩესში“ მოეწყო. ხალხით გაჭედილ პატარა დარბაზში 80-იან წლებში მის ფილმებში მონაწილე რამდენიმე მსახიობსაც მოჰკრავდით თვალს. შეიძლება ითქვას, ეს ნიკ ზედის ორიგინალური პერიოდის ოფიციალური დასასრული იყო. ამ ციკლში ბოლო ფილმი, ალბათ, 18-წუთიანი მეტრაჟის „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ (2001) აღმოჩნდა, რომელშიც ნაკლებად ჩანდა ტრანსგრესია და ხაზგასმით პოეტური და დეკადენტური იყო. პირველად აქ გამოჩნდა მისი ახალი მსახიობი, პერფორმანს-არტისტი სენტ რევერენ ჯენ მილერი. მოგვიანებითაც, ამ თეატრში აჩვენებდა ხოლმე თავის ახალ „ელექტრა ელფის“ სერიის ფილმებს, რომლებიც უკვე ახალ გელფრენდთან, სწორედ რევ ჯენთან თანამშრომლობით შეიქმნა. ამბობენ, რევ ჯენის დამსახურებაა, რომ ნიკ ზედის ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო, ამბობენ, რომ მან გამოიყვანა დეპრესიიდან, ზოგს კი მიაჩნია (ყოველ შემთხვევაში, ასეთი ქსეროქს-პოსტერები იყო გაკრული ერთხელ ისტ ვილიჯის ქუჩებში), რომ ნიკ ზედის სულისკვეთება სხვაა და ასეთი მსუბუქი და კლოუნადით აღსავსე ფილმები რევ ჯენის ხელწერა უფროა და ეს ლეგენდარული არტისტის დისკრედიტაციას ახდენს. ადრე კი, 90-იანი წლების ბოლოს, თუ ისტ ვილიჯში ნიკ ზედის ფილმების ვიდეო კასეტებს მიაგნებდით, მათი მხოლოდ დაქირავება იყო შესაძლებელი და როდესაც ერთხელ შევეკითხე, თუ სად შემეძლო მისი ფილმები შემეძინა, ზუსტად ასე მიპასუხა: „ჩემი დაქირავება შეიძლება, მაგრამ ვერ მიყიდი“. 2007 წელს ნიკ ზედმა რევ ჯენთან ერთად ბოლო ფილმი გადაიღო „სამშობლოზე უარესი ჭირი არ არსებობს“, სადაც ელფებთან ერთად ამჯერად უკვე მთლიანად 11 სექტემბერთან დაკავშირებული კონსპირაციის თეორიის მონათხრობი იყო ლაიტმოტივი. მიუხედავად იმისა, რომ ნიკ ზედის თავდაპირველი თანამოაზრეები და კოლეგები – რიჩარდ კერნი, ჯონ უოტერსი და სხვ. თანდათანობით მიღებულნი იქნენ ისტებლიშმენტის ინსტიტუტების მიერ, ნიკ ზედის ახალი ფილმები დღეს ისეთ ალტერნატიულ ფესტივალებზეც კი არ არის დაშვებული, როგორიცაა ნიუ-იორკის ანდერგრაუნდის ფილმების ფესტივალი

და ჩიკაგოს ანდერგრაუნდის ფილმების ფესტივალი. არადა, მნიშვნელოვანწილად, სწორედ ნიკ ზედთან არის დაკავშირებული ის კულტურა, რასაც ისინი დღეს ჰყიდიან. მიუხედავად ყველაფრისა, ზედი ნიუ-იორკის პოპ-იდოლად რჩება.

ნიკ ზედი 1999 წელს ერთ ინტერვიუში წერდა, რომ მისი საყვარელი წიგნი არის რობერტ ანტონ უილსონის „ყველაფერი კონტროლის ქვეშაა“. მართლაც, მის ნამუშევრებში დიდია წილი პოლიტიკური და ანარქისტული დისკურსის, კონსპირაციის თეორიის, თუმცა მას ბრტყელი ლოზუნგების შექმნაზე არასოდეს უზრუნია, მის კინოში კი ასეთივე წილი ცხოვრების სიყვარულსა და ჰუმანისტურ ლირიკას ეკუთვნის. ზედი საკუთარი ფილმებით ამ ყველაფერზე გაცილებით ადრე ლაპარაკობდა, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, რომ ცა მეტად არასოდეს მოიქუფრება თავისუფლებისა და მშვიდობის მოყვარულთათვის ან, თუნდაც, მათთვის, ვისაც უბრალოდ უდარდელი ცხოვრება, ურბანული ბოჰემა და კარგი მუსიკის მოგროვება აინტერესებს. 1999 წელს დაიკეტა „ტოდო კონ ნადა“, ანდერგრაუნდის კიდევ ერთი თეატრი ლოუერ ისტ საიდში, ქირას ვეღარ იხდიდა მისი პატრონი. მერე კი არა მხოლოდ კონტრკულტურაში, ყველგან ხდებოდა ეს - „თაუერ რეკორდსი“ დაადგა იმავე გზას, დღეს კი თვით ინდუსტრიული გოლიათი „ვირჯინ მეგასტორიც“ აღარ არსებობს ნიუ-იორკში. „კიმს ვიდეომ“ ყველაზე დიდხანს გაძლო, 23 წლის ისტორიის მქონე ეს უპრეცედენტო კინო და მუსიკალური მაღაზია შარშან დაკეტა მისმა მფლობელმა, კორეელმა ემიგრანტმა იონგმან კიმმა. მისი უნიკალური კოლექცია იტალიაში, სიცილიაზე გადასახლდა, კერძო მეცენატის მფლობელობაში, რადგანაც, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ამ უზარმაზარმა არქივმა ამერიკაში პატრონი ვერ მოძებნა.

ნიკ ზედმა 1985 წელს დაწერა მანიფესტი, რომელმაც მისი თანამოაზრე ნიუ-იორკელი კინორეჟისორები გააერთიანა. სწორედ მისი შექმნილია ამ ჯგუფთან დაკავშირებული ტერმინიც „დარღვევის კინო“. აქ გაერთიანებული

იყვნენ რიჩარდ კერნი, ლიდია ლანჩი, მანუელ დე ლანდა, ბრედლი ეროსი. ეს მოძრაობა ეფუძნებოდა ამერიკულ კინო ავანგარდისა და პერფორმანსის არტის ერთ-ერთი პიონერის ჯეკ სმითის ტრადიციას, რომელსაც ნიკ ზედი, როგორც საკუთარ ავტობიოგრაფიულ წიგნში „სისხლდენა“ წერს, პირადადაც შეხვედრია ისტ ვილიჯში, მის პატარა ბინაში, რომელსაც გადასაღებ მოედნადაც იყენებდა. მთავარი ღირებულებები იყო შოკი, შავი იუმორი და ევეილებლიზმი, ანუ როდესაც ყველა ხელთ არსებული მასალა გამოიყენება დაბალბიუჯეტიანი კინო ნამუშევრის შესაქმნელად. მანიფესტის დასაწყისში ახალი ტალღის კინორეჟისორები გამოდიოდნენ ავანგარდის აკადემიური სნობიზმისა და მისი იმდროინდელი მოდური პროდუქტის, სტრუქტურალიზმის წინააღმდეგ. ეს მანიფესტი ზედისვე მიერ 1984-90 წლებში გამოცემულ „ანდერგრაუნდ ფილმ ბიულეტენში“ გამოქვეყნდა და მას ნიკ ზედმა ორიონ ჯერიკო ფსევდონიმით მოაწერა ხელი. აი, ერთი ნაწყვეტი ამ ისტორიული ტექსტიდან: „რამდენადაც არ არსებობს მიღმიერი ცხოვრება, ერთადერთი ჯოჯოხეთი ლოცვის, კანონმორჩილებისა და ავტორიტეტულ ფიგურებთან საკუთარი თავის დამცირების ჯოჯოხეთია, ერთადერთი სამოთხე ცოდვის სამოთხეა, იყო მოჯანყე, ტყნაურობდე, სწავლობდე ახალ რაღაცებს და არღვევდე იმდენ კანონს, რამდენსაც შეძლებ. გმირობის ასეთი აქტი მოიხსენიება, როგორც დარღვევა. ჩვენ ვაცხადებთ ტრანსფორმაციას დარღვევის გზით – რათა გადავკეთდეთ, ტრანსმუტაცია განვიცადოთ და გადავიდეთ არსებობის უფრო მაღალ დონეზე, რათა მივაღწიოთ თავისუფლებას ამ უცოდინარი მონების სამყაროში“.

მისი ცხოვრებაც ისეთივეა, როგორ ფილმები – ის მომხიბვლელია, გამოუცნობი და განდეგილი, წითლად შეღებილი თმით, მუქი წითელი ანარქისტული პერანგით და შავი ბატინკებით და მოკლე პალტოთი, პიჯაკის საყელოზე შეიძლება, ლენინის პატარა სამკერდე ნიშანი ჰქონდეს მიბნეული, ხელში კი დიდი შავი ფანარი ეჭიროს და მოგანათოთ. მას უმუშავია ტაქსის მძღოლად ნიუ-იორკში, იმ დროს, როდესაც ქალაქის მერი ჯულიანი ჯერ კიდევ არ არსებობდა ნიუ-იორკელებისთვის და ქალაქიც ასგზის საშიში იყო. თუმცა, როდესაც რუდი ჯულიანიმ ე.წ. ცხოვრების ხარისხის პროგრამა წამოიწყო, ნიკ ზედმა მალევე კრიტიკული და ირონიული ფილმი შექმნა ამ თემაზე „მე ვყოფილვარ ცხოვრების ხარისხის დამრღვევი“, სადაც მხარს უჭერდა ქალაქის კოლორიტულ მკვიდრებს – უსახლკაროებს, პანკებს, ჰიპებს, ალკოჰოლიკებს, ახალბედა აზიელ ემიგრანტებს, რომლებიც სულაც არ უშლიდნენ ხელს ცხოვრების ხარისხს და პირიქით, მას საკუთარ განუმეორებელ და სასიცოცხლო ხიბლს მატებდნენ. როდესაც 2001 წლის 11 სექტემბერს თვინ თაუერსი დაინგრა, ნიკ ზედი ბინ ლადენის ტანსაცმელში და გრიმში გამოწყობილი ატარებდა პერფორმანსს. ბარ „ნაიაგრაში“ თანამედროვე ნიუ-იორკული, ჰიპსტერული კლასიკური ჯაზის ფონზე მისი ნახატების გამოფენა ეწყობოდა, ის იყო დიჯეი ნიუ-იორკის კონტრკულტურის მრავალ ტრენდი ბარში, ნოისის ბენდ „ზაიკლონ ბიტლსთან“ ერთად ჩაწერა სინგლი „მოიხმარე და მოკვდი“, მის მეგობარ კინორეჟისორ გოგონასთან, გიმილი გიტასთან ერთად „ბარმასიში“ აწყობდა არტისტულ და რეტრო პორნო-ფილმების ფესტივალს და როგორც რევ ჯენი, ირონიულ ინფანტილურ ზღაპრებზე შეყვარებული პერფორმანს-არტისტი და ტროლების პატარა მუზეუმის მეპატრონე ამბობს, მას არ ეშინოდა ჩაეცვა ვარდისფერი.

ნიკ ზედის მთავარი ფილმებია „ომი მენსტრუალური შურია“, „ვჰორგაზმი“, „რისთვის არსებობ“, „ფალოსის ბეჭედთა მეუფე“, „ლიდია ლანჩის ველური სამყარო“ და „საპოლიციო სახელმწიფო“. მისი ფილმების გმირები მისივე რეალური ცხოვრების პროტოტიპები არიან, ხოლო მათ როლებს ნიუ-იორკის დაუნთაუნის ისეთი ცნობილი პიროვნებები ასრულებენ, როგორიცაა პანკ მომღერალი კემბრა პფალერი, მუსიკოსი, მწერალი და პერფორმერი ლიდია ლანჩი, პერფორმანს არტისტი ენი სპრინკლი, ფეისბოი, „ტოილეტ ბოისის“ გიტარისტი ჯონ ვომიტი, ნიუ-იორკის პანკ კულტურის ლეგენდა რიჩარდ ჰელი და მისი პირველი სატრფო, ბოჰემური, იდუმალი და პოეტური დონა დეფი, რომელმაც 1979 და 1983 წლებში ითამაშა ზედის პირველ ფილმებში „ისინი ჭამენ ქაფს“ და ვამპირესა სკამბელინას როლი ფილმში „ახირებულთა ჟინის ბინგო.“

ნიკ ზედმა 1998 წელს დაწერა ახალი მანიფესტი „ქსენომორფოზის თეორია“, სადაც ის ამბობს, რომ კინოთეატრში ყოფნისას ჩვენ ზუსტად ნახევარ დროს სრულ სიბნელეში ვატარებთ – და ამგვარადვე, კინოფირის პროეცირებისას სინათლისა და სიბნელის თანაბარი მონაცვლეობის მაგალითზე განაგრძობს, რომ დროა საზოგადოებამ ქსენოფობია გარდაქმნას და აღარ ეშინოდეს ცხოვრების არცერთი მხარის.

პრომეთეა ვოიაჟი, (ყოფილი სჟტტ ვოიაჟი), გთავაზობთ

ტურისტულ მოგზაურობას საფრანგეთში

- თვითმფრინავისა და მატარებლის ბილეთები,
- საუკეთესო სასტუმროები,
- ევროპისნეიერენდი თქვენი შვილებისათვის,
- ინდივიდუალური ექსკურსიები,
- ტრანსფერები და ავტომობილის დაქირავება,
- ცნობილი ხესტორნები და კაბარეები

12 იანვრიდან პარიზში იწყება ზამთრის ფასდაკლების პერიოდი, იჩქარეთ, ჩვენ გთავაზობთ ეთაკვირიანი ტურებს 392 ევროდან

ღირებულებაში შედის: სასტუმრო დილის საუზმით, სავიზო მომსახურება და დაზღვევა.
დამატებით: ავიაბილეთის ღირებულება - 350 ევროდან.

კოსტავას 45ა, სასტუმრო ვარაზი, მე-2 სართული, 22 14 25, 22 14 26, 890 22 14 25
info@promethea-voyages.com, nato-cgtt@voyages.com.ge
www.promethea-voyages.com, www.cgtt-tbilissi.ge

ჰანა მახმალბაფი

„მშობლები სჯიან თავიანთ შვილებს, სახელმწიფო სჯის თავის მოქალაქეებს“

ანუ სასტიკი კულტურა და თავისუფლების ვაქცინა

ავტორები: თეო ხატიაშვილი, დავით გაბუნია
ფოტო: თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის არქივიდან

სამყარო ნერვული პოლიტიკურ/სოციალურ/კულტურულ/სულიერი კრიზისების ზღვარზე – ასე შეიძლება, დავახასიათოთ თბილისის XI საერთაშორისო კინოფესტივალი. ფესტივალის საკონკურსო თუ პარალელურ პროგრამებში წარმოდგენილ ფილმებში შფოთვას, განწირულობისა თუ გამოუვალობის განცდას სხვადასხვა „ეტიმოლოგია“ აქვს (რასაკვირველია, სხვადასხვა სახისა და დონის მხატვრული გადაწყვეტაც) – კომუნისტური სისტემის ნგრევა, რომელიც, სინამდვილეში, არც დანგრეულა და აგრესიისა და სისასტიკის კოშმარულ ხილვად იქცა (ს. ლოზნიცას „ჩემი ბედიერება“), რომელსაც მოჰყვა ომი და ემოციებისგან დაცლილი მექანიკური ადამიანები (ვ. პერიშიჩის „ჩვეულებრივი ადამიანები“), კულტურულ-რელიგიური გაუცხოება და ოჯახური დრამები (ჟ. ჟბანიჩის „გზაზე“), სოციალური კატასტროფა და დაშლილი ოჯახები (რ. პირველის „სუსა“, დ. მამულიას „სხვა ზეცა“), ტრავმირებული მშობლები და მშობლებისგან ტრავმირებული შვილები (პ. სალას „კატების დედა ტერეზა“)... ჟელიმირ ჟილნიკი (წლევანდელი ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე) რუსეთის ზეგავლენისგან (მათ შორის, მენტალური) ვერგათავისუფლებული სერბეთის მაგალითზე სამყაროს ძალზე ცინიკურ პერსპექტივას (უფრო სწორად, უპერსპექტივობას) გვიჩვენებს, სადაც კაპიტალიზმი ხანგრძლივი ტრადიციების მქონე სკოლაში მიღებული დახვეწილი მანერებით მოქმედებს („კაპიტალიზმის ძველი სკოლა“). ამ სამყაროში პლასტიკური ოპერაციები ყველაფერი ნაღდის კორექციას ახდენს (ყოველ შემთხვევაში, ცდილობს), რადგან ტყუილი და ილუზია უფრო კარგად იყიდება (ს. ფრირზის „თამარა დრიუ“).

ალბათ, ამიტომაც მოახდინა დიდი შთაბეჭდილება მაყურებელზე ჰანა მახმალბაფის „გაუმართავმა“ კინომ, რომელიც ნამდვილ, არაკორექცირებულ განწყობებს, იმედს, ფრუსტრაციას, შიშს, სისასტიკეს ასახავს არჩევნებისწინა და არჩევნების შემდგომ ირანში. მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „მწვანე დღეები“ ფესტივალის არასაკონკურსო პროგრამაში იყო ნაჩვენები, 21 წლის ჰანა მახმალბაფი კი ჟიურის ერთ-ერთი წევრი გახლდათ. ის თანამედროვე ირანული კინოს ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურის, მოხსენ მახმალბაფის ქალიშვილია, რომელთა კინემატოგრაფიული ოჯახი, უკვე რამდენიმე წელია, ყურადღებას იპყრობს საერთაშორისო საფესტივალო ასპარეზზე, მათ შორის, ზოგჯერ ირონიისა და კრიტიკის ქვეშაც ექცევა ერთგვარი კლანურობისა და პოლიტიკური ანგაჟირებულობის გამო. ჰანას პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც 8 წლის ასაკში გადაიღო, უკვე ლოკარნოს ფესტივალზე მოხვდა, 13 წლის ასაკში გადაღებული პირველი სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური სურათი კი ვენეციაში უჩვენეს. ცხადია, ასეთ ადრეულ ასაკში ჰანა მახმალბაფის კინოთი დაინტერესება მამამისმა განაპირობა.

როგორ გაგიჩნდათ ეს ინტერესი – მამა მიზანმიმართულად გაჩვენებდათ ფილმებს და გასწავლიდათ, თუ უბრალოდ, გარემო იყო ისეთი, რომ სხვაგვარად წარმოუდგენელიც კი იქნებოდა?

8 წლის, ანუ მეორე კლასში ვიყავი, როცა ჩემმა 16 წლის დამ (კინორეჟისორი სამირა მახმალბაფი, ავტორი ფილმებისა „ვაშლი“, „შავი დაფები“, „5-ზე, შუადღისას“ – თ.ხ.) მამაჩვენს გამოუცხადა, სკოლაში სიარული აღარ მინდა, აღარც უნივერსიტეტში სწავლას ვაპირებ, რადგან აქედანვე ვიცი, რომ საბოლოოდ კინოს შესწავლა მაინტერესებს და შენზე უკეთ ირანში ამას ვერავინ გააკეთებსო. მოკლედ, უნივერსიტეტში დროის დაკარგვა არ უნდოდა, რადგან ყველა საგანს რელიგიური კუთხით ასწავლიდნენ: ისტორიას, სპარსულ ენას და თვით მათემატიკასაც კი. ადრეული ბავშვობიდან მამასთან გადასაღებ მოედნებზე ვიყავით, ირგვლივ სულ ხელოვანი ხალხი გვეხვია. ყოველ დილით კი მივდიოდით სკოლაში და იქ სულ სხვანაირი გარემო გვხვდებოდა, რის გამოც ძალიან ვიტანჯებოდით. სკოლაში მასწავლიდნენ, რომ ხელები არავისთვის უნდა მეჩვენებინა, უნდა დამეფარა, თორემ ჯოჯოხეთში მოვხვდებოდი და ღმერთი სკალპს ამაძრობდა, მოკლედ, ძალიან დამტანჯავდა. სახლში კი მიხსნიდნენ, რომ ღმერთი ენერგიაა, რომელიც ჩვენდამი კეთილადაა განწყობილი, რომელსაც ვუყვარვართ.

სწავლა მამაჩემის მიერ დაარსებულ საოჯახო სკოლაში დავიწყეთ. თავიდან ის მთავრობისგან ნებართვას ითხოვდა, რომ სკოლა ოფიციალურად დაეფუძნებინა, მაგრამ მთავრობის წარმომადგენლებმა ამის უფლება არ მისცეს, ირანს ერთი მახმალბაფიც ეყოფაო. ჩემი ოჯახი სულ კინოსთან და საერთოდ, ხელოვნებასთან იყო დაკავშირებული. თავიდან მხატვრობით ვიყავი გატაცებული. ცნობილ ირანელ მხატვართან ვმეგობრობდი კიდეც, საათობით ვიჯექი და ვუყურებდი, როგორ ხატავდა. თუმცა თანდათან ვხვდებოდი, რომ გამუდმებით თავის სახელოსნოში, მარტოდმარტო იჯდა და თუ მეც მხატვარი გავხდებოდი, სამყაროსთან კავშირი მხოლოდ ფუნჯითა და ტილოთი მექნებოდა. ამ დროს, მამაჩემის გადასაღებ მოედანზე ისეთი ენერგია ტრიალებდა, რომ შეუძლებელი იყო, ეს გარემო არ შეგყვარებოდა. მომწონდა, როგორ მუშაობდა მამა – როცა ის დიალოგს წერდა, თითქოს თანამოსაუბრეების სულში აღწევდა და იქიდან გამო-

ჰქონდა სიტყვები. ასე რომ, მხატვრობას კინო ვარჩიე. 8-დან 16 წლამდე მამაჩემის კინოსკოლაში ვსწავლობდი. მთელი ამ ხნის განმავლობაში ჩემი ოჯახის წევრების ფილმების გადაღებებში ვმონაწილეობდი და თვითონაც ვიღებდი.

ერევა მამათქვენი გადაღების პროცესში? იქნებ რჩევებს გაძლევთ ან თქვენ მიმართავთ რაღაც მომენტებში დასახმარებლად?...

მამაჩემმა თავიდანვე ერთი პირობა წამოგვიყენა: ნებისმიერი რამ შეგიძლიათ შეისწავლოთ, მაგალითად – ფილოსოფია, მაგრამ ამ არჩეულ საგანზე უნდა კონცენტრირდეთ 2-3 თვის განმავლობაში, ყოველდღიურად სულ მცირე 8 საათიო. მახსოვს, ზოგჯერ დღეში 16 საათსაც ვმუშაობდით. ზოგჯერ გვეძინა, როცა მამა გვაღვიძებდა და საქმის კეთებას გვავალებდა, გვეუბნებოდა – კინოს დრო არა აქვს, ეს უნდა იყოს თქვენი ცხოვრება, თქვენი სამუშაო, რომელიც ყველა სხვა სამუშაოსგან განსხვავდებაო. რაც შეეხება ჩარევას – მამამ კინო მასწავლა, კინო, როგორც ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც საკუთარ თავს გამოხატავ. როცა უფრო პატარა ვიყავი და რაიმეს ვეკითხებოდი, მპასუხობდა, მე კინო გასწავლე და ახლა შენი ჯერია, მიდი და სამყაროს აჩვენე, რას ხედავ, რას გრძნობო. მაგალითად, დედაჩემი ჩემი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის ავტორი იყო, თუმცა ჩვენს ოჯახში ვინმე რაიმეს თუ აკეთებს, დანარჩენები არ ერევიან. თუ მამა იღებს ფილმს, საბოლოო გადაწყვეტილება მისია. ასევეა ჩემს შემთხვევაში. თუ მას რაიმე სათქმელი აქვს, ადგება და თვითონ გადაიღებს. უფრო მეტიც, ის გადასაღებ მოედანზეც კი არ მოდის ხოლმე, როცა ფილმს ვიღებ.

ჰანა მახმალბაფის პოლიტიკური კინო ნამდვილად განსხვავდება მამამისისგან, რომელიც უფრო პოეტურ-ნაივურ სამყაროს ქმნის, მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობიდანვე აქტიურად იყო ჩაბმული პოლიტიკურ ცხოვრებაში, რისი გამოძახილი მის ფილმებშიც იკითხება. თავდაპირველად მახმალბაფი ანტიშაჰისტურ ოპოზიციასა და ისლამურ რევოლუციას თანაუგრძნობდა (ის დაპატიმრებულიც იყო), თუმცა მალე მიხვდა, რომ რელიგიური ექსტრემიზმი მხოლოდ ამყარებდა ქვეყანაში სასტიკ კულტურას – როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „მშობლები სჯიან თავიანთ შვილებს, სახელმწიფო სჯის თავის მოქალაქეებს“. „თეირანი – ეს არის ცრემლების ქალაქი, პოლიციის ქალაქი, მაგრამ მე მიყვარს ეს ქალაქი“ – ეს სიტყვები უკვე ჰანა მახმალბაფის ფილმში გაისმის რამდენჯერმე. „ყველაზე ძალიან პირველად მაშინ მენყინა, როდესაც გავიგე, რომ პრეზიდენტი ვერ გავხდებოდი ჩემს ქვეყანაში, რადგან ქალი ვარ... მერე რეჟისორობა მინდოდა, მაგრამ თეატრებიც დახურეს“ – ესეც „მწვანე დღეებიდან“ არის, თუმცა თავად ჰანა მახმალბაფი კატეგორიულად უარყოფს, თავისი ფილმების პოლიტიკურად მოხსენიებას.

არა მგონია, ჩემი ფილმი „ბუდა სირცხვილისგან მოკვდა“ პოლიტიკური ფილმი იყოს. მე ვიტყოდი, რომ ეს უფრო ანტი-პოლიტიკური ფილმია. აქ არავინ არავის ამტყუნებს ან ამართლებს, უბრალოდ გეუბნება: იქნებ სამყარო, რომელიც ომებითაა სავსე, ერთი წამით მაინც გაჩერდეს, შეხედოს ამ უდანაშაულო ბავშვებს და არ დაივიწყოს ისინი. ჩვენ ყველაფერზე ვლაპარაკობთ, რამდენად სამართლიანი იყო ავღანეთის ომი და ა.შ. მაგრამ არასოდეს არაფერს ვამბობთ იმაზე, თუ რა დაემართათ ამ უდანაშაულო ბავშვებს ომის შემდეგ. ბავშვებისთვის ნამდვილი სკოლა მშობლების მიბაძვაა. თუ ბავშვი გამუდმებით ომს უყურებს, რა უნდა ისწავლოს?

რაც შეეხება „მწვანე დღეებს“ – სიტუაცია ირანში, ზოგადად, ძალიან პოლიტიზირებულია... არავის, ვინც არჩევნებზე ხმის მისაცემად წავიდა, მათ შორის მეც, პოლიტიკაში ჩარევა არ გვინდოდა. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ეს ხომ სრულიად ჩვეულებრივი რამაა – ადამიანები არჩევნებში იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ისინი სულაც არ ერევიან პოლიტიკაში; ჩემს ქვეყანაში კი ადამიანები მხოლოდ იმიტომ დახოცეს, რომ ხმის მიცემის უფლება გამოიყენეს და მერე მოიკითხეს საკუთარი ხმები. მე არ ვაპირებდი პოლიტიკური ფილმის გადაღებას, უბრალოდ, ფილმს ვიღებდი, მაგრამ პოლიტიკა ყველას ცხოვრებაში შემოიჭრა. მეც, როგორც ირანის მოქალაქეს, როგორც ზღვაში წვეთს, მოვალეობა დამეკისრა, გადმომეცა ჩემი ხალხის, ირანელების ტკივილი, რომელსაც ვხედავდი.

ვიღებდი ფილმს იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა თითოეულმა ირანელმა განწყობა მრავალწლიანი ბოიკოტის შემდეგ და გადაწყვიტა არჩევნებზე წასვლა და როგორი რთული იყო ამ ცვლილების მიღწევა. ვფიქრობდი, რომ ამ ფილმში საარქივო მასალებსაც ჩავურთავდი, რადგან ეს არ იყო პირველი შემთხვევა ირანში, როცა მთავრობამ ხალხზე ზეწოლა მოახდინა. რამდენიმე წლის წინ უნივერსიტეტში უამრავი ხალხი დახოცეს. სწორედ ამ არქივების გამოყენებას ვაპირებდი. რას წარმოვიდგენდი, რომ იგივე განმეორდებოდა. იმ დღეებში უამრავმა გამბედავმა ადამიანმა თავად გადაწყვიტა ჟურნალისტობა, ისინი იღებდნენ ვიდეოს და იუთუბზე ათავსებდნენ. მე თუ მკითხავთ, იუთუბზე დადებულმა ვიდეოებმა, რომლებიც ფილმში გამოვიყენე, უფრო მეტად შეცვალეს სამყარო, ვიდრე მთელი ირანული კინოს ისტორიამ ერთად აღებულმა. ამიტომაც გადავწყვიტე მათი გამოყენება საარქივო მასალების ნაცვლად. ირანელები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ სულ ცოტა თავისუფლება მაინც მოეპოვებინათ და ამისთვის ისინი ძალიან მიყვარს. ჭკვიანი ხალხია და კარგად იციან, რომ ერთბაშად მთელ თავისუფლებას ვერ მიაღწევ, ჯერ მცირედი თავისუფლებისთვის მაინც უნდა იბრძოლო.

როგორც ვიცი, ამ ფილმის გამო ირანში ვერ ჩადიხართ?

უკვე ფილმის კეთების პროცესში ირანიდან გაქცევა მომიხდა, რადგან არჩევნების შემდეგ ძებნაში ვიყავი. დაბრუნება ჯერ კიდევ არ შემიძლია. რამდენიმე თვის წინ ჩემი ფილმი უნდა ეჩვენებინათ ლიბანის კინოფესტივალზე, სადაც იმავე დროს აჰმადინეჯადი აპირებდა ჩასვლას. ირანის მთავრობამ სთხოვა კინოფესტივალს, ეს ფილმი არ ეჩვენებინათ, სანამ აჰმადინეჯადი ლიბანში იქნებოდა. ფესტივალის ორგანიზატორებმა თანხმობა განაცხადეს, ფილმს კონკურსგარეშე ვაჩვენებთო, თუმცა მანამდე „მწვანე დღეები“ კონკურსში იყო ჩართული. ამას მოჰყვა მუქარა, თუ ფილმს აჩვენებთ, კინოთეატრს ავაფეთქებთო. მოკლედ, აჰმადინეჯადმა ჩემი ფილმი სხვა ქვეყანაშიც აკრძალა, რაც ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. ის ქვეყნის პრეზიდენტია, დიდ ძალაუფლებას ფლობს, არმიას აკონტროლებს, მაგრამ 22 წლის გოგოს ფილმის ეშინია, რომელიც ციფრული ვიდეოკამერითაა გადაღებული. მახსოვს, მაშინ ინტერვიუ მივეცი „ალ არაბიას“ და ვთქვი, თუ აჰმადინეჯადი სიმართლეს ამბობს და ამტკიცებს, რომ მე ჩემს ფილმში ვიტყუები, რატომ არ აძლევს ხალხს მისი ნახვის საშუალებას? მაგრამ, როგორც ჩანს, შეეშინდა, რომ თუ ლიბანელები ამ ფილმს ნახავდნენ, შეიძლება მის ჩასვლას შეწინააღმდეგებოდნენ. საერთოდ მშიშარა ადამიანია და გამუდმებით იტყუება. პირველი არჩევნების წინ ირანელ ხალხს ჰპირდებოდა, რომ სიღარიბეს დაძლევდა, ათას რამეს გააკეთებდა, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი აღმოჩნდა. მეორე არჩევნების წინ განაცხადა, თქვენს ხმებს პატივს ვცემო, მაგრამ ხალხი დახოცა. სწორედ ასევე ეუბნება ლიბანელებსა და პალესტინელებს, ისრაელისგან დაგიცავთო, რაც ასევე ტყუილია და მხოლოდ იმისთვის სჭირდება, რომ ყურადღება გადაიტანოს ირანისგან, თითქოს იქ არც არაფერი მომხდარა.

ფილმის კეთების პროცესში ირანიდან გაქცევა მომიხდა, არჩევნების შემდეგ ძებნაში ვიყავი. დაბრუნება ჯერ კიდევ არ შემიძლია.

არ ვიცი, შეიძლება იმიტომ, რომ ფილმის მთავარი გმირიც და თქვენც ქალი ხართ, რის გამოც შესაძლოა ინტერვიუებისთვის უფრო მეტად ქალებს მიმართავდით, მაგრამ მომეჩვენა, რომ დემონსტრაციებსა და ქუჩებში გამოსულ ადამიანებს შორის ქალების სიჭარბე შეიგრძნობა. მართლაც ასე იყო?

ფილმში მთავარი მსახიობი ქალია, რადგან ამ ფილმში სწორედ ქალის თვალით დანახული პრობლემის ჩვენება მინდოდა, მაგრამ ამავე დროს ქუჩებში მართლაც ძალიან ბევრი ქალი იყო. ვფიქრობ, ეს იყო რეაქცია ოცდაათწლიან წნეხზე, რომელსაც რელიგიური მთავრობა ახორციელებს. რა თქმა უნდა, კაცები ძალიან დიდი წნეხის ქვეშ არიან, მაგრამ ქალებისთვის ეს წნეხი ორმაგია – ჩვენ, ქალებს ხომ გაცილებით მეტად გვაწუხებს ძალადობის პრობლემა... როცა მწვანე მოძრაობა დაიწყო, ქალები უფრო მეტად გამოჩნდნენ. ეს მშვიდობის, თავისუფლების სიმბოლო იყო, იმართებოდა მდუმარე აქციები და ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დემონსტრაციებზე იყო ყველა – ახალგაზრდა, მოხუცი, ქალი, კაცი, რელიგიურები, არარელიგიურები და ა.შ. დედაქალაქში, სხვა ქალაქებში, ყველგან... ასე რომ, ეს არ ყოფილა რომელიმე ჯგუფის მოძრაობა – არამედ საერთო იყო.

წელან თქვენ ახსენეთ, რომ ის, რასაც სკოლაში გასწავლიდნენ, ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც თქვენ ოჯახში ილებდით. ხშირად მომისმენია, თითქოს იგივე ქალთა უუფლებობის საკითხი დასავლეთისგან ხელოვნურად შემოგდებული დისკურსია, რომ ეს ამ კულტურის ორგანული მდგომარეობაა – სახლში თავისუფლად ცხოვრობენ, გარეთ გამოსვლისას კი ამ პირობითობას ეგუებიან და თავს კარგად გრძნობენ. რამდენად კომფორტულად ცხოვრობენ მართლაც ირანელები ამ ორმაგი ცხოვრებით?

ვეთანხმები ამ აზრს, ირანის ქუჩები მართლაც საუდის არაბეთს ჰგავს, მაგრამ სახლებში ნამდვილი ლოს ანჯელესია. ჩვენ ამას ვეჩვევით. ნურავის ეგონება, რომ ირანელი ხალხი წერა-კითხვის უცოდინარია და აჰმადინეჯადს შეუძლია, აკეთოს ყველაფერი, რასაც ჰიტლერი აკეთებდა თავის დროზე. XXI საუკუნეში სიტუაცია შეიცვალა, ინტერნეტი გვაქვს, ვმოგზაურობთ, ვსწავლობთ, ასე რომ, მას არ შეუძლია, იგივე გაიმეოროს. თუმცა, აჰმადინეჯადი მაინც ცდილობს ჰიტლერის გზას მიჰყვეს – ჯერ თავის ხალხს ხოცავს, შემდეგ კი სხვებს გადასწვდება და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. პრობლემებია ყველგან, ნებისმიერ სფეროში – თუ გაზეთში რაიმეს დაწერ, ამ გაზეთს დახურავენ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში რაც ხდება, ეს ნამდვილი საშინელებაა: ორმაგი ცხოვრების საშუალებასაც არ გაძლევენ. სუნთქვაც კი შეუძლებელია: თუ ცხვირზე წაგიჭერენ ხელს, პირით ისუნთქებ, თუ პირს დაგიხშობენ, ყურებით ეცდები, მაგრამ ამასაც გიშლიან. მაგრამ ხალხი იმასაც ნელ-ნელა ეჩვევა, რომ ძალადობას წინ აღუდგეს – პირველად როცა დაგიჭერს პოლიცია, ეს ძალიან მძაფრი განცდაა, მეორედ უკვე ისე აღარ გეშინია, თითქოს ვაქცინა გაგიკეთესო; ამასაც ეჩვევი, რადგან შეუძლებელია თავისუფლების გარეშე ცხოვრება.

ესეი

სექსი და სიკვდილი – არაბი მწერალი ქალების სახიფათო თამაშები

ავტორი: თეონა დოლენჯაშვილი

სადღაც, ექვსი წლის წინათ, როდესაც მოთხრობის „ფიდაი, ანუ ამინა 3-დან 5-მდე“-ს წერა დავიწყე, არაბი ტერორისტი ქალების სასამართლო პროცესების დაკითხვის ოქმებს გავეცანი. ბუნებრივია, ეს ის ქალები იყვნენ, რომელთაც ტერორისტული აქტის განხორციელება ვერ მოახერხეს და სტენოგრაფიულ ჩანაწერებში თითოეული მათგანი მწარედ ნანობდა ამას. ისინი საუბრობდნენ პოლიტიკაზე, ამქვეყნიურ უსამართლობაზე, საკუთარ მოტივაციებზე, და რაც განსაკუთრებით საინტერესოდ მომეჩვენა, ტერაქტისთვის მზადების პროცესზე. ისე ჩანდა, რომ სიკვდილისწინა პერიოდი განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო მათთვის, ისეთივე ამაღელვებელი, როგორიც, ვთქვათ, სასიყვარულო პაემანის ან პირველი საქორწინო ღამის მოლოდინი... ეს მაშინ ამ ქალების რელიგიური ფანატიზმითა და ექსტრემიზმით ავხსენი. მაშინ თავად აღმოსავლეთი იყო ჩემთვის ეგზოტიკა, ხოლო აღმოსავლელი ქალები ამ ეგზოტიკის ნაწილი. ეგზოტიკა კი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ის საბურველი, ჩადრი, ბურქაა, რომლის უკანაც ნამდვილი სახეები და ამბები იმალება.

ახლა, ამდენი წლის შემდეგ, ვცდილობ, ამ ქალებს პოლიტიკური და რელიგიური მოტივაციების ჩადრი ჩამოვხსნა და უფრო ქალური, ანუ უფრო მნიშვნელოვანი მოტივები ვეძებო. იქნებ იქ, ნამდვილ აღმოსავლეთში ეს ერთგვარი გამოსავალია? იქნებ ეს მათი ერთგვარი სურვილია, ვნებაა, იქცნენ შურისმაძიებლად, იქცნენ საბედისწერო ქალად, სახიფათო და, ამავე დროს, ძალიან მნიშვნელოვან არსებად, რომელიც აალაპარაკებს საკუთარ ქუჩას, ქალაქს, მსოფლიოს... იქცნენ, ვთქვათ, „თამილელი ვეფხვების“ ან „სიკვდილის ანგელოზების“ (ლამაზი სახელები ჰქვიათ, არა?) წევრად, რომელთაც მოაქვთ ტერორი. ტერორი, როგორც რობესპიერი იტყოდა, „ღირსების აქტი, რომლის შედეგი მკაცრი, სწრაფი და შეუქცევადი სამართლიანობაა.“ იქცნენ ქალად, რომელსაც მოაქვს სიკვდილი. სიკვდილი, როგორც თავისუფლება, გარდასახვა. როგორც განაცხადი.

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად არაბი მწერალი ქალების შემოქმედებას მივმართე. იმათ ტექსტებში ჩავიხედე, რომელთათვისაც აღმოსავლეთი ეგზოტიკა კი არა, სამშობლოა. თუმცა, ამავე დროს, დიდი იმედი არ მქონდა, რომ იქ მათ მიერ გულწრფელად აღწერილ შეულამაზებელ ცხოვრებას დავინახავდი. ვფიქრობდი, რომ უმეტესად სტრიქონებს შორის კითხვა მომიწევდა. გარდა ამისა, არაბული ლიტერატურა ხომ, ძირითადად, სტილური თამაშებია, სადაც უმთავრესი ენობრივი ქსოვილი და მისი დეკორატიული მაქმანია და ამ დროს მეტი რისკია, ეს ისედაც რთულად მოსაყოლი ამბები მხატვრულ ფორმას შეეწიროს.

მაგრამ არაბმა ქალებმა, როგორც ჩანს, უკვე ყველა აკრძალვა და ტაბუ დაარღვიეს (თუ რეალურ ცხოვრებაში არა, ლიტერატურაში მაინც) და ისეთი გულწრფელობით და სიმართლით წერა შეძლეს, რომელზეც, ალბათ, კიდევ დიდხანს ვიოცნებებთ თუნდაც ჩვენს სამამულო ლიტერატურაში.

ამ უკიდურესად მწვავე, ბასრი სამართებლის პირზე დაწერილ ამბებში ქალები უმეტესად საკუთარ თავზე, საკუთარ ვნებებსა და სასოწარკვეთაზე წერენ, წერენ საოცარი სიცხადით, სითამამით, წერენ გამუდმებით, შეუსვენებლად, შეპყრობილივით... ეს არც არის გასაკვირი, მაგალითად, ალიფა რიფათისგან. ეგვიპტელი მწერლისგან, რომელსაც 15 წლის მანძილზე წერას უკრძალავდნენ, ქალისგან, რომელიც 15 წლის განმავლობაში ქმარს უმალავდა ფურცლებს, კალმებს, რვეულებს, საკუთარ სურვილს. სანამ რიფათის პროზას შესანიშნავი მთარგმნელის იზოლდა გრძელიძის მიერ ნათარგმნ წიგნში „ღიმილი წყლის ბაგეზე“ გავეცნობოდი, ჟურნალ „აშ-შაჰიდიდან“ გადმოთარგმნილი მისი ინტერვიუ წავიკითხე, სადაც ის საკუთარ ცხოვრებაზე საუბრობდა. საუბრობდა, როგორ დაუპირისპირეს მშობლებმა მის სურვილს, ესწავლა ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე – გათხოვება, ხოლო წერის სურვილის ჩაკვლას უკვე პოლიციელი ქმარი ცდილობდა და „დანაშაულზე“

„ქალებმა ჩემს დას წრე შემოარტყეს და ფეხები ჰაერში ააწევინეს. ალ ჰაჯა-ვარდამ, სოფლის ბებიაქალმა, ღმერთი ახსენა და საფიასკენ გაემართა; თავისი გაძვალტყავებული თითებით სხეულის სათუთ ნაკეცებში დაუწყო ქექვა. ცოტა ხანში ხორცის პატარა ნაჭერი ეკავა ხელში და თითებით სრესდა.“

წასწრება ხანგრძლივი შინაპატიმრობით სრულდებოდა. რიფათიც საბოლოოდ ქმრის ნებას დამორჩილდა, წერა მიატოვა და შვილების აღზრდას მისცა თავი, მაგრამ ღრმა სულიერ დეპრესიაში ჩავარდა, რომელიც ორი წლის მანძილზე გრძელდებოდა და რომლის მიზეზიც ექიმებისთვის ბოლომდე აუხსნელი დარჩა. ეს რაღაც სიყვარულის ავადმყოფობას წააგავდა, ან აუცილებელი სასიცოცხლო არტერიის გადაკეტვას. რიფათის მდგომარეობა უარესდებოდა მანამ, სანამ ქმარმა ცოლს წერის ნება არ დართო და მწერლის შემოქმედებამაც ბოლო-ბოლო დღის შუქი იხილა.

თითქმის ასეთივე ბარიერების გადალახვა მოუხდა ყველა არაბ მწერალ ქალს. ასეთი ქალებისთვის წერა საქმე და პროფესია კი არა, ბედისწერაა...

ალბათ, არც ის უნდა მოგვეჩვენოს ძალიან უცნაურად, რომ ამ ღრმად რელიგიური ქალების ნოველების მთავარი თემა სექსი და სიკვდილია. მათი პერსონაჟი სექსუალურად დაჩაგრული ქალია. თავად რიფათი ამბობს, რომ „ქალი დაჩაგრულია სოციალურად და სექსუალურად. თავის ქმართან ურთიერთობაშიც კი. ეს უკანასკნელი მისგან გრძნობების დათრგუნვას ითხოვს, რადგან მიაჩნია, რომ სექსუალური სურვილების გამოვლენის შესაბამისად ქალი თავისუფლების და პიროვნული დამოუკიდებლობის გასაღებს იგდებს ხელთ. არადა, სიყვარული ყველას უფლებაა, სექსი კი ის ურთიერთობა, რომლის დროსაც სულის, გრძნობების და ხორცის გაყოფა შეუძლებელია. სექსი სულიერ-ფიზიკური მდგომარეობაა და, ალბათ, ის ერთადერთი ჯილდოც, რომელიც ამ წარმავალ წუთისოფელში გვერგო“.

მოთხრობის პერსონაჟებს სწორედ ამ ჯილდოს მიღება აქვთ აკრძალული. მათ სამყაროში თავიდანვე კასტრირებულია ქალობა, ხორცთან ერთად მოკვეთილია გრძნობა, აღკვეთილი – ყოველგვარი სურვილი. არადა, თავიდან თითქოს ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, სამყარო მშვენიერია და მოთხრობის დასაწყისიც სკოლის მოსწავლე გოგონას გულუბრყვილო ჩანახატს წააგავს, რომელიც ყოველ დილით მზის ამოსვლის მშვენებას უცქერს, ჩიტების მხიარულ ჭიკჭიკს უსმენს, ხარბად სუნთქავს მინდვრის არომატს შეზავებულს ფურნეში საუზმისთვის გამომცხვარ პურის სურნელთან.

„იმ დილით კი, ვიდრე ბუნების ცქერით დავტკბებოდი, სარკმელთან მომწვდა მათი უხეში ხელი. ჩემს დას, საფიას კი – ლოგინში.

>>> გაგრძელება გვ. 118

დიდი და „მცირე“ იმპერიები

ავტორი: გიორგი მაისურაძე
ილუსტრაცია: მაია სუმბაძე

„ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას,
გული გაუპოს დანამა!“
ხალხური

„მცირე იმპერია“

1989 წლის ივნისში გამოქვეყნდა ანდრეი სახაროვის ინტერვიუ სათაურით „თავისუფლების ხარისხი“, რომელსაც ყველაზე დიდი გამოძახილი საქართველოში მოჰყვა და დღემდე საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მწარე და უსიამო მოგონებად რჩება. ანდრეი სახაროვი – ცნობილი საბჭოთა ფიზიკოსი და დისიდენტი, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი, ადამიანი, რომელიც დღემდე ადამიანის უფლებებისათვის უკომპრომისო ბრძოლის სიმბოლოდაა მიჩნეული და ამ ინტერვიუს გამოქვეყნებამდე „საქართველოს მეგობრად“ ითვლებოდა, მომენტალურად ქართველი ერის მტრად და რუსული იმპერიალიზმის იდეოლოგად შეირაცხა. ასეთი აღშფოთების მიზეზი კი სწორედ ამ ინტერვიუში სახაროვის მიერ გამოთქმული ერთი მოსაზრება იყო, რომლისგანაც ახალი ტერმინი – „მცირე იმპერია“ შეიქმნა. სახაროვის თქმით, „ჩვენ მემკვიდრეობად მივიღეთ სტალინიზმისაგან იმპერიული სისტემა, იმპერიული იდეოლოგიით, იმპერიული პოლიტიკით – „გათიშე და იბატონე“. მემკვიდრეობით მივიღეთ პატარა რესპუბლიკებისა და მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ნაციონალური წარმონაქმნების ჩაგვრის სისტემა. ამგვარად, ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკები თავადვე იქცნენ მცირე მასშტაბის იმპერიებად“. აქედან გამოსავალს სახაროვი იმპერიული სისტემების სრულ დემონტაჟში ხედავდა, რომლის შედეგადაც ყველა მოკავშირე თუ ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქს თანაბარი სუვერენული უფლებები ექნებოდათ იმჟამინდელ საზღვრებში, ტერიტორიული მთლიანობის დაცვით. ასეთ საფუძველზე უნდა შექმნილიყო ახალი კონფედერაცია, რომლის თითოეულ სუბიექტს არჩევანისა და თვითგამორკვევის სრული თავისუფლება ექნებოდა. ამგვარად, ყველას შეეძლებოდა თავადვე გადაეწყვიტა ვისთან სურს თანაარსებობის გაგრძელება და ვისთან – არა. ეთნიკურ-ნაციონალური პრობლემების მოგვარების წინაპირობადაც სახაროვს იმპერიული ჩაგვრის სისტემის სრული და არა ნაწილობრივი დემონტაჟი მიაჩნდა და სწორედ ამ თემაზე საუბრისას იგი მიადგა საქართველოს: „ვიმეორებ, რომ დაწყება საჭიროა იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. მხოლოდ ამგვარად შეიძლება მოგვარდეს ეროვნული პრობლემა მცირე იმპერიებში, რომლებიც, თავისი არსით, მოკავშირე რესპუბლიკებია, მაგალითად საქართველო, რომელსაც საკუთარ შემადგენლობაში აფხაზეთი, ოსეთი და სხვა ეთნიკური წარმონაქმნები ჰყავს“.

საქართველოს იმდროინდელმა საზოგადოებამ სახაროვის ეს მოსაზრება ქართველი ერის შეურაცხყოფად და ლამის საქართველოზე თავდასხმად მიიღო. ქართულ პრესაში მომენტალურად გაჩნდა მორიგი სერია „ღია წერილებისა“ ანდრეი სახაროვის მიმართ და ასეთი პუბლიკაციები იმავე წლის 14 დეკემბერს სახაროვის გარდაცვალების შემდეგაც არ შეწყვეტილა. საქართველო, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ თავს საბჭოთა იმპერიალიზმის სანიმუშო მსხვერპლად აღიქვამდა, სრულიად მოულოდნელად, თავადვე აღმოჩნდა „მცირე იმპერიულობის“ მაგალითად მოხმობილი, თანაც იმ პიროვნებისგან, ვინც უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა 9 აპრილის მოვლენების მსოფლიოს საზოგადოებისათვის გაცნობაში.

სახაროვის სიტყვები საქართველოში დაახლოებით ისევე გაიგეს, როგორც იმავე დღეებში მერაბ მამარდაშვილის – „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“, ანუ როგორც საყოველთაოდ აღიარებული სიწმინდეების შებღალვა, როგორც პროვოკაცია, ღალატი. ქართული საზოგადოება სრულიად უუნარო აღმოჩნდა, თავისივე შექმნილი სტერეოტიპების მიღმა გაეხედა და აფექტური რეაქციების გარეშე, სახაროვის მოსაზრება თუნდაც სადისკუსიო ჰიპოთეზად მიეღო. საქართველო შეურაცხყოფილი იყო, რომ მისი, როგორც აბსოლუტური მსხვერპლის როლი და, აქედან გამომდინარე, სიმართლეც, ვიღაცამ საეჭვო გახადა და მას საკუთარი თავის აღქმის სხვა, მისთვის უცნობი თუ ცნობიერებიდან განდევნილი ვერსია შესთავაზა. სახაროვის დებულების არსი იყო ის, რომ სტალინის მიერ შექმნილ იმპერიულ სისტემაში „უცოდველი“ ვერავინ ვერ იქნებოდა: „იმპერიულობა“ და საკუთარ ერზე მცირერიცხოვანი ერის ჩაგვრა ამ სისტემის სტრუქტურას წარმოადგენდა, რომლისგანაც თავისუფალი ვერავინ იქნებოდა – ვერც დიდი და ვერც

მცირე ერები. საქართველოს სსრ, ისევე, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკები, საბჭოთა კავშირის ანალოგიით შექმნილი იმპერიული ერთეული და, ამდენად, ამ იმპერიის ორგანული ნაწილი იყო, რომელსაც ისევე ესაჭიროებოდა იმპერიული, არა მხოლოდ სტრუქტურებისგან, არამედ ცნობიერებისგანაც გათავისუფლება, როგორც დანარჩენ საბჭოთა კავშირს.

სახაროვის ეს მოსაზრება არ ყოფილა არც ერთადერთი და არც ბოლომდე ორიგინალური: XX საუკუნის არაერთი ევროპელი თუ ამერიკელი სოვეტოლოგი მიუთითებდა საბჭოთა იმპერიის სპეციფიკურ სტრუქტურაზე და იმ შესაძლო კონფლიქტებზე, რომელიც ამ იმპერიის დაშლისას მოსალოდნელი იქნებოდა. მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში კონფლიქტის საფუძველი არა მხოლოდ სტალინური იმპერიის სტრუქტურა, არამედ უფრო მეტად საქართველოს თვითაღქმა, მისი

> „დაწყება საჭიროა იმპერიული სტრუქტურის სრული დემონტაჟით. მხოლოდ ამგვარად შეიძლება მოგვარდეს ეროვნული პრობლემა მცირე იმპერიებში, რომლებიც, თავისი არსით, მოკავშირე რესპუბლიკებია.“ ანდრეი სახაროვი

იდენტობის განმსაზღვრელი სტერეოტიპები იყო, რომლებიც „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ მიერ მკვიდრდებოდა. სწორედ ეს სტერეოტიპები საშუალებას არ აძლევდა პოლიტიკურად გააქტიურებულ ქართულ საზოგადოებას, რომ საკუთარი ქმედებები კრიტიკული თვალით დაენახა, საკუთარ უცდომელობაში ეჭვი შეეტანა და ისეთი განსხვავებული აზრიც მოესმინა, რომელიც ამ სტერეოტიპებს არ შეესატყვისებოდა.

მსხვერპლი

მსხვერპლის როლი, რომელსაც განსაკუთრებით 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ საქართველო ითავისებდა და რომელზედაც იგი თავის პოლიტიკურ იდენტობას აგებდა, იყო ის სტერეოტიპი, რომლის პრიზმიდანაც საქართველო საკუთარ თავს და გარე სამყაროს ხედავდა: პატარა საქართველო დიდი და ბოროტი იმპერიის მიერ დაჩაგრული და სამართლიან ბრძოლაში მასთან შერკინებული. ასეთ წარმოდგენას სხვადასხვა სახის რელიგიური, კულტურული და თვით სამართლებრივი ასპექტებიც კი აქვს, თუმცა კი მსხვერპლად და ტარიგად საკუთარი თავის წარმოჩინება, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური იდეაა. ამ თემას, ზაალ ანდრონიკაშვილმა საგანგებო სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა, რომელშიც მან შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური მსოფლმხედველობის ამოსავალ პრინციპს „მარტიროლოგიური პარადიგმა“ უწოდა, ანუ როდესაც სახელმწიფო თავისი პოლიტიკური იდენტობის განმსაზღვრელად მოწამისა და უდანაშაულო მსხვერპლის ქრისტიანულ იდეას ირჩევს. ამგვარი თვითიდენტიფიკაცია ორი ძირითადი ტენდენციით გამოიხატება: პირველ რიგში, ესაა შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია, რომელიც ჰაგიოგრაფიული თხზულების ჟანრობრივ სტრუქტურას იმეორებს და საქართველოს ისტორიას ქრისტესათვის მოწამე წმინდანის ცხოვრების მსგავსად გამოსახავს. ამ მოტივის სეკულარიზაცია XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში დაიწყო და დიდ და მრავალრიცხოვან დამპყრობლებთან საქართველოს უთანასწორო ბრძოლის ეპოპეად ჩამოყალიბდა. მსხვერპლის იდეას განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაც აქვს, რომ მსხვერპლი ყოველთვის უცოდველი და მართალია, მას საკუთარი მოწამეობით ყველა ცოდვა აქვს გამოსყიდული, რაც მის შემდგომ ქმედებებსაც ამართლებს.

უკვე ამ სიუჟეტშივე ჩნდება მეორე ძირითადი ტენდენცია, რომელსაც ანტიიმპერიული აფექტი შეიძლება ეწოდოს. მისი ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოხატულებაა მეომარი მოწამის – წმინდა გიორგის კულტის ფართოდ გავრცელება და მისი თავისებური პოლიტიკური ინტერპრეტაცია ქართულ წერილობით თუ ზეპირ ტრადიციაში. საქმე ეხება წმინდა გიორგის ერთ იკონოგრაფიას, XI საუკუნეში, როდესაც ბაგრატიონთა სახელმწიფო, რომლის პატრონადაც ეს წმინდანი მიიჩნევა, საომარ მდგომარეობაშია ბიზანტიის იმპერიასთან. ასეთ პოლიტიკურ კონტექსტში ქართულ ხატებზე საქართველოს მფარველი წმინდანის მიერ იმპერატორის დამარცხება პოლიტიკური მანიფესტის შინაარსს იძენს: მცირერიცხოვანი და ნაწამები ქვეყანა შურს იძიებს ძლევამოსილ იმპერიაზე. მსგავსი ალეგორიული შინაარსის დანახვა შეიძლება X საუკუნეში შექმნილ და XX საუკუნის 20-იან წლებში აღმოჩენილ იოანე-ზოსიმეს ტრაქტატში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“: ქართული ენა, რომლის სახარებისეული ეკვივალენტიც ლაზარეა, მკვდარია, დამარხულია, მაგრამ მას ქრისტე მკვდრეთით აღადგენს და მეორედ მოსვლის ჟამს ამ ენაზე განიკითხავს არამართალთ, ანუ ქართული ენა იქცევა განკითხვის ინსტრუმენტად, სადამსჯელო იარაღად. ამით კი ჩაგრული შურს იძიებს მჩაგვრელზე.

ამგვარ თეოლოგიურ ფანტაზიებში საკუთარი სიმცირისა და უძლურების შეგრძნების კომპენსაცია ხდება. მოგვიანებით გაჩენილი წმინდა გიორგის მიერ გველეშაპის დამარცხების სიუჟეტიც ასევე მრავალრიცხოვან მტერზე გამარჯვების სიმბოლოდ აღიქმება, ხოლო XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის მიერ დამკვიდრებულ, 2008 წლიდან კი პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ აღორძინებულ პოლიტიკურ რიტორიკაში, ის პირდაპირ უკავშირდება საქართველოს მომავალ გამარჯვებას საბჭოთა თუ რუსულ იმპერიალიზმებზე.

ამავე კონტექსტშია დასანახი XII საუკუნეში შექმნილი საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობის იდეა, ხოლო მისი გაცოცხლება XX საუკუნის ბოლოს, ძლიერი დედის კალთებს შეფარებული ყმაწვილის სახეს ჰგავს, რომელსაც, თუკი ვინმე დაემუქრება, დედა დაიცავს. ამგვარი სურვილი კი პოლიტიკურ რეალობაში ძლიერი მფარველის ძებნასაც გულისხმობს, რომელიც პატარა საქართველოს არავის დააჩაგვრინებს. თუკი თამარის ხანაში საქართველოს ეს მფარველი-დედა თამარის სახით ჰყავს, რომელსაც მისი ისტორიკოსი ღვთისმშობელთან ათანაბრებს, შემდგომ საუკუნეებში მისი ძლიერი კალთების ძიება საქართველოს ფარგლებს გარეთ იწყება. ერთ დიდ და მტრულ ძალას, მეორე, ასევე დიდი, მაგრამ მფარველი ძალა ანონასწორებს, სანამ ბოლოს ის მეორე დიდი მფარველი თავად არ გადაიქცევა მჩაგვრელად. ასეთი გარდასახვა კი „მფარველობის“ ამოქმედებისთანავე შედის ძალაში და ამის საუკეთესო მაგალითი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაა, რომელშიც ქართული ანტიიმპერიული აფექტი ყველაზე ცხადად და მრავალფეროვნადაა გამოხატული.

(დიდი) იმპერია

იმპერია, რომელიც თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში ბოროტებასთან და ჩაგვრასთანაა გაიგივებული, თავდაპირველი მნიშვნელობით არა უბრალოდ ძლიერი სახელმწიფოა, რომელიც სხვა ქვეყნებს იპყრობს და იმონებს, არამედ ის განასახიერებს უნივერსალისტურ ღირებულებებზე აგებულ სამყაროს წესრიგს, ხოლო ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან კი – ქრისტიანული სამყაროს პოლიტიკურ მთლიანობას. პირველად სწორედ რომის იმპერიაში გახდა შესაძლებელი მოქალაქეობის პრინციპის ეთნიკურ წარმომავლობაზე მაღლა დაყენებით ზენაციონალური და კოსმოპოლიტური სახელმწიფოს შექმნა, სადაც ქალაქ რომის (ურბის) მოქალაქეობა სამყაროს (ორბის) მოქალაქეობის ტოლფასი იყო, რითიც ამაყობდა ქრისტიანობის ფაქტორი. ბრივი შემქმნელი პავლე მოციქული და სწორედ იმპერიაში ხედავდა უნივერსალისტური და კოსმოპოლიტური ქრისტიანობის განხორციელების პერსპექტივას. ევროპისა და ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიაში რომის იმპერია არა მხოლოდ იმპერიის სიმბოლო და პირველსახეა, არამედ XIX საუკუნემდე იმპერიულობის ლეგიტიმაციის საფუძველიც: ამა თუ იმ სახელმწიფოს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს იმპერია, თუკი ის რომის იმპერიის სამართალმემკვიდრეა. IV საუკუნეში გაქრისტიანების შემდეგ რომის იმპერია ქრისტიანული სამყაროს გამაერთიანებელ მთავარ პოლიტიკურ ფაქტორად, საღვთო იმპერიად იქცა, რომელშიც იმპერატორი „ღმერთის ანალოგია“ და მისი ნების მიწიერი გამომხატველია. თავად იმპერია კი წარმოდგენილია როგორც „კატექონი“, ანუ ის ძალა, რომელსაც ანტიქრისტეს შეჩერება შეუძლია. იმპერიის მესიანისტური ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინოა აღმოსავლეთ რომის, ანუ ბიზანტიის იმპერიაში, სადაც კეისარი, როგორც მთელი საქრისტიანოს წინამძღოლი, რელიგიური თაყვანისცემის ობიექტიცაა. „არსებობს ერთი ეკლესია, ერთი იმპერია და ერთი კეისარი!“ – აცხადებს XIV საუკუნის კონსტანტინოპოლის პატრიარქი ანტონიუსი და ყველა მართლმადიდებლისგან ამ სამი სიწმინდის დაცვას მოითხოვს. ერთი საუკუნის შემდეგ ბიზანტიის იმპერიის დაცემით მართლმადიდებლურ სამყაროში პოლიტიკური მესიანიზმის ვაკუუმი იქმნება, რომლის სამართალმემკვიდრეობაზეც პრეტენზიას მოსკოვის სამთავრო აცხადებს, რასაც ქალაქ მოსკოვის მესამე რომად შერაცხვა დაედო საფუძვლად. მაგრამ, განსხვავებით ბიზანტიისაგან, რომელიც ბერძნულენოვანი, მაგრამ არა ბერძენი ეთნოსის სახელმწიფო იყო, რუ-

სეთი ერთი ეთნოსის ქვეყანაა, რომელიც უნივერსალისტური იდეის განაციონალურებას და მის საკუთარ ეროვნულ იდეად გარდაქმნას იწყებს. როდესაც XVIII საუკუნის დასაწყისში პეტრე I რუსეთს იმპერიად აცხადებს და მის ტრანსნაციონალურ პრინციპებზე გადაწყობას ცდილობს, დედაქალაქიც – „მესამე რომი“ – მოსკოვიდან სანკტ-პეტერბურგში – „წმინდა პეტრეს ქალაქში“ გადააქვს, ანუ „პირველი რომის“ იმიტაციას ქმნის, რაც რუსეთის ერთიან ევროპულ ტრადიციასთან მიბმასაც გულისხმობს, რუსეთში ჩნდება ძლიერი ანტი-„რომაულ“-ევრპული ტენდენცია, რომელიც ამ გიგანტური სახელმწიფოს ზენაციონალურ იმპერიად ჩამოყალიბებას ეწინააღმდეგება. რუსული ნაციონალიზმის გამაღიზიანებელი ერთ-ერთი ფაქტორი სწორედ რუსეთის გაიმპერიულების ის ნიშანიცაა, რომ უკვე პეტრე I-იდან მოყოლებული სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონებში არარუსული

პატარა საქართველო – დიდი და ბოროტი

იმპერიის მიერ დაჩაგრული – ასეთ წარმოდგენას სხვადასხვა სახის რელიგიური, კულტურული და სამართლებრივი ასპექტები

აქვს. მსხვერპლად და ტარიგად საკუთარი თავის წარმოჩინება კი, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური იდეაა.

წარმომავლობის ადამიანები ექცევიან. იმპერიული ტრანსნაციონალურობა რუსულ ნაციონალიზმთან კონფლიქტში შედის და სლავოფილ რუს ნაციონალისტებში რუსეთის, როგორც დაპყრობილის და მისი უცხო ძალების კლანჭებში ყოფნის განცდასაც ბადებს.

XIX საუკუნეში ევროპიდან ახალი, არარომაული წარმომავლობის იმპერიალიზმი ვრცელდება, რომელიც უკვე მთლიანად ცალკეული ნაციების გაბატონებისათვის მსოფლიო ომებს ამზადებს. ნაციონალიზმსა და იმპერიალიზმს მალე ტრანსნაციონალურ და უნივერსალისტურ პრინციპებზე დაფუძნებული ახალი პოლიტიკური იდეოლოგია დაუპირისპირდა მარქსიზმის სახით. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციით კი რუსეთში მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო იქმნება, რომელიც სულ რამდენიმე წელიწადში დაშლილი იმპერიის საზღვრებსაც აღადგენს და გააფართოებს, მოგვიანებით კი მსოფლიოსაც ორ იდეოლოგიურად დაპირისპირებულ ბანაკად გახლეჩს. საბჭოთა კავშირმა მოახერხა ზენაციონალური და უნივერსალისტური პრინციპების ნაციონალიზმთან სინთეზით ახალი მსოფლიო იმპერიის შექმნა (ამ იმპერიის შემოქმედის იოსებ სტალინისავე სიტყვებით, „ნაციონალური ფორმით და სოციალისტური შინაარსით“). რუსეთის იმპერია „მესამე რომად“ სწორედ საბჭოთა სისტემის ქვეშ იქცა, როცა, როგორც ბიზანტიაში მართლმადიდებლობა, იმპერიის გამაერთიანებლად რელიგიურ ხარისხში აღზევებული საყოველთაო და არაგანკერძოებადი მესიანისტური იდეოლოგია მოიძებნა, რომელიც მთელს კაცობრიობას ხსნასა და მიწიერი სამოთხის –კომუნიზმის აშენების პირდებოდა. საბჭოთა იმპერიის შექმნაში კი არა მხოლოდ ერთეული ცნობილი ქართველები (სტალინი, ორჯონიკიძე, ბერია) მონაწილეობდნენ, არამედ მთელი საქართველოს სსრ, სხვა „მოძმე“ რესპუბლიკებთან ერთად აქტიურად იყო ჩართული ამ ზესახელმწიფოს მშენებლობაში. სტალინის სიცოცხლის ბოლომდე სსრკ-ს უმაღლეს სახელისუფლებო ეშელონებში არარუსთა სიმრავლემ კი რუსული ნაციონალისტური რესანტიმენტი და თავად რუსეთის, როგორც დაპყრობილის იდეაც ახალ სიმაღლეებზე აიყვანა. უკვე სტალინისავე სიცოცხლეში იმპერიული სისტემის ნაციონალურმა ფორმამ შინაარსში გადასვლა დაიწყო და თანდათანობით სოცშეჯიბრიც, შეფარულად თუ ღიად, ეროვნული ნიშნით შოვინიზმსა და შუღლში გადაიზარდა. 1943 წელს დაიწერა საბჭოთა კავშირის პირველი ჰიმნი, თავისი სრულიად ახალი იდეოლოგიური ტონალობისა და შინაარსის სიტყვებით: „Союз нерушимый республик свободных, / Сплотила навеки Великая Русь“. ყურადღებამისაქცევია ის ფაქტიც, რომ 1943 წლამდე საბჭოთა კავშირის ჰიმნის ადგილი „ინტერნაციონალს“ ეკავა, რომელსაც სტალინური იმპერიის ჰიმნში „დიდი რუსი ხალხის“ მიერ შედუღაბებული „თავისუფალი რესპუბლიკები“ (ქართულ თარგმანში – „თავისუფალი ერები“) ჩაენაცვლა. თავად ტერმინი Великая Русь, რომელიც პირველად 1935 წელს სტალინმა შემოიტანა, შუა საუკუნეების რუსული რელიგიურ-ნაციონალური ფორმულის – Святая Русь-ის სეკულარული ფორმაა, რომელიც რუსული შოვინიზმის სიმბოლოდ გადაიქცა. ასეთი განვითარების წინაპირობები, არა მხოლოდ იდეოლოგიური ცვლილებები, არამედ თავად საბჭოთა იმპერიის მოწყობის პრინციპები იყო, რომელიც „ერებისა“ და „ეროვნებების“, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების იერარქიაზე იყო დამყარებული. თუკი მოკავშირე რესპუბლიკების შემკვრელი რუსეთი იყო, ავტონომიურების – თავად მოკავშირე რესპუბლიკები, რომლებიც ამგვარი სახელმწიფო სტრუქტურით მინისაბჭოთა კავშირებს, ანუ, სახაროვისეული მეტაფორით, „მცირე იმპერიებს“ განასახიერებდნენ – საკუთარი ცენტრალიზებული ხელისუფლებით, დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ერთეულებითა და ადგილობრივი „ეროვნული უმცირესობებით“, რომლებსაც, როგორც საკავშირო მასშტაბით რესპუბლიკებს, რესპუბლიკის შიგნით გარკვეული წარმომადგენლობითი კვოტები ჰქონდათ, რაც უკვე კონფლიქტისა და შოვინიზმის დამატებით კერებს წარმოშობდა. ნაციონალიზმი, რომელმაც ჯერ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არშემდგარი „სოციალისტური შინაარსის“ გაქრობასთან ერთად იფეთქა, ერის სტალინისეული განსაზღვრებისა და „ფორმით ნაციონალურის“ კონცეფციებიდან აღმოცენდა, რომელიც, ამასთანავე, საბჭოური ტოტალიტარიზმისა და იმპერიალიზმის უმნიშვნელოვანეს ელემენტებს – უმრავლესობის უფლების განმტკიცება უმცირესობების უუფლებობის ხარჯზე – შეიცავდა. მაგალითად, თუ საქართველოს, როგორც დაპყრობილსა და უსამართლობის მსხვერპლს, თვითგამორკვევისა და ეროვნული სიამაყის უფლება აქვს, მისთვის წარმოუდგენელია, რომ მსგავსი უფლებები მის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში მყოფ ავტონომიებსაც მიეცეთ. საქართველო იწყებს ცენტრისა და მისდამი დაუმორჩილებელი რეგიონების საერთო-საბჭოური მოდელის გათამაშებას: საქართველოს პოლიტიკურ ძალათა უმრავლესობა უკვე 1989 წლიდან მოყოლებული ისეთივე ან უფრო მეტი აგრესიითა და ცინიზმით ეპყრობა ეროვნულ უმცირესობებსა თუ ავტონომიებს, როგორც სსრკ ცენტრალური ხელისუფლება კავშირიდან გამოყოფის მსურველ რესპუბლიკებს. ჯერ კიდევ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, საქართველოს პირველი მრავალპარტიული არჩევნებით მოსული ხელისუფლება 1990 წელსვე აუქმებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს და ცდილობს ძალის გამოყენებით ადგილობრივი ოსი მოსახლეობის წინააღმდეგობის ჩახშობას. ამით საქართველო გაუცნობიერებლად ბაძავს ნგრევის პროცესში მყოფ საბჭოთა იმპერიას, რომელსაც ამ დროისათვის უკვე სრულიად დაკარგული აქვს ყოველგვარი უნივერსალისტური ღირებულება და მისი ერთადერთი „შინაარსი“ ნაციონალური ფორმიდან წამოსული ნაციონალიზმია. ეს ნაციონალიზმი კი არტიკულაციის ფორმებად მხოლოდ ძალადობას, ჩახშობასა და უმცირესობის ჩაგვრას იცნობს, რომელიც მას საბჭოთა იმპერიული სისტემიდან აქვს ნასწავლი და გადმოღებული. ძალადობის ასეთი სისტემის ლოგიკა კი ერთ პრინციპს ეფუძნება: უმცირესობის უფლება უმრავლესობის უფლებებს ლალი! ამიტომაც უმრავლესობა საკუთარ ძალაუფლებას უმცირესობაზე ძალის გამოყენებითა და მისი ნების დათრგუნვით ამკვიდრებს. აფხაზეთის ომი სწორედ ამ ცნობიერების გამოხატულება იყო.

უკან – დავით აღმაშენებლისაკენ!

„მცირე იმპერია“ – ესაა ძლიერი ნაციონალისტური განწყობის პატარა სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს საკუთარი დამპყრობლისგან ემანსიპაციას მისივე მიბაძვით ცდილობს, მისი სიდიადე საკუთარ თავზე გადმოაქვს და ამით სიდიდისა და სიძლიერის ილუზიას იქმნის. ანტიიმპერიული აფექტი თავის არსში იმპერიული ცნობიერებისა და პოლიტიკური არტიკულაციის ელემენტებითაა გაჟღენთილი. ნამდვილი იმპერიულობისაგან განსხვავებით, „მცირე იმპერიებს“ არ გააჩნიათ არანაირი უნივერსალისტური იდეა და მათი სააზროვნო არეალი საკუთარი ნაციონალისტური ფანტაზიების სრული ჰიპერტროფიით გამოიხატება. ამის ერთ-ერთი მაგალითია ქართული მესიანისტური იდეა, რომელიც რეალურად XX საუკუნის 80-იან წლებში შეითხზა და ჯერ მიტინგებზე, შემდეგ კი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებიდან ახლად შექმნილი სახელმწიფოს პირველ პოლიტიკურ იდეოლოგიად გარდაისახა. მასში ერთმანეთს შეერწყა შუა საუკუნეების ქართული „მარტიროლოგიური პარადიგმა“ – წმინდა მსხვერპლის იდეა, რომელიც მის მჩაგვრელზე შურს იძიებს, და რუსულ-საბჭოთა მესიანიზმიდან გადმოღებული კაცობრიობის ხსნის მისია. ნიშანდობლივია, რომ სწორედ საბჭოთა პერიოდში უჩნდება საქართველოს საკუთარი სიდიადისა და ძლევამოსილების ნოსტალგიური წარმოდგენები: „ფიე, საქართველოს ყოლია ვასლები! / თამარს უკრეფია სულ ოქროს ვაშლები! / ტეხავს! ამიტომაც უმრავლესობა საკუთარ ძალაუფლებას უმცირესობაზე ძალის გამოყენებითა და მისი ნების დათრგუნვით ამკვიდრებს. აფხაზეთის ომი სწორედ ამ ცნობიერების გამოხატულება იყო.

ვრი გვიწალდია, ისე გაგვიზრდია, / რომ გავმზადებულვართ ახალ ბიზანტიად“ – მურმან ლებანიძის ლექსის ეს ფრაგმენტი საბჭოთა ხანის მთელი ქართული კულტურის ძირითად სულისკვეთებას გამოხატავს, რომელიც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე „გაჭენებული და გამოჭენებული“ საქართველოს იდეალური ხატით, საბჭოთა სიმღერის „Широка страна моя родная“-ს გარომანტიკულებულ ვერსიასა ჰგავს, რომელშიც დიდი იმპერიის შემადგენლობაში მყოფი პატარა ქვეყანა საკუთარ არშემდგარ იმპერიულობას სინანულით იგონებს. თუმცა კი ამგვარი იმპერიული ფანტაზიები მხოლოდ დიდი იმპერიის სიდიადის არეკვლითა და მისი მიბაძვით წარმოიშობა. პატარა ქვეყანასაც სურს იმპერიობა, საკუთარი ვასლების ყოლა და არა თავად იმპერიული ცნობიერებიდან გათავისუფლება.

ასეთ კონტექსტში ქართული ანტირუსულ-საბჭოური აფექტები და მასზე აგებული პოლიტიკა კვალის წაშლას ჰგავს: ყველაფერი უნდა განადგურდეს, რაც საბჭოთა თუ რუსულ წარსულს მოგვაგონებს! ამით კი თავად რუსეთის იმპერიის წიაღში დაბადებული, საბჭოთა მოდელებით და მათი მიბაძვით შექმნილი ქართული ნაციონალისტური ფანტაზიების წარმომავლობის სერტიფიკატი – Made in USSR წაიშლება. უახლესი ისტორიის იდეოლოგიზაცია და მისი ტოტალური გაყალბება სტალინური ტრადიციის გაგრძელებაა. ეს, უპირველეს ყოვლისა, ბოლო ორი საუკუნის, განსაკუთრებით კი საბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიას ეხება, რომელიც მხოლოდ ცალმხრივად – ანექსიისა და ოკუპაციის, ტანჯვისა და მონობის ბნელ პერიოდად შუქდება ქართველ ნაციონალისტთა მხრიდან.

რუსეთის იმპერიამ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი, დაასრულა ბაგრატიონთა დინასტიის მმართველობა და მათი სახელმწიფოები რუსეთის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაიყვანა; ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე – ბატონიშვილი დავითი და სამეფო ოჯახის სხვა წარმომადგენლები რუსეთში იძულებით გადაასახლა; ჩაახშო რუსული ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართული აჯანყებები თუ შეთქმულებები; ერთი საუკუნით გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართულმა დაკარგა ადმინისტრაციული ენის სტატუსი; მოკლედ, ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებმა და სამეგრელოს, გურიისა და აფხაზეთის სამთავროებმა არსებობა შეწყვიტეს და თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების ნაწილებად იქცნენ. მათვე შეურთდა გენერალ პასკევიჩის მიერ ოსმალეთისთვის წართმეული ახალციხის საფაშოს ტერიტორიაც. მაგრამ, ამასთანავე, დაქუცმაცებული, ეკონომიკურად მოშლილი და იმდროინდელ ევროპულ

„მცირე იმპერია“ – ესაა ძლიერი ნაციონალისტური განწყობის პატარა სახელმწიფო, რომელიც ერთ დროს საკუთარი დამპყრობლისგან ემანსიპაციას მისივე მიბაძვით ცდილობს, მისი სიდიადე საკუთარ თავზე გადმოაქვს და ამით სიდიდისა და სიძლიერის ილუზიას იქმნის.

თუ ახლოაღმოსავლურ სტანდარტებთან შედარებით უაღრესად ჩამორჩენილი ქართული სამეფო-სამთავროები რუსეთის იმპერიაში გამთლიანდა და ისევ ცივილიზებული სამყაროს ნაწილად იქცა. საქართველოში გაჩნდა გიმნაზიები და სკოლები, პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთები; კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის მმართველობის ქვეშ (1844-1854) და სწორედ მისი უშუალო ძალისხმევით, თბილისი მთელი კავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბდა. სწორედ ამ დროს აშენდა თბილისში თითქმის მთელი ევროპული სტილის არქიტექტურა, პირველად დაიგო ქვაფენილი, გაჩნდა კანალიზაციის სისტემები, გაიხსნა ქართული თეატრი, საჯარო ბიბლიოთეკა, ოპერა. ამით თბილისი მთელი გიგანტური რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კულტურულ კერად გადაიქცა.

საქართველოს ანექსიიდან სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში უკვე რუსეთში განათლებამიღებულმა და რუსულ-ევროპულ ლიბერალურ და განმანათლებლურ ღირებულებებზე აღზრდილმა „თერგდალეულების“ თაობამ შექმნა ქართველი ერის, როგორც კულტურული ნაციის პროექტი და მის განხორციელებასაც შეუდგა, რაც XVIII საუკუნის ქართულ რეალობაში თეორიულადაც კი თითქმის წარმოუდგენელი იყო.

საბჭოთა პერიოდში, გარდა რეპრესიებისა და ტერორისა, რომელიც თანაბრად ხორციელდებოდა მთელ იმპერიაში, საქართველოში, ფაქტობრივად, აღმოიფხვრა ანალფაბეტურობა, დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი სასწავლებლები, შეიქმნა ქართული კინემატოგრაფი, მსოფლიო სტანდარტების უმაღლესი მუსიკალური სკოლა; რამდენადაც საბჭოთა იმპერიაში კულტურა და მეცნიერება პრიორიტეტული სფეროები და იდეოლოგიურად მტრულ დასავლეთთან კონკურენციის ინსტრუმენტი იყო, ამ ინსტიტუციების შექმნაც და მათი ხელშეწყობაც იმპერიულ პოლიტიკაში შედიოდა. იმპერიის სახით საქართველოს კი ის სივრცე და ასპარეზი მიეცა, რომელზედაც ქართულ კულტურას საკუთარი თავის წარმოჩენა, რეპრეზენტაცია შეეძლო. „საქართველომ კავკასიის ქედს გადააბიჯა“ – სიამაყით წერდა ირაკლი აბაშიძე იმის აღსანიშნავად, რომ 30-იან წლებში ქართული კულტურა საკავშირო მასშტაბით ექსპანსიაზე გადავიდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა-იმპერიული პოლიტიკის პირობებში იყო შესაძლებელი. ეს კი საბჭოთა საქართველოს საკუთარი მნიშვნელოვნებისა და განსაკუთრებულობის რწმენა-წარმოდგენებს უქმნიდა და საკუთარ ადგილსაც მსოფლიო კულტურის რუკაზე აძებნინებდა. იმპერიულ კონტექსტში შეფასების კრიტერიუმებიც საერთო-იმპერიული იყო და არა ლოკალურ-ადგილობრივი, რაც ვიწრო-ნაციონალური ჩაკეტილობისა და პროვინციალიზმისაგან მეტ-ნაკლებად იცავდა.

დამოუკიდებლობამოპოვებულმა და რუსეთის დაქვემდებარებიდან გათავისუფლებულმა საქართველომ ფაქტობრივად რუსეთის ანექსიამდელი საფეხურებისაკენ სვლა დაიწყო: საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცნობიერება შუა საუკუნეების ხატებმა და იდეებმა დაიკავეს; ეკლესიამ იმაზე მეტი ზეგავლენა მოიპოვა, ვიდრე მას ოდესმე ჰქონია; პოლიტიკურ იდეალად დავით აღმაშენებლის სახელმწიფო – ქართული „იმპერიულობის“ ნიმუში, დაისახა. განსაბჭოების სახელით კი დაიწყო გათავისუფლება ყველაფრისგან, რაც რუსეთისა თუ საბჭოთა სისტემის მიერ, როგორც ჩანს, იძულებით თავსმოხვეული იყო: განმანათლებლობისა და სეკულარულობის პრინციპებზე აგებული აზროვნება, განათლებულობა და კულტურულობა, როგორც ფასეულობები, თვით ქუჩაში მოძრაობის წესებიც კი... მაგრამ ყველაფერ ამაზე უფრო სახიფათო ისაა, რომ იმპერიისგან გათავისუფლებულმა საქართველომ თავისი კულტურული კონტექსტი, საკუთარი რეპრეზენტაციის არეალი დაკარგა და ისეთ პროვინციად იქცა, რომელსაც ცენტრი აღარა აქვს. ესაა ერთგვარი აპენდიქსი – უფუნქციო ან უადგილო ადგილი, რომელსაც მრავალფეროვანი ბუნებისა და ეთნოგრაფიის გარდა, აწმყოში აღარაფერი გააჩნია.

„იმპერიულ“ კონტექსტს კი საქართველოსათვის, უპირველესად, კულტურული თვალსაზრისით, არც მეტი, არც ნაკლები, ეგზისტენციალური, საარსებო მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირი, რუსეთი, ირანი თუ ბიზანტია არა მხოლოდ ქართული წარმომავლობის ცალკეული პიროვნებებისათვის

საქართველოს ანექსიიდან სულ რაღაც ნახევარ საუკუნეში უკვე რუსეთში განათლებამიღებულმა და რუსულ-ევროპულ ლიბერალურ და განმანათლებლურ ღირებულებებზე აღზრდილმა „თერგდალეულების“ თაობამ შექმნა ქართველი ერის, როგორც კულტურული ნაციის პროექტი და მის განხორციელებასაც შეუდგა, რაც XVIII საუკუნის ქართულ რეალობაში თეორიულადაც კი თითქმის წარმოუდგენელი იყო.

საბჭოთა პერიოდში, გარდა რეპრესიებისა და ტერორისა, რომელიც თანაბრად ხორციელდებოდა მთელ იმპერიაში, საქართველოში, ფაქტობრივად, აღმოიფხვრა ანალფაბეტურობა, დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, უმაღლესი სასწავლებლები, შეიქმნა ქართული კინემატოგრაფი, მსოფლიო სტანდარტების უმაღლესი მუსიკალური სკოლა; რამდენადაც საბჭოთა იმპერიაში კულტურა და მეცნიერება პრიორიტეტული სფეროები და იდეოლოგიურად მტრულ დასავლეთთან კონკურენციის ინსტრუმენტი იყო, ამ ინსტიტუციების შექმნაც და მათი ხელშეწყობაც იმპერიულ პოლიტიკაში შედიოდა. იმპერიის სახით საქართველოს კი ის სივრცე და ასპარეზი მიეცა, რომელზედაც ქართულ კულტურას საკუთარი თავის წარმოჩენა, რეპრეზენტაცია შეეძლო. „საქართველომ კავკასიის ქედს გადააბიჯა“ – სიამაყით წერდა ირაკლი აბაშიძე იმის აღსანიშნავად, რომ 30-იან წლებში ქართული კულტურა საკავშირო მასშტაბით ექსპანსიაზე გადავიდა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა-იმპერიული პოლიტიკის პირობებში იყო შესაძლებელი. ეს კი საბჭოთა საქართველოს საკუთარი მნიშვნელოვნებისა და განსაკუთრებულობის რწმენა-წარმოდგენებს უქმნიდა და საკუთარ ადგილსაც მსოფლიო კულტურის რუკაზე აძებნინებდა. იმპერიულ კონტექსტში შეფასების კრიტერიუმებიც საერთო-იმპერიული იყო და არა ლოკალურ-ადგილობრივი, რაც ვიწრო-ნაციონალური ჩაკეტილობისა და პროვინციალიზმისაგან მეტ-ნაკლებად იცავდა.

დამოუკიდებლობამოპოვებულმა და რუსეთის დაქვემდებარებიდან გათავისუფლებულმა საქართველომ ფაქტობრივად რუსეთის ანექსიამდელი საფეხურებისაკენ სვლა დაიწყო: საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცნობიერება შუა საუკუნეების ხატებმა და იდეებმა დაიკავეს; ეკლესიამ იმაზე მეტი ზეგავლენა მოიპოვა, ვიდრე მას ოდესმე ჰქონია; პოლიტიკურ იდეალად დავით აღმაშენებლის სახელმწიფო – ქართული „იმპერიულობის“ ნიმუში, დაისახა. განსაბჭოების სახელით კი დაიწყო გათავისუფლება ყველაფრისგან, რაც რუსეთისა თუ საბჭოთა სისტემის მიერ, როგორც ჩანს, იძულებით თავსმოხვეული იყო: განმანათლებლობისა და სეკულარულობის პრინციპებზე აგებული აზროვნება, განათლებულობა და კულტურულობა, როგორც ფასეულობები, თვით ქუჩაში მოძრაობის წესებიც კი... მაგრამ ყველაფერ ამაზე უფრო სახიფათო ისაა, რომ იმპერიისგან გათავისუფლებულმა საქართველომ თავისი კულტურული კონტექსტი, საკუთარი რეპრეზენტაციის არეალი დაკარგა და ისეთ პროვინციად იქცა, რომელსაც ცენტრი აღარა აქვს. ესაა ერთგვარი აპენდიქსი – უფუნქციო ან უადგილო ადგილი, რომელსაც მრავალფეროვანი ბუნებისა და ეთნოგრაფიის გარდა, აწმყოში აღარაფერი გააჩნია.

„იმპერიულ“ კონტექსტს კი საქართველოსათვის, უპირველესად, კულტურული თვალსაზრისით, არც მეტი, არც ნაკლები, ეგზისტენციალური, საარსებო მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა კავშირი, რუსეთი, ირანი თუ ბიზანტია არა მხოლოდ ქართული წარმომავლობის ცალკეული პიროვნებებისათვის იყო წარმოჩენისა და დიდ ორბიტაზე გასვლის ასპარეზი, არამედ მთლიანად ქართული კულტურა ყოველთვის დიდი იმპერიებისგან იღებდა სასიცოცხლო საკვებსა და იმპულსებს. შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურის ორიგინალურობა მისი არაორიგინალურობაა. ესაა ერთგვარი მიმიკრიულობის უნარი, როდესაც ის ორიგინალურ თუ თვითმყოფად ფორმებს კი არ ქმნის, არამედ მათ სხვა, ძირითადად დამპყრობელი ქვეყნების კულტურებიდან იძენს და აქართულებს. ასეთი სინთეზით კი სხვადასხვა კულტურების ელემენტებისგან შემდგარი მოზაიკა იქმნება, რომელიც მთლიანობაში მინიატურულ, მაგრამ თავისებურ და გამორჩეულ სახეს იღებს. საქართველო არც დასავლეთია და არც აღმოსავლეთი, არამედ მათი გარეგნული ნიშნების ნაზავი, გადმოტანილი მცირე მოცულობის ჩარჩოებში, რომლის ღირებულებაც დიდ კულტურულ სივრცეში იძენს ქმედითუნარიანობას. ქართული კულტურის ეს თვისება, ჩემი აზრით, ყველაზე ზუსტად ოსიპ მანდელშტამმა დაინახა და მას ორნამენტული უწოდა, რომლის მახასიათებელიცაა უცხო კულტურიდან დასრულებული ფორმის გარეგანი ქარგის შეწოვა და, ამასთანავე, დროს შინაარსთან დაპირისპირება და ბრძოლა. ამდენად, „იმპერია“, იმპერიულ კონტექსტში ყოფნა, საქართველოს საკვებად და მისაბაძადაც ესაჭიროება და საკუთარი მარტიროლოგიური იდენტობის, მსხვერპლისა და ამბოხის ინსცენირებისათვის. ამდენად, იმპერიებისგან მოწყვეტა საქართველოსათვის გრავიტაციის დაკარგვის ტოლფასია და ამგვარი საფრთხის შეგრძნება მენტალურ პანიკას წარმოშობს, რამდენადაც რეალური მიზეზების გაცნობიერების ნაცვლად, მთელი აქცენტი გაყალბებისა და ცალმხრივად გაშუქების სტალინური ტრადიციის ერთგული გაგრძელებაა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე დამახინჯებულ წარმოდგენას უქმნის თავად ქვეყანას, რომელსაც წარსულისგან ნამემკვიდრევი „ცუდი ჩვევებისგან“ განკურნება სურს. შედეგად კი არა წარსულის გააზრებასა და დაძლევას, არამედ მის ჩვენთვის სასურველი მითებით ჩანაცვლებას ვიღებთ. ამით კი საქართველო კიდევ უფრო ღრმად ეფლობა საკუთარ საბჭოურ აზროვნებაში და, გათავისუფლების ნაცვლად, აკონსერვებს იმას, რისი მოცილებაც უნდა, რაც მას კიდევ უფრო მეტად აუცხოებს იმ სამყაროსაგან, საითკენაც ის ილტვის. ამისი მაგალითია საბჭოური წარმომავლობის ალტერნატივად საქართველოს ევროპასთან მიკუთვნებულობის მთავარი არგუმენტი – ქართველების უძველესი მფარველი და მბრძანებელი, ბუნებრივი თუ ზებუნებრივი ძალების ძებნისა თუ შელოცვისკენაა მიმართული.

ასეთი მდგომარეობიდან გამოსვლას ქართული საზოგადოება ისევ აფექტური რეაქციებით ცდილობს: ერთი მხრივ, ხელისუფლებისა და მის აქტიურ მხარდამჭერთა მხრიდან რუსულ-საბჭოურისგან გამიჯვნა რადიკალური უარყოფის ფორმით, რომლითაც ტოტალიტარულ თუ იმპერიულ სტრუქტურებზე მეტად, იმ კულტურული მექანიზმებისა და მემკვიდრეობის დანგრევა და მეხსიერებიდან განდევნა ხდება, რომელზედაც საქართველო, როგორც არა ისტორიული, არამედ აწმყოში მოქმედი კულტურული ნაცია დგას. მეორე მხრივ, საბჭოთა ეპოქის ოკუპაციის ისტორიად წარმოჩინება, რაც საკუთარი თავის მსხვერპლად გამოცხადებას და, შესაბამისად, ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან გაქცევასაც გულისხმობს, ისტორიის იდეოლოგიური ევროპელობა, რაც თანამედროვე ევროპული ღირებულებებისგან ერთობ შორს ყოფნაზე მიანიშნებს. თავად ისტორიისა თუ პრეისტორიის პოლიტიკურ არგუმენტად გამოყენება სტალინური იმპერიალიზმის ტიპური გადმონაშთია, რომელიც დღევანდელ საქართველოში კვლავაც პოლიტიკური აზროვნების განმსაზღვრელი სტერეოტიპია. საბოლოო ჯამში კი ფორმით ევროპულ-დასავლური, შინაარსით საბჭოური რჩება.

ამის საწინააღმდეგოდ სულ უფრო ძლიერდება ერთგვარი ნოსტალგიური ლტოლვა საბჭოური ტოტალიტარიზმისა და ერთსახოვნებისაკენ, რომელიც „ერთმორწმუნეობის“ ლოგიკით ხელმძღვანელობს. „ერთმორწმუნეობა“, ანუ სარწმუნოებრივი სიახლოვე ყველაზე დიდ მართლმადიდებლურ სახელმწიფოსთან და იმპერიის სამართალმემკვიდრესთან, რომელიც იდენტობის განმსაზღვრელი კრიტერიუმია, დაკარგული და აღარარსებული პოლიტიკური თუ კულტურული ადგილის პოვნისა თუ გაცოცხლების მცდელობაა, რომლის უკანაც საბჭოეთის, როგორც მშობლიურის, ნოსტალგია იმალება. „ერთმორწმუნეობა“, ანუ ფორმით მართლმადიდებლური, შინაარსით კი საბჭოურ-იმპერიული, საფუძველგამოცლილი საბჭოური იდენტობის ევფემიზმია, რომლის ობერტონებშიც საბჭოთა კავშირის ჰიმნის პირველი სტრიქონები – „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური / შეუკრავს მუდმივად დიდ რუსეთის ხალხს...“ ისმის. სარწმუნოებისა და ტრადიციულობის სახელით კი, ფაქტობრივად, პიროვნების კულტის, რელიგიურ ხარისხში აყვანილი უკრიტიკო მორჩილებისა თუ ტოტალური ერთაზროვნების საბჭოური სტილის იმიტაცია ხდება. ესაა გადაუმუშავებელ-გაუცნობიერებელი, განდევნილი საბჭოურ-იმპერიულობის რეაქცია ფორმით დასავლურზე. ამ ანტიდასავლურ და „ტრადიციონალისტურ“ აფექტში კი ზუსტად ის სტერეოტიპები ვლინდება, რომელსაც საბჭოთა პროპაგანდა ამკვიდრებდა დასავლეთის შესახებ: როგორც გადაგვარებული, გარყვნილი და ჩვენი ტრადიციებისადმი მტრულად განწყობილი სამყარო, რომელიც მასონთა და სხვა მსგავს შეთქმულთა მიერ იმართება.

საბოლოო ჯამში კი ვიღებთ შინაარსით ნაციონალისტურ და ფორმით იმპერიულობის გადმონაშთებიან ქვეყანას, რომელიც ერთდროულად საკუთარ თავს ევროპული ცივილიზაციის აკვნადაც აცხადებს და სამყაროს იმპერიულობისგან გათავისუფლებასაც ჰპირდება და, ამასთანავე, არაერთმორწმუნეებსაც ახსენებს, რომ განკითხვა ქართულ ენაზე იქნება. მთავარ პრობლემად კი მხოლოდ ამ ყველაფრის დამჯერის პოვნაღა რჩება. მანამდე კი, „ვინც ჩვენზე ცუდი რამე სთქვას, გული გაუპოს დანამა“!

საბედისწერო პრემია

ავტორი: ლევან ბერძენიშვილი

მთელი ცხოვრება დარწმუნებული ვარ, რომ 23 ოქტომბერი გამორჩეული დღეა. მეჩვიდმეტე საუკუნეში ანგლიკანური ეკლესიის არქიეპისკოპოსმა ჯეიმს აშერმა თავის წიგნში „ძველი აღთქმის ანალები, გამოყვანილი სამყაროს პირველქმნისაგან“, ბიბლიის ბუკვალური წაკითხვით დაადგინა, რომ სამყარო შეიქმნა კვირას, ძვ.წ. 4004 წლის 23 ოქტომბრის საღამოს. ესაა ე.წ. აშერის ქრონოლოგია, სამყაროს შექმნის ზუსტი დათარიღების ერთ-ერთი ვერსია. ვერსიების გარეშე კი ამ დღეს დაიბადნენ გენიალური ფეხბურთელი პელე და გენიალური ფილოსოფოსი ლეშჩეკ კოლაკოვსკი, ხოლო უნგრეთში ეს ნაციის მთავარი დღესასწაულია; ამ დღეს იხსენებენ 1956 წლის რევოლუციასაც.

1958 წლის 23 ოქტომბერიც მსოფლიო მნიშვნელობის დღე აღმოჩნდა. სწორედ ამ დღეს, 1958 წლის 23 ოქტომბრის დილას შვედეთის სამეფო აკადემიის ნობელის პრემიის ფონდის მდივანმა, ანდერს ესტერლინგმა სახელგანთქმულ რუს პოეტს, ბორის პასტერნაკს ტელეგრამა გაუგზავნა, რომლითაც მიულოცა მას ნობელის პრემიის ლაურეატობა და ოფიციალურად მიიწვია სტოკჰოლმში პრემიის მისაღებად 10 დეკემბერს. ბუნებრივია, მსოფლიომაც ამ დღეს შეიტყო ლიტერატურის დარგში ახალი ნობელიანტის სახელი. საპასუხოდ ფრანგულად მიწერილ ტელეგრამაში პასტერნაკმა ექვსი სიტყვით გამოხატა თავისი დამოკიდებულება: Immensément reconnaissant, touché, fier, étonné, confondu – „უსაზღვროდ გემადლიერებით, ვღელავ, ვამაყობ, მიკვირს, მერიდება“. როგორც ხედავთ, ეს არ არის უბრალო ტელეგრამა, რომელსაც უბრალო ადამიანები აგზავნიან ხოლმე; ეს არის იმ დიდი პოეტის მიერ დაწერილი ტელეგრამა, რომელსაც ნებისმიერი მწერლისთვის საოცნებო ნობელის პრემია ლიტერატურის დარგში საბედისწერო განსაცდელად დაატყდა თავს. აშკარად არასატელეგრამო სიტყვაა „მიკვირს“ (არა მგონია, რომ პასტერნაკს „გაუკვირდა“ ნობელის პრემიის მინიჭება ამ ჯილდოსთან თავისი არათანაზომადობის გამო, ბოლოს და ბოლოს, ის არც პირველად იყო წარდგენილი ამ სასახელო ჯილდოზე და არც მეორედ; არა, როგორც ჩანს, იგი გააკვირვა შვედეთის აკადემიისა და ნობელის პრემიის ფონდის სიმამაცემ; ფონდში იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირში სულ სხვა რუსი მწერლის, მიხეილ შოლოხოვის დაჯილდოებას ელოდნენ). და მაინც, პასტერნაკის ამ პოეტურ ტელეგრამაში მთავარი სიტყვაა confondu, რომელიც შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „მერიდება“, „მრცხვენია“ ან „დაბნეული ვარ“. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გალაკტიონივით შესანიშნავად და ზუსტად იცოდა საკუთარი თავისა და შემოქმედების ფასი, ჩვენი გალასგან განსხვავებით, მოკრძალებულობა მისი გენიის ბუნებრივი ნაწილი იყო.

ამ მართლაც და ამაღელვებელი ტელეგრამის შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა და ექვსი დღის შემდეგ, იმავე წლის 29 ოქტომბერს ბორის პასტერნაკმა ნობელის პრემიის ფონდს, კვლავ ანდერს ესტერლინგს გაუგზავნა სხვა ტელეგრამა, რომელიც დაწერილია სხვა ენით და რომელშიც მან ჩაატია მთელი საბჭოთა ჯოჯოხეთი: „იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც ამ ჯილდოს მიანიჭეს საზოგადოებაში, რომელსაც მე მივეკუთვნები, უარი უნდა ვთქვა მასზე. გთხოვთ წყენად ნუ მიიღებთ ჩემს ნებაყოფლობით უარს“.

უკვე მეორე დღეს, 30 ოქტომბერს, სახელმოხვეჭილმა ამერიკელმა კარიკატურისტმა, პულიტცერის პრემიის ლაურეატმა ბილ მოულდინმა შექმნა თავისი განთქმული პოლიტიკური კარიკატურა, რომელმაც მას მსოფლიო ჟურნალისტებისთვის სანუკვარი ეს პრემია მოუტანა. კარიკატურაზე გამოხატულია ორი კატორღელი ციმბირში, მოშორებით ჩანს საბჭოთა ჩაფარი ავტომატით ხელში. ყველაფრიდან გამომდინარეობს, რომ ძალიან ცივა. კატორღელები მოჭრილ ხეს ამუშავებენ და ერთი ეკითხება მეორეს: „მე ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მივიღე და შენ რისთვის ზიხარ?“

1958 წელს საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს „ყინულის დნობის“ პერიოდი, ე.წ. „ოტტეპელი“ (ტერმინი ეკუთვნის ორგზის სტალინის „უბრალო“ პრემიისა და ერთგზის სტალინის საერთაშორისო პრემიის ლაურეატს, ორგზის ლენინის ორდენოსან მწერალსა და მთარგმნელს ილია ერენბურგს, რომელმაც ამ სათაურით 1954 წელს მოთხრობა გამოაქვეყნა); ესაა ლიბერალიზაციის პირველი ტალღა, რომელსაც სიმპათიით შეცქერის მთელი მსოფლიო; დასავლეთ ევროპის კომუნისტურ პარტიებს საერთოდ თავი სამოთხეში ჰგონიათ: ხრუშჩოვმა სტალინის კულტი ამხილა, ბერია განეიტრალებულია, ჟურნალ „ნოვი მირში“ რაღაცრაღაცეები იბეჭდება, კომუნიზმი საბჭოთა კავშირშიც კი თითქოსდა ადამიანურ სახეს იღებს. მოკლედ, ფრანგ და იტალიელ მემარცხენეებს კომუნისტობისთვის საკუთარ ქვეყანაში უკვე თითქმის აღარავინ აგინებს, საბჭოთა კოლეგებთან შედარებით ხომ ისინი ფრთიანი ანგელოზები არიან! სწორედ იტალიელი კომუნისტების წრეში დაიბადა ეს იდეა: მას შემდეგ, რაც ჟურნალმა „ნოვი მირმა“ უარი უთხრა პასტერნაკს „ექიმი ჟივაგოს“ გამოცემაზე, თავად გამოეცათ საბჭოთა კავშირში ჯერარგამოცემული რომანი და ამით ხელი შეეწყოთ საბჭოთა ლიბერალებისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს, მათაც გამოეცათ საბჭოთა კავშირის

ახალი, ლიბერალური იმიჯისთვის სასარგებლო ეს წიგნი.

პირველად რომანის ხელნაწერი საბჭოთა კავშირიდან საიდუმლოდ გაიტანა პასტერნაკის მეგობარმა, მომავალში ბრიტანეთის აკადემიის პრეზიდენტმა, მეოცე საუკუნის მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა ერუდიტმა და ინტელექტუალმა, სოციალური და პოლიტიკური თეორიის სუპერექსპერტმა, ისაია ბერლინმა. 1957 წლის 23 ნოემბერს რომანი მულტიმილიონერმა იტალიელმა გამომცემელმა ჯანჯაკომო ფელტრინელიმ გამოსცა საკუთარ გამომცემლობაში, მილანში, ჯერ იტალიურად, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ჰოლანდიაში რუსულად გამოცემულ წიგნს საკუთარი გრიფი მისცა. მანამდე იტალიელი მილიონერი თავისი შუამავლების მეშვეობით პასტერნაკს დაუკავშირდა. როდესაც ფელტრინელის აგენტს, იტალიის კომპარტიის წევრს, სერჯიო დ'ანჯელოს ვარშავაში ხელნაწერს გადასცემდა, პასტერნაკს უთქვამს, თქვენ მე საკუთარ სასჯელზე მეპატიჟებითო (ნაბოკოვ-პასტერნაკის დაპირისპირების კიდევ ერთი მაგალითი, Приглашение на казнь „სასჯელზე მიპატიჟება“ ხომ ვლადიმირ ნაბოკოვის ერთ-ერთი საუკეთესო რომანია, დაწერილი ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში; პასტერნაკისთვის ცნობილი იყო, რომ ნაბოკოვს საშინლად არ მოეწონებოდა „ექიმი ჟივაგო“ და ის თავის ვარაუდში მართალიც აღმოჩნდა). დიახ, ბორის პასტერნაკმა იცოდა, წიგნის გამოცემას რაც მოჰყვებოდა, მაგრამ მას, როგორც ავტორს, არ შეეძლო თავისი შვილივით ნაზარდი წიგნი, რომელზე მუშაობა მან ჯერ კიდევ ათიან წლებში დაიწყო, გამოუცემელი, ანუ დაუბინავებელი დაეტოვებინა. გამომცემლის წერილზე საპასუხოდ პასტერნაკმა რომანის დასტამბვის ნებართვა გასცა, თუმცა გააფრთხილა, რომ „თუკი მრავალი ჟურნალის დაპირების მიუხედავად, რომანის გამოცემა აქ შეფერხდა და თქვენ დაასწარით, ჩემი მდგომარეობა ტრაგიკულად მძიმე იქნება; მაგრამ აზრები იბადებიან არა იმიტომ, რომ ისინი დამალონ და საკუთარ თავში ჩაახშონ, არამედ იმიტომ, რომ გამოთქვან“.

ალბათ, არც არაფერი მოხდებოდა, წიგნის გამოცემას რომ ჩვეულებრივ ჩაევლო: დიდი ამბავი! გამოიცა წიგნი სადღაც მილანში, იტალიაში; ზოგმა იყიდა, ზოგმა – არა, ზოგს მოეწონა, ზოგს – არა, ზოგმა თქვა კარგიაო და ზოგმაც, ჰემინგუეის და პრისტლის ვერ გაუტოლდებაო და ზოგმაც, შოლოხოვი სჯობსო (ერთი ასეთი პუბლიკაცია მართლა იყო იტალიაში, სადაც „წყნარი დონი“ „ექიმ ჟივაგოზე“ განუზომლად მაღლა იყო დაყენებული) და ა.შ.; მაგრამ მოვლენები სულ სხვა სცენარით განვითარდა. მსოფლიომ ერთბაშად აღფრთოვანებით აიტაცა პასტერნაკის რომანი. პასტერნაკის დიდი წიგნი საუკუნის ბესტსელერი გახდა. ამ წიგნმა თვითონ შექმნა თავისი საუკუნე. კრემლის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ მათთვის საძულველი რომანი დაუყოვნებლივ იქცა არა მხოლოდ არაკომუნისტური სამყაროს მთავარ საერთაშორისო სენსაციად, არამედ კომუნისტურ ქვეყნებშიც შეაღწია (ჯერ პოლონეთში გამოიცა ნაწყვეტები წიგნიდან, შემდეგ – უნგრული და პოლონური სრული თარგმანები, მართალია, არა საკუთრივ უნგრეთსა და პოლონეთში).

პოლიტიკურ დათბობას საბჭოთა კავშირში ტრადიციული აცივება მოჰყვა (ამ ცუდ ტრადიციას უკვე არასაბჭოთა რუსეთიც გაიმეორებს). კომუნისტური პარტიის ისტორიულ XX ყრილობაზე ხრუშჩოვის თამამ და ეიფორიულ გამოსვლას სტალინის კულტის წინააღმდეგ მოჰყვა ის, რაც მოჰყვება ხოლმე ეიფორიას – ნაბახუსევზე უსიამოვნო გამოფხიზლება. საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა სპეციალური მასალები, თუ როგორ უნდა გაეგო მოსახლეობას XX ყრილობის გადაწყვეტილებები და როგორ არ უნდა აჰყოლოდა იგივე მოსახლეობა „ცალკეულ დამპალ ელემენტებს“, რომელთაც

> იმავე წლის 29 ოქტომბერს ბორის პასტერნაკმა ნობელის პრემიის ფონდს გაუგზავნა სხვა ტელეგრამა, რომელშიც მან ჩაატია მთელი საბჭოთა ჯოჯოხეთი: „იმ მნიშვნელობის გათვალისწინებით, რაც ამ ჯილდოს მიანიჭეს საზოგადოებაში, რომელსაც მე მივეკუთვნები, უარი უნდა ვთქვა მასზე. გთხოვთ წყენად ნუ მიიღებთ ჩემს ნებაყოფლობით უარს“.

„პიროვნების კულტის გაკიცხვის საბაბით პარტიის პოლიტიკის სისწორეში შეაქვთ ეჭვი“. ამას მოჰყვა სსრკ კომპარტიის ცეკას სამდივნოს დადგენილება ჟურნალ „ნოვი მირის“ შესახებ, რომელშიც გაკიცხული იყო ალექსანდრ ტვარდოვსკის პოემა „ტიორკინი საიქიოში“ და „ჟურნალის არასწორი ხაზი ლიტერატურის საკითხებში“.

სწორედ ამის შემდეგ, სექტემბერში, „ნოვი მირმა“ უარი თქვა რომანის პუბლიკაციაზე. წერილ-რეცენზიაში, რომელსაც ხელს აწერდნენ ცნობილი მწერლები ბორის ლავრენიოვი, კონსტანტინ სიმონოვი, კონსტანტინ ფედინი და რედკოლეგიის სხვა წევრები, ნათქვამი იყო, რომ ნაწარმოების გამოცემაზე „საუბარიც არ შეიძლება იყოს“. მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა არა ესთეტიკური უთანხმოება ავტორთან, არამედ „სოციალისტური რევოლუციის მიუღებლობის სული“, მისი რწმენა, რომ „ოქტომბრის რევოლუციამ, სამოქალაქო ომმა და მათთან დაკავშირებულმა სოციალურმა ცვლილებებმა ხალხს მხოლოდ ტანჯვა მოუტანა, ხოლო რუსული ინტელიგენცია მოსპო როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად“.

ბოლოს და ბოლოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ერთგულმა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა (ეს იყო კაგებეს ოფიციალური დასახელება 1954 წლიდან – ამ მათთვის საჩოთირო „მინისტრთა საბჭოსთან არსებულ“ დანამატს მონსტრი მხოლოდ 1978 წელს ჩამოიშორებს) თავისი საიდუმლო ფინანსური და ჯაშუშური საცეცები ერთბაშად აამუშავა და არც მთლად საიდუმლო იდეოლოგიური ბერკეტები სრულად აამოქმედა, იტალიელ მარქსისტ-ლენინისტ კოლეგებზე სათანადო ზეწოლა განახორციელა და კომუნიზმისკენ მიმავალ ერთადერთ და უტყუარ გზას აცდენილი ამხანაგი ჯანჯაკომო ფელტრინელი საკუთარ კოლეგებს დაასჯევინა: მულტიმილიონერი ფრონდიორი გამომცემელი სამარცხვინოდ იქნა გარიცხული იტალიის კომუნისტური პარტიის რიგებიდან (ალბათ, იტალიელი კომუნისტები იმ დღეს ბედნიერად არ თვლიდნენ თავს, მათთვის ცუდი არ იყო საკუთარ რიგებში მულტიმილიონერის ყოლა, მაგრამ საბჭოთა კავშირიდან რომ მეტი მილიონები მოსდიოდათ, ეს ცხადია).

>>> გაგრძელება გვ. 122

სულ სხვა კოშკი და ისევ ის თეატრი

<<< დასაწყისი გვ. 36

გაბრიაძე აღიარებს, რომ თავისუფლება პიროვნული, მრავალსაუკუნოვანი, ლამის გეოგრაფიული საკითხიცაა. „მე არ მესმის თავისუფლება რისგან? თუმცა არსებობს თავისუფლება, რომელიც სინდისისგან გათავისუფლებასაც ნიშნავს. მე ვიცი მხატვრები, რომლებიც ხატვისგან და ნამუშევრებისგან გათავისუფლდნენ და ამით ბედნიერები და თავისუფლები არიან. და პირიქით, არსებობენ ადამიანები, რომლებიც დიდ, ნამდვილ ხელოვნებას დაემონენ და ამბობენ, რომ ესაა ნამდვილი თავისუფლება. ასე, რომ თავისუფლების სხვადასხვაგვარი აღქმა ნორმალურია და ვერაფერს იზამთ. უბრალოდ, მე მეშინია ცალმხრივი თავისუფლების: როცა თქვენ თავისუფალი ხართ ჩემდამი დამოკიდებულებაში და მე არ მსურს ეს თავისუფლება, მაშინ? აუცილებლად უნდა ვუპასუხო თქვენს თავისუფლებას?“

თუმცა ეს „საპასუხო თავისუფლება“ ყველაზე კარგად მაინც ჩანახატებში, ტექსტებში, ნამუშევრებში, სპექტაკლებში და რესტორან „არ დაიდარდოში“ ჩანს. ხატვისას ის სამყაროსთან სრულიად მარტო რჩება და ქმნის გამჭვირვალედ სევდიან, ოდნავ მელანქოლიურ და დაუმძიმებელ ფერწერულ და სკულპნამუშევრებს. ისინი მსოფლიოს იმდენ მუზეუმსა და იმდენ კოლექციაშია მიმობნეული, რომ თავადაც უჭირს გახსენება სად რა ინახება. მაგრამ არის ერთი საყოველთაოდ ცნობილი სკულპტურული ნამუშევარი სანკტ-პეტერბურგში, ბრინჯაოს პატარა ჩიტი – „ჩიჟიკი“ ფანტანკაზე, რომელიც შეყვარებულებისათვის პაემანის, ხოლო პენსიონერებისთვის შეხვედრებისა და დომინოს სათამაშო ადგილად იქცა.

რეზო გაბრიაძის ფანტაზიას ახალგაზრდობაში მეკობრეები და განსაკუთებით კი „განძთა კუნძულის“ პერსონაჟები მოსვენებას არ აძლევდნენ. გმირობითა და ყაჩაღობის ინსტინქტით „დახუნძლული“ ეს ცალხელა და ცალთვალა პერსონაჟები სიბერეში სიმშვიდეს ირჩევდნენ. ისინი მიწას ყიდულობდნენ, ბაღს აშენებდნენ, შინაურ ცხოველებს უვლიდნენ... კინემატოგრაფის სამყარო გაბრიაძესთვის რაღაცით მეკობრეების ხიფათით სავსე თავგადასავალს ჰგავდა, მარიონეტების თეატრში მუშაობა კი – „პენსიაზე გასული“ დრეიკის სიმშვიდეს; უკვე გარდასულის, მომხდარის ანალიზს და ცხოვრების ფილოსოფიის ტრანსფორმაციას.

ცხოვრების მეორე აქტი, ანუ მარიონეტების თეატრი შავთელის ქუჩაზე, ბევრად მშვიდი და თავისუფალი აღმოჩნდა, ვიდრე კინემატოგრაფიული ქაოსით გამორჩეული ცხოვრება. ეს პასუხისმგებლობისგან გაქცევის და საკუთარი ავტონომიის შენარჩუნების ეშმაკური ხერხიც იყო. რადგან არც მარშალ დე ფანტიეს და არც ჩიტ ბორიას სამინისტროს ჩინოვნიკები პასუხს ვერ მოთხოვდნენ, კინო კი ბევრად იდეოლოგიზირებული რჩებოდა.

80-იან წლების თბილისში ეს პატარა, უცნაური არსებებით დასახლებული სივრცე მოუმწიფებელი აზრებისგან გათავისუფლებული პუბლიკის თავშეყრის ადგილი გახდა. 90-იან წლებში, სამოქალაქო ომსა და ქაოსს გაბრიაძე მოსკოვში გაექცა. ახალი მარიონეტების „ცხოვრება“ სერგეი ობრაზცოვის სახელობის ცნობილ თოჯინების თეატრში გააცოცხლა, თუმცა წარმატების მიუხედავად, თეატრში დიდ ხანს მაინც ვერ დაჰყო და ისევ თბილისში დაბრუნდა.

საბჭოთა ლოკომოტივების „ლავ სტორი“

90-იან წლებში მოსკოვში, სანკტ-პეტერბურგსა და ოდესაში გაბრიაძის ახალი გატაცება – სკულპტურული ობიექტები გაჩნდა. მუდმივად გასაფრენად მომზადებულ „ჩიჟიკს“ პეტერბურგში „მაიორ კოვალიოვის ცხვირი“ დაემატა, ფაქიზი იუმორით ცნობილმა ოდესამ კი ერთ მშვენიერ დღეს ქუჩებში ებრაელი რაბინოვიჩის სკულპტურა აღმოაჩინა. ამბობენ, რომ ეს სევდიანი და სასაცილო მოხუცი პოეტ მანდელშტამს უფრო ჰგავს. მორცხვად დგას და პლედშია გახვეული, თითქოს ძალიან ცივა. ოდესელები ამბობენ, რომ თუ რაბინოვიჩს მარცხენა ყურს მოფხან და იქვე მონეტას დატოვებ, გამდიდრდები!.. მოსკოვში ძალიან მოდური რესტორნის, „მადამ გალიფეს“ მოხატვის შემდეგ, თურმე ანალოგიური სურვილი პარიზის და ლოზანის რესტორნების მეპატრონეებსაც გაუჩნდათ, თუმცა გაბრიაძემ ისევ თბილისი და შავთელის ქუჩა არჩია – მარიონეტების თეატრის თავზე პატარა რესტორანი „არ დაიდარდო“ ხელახლა მოხატა.

უკანასკნელი ათწლეული, ანუ ოცდამეერთე საუკუნე, გაბრიაძის თაყვანისმცემლებისათვის ნაკლებად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მხოლოდ ორი სპექტაკლი დადგა და ისიც რუსეთში: „სტალინგრადის ბრძოლა“, რომელმაც ურიცხვი რაოდენობის თეატრალური პრემია და ჯილდოები მოუტანა და ნაკლებად ცნობილი „როცა ლოკომოტივები შეხვდებიან“. სამაგიეროდ, ბრწყინვალე გრაფიკული და ფერწერული ჩანახატები შექმნა, ხოლო ბოლო წლები კოშკის მშენებლობასა და მარიონეტების თეატრის რესტავრაციას შეალია.

რადგან „ლოკომოტივების“ შესახებ ჩვენთან ცოტა რამ დაიწერა, უმჯობესია სწორედ ამ სპექტაკლის შესახებ ვისაუბროთ. გაბრიაძემ იგი სანკტ-პეტერბურგსა და მოსკოვში რამდენიმე წლის შრომის შემდეგ წარმოადგინა. თავიდან მას ცოტა სენტიმენტალური სახელწოდება ჰქონდა: „როცა ლოკომოტივები შეხვდებიან“. შემდეგ სახელწოდება შეუცვალა და ოდნავ მელოდრამატულად „ერმონი და რამონა“ უწოდა. საბოლოოდ კი პირველი ვარიანტი დატოვა. რადგან ეს სპექტაკლი არ მინახავს, უფრო ზუსტად, რუსეთის ტელეარხ „კულტურაზე“ ვნახე ფრაგმენტები, ძნელია ობიექტური შეფასება. ერთი რამ კი თვალშისაცემია: ადრინდელი სპექტაკლებისაგან განსხვავებით (თუნდაც „სტალინგრადის ბრძოლისაგან“, სადაც ომით გატანჯული ჭიანჭველას განცდები ფინალში ლამის რეკვიემში გადაიზრდება) ის ნაკლებად ირონიული და უფრო მეტად სენტიმენტალურია.

საბჭოთა სარკინიგზო ლოკომოტივების, „ერმონისა“ და „რამონას“ ისტორია ომისშემდგომ საბჭოეთში, კონკრეტულად 1949 წელს ხდება. მძლავრი და დაუღალავი ერმონი მთელ საბჭოთა კავშირს გადაკვეთს, ხოლო „მანევრული და მანერული“ რამონა მხოლოდ წყალტუბოს ადგილობრივ ქვესადგურში მოძრაობს („სამასი მეტრი იქით, სამასი – აქეთ“). ფინალში რომანტიული ერმონი გმირულად და პათეტიკურად იღუპება, რამონა კი – სევდისა და უსასრული მოლოდინის გამო. მოულოდნელი სენტიმენტები და გასულიერებული საგნები ამ ისტორიას პოეტურ და სევდიან ტონალობას ანიჭებს. ლოკომოტივები უფრო მგრძნობიარენი და გასულიერებულები არიან, ადამიანები, პირიქით უსულგულონი. ამ „სარკინიგზო თამაშს“ ცხადია, ირონია და კარგი ხარისხის ტექსტი კვებავს, რომელსაც მაყურებელი სიამოვნებით უყურებს.

სპექტაკლში მარიონეტებიც, ანუ ადამიანებიც მონაწილეობენ, რომლებიც სასტიკი დროის მსხვერპლნი ხდებიან. ყველა მათგანს სარკინიგზო ავარიის გამო ციმბირში მრავალწლიან გადასახლებას მიუსჯიან. როგორც შევიტყვე, გაზაფხულზე რეზო გაბრიაძე ამ სპექტაკლის ქართული ვარიანტის გაკეთებას აპირებს და მაშინ მაყურებელი უკეთ შეაფასებს რამონა მართლა ჰგავს თუ არა ჯულიეტა მაზინას (როგორც ცნობილმა თეატრალურმა კრიტიკოსმა დაწერა), ხოლო თავად სპექტაკლი არის თუ არა ფელინისა და ალექსეი გერმანის ნაზავი.

ვიდრე უკვე „გადმოქართულებული“ ლოკომოტივები ერთმანეთს შავთელის ქუჩაზე, მარიონეტების თეატრში შეხვდებიან, შეგიძლიათ დრო და დრო, ზუსტად თორმეტ საათზე დახრილი კოშკის ანგელოზის ნაცნობ იმერულ მოტივს უსმინოთ: „ყველა სნეულებაზე, სიყვარული ძნელია“.

ფარდაახდილი საიდუმლოებები

<<< დასაწყისი გვ. 60

ასანჟი, ტრადიციულად, ნებისმიერ საგარაუდო მომჩივანს ერთ ადგილას გზავნის. 2008 წელს „ვიკილიქსმა“ საიდუმლო საიენტოლოგიური სახელმძღვანელოები გამოაქვეყნა, ეკლესიის დამცველმა ადვოკატებმა კი მათი წაშლა მოითხოვეს. საპასუხოდ ჯულიანმა საიტზე უფრო მეტი საიენტოლოგიური მასალა განათავსა და განაცხადა: „„ვიკილიქსი“ საიენტოლოგების გაუმართლებელ და შეურაცხმყოფელ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს ისევე, როგორც არ დაუკმაყოფილა მსგავსი მოთხოვნები შვეიცარიულ ბანკებს, საზღვარგარეთ მდებარე ღეროვანი უჯრედების კვლევის რუსულ ცენტრებს, ყოფილ აფრიკელ კლეპტოკრატებსა თუ პენტაგონს“.

ინტერნეტში, განსაკუთრებით, Twitter-ზე, ასანჟი თავს სწრაფად ესხმის ხოლმე მათ, ვისაც მტრებად აღიქვამს, ტელეეთერში კი, სადაც უფრო ხშირად ჩანს, საპირისპიროდ იქცევა: უცნაურად აუღელვებლად საუბრობს. სტუდიური განათების ფონზე, არაბუნებრივად თეთრი თმით, ფერდაკარგული კანით, ცივი თვალებითა და ფართო შუბლით, ის იმ არამიწიერ არსებას მოჰგავს, რომელიც დედამიწაზე თითქოს იმისთვის ჩამოაფრინეს, რომ კაცობრიობას რაღაც დფარული ჭეშმარიტება აუწყოს. ამ შთაბეჭდილებას მისი სიხისტეც აძლიერებს, ისევე, როგორც დაბალ ხმაზე ნელი საუბარი.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ასანჟი ხშირად ფიქრით გართული და ენერგიულია. შეუძლია ერთ საკითხზე ბოლომდე კონცენტრირებული იყოს, მაგრამ ამავე დროს სწორედ ის კაცია, ვისაც თვითმფრინავის ბილეთის დაჯავშნა ავიწყდება, ან ბილეთს დაჯავშნის და ფულის გადახდა ავიწყდება, ან ბილეთის ფულს გადაიხდის და აეროპორტში მისვლა ავიწყდება. როგორც ჩანს, ირგვლივმყოფები სულ მასზე ზრუნავენ. ისინი ყოველთვის ცდილობენ, დარწმუნდნენ, რომ ის იქ არის, სადაც უნდა იყოს და რომ ნასვლამდე მთელი ტანსაცმელი საშრობ მოწყობილობაში არ დარჩენია. ასეთ დროს შესაძლოა მოგვეჩვენოს, რომ ეს ადამიანი ვერ აცნობიერებს იმ დიდ ზეგავლენას, რომელიც უკვე მოიპოვა.

ბუნკერში ხის პატარა მაგიდასთან მიმჯდარი ასანჟი მოქანცულად გამოიყურებოდა. მეტისმეტად გამხდარი და მხრებში მოხრილი ორ კომპიუტერს მიშტერებოდა: ერთი ინტერნეტში იყო ჩართული, მეორე კი – არა, რადგან მასში საიდუმლო სამხედრო დოკუმენტაცია ინახებოდა (შპიონაჟის საქმეში ამას „საჰაეროს დატოვება“ ეწოდება). ზოგადად, ის კიბერუსაფრთხოების სპეციალისტივით ზრუნავს კომპიუტერის დაცვაზე და როგორც წესი, ყველა ზომას მიმართავს, რათა მზვერავები იმედგაცრუებულები დატოვოს. „ვიკილიქსის“ ჯგუფს ახლაც მცირე პარანოიდულმა ციებ-ცხელებამ გადაუარა. ასანჟმა თქვა, რომ ორი უცნობი გაადგო, რომლებიც უთვალთვალებდნენ და მისთვის სურათის გადაღებას ცდილობდნენ. მარტში მან ამერიკის სამხედრო კონტრდაზვერვის ცენტრში 2008 წელს მომზადებული საიდუმლო ანგარიში გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ეს საიტი არმიისათვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა. დოკუმენტში, აგრეთვე, მოკლედ იყო ჩამოთვლილი ის გზები, რომლებსაც მთავრობის მოხელეები ინფორმაციის ფარულად გაცემისგან უნდა შეეკავებინა. ასანჟმა აღნიშნული დოკუმენტი ომის გამოცხადებად ჩათვალა და ის ასეთი სათაურით გამოაქვეყნა: „ამერიკის დაზვერვა „ვიკილიქსის“ განადგურებას გეგმავს“. ბუნკერში დაბინავებამდე ჯულიანი კონფერენციაზე იმყოფებოდა და მისი აზრით, გზაში ვიღაცები უთვალთვალებდნენ. ასანჟის შიში სხვებსაც გადაედოთ. „შვედეთში ერთ გოგოსთან დავრჩი, რომელიც იქაური გაზეთის უცხოელი რედაქტორია. ის ისეთმა პარანოიამ მოიცვა, თითქოს ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს ჩემი დაჭერა უნდოდა, რომ სახლიდან წავიდა და მიმატოვა“, – მითხრა მან.

ასანჟის წინ ჰოლანდიელი აქტივისტი, ჰაკერი და ბიზნესმენი როპ გონგრიპი იჯდა. გამხდარი, შემელოტებული გონგრიპი, რომელსაც რბილი, სასიამოვნო ხმა აქვს, წლებია, მას კარგად იცნობს. როპმა შეშინებული ასანჟის შეტყობინებები ნახა იმის თაობაზე, რომ ვიღაცები უთვალთვალებდნენ და გადაწყვიტა, დახმარებოდა. „ჯულიანს შეუძლია, წარმოუდგენლად ცოტა ხანს ეძინოს და კოშმარულ არეულობაში იცხოვროს, მაგრამ მის შესაძლებლობებსაც აქვს საზღვრები. შევნიშნე, რომ ძალიან დაძაბული იყო და ჩამოსვლა გადავწყვიტე, რათა ყველაფერი თავის ადგილზე დამეყენებინა“, – მითხრა გონგრიპმა. ის B-გეგმის არაოფიციალურ მენეჯერს და ფინანსურ მხარდამჭერს წარმოადგენდა: მის განსახორციელებლად როპმა „ვიკილიქსს“ დაახლოებით 10 000 ევრო გადაურიცხა. ბუნკერში ყველა აქტივისტი გონგრიპის მიერ შედგენილი სამუშაო გრაფიკით მოქმედებდა. ის იმაზეც ზრუნავდა, რომ სამზარეულოში საკვების მარაგი არ გამოლეულიყო და ბუნკერი წესრიგში ყოფილიყო.

დაახლოებით დღის სამ საათზე ისლანდიელი პარლამენტარი ბირგიტა იონსდოტირი მოვიდა. 40 წელს გადაცილებულ იონსდოტირს, ვისაც შუბლზე შეჭრილი, გრძელი, წაბლისფერი თმა აქვს, მოკლე, შავი ქვედაკაბა და შავი მაისური ეცვა, რომელზეც თავის ქალები ეხატა. მან ჩანთიდან „ვიკილიქსის“ მაისური ამოიღო და ასანჟს გადაუგდო.

– შენია, ჩაიცვი! – უთხრა მას.

ასანჟმა მაისური იქვე, სკამზე დადო და მუშაობა განაგრძო.

დაახლოებით ერთი წელია, რაც იონსდოტირი პარლამენტის წევრია, თუმცა ის საკუთარ თავს პოეტად, მწერლად, არტისტად და აქტივისტად მიიჩნევს. მისი პოლიტიკური შეხედულებები, ძირითადად, ანარქისტულია. „სანამ ამ საქმიანობას დავიწყებდი, უმუშევარი ვიყავი“, – ამიხსნა მან, – „როცა პარლამენტში პირველად შევედით, ყველა ვნერვიულობდით: ჩვენს შორის ისინი არიან, ვინც პარლამენტის გადაწყვეტილებებს აპროტესტებდა, ვისაც რევოლუცია უნდოდა, ახლა კი შიგნით ვართ. არცერთ ჩვენგანს პოლიტიკოსობისკენ მისწრაფება არ გვქონია. სია გვაქვს ჩამოწერილი და როგორც კი ყველაფერს შევასრულებთ, მაშინვე გარეთ გამოვალთ“.

მან საკუთარი კომპიუტერი ჩართო და ასანჟს ჰკითხა, თუ როგორ გეგმავდა ის B-გეგმაზე მუშაობისას საქმის გადანაწილებას. ისინი უფრო მეტი ისლანდიელი აქტივისტის მოსვლას ელოდნენ. საბოლოოდ, ვიდეოზე მუშაობა ექვსმა დაიწყო. მათ დაახლოებით ამდენივე მოხალისე შეუერთდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ასანჟი საჭიროდ თვლიდა, რომ ერთ-ერთი აქტივისტი Google-ს დაკონტაქტებოდა, რათა დარწმუნებულები ყოფილიყვნენ YouTube-ზე მასალის დაუბრკოლებლად განთავსებაში.

– უნდა დარწმუნდნენ, რომ ეს ვიდეო ზეწოლის შედეგად არ არის გადაღებული? – ჰკითხა იონსდოტირმა.

– მათ ერთი წესი აქვთ, სადაც ნებაყოფლობითი ძალადობაა ნახსენები, – უპასუხა ასანჟმა, – ამ შემთხვევაში, ძალადობა ნებაყოფლობითი არ არის, თუმცა ყველაფერი მაინც ჩაწერილია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩავერიოთ.

– რისი გაკეთება ვთხოვოთ „ემ“-ს? – ჰკითხა ქალმა. ასანჟმა, ვინც მთლიანად საქმით იყო შთანთქმული, პასუხი არ გასცა.

ჯულიანის შეშფოთება იმით, რომ მას ვიღაცები უთვალთვალებდნენ, ბოლომდე არ გამქრალა. 26 მარტს მან სკანდალური წერილი დაწერა ასეთი სათაურით: „რაღაც დალპა ისლანდიის სამეფოში“. ის „ვიკილიქსის“ მოზარდი მოხალისის ამბავს ჰყვებოდა, ვინც ადგილობრივ პოლიციას დაახლოებით 20 საათი ჰყავდა დაკავებული. მოხალისე იმ ქარხანაში შეჭრის მცდელობისთვის დააკავეს, რომელშიც მამამისი მუშაობდა (ასანჟმა მითხრა: „მიზეზები, რის გამოც ბიჭი იქ შეჭრას ცდილობდა, გამართლებული სულაც არ არის“). მისი თქმით, სანამ დაკავებული იყო, შეკითხვებს B-გეგმის შესახებ უსვამდნენ. ასანჟი ამტკიცებდა, რომ მოხალისეს მისი ფოტოები აჩვენეს, რომლებიც ფარულად გადაეღოთ რეიკიავიკში, რესტორან „Icelandic Fish & Chips“-თან, სადაც იზოლირებულ, უკანა ოთახში „ვიკილიქსის“ ერთ-ერთი შეკრება მართლაც გამართულიყო.

პოლიცია მოხალისის ამბის მთავარ ეპიზოდებს უარყოფდა, ასანჟი კი მეტის შეტყობას ცდილობდა. დაურეკეს, მაგრამ საუბარი რამდენიმე წუთში შეწყდა.

– ჩვენი პატარა მეგობარი პოლიციელს ელაპარაკა, – მითხრა მან, – უფრო დეტალურად მოყოლას აპირებდა, მაგრამ ბატარეა დამიჯდა.

გაიღიმა და ტელეფონს ეჭვით დახედა.

– ყველანი პარანოიკები და შიზოფრენიკები ვართ, – თქვა იონსდოტირმა და ხელი ასანჟისკენ გაიშვირა, რომელსაც ისევ კომბინეზონი ეცვა, – შეხედეთ, როგორ იცვამს.

გონგრიპი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და შტორები ისე გასწია, რომ გახედვა შეძლებოდა.

– ვინმეა? – ჰკითხა იონსდოტირმა.

– მხოლოდ ტელევიზიის ფურგონი დგას,

– უპასუხა მან სრულიად აუღელვებლად,

– ტვინის მანიპულატორების ფურგონი.

დაახლოებით საღამოს 6 საათზე ასანჟი სამუშაო მაგიდიდან წამოდგა. ხელში ის დისკი ეჭირა, სადაც B-გეგმა იყო ჩაწერილი. ამ ვიდეოზე – დაუმონტაჟებელი მასალის ნაწყვეტებზე, რომლებიც „აპაჩიზე“ ატანილი კამერით გადაიღეს – ჯარისკაცების მიერ აღმოსავლეთ ბაღდადში, ომის დაწყებიდან მცირე ხანში ჩატარებული ოპერაცია ჩანდა. ინფორმაციის თავისუფლების აქტზე დაყრდნობით, „როიტერი“ სამი წლის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა ამერიკის არმიისგან ამ ვიდეოს მოპოვებას. ასანჟი წყაროს დასახელებას არ აპირებდა, უბრალოდ, ამბობდა, რომ ეს ადამიანი აღნიშნული თავდასხმის გამო იტანჯებოდა. ვიდეო დაშიფრული იყო, მის გაშიფვრას „ვიკილიქსმა“ სამი თვე მოანდომა. ჯულიანმა, ვინც გაშიფვრის დიდოსტატია, მითხრა, ამ ფაილის გახსნა საშუალო სირთულის ამოცანა იყოო.

ვიდეოს სანახავად ყველა კომპიუტერთან მოგროვდა. დაბურულ, შავ-თეთრ კადრებში მე-8 პოლკის კუთვნილი იმ „აპაჩის“ ეკიპაჟი გამოჩნდა, რომელიც ბაღდადის ცაზე ასეთივე შვეულმფრენთან ერთად დაფრინავდა. ობიექტივში მეჩეთის გუმბათი მოხვდა. დავინახეთ შენობები, პალმის ხეები, დაცარიელებული ქუჩები. გვესმოდა სპეციფიკური ხმაური, რადიოგადამცემების სიგნალები და ხუმრობანარევი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი საომარი გადაძახილები. ორი ჯარისკაცი შუა საუბარში იყო. პირველი ჩაწერილი სიტყვები გაისმა: „ოკეი, მოვარტყი!“ ასანჟი პაუზის ღილაკს დაანჭა. მერე მან გვითხრა: „ამ ვიდეოში ბევრი ადამიანის მკვლელობას ნახავთ.“ აგვიხსნა, რომ ამ მასალაში სამი მთავარი ეპიზოდი იყო: „პირველ ეპიზოდში ნახავთ თავდასხმას, რომელიც შეცდომას ეფუძნება, უყურადღებობით გამოწვეულ შეცდომას. მეორე ეპიზოდში წარმოდგენილი თავდასხმა, უბრალო ადამიანის განსაზღვრებით, აშკარად მკვლელობაა. მესამე ნაწილში კი ჯარისკაცები, რომლებიც სამიზნეს მისდევენ, გზად უდანაშაულო მოქალაქეებს კლავენ“.

პირველი ეპიზოდი წარმოუდგენლად თავზარდამცემი იყო, ნაწილობრივ, იმის გამოც, რომ ჯარისკაცების ხუმრობანარევი გადაძახილები ადამიანური საუბრის საზღვრებს ბევრად სცილდებოდა. „ერთი მაგათიც..., როგორც კი მიუახლოვდები, ჩაცხრილე“, – ამბობდა ამერიკელი ჯარისკაცი. „აპაჩის“ ეკიპაჟი ათიოდე კაცს გადააწყდა იმ ქუჩაზე, რომელიც ამერიკის საჯარისო ნაწილისგან დაახლოებით ერთი კვარტალით იყო დაშორებული. მან ბაზას გადასცა, რომ 5-6 მათგანი AK-47-ით იყო შეიარაღებული. როდესაც „აპაჩიმ“ მანევრს მიმართა, რათა ცეცხლის გასახსნელად უკეთეს პოზიციაზე აღმოჩენილიყო, ეკიპაჟმა „როიტერის“ ჟურნალისტი შენიშნა, რომელიც სხვებთან ერთად მიდიოდა

გაგრძელება

და მისი ფოტოაპარატი გრძელფოკუსიანი ობიექტივით RPG-დ აღიქვა. შვეულმფრენებიდან ამ კაცებს 25 წამის მანძილზე ესროდნენ. ჯარისკაცებმა თითქმის ყველა მათგანი წამიერად მოკლეს.

მეორე ეპიზოდი მალევე დაიწყო. როდესაც შვეულმფრენი სასაკლაოს თავს დასტრიალებდა, ეკიპაჟის წევრებმა შენიშნეს, რომ სიკვდილს გადარჩენილი დაჭრილი წამოდგომას ცდილობდა. ის შეუიარაღებელი ჩანდა. „აბა, აიღე იარაღი!“ – ჩაილაპარაკა „აპაჩიში“ მოკალათებულმა ჯარისკაცმა. უცებ ფურგონი გამოჩნდა, საიდანაც სამი უიარაღო კაცი გადმოხტა და დაჭრილს დასახმარებლად მივარდა. „ადგილზე სამი კაცია. როგორც ჩანს, გვამებისა და იარაღის წაღებას აპირებენ“, – გადასცა ბაზას „აპაჩიმ“, მიუხედავად იმისა, რომ ისინი დაჭრილს ეხმარებოდნენ და იარაღისკენ არც იხედებოდნენ. შვეულმფრენის ეკიპაჟმა კაცები დახოცა და დაჭრილიც მოკლა, ვის გადარჩენასაც ისინი ცდილობდნენ. ამ დროს ფურგონის წინა სავარძელზე ორი მცირეწლოვანი ბავშვიც დაიჭრა.

მესამე ეპიზოდში შვეულმფრენის ეკიპაჟმა მეთაურს რაციით აცნობა, რომ სულ ცოტა, ექვსი შეიარაღებული კაცი შევიდა სანახევროდ აშენებულ შენობაში მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ ტერიტორიაზე (შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი ამერიკულ ჯართან შეტაკების მონაწილეც იყო – ეს გაურკვეველია). ეკიპაჟმა ნებართვა ითხოვა იმ შენობაზე იერიშის მისატანად, რომელიც, მისი წევრების თქმით, მიტოვებული უნდა ყოფილიყო. „ტანკსაწინააღმდეგო რაკეტას ვესვრით“, – საკუთარი იდეა გააცნო მეთაურს ერთმა ჯარისკაცმა და ოპერაციის დაწყების ბრძანებაც მალევე მიიღო. რამდენიმე წამის შემდეგ ორი უიარაღო კაცი შენობაში შევიდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებმა ისინი შენიშნეს, იერიში მაინც განახორციელეს: „ჰელფაიერის“ ტიპის სამმა ტანკსაწინააღმდეგო რაკეტამ შენობა დაანგრა. კაცები ნანგრევებში ჩაიკარგნენ.

ასანჟი ამ მოვლენებს მკაფიოდ გამოკვეთილი, ზნეობრივი თვალსაზრისით აფასებდა, მიუხედავად იმისა, რომ გადაღებული მასალა ერთმნიშვნელოვანი სამართლებრივი დასკვნების გამოტანის საფუძველს არ იძლეოდა. ვიდეოს გადაღებამდე ერთ თვეში მე-16 პოლკის ქვეითი ბატალიონის წევრებმა გადაიტანეს: 150-ზე მეტი იერიში და საგზაო დაბომბვა, 19 სხეულის დაზიანება და 4 თანამებრძოლის დაღუპვა. იმ დილით სამხედრო ნაწილს მცირეკალიბრიანი იარაღით გაუხსნეს ცეცხლი. „აპაჩიში“ მყოფი ჯარისკაცები, ფაქტობრივად, ადამიანებს კლავდნენ და მსხვერპლზე გულგრილად საუბრობდნენ, თუმცა პირველი შეტევა მაინც ტრაგიკულ გაუგებრობად მოჩანდა. ფურგონზე იერიშის მიტანის აუცილებლობა საეჭვო იყო (ძალის გამოყენება გააზრებულ და გამოზომილ ნაბიჯს არ წარმოადგენდა), მაგრამ ჯარისკაცებს უფლება აქვთ, ესროლონ მებრძოლებს, მაშინაც კი, თუ ისინი დაჭრილებს ეხმარებიან. იმის მტკიცებაც შეიძლება, რომ „აპაჩის“ ეკიპაჟმა, რომელსაც ფიქრის დრო არ ჰქონდა, ფურგონიდან გადმოსული კაცები მტრის დამხმარეებად ლოგიკურად ჩათვალა. მესამე ეპიზოდი უკანონო ქმედებას, დაუდევრობით ჩადენილ მკვლელობას ან უფრო უარესს გვიჩვენებდა. დღის შუქზე შენობისთვის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების სროლა და იმ ექვსი კაცის მოკვლა, რომელთა განადგურებასაც სტრატეგიული მნიშვნელობა არ აქვს, ძალის გადამეტებული გამოყენებაა. ეს იერიში არასაკმარისი განსჯის შემდეგ განხორციელდა და გაუგებარია, არმიამ რატომ არ გამოიძია ის.

ასანჟმა ამ ოპერაციის ამსახველი შიდა სამხედრო ანგარიშები მოიპოვა, რომლებშიც ეწერა, რომ ყველა მოკლული, „როიტერის“ ჟურნალისტების გარდა, მეამბოხე იყო. ინციდენტის მომდევნო დღეს არმიის პრესსპიკერმა განაცხადა: „ეჭვგარეშეა, რომ კოალიციური ჯარი საბრძოლო ოპერაციებს აშკარად მტრული ძალის წინააღმდეგ აწარმოებდა“. ასანჟი იმედოვნებდა, რომ B-გეგმა არმიის ოფიციალურ ნარატივს ძირს გამოუთხრიდა. „ეს ვიდეო გვიჩვენებს, თუ რა სახე მიიღო თანამედროვე ომმა. ჩემი აზრით, მისი ნახვის შემდეგ, როდესაც ხალხი გაიგონებს, საჰაერო იერიშებს გარკვეული რაოდენობის უბედური შემთხვევა მოჰყვაო, მიხვდება, სინამდვილეში რა მოხდა“, – განაცხადა მან ბუნკერში, – „ეს ვიდეო იმასაც ნათელს ხდის, რომ უბრალო მოქალაქეები ავტომატურად შეჰყავთ მეამბოხეების სიაში, მოკლულ გამვლელებს კი არც ახსენებენ“.

„ვიკილიქსი“ დღეში 30-მდე დოკუმენტს ან დოკუმენტების პაკეტს იღებს. ის, როგორც წესი, მხოლოდ მათ აქვეყნებს კომენტარის თანხლებით, რომლებსაც თავდაპირველი, გაურედაქტირებელი ფორმით სარწმუნოდ მიიჩნევს. ასანჟმა მითხრა: „მინდა, ახალი სტანდარტი დავამკვიდრო: სამეცნიერო ჟურნალისტიკა. თუ დნმ-ზე სტატიის გამოქვეყნებას დააპირებთ, ყველა კარგი ბიოლოგიური ჟურნალი იმ წყაროების მითითებას მოგთხოვთ, რომლებზე დაყრდნობითაც გამოკვლევა ჩაატარეთ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ხალხმა თქვენი დასკვნები შეამოწმოს, გააანალიზოს. რაღაც ასეთი ჟურნალისტიკაშიც არის საჭირო. ძალაუფლების თვალშისაცემ დისბალანსზე მოწმობს ის, რომ მკითხველებს არ შეუძლიათ იმის გადამოწმება, რასაც მათ ეუბნებიან. ამ ყველაფერს ვიღაცები ბოროტად იყენებენ“. რამდენადაც ასანჟი პირველწყაროს ინფორმაციას აქვეყნებს, მას სჯერა, რომ „ვიკილიქსი“ არ არის ვალდებული, თუნდაც მცირე ანალიზი შესთავაზოს მკითხველს. B-გეგმის შემთხვევაში, ჯულიანს სურდა, დაუმონტაჟებელი მასალისგან მოკლე ფილმი შეექმნა, რომელზე კომენტარების გაკეთებაც უფრო იოლი იქნებოდა. თავიდან ფიქრობდა, რომ ფილმს „ცეცხლის გახსნის ნებართვას“ დაარქმევდა, მაგრამ ბოლოს გადაწყვიტა, უფრო მძაფრი სათაური შეერჩია: „კოლატერალური მკვლელობა“. მან გონგრიპს უთხრა: „გვინდა, ევფემიზმ „კოლატერალურ ზარალს“ აზრი გამოვაცალოთ: როცა კი ვინმე ამ სიტყვებს იტყვის, ხალხი მაშინვე „კოლატერალურ მკვლელობაზე“ გაიფიქრებს“.

ვიდეო, თავდაპირველი სახით, თავსატეხს – კონტექსტიდან ამოგლეჯილი რეალობის ფრაგმენტს წარმოადგენდა. ბუნკერში ასანჟი და დანარჩენები დიდხანს ცდილობდნენ დეტალების ერთმანეთთან დაკავშირებას: საჯარისო დანაყოფების იდენტიფიკაციას, მათი ხელმძღვანელობის სტრუქტურისა და ბრძოლის წესების გარკვევას, ჯარისკაცების იმ ჟარგონის გაშიფრვას, რომელსაც ისინი რაციით საუბრისას იყენებდნენ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იმის დადგენას, იყვნენ თუ არა – ან როგორ იყვნენ – ერაყელები შეიარაღებულები.

– ამას იარაღი აქვს, – თქვა ასანჟმა, როდესაც ქუჩაში მიმავალი კაცის ბუნდოვან სურათს აკვირდებოდა, – ამ ხალხს შეხედეთ, აქეთ რომ დგანან.

– ამ ტიპს RPG აქვს მხარზე გადაკიდებული, – უთხრა გონგრიპმა.

– არა მგონია. სულაც არ ჰგავს RPG-ს, – უპასუხა ასანჟმა და ფილმის ეს მონაკვეთი კიდევ ერთხელ ნახა, – აი, რა არის ძალიან უცნაური: თუ ეს RPG-ა, გამოდის, რომ მათ მხოლოდ ეს ერთი RPG აქვთ. სად არის სხვა იარაღი? სად არიან შეიარაღებული ტიპები? გაუგებარია.

სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება დიდ სირთულეს წარმოადგენდა, რადგან ასანჟი სამხედრო პირებთან ამ საკითხის განხილვას არ აპირებდა. „ჩავთვალე, რომ ეს უფრო მეტ ზარალს მოიტანდა, ვიდრე სარგებელს“, – მითხრა მან, – „წინა წლებში მათ მივმართე, მაგრამ უშედეგოდ: როგორც კი „ვიკილიქსის“ სახელი ესმით, დახმარებაზე იმავე წამს უარს აცხადებენ“. ასანჟი B-გეგმას მოულოდნელ თავდასხმად ამზადებდა. მან ხმები გაავრცელა, თითქოს ვიდეო 2009 წელს, ავღანეთში იყო გადაღებული, რათა თავდაცვის დეპარტამენტი მის გამოქვეყნებას მოუმზადებელი დახვედროდა. ჯულიანს არ სჯერა, რომ შეიარაღებული ძალები მედიას კეთილსინდისიერად ექცევა. მან მითხრა: „რა უფლება აქვს ამ ინსტიტუციას, ეს ამბავი საზოგადოებაზე ადრე იცოდეს?“

ასეთი ანტაგონისტური განწყობა სუფევდა ბუნკერში. ერთხელ, გვიან ღამით, ერთ-ერთმა აქტივისტმა მას ჰკითხა, შეერთებულ შტატებში ჩასვლისას ხომ არ დაგიჭერენო.

– იქ ჩასულს ახლა ყველაზე ნაკლები საფრთხე მემუქრება, ვიდრე ოდესმე, – დაარწმუნა ასანჟმა.

– ამბობენ, გუანტანამოს სამხედრო ბაზა წელიწადის ამ დროს განსაკუთრებით ლამაზიაო, – აღნიშნა გონგრიპმა.

საბოლოო გადაწყვეტილებებს მხოლოდ ასანჟი იღებდა. ღამით რომ წასულიყავით და დილით დაბრუნებულიყავით, შესაძლოა, მუშაობაში გართული ისევ იმ ადგილას დაგხვედროდათ, სადაც დატოვეთ (პარიზში ორი თვე გავატარე ერთ ოთახში ისე, რომ გარეთ არ გავსულვარ. საკვებით სხვები მამარაგებდნენ“, – მითხრა მან). ჯგუფის წევრებს მოკლე ფრაზებით ესაუბრებოდა: „დეკოდირების მექანიზმი მჭირდება“, ან „დარწმუნდით, რომ საკრედიტო ბარათებით შემოწირულობების მიღება დაშვებულია“. მოულოდნელად წამოჭრილ პრობლემებს ის გადაღლილ მოხალისეებთან ერთად აგვარებდა. აქტივისტების საქმიანობისთვის თვალის მისადევნებლად გონგრიპმა და დანარჩენებმა სამუშაო გრაფიკი შეადგინეს სამზარეულოს კარადაზე მიწებებული ყვითელი ფურცლებით. სადღაც სხვაგან ვიდეოს სუბტიტრებს სხვადასხვა ენაზე თარგმნიდნენ, ან ზომებს იღებდნენ, რათა მისი გამოქვეყნების შემდეგ ტრაფიკს სერვერები მწყობრიდან არ გამოეყვანა, როგორც მოსალოდნელი იყო. ასანჟს ამ თავდასხმების დროს დაღუპული ერაყელების ოჯახებთან დაკონტაქტებაც უნდოდა, რათა ისინი მედიის ყურადღების ცენტრში მოხვედრისთვის შეემზადებინა და დამატებითი ინფორმაციაც მიეღო. RUV-ის – ისლანდიის ეროვნული სამაუწყებლო კომპანიის დახმარებით მან ორი ისლანდიელი ჟურნალისტი გაგზავნა ბაღდადში მათ მოსაძებნად.

კვირის ბოლოსთვის თითოეული კადრის შემოწმება თითქმის დასრულდა და შედეგად, პატარ-პატარა დეტალები გამოიკვეთა, მაგალითად, მიწაზე დაგდებული გვამი, რომელიც ერთი შეხედვით არ ჩანდა („დაახლოებით 12 000 კადრი მაქვს“, – მითხრა აქტივისტმა, რომელიც მათ ამოწმებდა, – „საშინელი დღე გავატარე ამ ხალხის ბოლო წამების ყურებაში“). ასანჟმა გადაწყვიტა, ფილმიდან „ჰელფაიერის“ ეპიზოდი ამოეღო. ამ იერიშის დროს ნაკლები ადამიანი ჩანდა და თანაც, მისი აზრით, შეიძლებოდა მაყურებლები ჭარბ ინფორმაციას გადაეტვირთა.

დამონტაჟებული ფილმი, რომელიც 18 წუთს გრძელდებოდა, ჯულიანისა და M-ის მიერ შერჩეული ჯორჯ ორუელის სიტყვებით იწყებოდა: „პოლიტიკის ენა იმისთვის გამოიგონეს, რომ ტყუილები სიმართლეს დამსგავსებოდა და მკვლელობა ღირსეულ საქმედ წარმოჩენილიყო, ცარიელი ჰაერი კი ფეხქვეშ სიმყარედ მოგვჩვენებოდა“. შემდეგ მოკლული ჟურნალისტებისა და ამ თავდასხმის ოფიციალური შეფასების შესახებ ვისმენდით. ფილმის ერთ-ერთმა ისლანდიელმა მემონტაჟემ აღნიშნულ მონაკვეთს ჯარისკაცების ნაწყვეტ-ნაწყვეტი, ხუმრობანარევი გადაძახილები დაადო. როდესაც ასანჟი ამ ეპიზოდს უყურებდა, აქტივისტმა, სახელად გუდმუნდურ გუდმუნდსონმა აღნიშნა, რომ ეს სახუმარო გადაძახილები მაყურებლებს ჯარისკაცებთან „ემოციური კავშირის დამყარების“ საშუალებას აძლევდა. ჯულიანი მას უმტკიცებდა, დიალოგები ფრაგმენტული და ბუნდოვანიაო, მაგრამ გუდმუნდსონი დაჟინებით იმეორებდა:

– ამას ყოველთვის ემოციური ფონის შესაქმნელად იყენებენ.

– ამავე დროს იმასაც ხომ ვაჩვენებთ, რომ ისინი ურჩხულები არიან, – თქვა მემონტაჟემ.

– მაგრამ ემოციები ყოველთვის იმარჯვებს, – უპასუხა გუდმუნდსონმა, – სხვათა შორის, მე ოსკარზე ნომინირებული ფილმის, „ბუნების შვილების“ ხმის ჩაწერაზე ვმუშაობდი, ასე რომ, საკუთარი გამოცდილებით ვსაუბრობ.

– კარგი, ალტერნატივად რას შემოგვთავაზებ? – ჰკითხა ასანჟმა.

– ძირითადად, ხმაურს, რომელიც სიჩუმეს დრო და დრო დაარღვევს.

მემონტაჟემ შესაბამისი ცვლილება განახორციელა: ჯარისკაცების ხმები დასაწყისშივე მოაცილა, მაგრამ რაციის მოკლე, მკვეთრი სიგნალები და შხრიალი დატოვა. ასანჟმა დამონტაჟებულ ვარიანტზე საბოლოო თანხმობა განაცხადა.

შაბათს, გვიან ღამით, ფილმზე მუშაობის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე, ბაღდადში წასულმა ჟურნალისტებმა ასანჟს იმეილი გამოუგზავნეს: მათ ის ორი ბავშვი იპოვეს, რომლებიც ინციდენტის დროს ფურგონში ისხდნენ. ბავშვები თავდასხმის ადგილიდან ერთი კვარტალის დაშორებით ცხოვრობდნენ. იმ დილით ისინი მამას სკოლაში მიჰყავდა. „მათ ახსოვთ დაბომბვა. ამბობენ, რომ დიდი ტკივილი იგრძნეს და გონება დაკარგეს“, – წერდა ისლანდიელი ჟურნალისტი. მათ იმ შენობის მეპატრონეც იპოვეს, რომელიც ამერიკელებმა შვეულმფრენიდან ნასროლი „ჰელფაიერებით“ დაანგრიეს. მისი თქმით, შენობაში ოჯახები ცხოვრობდნენ და იმ დღეს შვიდი მობინადრე დაიღუპა. თავად მეპატრონემ – პენსიაზე გასულმა ინგლისურის მასწავლებელმა – ცოლი და ქალიშვილი დაკარგა. ბუნკერში გაცხოველებული დისკუსია გაიმართა იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოეყენებინათ ეს ახალი ამბები: ღირდა თუ არა ამერიკის ეროვნულ პრესკლუბში მათი საჯაროდ გამოტანა და უკეთესი ხომ არ იქნებოდა, მოეცადათ. თუ სამხედრო პირები „ჰელფაიერებით“ განხორციელებულ იერიშს იმით გაამართლებდნენ, რომ ამ დროს უბრალო მოქალაქეები არ დაღუპულან, „ვიკილიქსი“ მათ ამ ინფორმაციის

გაგრძელება

გამჟღავნებით უპასუხებდა. ეს ერთგვარი ჩასაფრება იქნებოდა. იონსდოტირი გონგრიპს მიუბრუნდა, ვისაც თვალები ცრემლებით ავსებოდა:

– ტირი?

– ჰო, – უპასუხა მან, – უბრალოდ, ბავშვები მეცოდება. გული მტკივა.

გონგრიპმა ცრემლების შეკავება მოახერხა, მაგრამ გინების – ვერა. მერე ის ისევ ჩასაფრების თემას დაუბრუნდა:

– მოდი, მივცეთ მათ იმის საშუალება, რომ მახეში გაებან...

– მშვენიერი იქნება, – თქვა ერთ-ერთმა აქტივისტმა.

– მივცეთ საშუალება და ისინიც გაებმებიან, – უპასუხა გონგრიპმა, – ეს ლოგიკურია.

ახლა იონსდოტირიც ტიროდა და ცხვირს იწმენდდა.

– მინდა, ეს ფილმი თავიდან დავამონტაჟოთ, – თქვა ასანჟმა, – მინდა, მასში ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით განხორციელებული იერიშიც შევიტანოთ. შენობის პირველ სართულზე სამი ოჯახი ცხოვრობდა, ასე რომ, ის მიტოვებული არ ყოფილა.

ფილმის თავიდან დამონტაჟება შეუძლებელი აღმოჩნდა. აქტივისტები მთელი დატვირთვით მუშაობდნენ, რამდენიმე საათში კი აღდგომა დადგებოდა.

დილის 11-ის ნახევარზე გონგრიპმა შტორები ასწია და ბუნკერი მზის შუქით აივსო. მას გრძელმკლავიანი მაისური და საგულდაგულოდ გარეცხილ-გაუთოებული შარვალი ეცვა. ცდილობდა, ყველას სამუშაო გრაფიკის მიხედვით ემოქმედა. ბოლო წუთებში ახალი საკითხები წამოიჭრა, რომელთა შორის შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის სფეროში მომუშავე ადვოკატის პოვნაც იყო. ასანჟი კომპიუტერთან წელში გამართული იჯდა და განუწყვეტლივ წერდა.

– დრო გვაქვს? – ისე იკითხა, კონკრეტულად არავისთვის მიუმართავს.

– სამი საათი გვაქვს, – უპასუხა გონგრიპმა.

წარბშეკრულმა ჯულიანმა ყურადღება ისევ ეკრანზე გადაიტანა. ის 2006 წლიდან ერაყში ბრძოლის წარმოების გასაიდუმლოებული წესების ასლს ეძებდა, რომელიც ამერიკის საიდუმლო სამხედრო დოკუმენტს წარმოადგენს. განზრახული ჰქონდა, ვიდეოსთან ერთად ისიც გამოექვეყნებინა. „ვიკილიქსი“ ასეთ დოკუმენტებს ყოველთვის „წმენდს“ ხოლმე, რათა დაზღვეული იყოს: მათ უმცირესი ციფრული კვალიც კი არ უნდა აღენიშნებოდეთ, რომელიც წყაროს იდენტიფიკაციას შესაძლებელს გახდის. ასანჟი ამგვარ ნაკვალევს ისე სწრაფად შლიდა, როგორც შეეძლო.

რეიკიავიკის ქუჩები ცარიელი იყო. უცებ ტაძრის ზარების წკრიალი გაისმა. „გახსოვდეს, გახსოვდეს ხუთი ნოემბერი“, – გაიმეორა ასანჟმა გაი ფოქსისადმი მიძღვნილი ინგლისური ხალხური ლექსის სიტყვები. გაიღიმა, როდესაც გონგრიპმა სამუშაო გრაფიკი გაანადგურა: მისაწებებელი ქაღალდები სამზარეულოს კარადიდან ჩამოხსნა და უნიტაზში ჩარეცხა. შუადღის დადგომამდე ცოტა ხნით ადრე ყველა მონდომებით ცდილობდა, B-გეგმის ყოველგვარი კვალი გაენადგურებინა და აეროპორტში არ დაეგვიანა. ასანჟს ბარგი ჯერ არ ჩაელაგებინა და არც წვერი გაეპარსა, თმაც გაჩეჩილი ჰქონდა. პრესრელიზს კრეფდა. იონსდოტირმა დასახმარებლად შემოიარა. ჯულიანმა ჰკითხა:

– არ შეგიძლია თმა შემაჭრა, სანამ ამას ვაკეთებ?

– ვერა, ვერ შეგაჭრი, სანამ მუშაობ, – უპასუხა ქალმა.

იონსდოტირმა წყალს მიაგნო და ჩაი მოამზადა. ჯულიანი ისევ ტექსტს კრეფდა. რამდენიმე წუთში ბირგიტმა უხალისოდ დაუწყო თმის ვარცხნა. ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

– თუ დაგიჭერენ, ხომ დამიკავშირდები?

ასანჟმა თავი დაუქნია. ამასობაში გონგრიპმა მისი ნივთები ჩანთაში ჩატენა და ბინის მფლობელს ფული გადაუხადა. ახლა ჭურჭელი დარეცხილი იყო. ავეჯი თავის ადგილას იდგა. მობინადრეები პატარა მანქანაში ჩაიჭეჭყნენ და სახლი წამში დაცარიელდა. მასში სიჩუმემ დაისადგურა.

ითვლება, რომ გვარი „ასანჟი“ ა სანჯიდან, ანუ ბატონი სანჯიდან უნდა მომდინარეობდეს – სწორედ ასე ერქვა იმ ჩინელ ემიგრანტს, რომელიც ავსტრალიის სანაპიროსთან მდებარე ხუთშაბათის კუნძულზე მე-19 საუკუნის დასაწყისში დასახლდა. მისი შთამომავლები, მოგვიანებით, კონტინენტზე გადასახლდნენ. დედის მხრიდან ასანჟის წინაპრები მოსავლიანი მიწების საძებნელად ავსტრალიაში, მე-19 საუკუნის შუა წლებში, შოტლანდიიდან და ირლანდიიდან ჩამოვიდნენ. ის ნახევრად ხუმრობით ამბობს, რომ ხეტიალისადმი მისი მისწრაფება გენეტიკურია. ჯულიანი ტელეფონის ნომრებსა და ელექტრონული ფოსტის მისამართებს გამუდმებით იცვლის, საკუთარი ცხოვრების შესახებ დეტალებს კი ისე მოხერხებულად და მონდომებით მალავს, რომ შეიძლება ირგვლივმყოფები გააგიჟოს.

ასანჟი 1971 წელს დაიბადა ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ თაუნსვილში, თუმცა უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ის გაუთავებელ მოგზაურობებში იშვა. როგორც კი ერთი წელი შეუსრულდა, დედამისი – მას კლერს ვუწოდებ – ცოლად თეატრის დირექტორს გაჰყვა. ორივენი პატარ-პატარა წარმოდგენებს მართავდნენ და საცხოვრებელ ადგილს ხშირად იცვლიდნენ: ცხოვრობდნენ ბაირონ-ბეიში, ნიუ საუს უელზის შტატის ზღვისპირა ქალაქში და მეგნეტიკ აილენდზე, ერთი ციდა კლდოვან კუნძულზე, რომელსაც, კაპიტან კუკის რწმენით, ისეთი მაგნიტური თვისებები ჰქონდა, რომ მისი კომპასი მწყობრიდან გამოდიოდა. ცოლიც და ქმარიც უდრეკი ნონკონფორმისტები იყვნენ (17 წლის კლერი, სკოლის სახელმძღვანელოების დაწვის შემდეგ, სახლიდან მოტოციკლეტით გაიქცა). ერთ დღეს მეგნეტიკ აილენდზე მათ სახლს ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად განადგურდა, შაშხანის ვაზნები კი, რომლებსაც კლერი გველების დასახოცად ინახავდა, ერთმანეთის მიყოლებით ისე აფეთქდა, თითქოს ფოიერვერკი იყო. „ბავშვობის ამ წლებში ტომ სოიერივით ვცხოვრობდი“, – მითხრა ასანჟმა, – „საკუთარი ცხენი მყავდა. ტივი მე თვითონ შევკარი. სათევზაოდ დავდიოდი. მაღაროების შახტებსა და გვირაბებში დავძვრებოდი“.

ჯულიანის დედას სჯეროდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული განათლება მის შვილებს ხელისუფლებისა და ავტორიტეტების მიმართ არაჯანსაღ პატივისცემას ჩაუნერგავდა და სწავლის სურვილს ჩაუხშობდა. „არ მინდოდა, სული დაზიანებოდათ“, – მითხრა მან. ასე იყო თუ ისე, სანამ ასანჟი 14 წლის გახდებოდა, ოჯახმა 37 საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა, რამაც მყარი განათლების მიღება შეუძლებელი გახადა. ის შინ მეცადინეობდა, ხან დისტანციური სწავლების მეთოდს იყენებდა, ხან უნივერსიტეტის მასწავლებლებთან არაფორმალურ გაკვეთილებზე დადიოდა. თუმცა, უმთავრესად, წიგნებს მარტო კითხულობდა, ერთმანეთის მიყოლებით ნთქავდა. მერე მეცნიერებამ გაიტაცა. „ბევრ დროს ვატარებდი ბიბლიოთეკებში, ერთი თემიდან მეორეზე ვხტებოდი, იმ წიგნებს ვეძებდი, რომელთა ციტატებიც წაკითხულ წიგნებში მხვდებოდა და კვალს მივყვებოდი“, – იხსენებდა ის. ამ გზით დიდი ლექსიკური მარაგი დაუგროვდა, მაგრამ მხოლოდ მოგვიანებით ისწავლა, როგორ უნდა გამოეთქვა ნასწავლი სიტყვები.

როდესაც ჯულიანი 8 წლის იყო, კლერმა ქმარი მიატოვა და მუსიკოსთან დაიწყო სიარული, რომლისგან შვილიც გააჩინა – კიდევ ერთი ბიჭი. მათ ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ: როგორც ქალი იხსენებს, მუსიკოსი შეურაცხყოფასა და ძალადობასაც არ ერიდებოდა, რის გამოც ერთმანეთს დაშორდნენ. ასანჟის ნახევარ-ძმის აღზრდის უფლების მოსაპოვებლად დიდი ბრძოლა გაჩაღდა. კლერმა საფრთხე იგრძნო: შეეშინდა, რომ მუსიკოსი შვილს წაართმევდა. ჯულიანს ახსოვს, როგორ უთხრა დედამ: „ახლა უნდა გავქრეთ“. 11-დან 16 წლამდე ბიჭი მასთან ერთად იმალებოდა. როდესაც ამის შესახებ ვკითხე, მიპასუხა, არსებობს დამამტკიცებელი საბუთები, რომ ის კაცი დიდი გავლენის მქონე კულტის მიმდევარი იყოო. კულტს „ოჯახი“ ერქვა და მისი დევიზი იყო: „თვალით უნახავი და ყველასთვის უცნობი“. მის წევრებს შორის ექიმებიც იყვნენ, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ დედებზე, რათა მათ ახალშობილები კულტის ლიდერისთვის, ენ ჰემილტონ-ბერნისთვის დაეთმოთ. ასანჟი ეჭვობს, რომ კულტს მიმდევრები მთავრობაშიც ჰყავდა და სწორედ ისინი ატყობინებდნენ მუსიკოსს კლერის ადგილსამყოფელს. სინამდვილეში კი, დედამისი ხშირად ეუბნებოდა მეგობრებს, თუ სად გადადიოდა საცხოვრებლად და ზოგჯერ იმ ადგილებში იმალებოდა, სადაც ადრე ცხოვრობდა.

ერთ დღესაც კლერმა ის სახლი იქირავა, რომლის მოპირდაპირე მხარეს ელექტრონიკის მაღაზია იყო. ასანჟი იქ Commodore 64-ზე პროგრამების ჩასაწერად დადიოდა. ბოლოს დედამ კომპიუტერი უყიდა, მაგრამ უფრო იაფფასიან ბინაში გადაიყვანა, რათა თანხა დაეზოგა. ბიჭმა მალევე შეძლო ცნობილი პროგრამების „გატეხა“, სადაც ის მათი შემქმნელების მიერ დატოვებულ, დამალულ შეტყობინებებს პოულობდა. „კომპიუტერით ურთიერთობის სიმარტივემ მიმიზიდა“, – მითხრა მან, – „ეს ჭადრაკის თამაშს ჰგავს: ჭადრაკი ხომ ძალიან მარტივია იმ აზრით, რომ მას ბევრი წესი არა აქვს, შემთხვევითობებიც გამორიცხულია, ამოცანა კი ძალიან რთულია“. ჯულიანი ცხოვრებას აუტსაიდერის თვალით უყურებდა. მოგვიანებით მან საკუთარი თავისა და მეგობრის შესახებ დაწერა: „გონიერი, მგრძნობიარე ბავშვები ვიყავით, ვინც დომინანტურ სუბკულტურას ვერ ვერგებოდით და უმოწყალოდ ვაკრიტიკებდით მათ, ვისთვისაც ეს სიძნელეს არ წარმოადგენდა. ასეთებს გამოუსწორებელ ხისთავიანებს ვუწოდებდით“.

16 წლის ასანჟმა მოდემი იყიდა და მისი კომპიუტერი პორტალად გადაიქცა. იმ დროს ვებგვერდები ჯერ არ არსებობდა – 1987 წელი იდგა – მაგრამ კომპიუტერული ქსელები და სატელეკომუნიკაციო სისტემები ერთმანეთთან ისე იყო დაკავშირებული, რომ ფარულ ელექტრონულ ლანდშაფტს ქმნიდა. საჭირო ტექნიკური აღლოს მქონე მოზარდებს მასში მოგზაურობა არ უჭირდათ. ჰორაციუსის „splendide mendax“-ით – „კეთილშობილი მატყუარათი“ შთაგონებულმა ასანჟმა მენდაქსი დაირქვა. მან მალევე დაიმკვიდრა საკუთარ საქმეში დახელოვნებული პროგრამისტის რეპუტაცია, რომელსაც ყველაზე კარგად დაცულ ქსელებში შეღწევაც კი შეეძლო. ორ ჰაკერთან ერთად ჯულიანმა ჯგუფი შექმნა – „საერთაშორისო დივერსანტები“. ისინი ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის კომპიუტერულ სისტემებში შედიოდნენ, მათ შორის, ამერიკის თავდაცვის დეპარტამენტისა და ლოს ალამოსის ეროვნული ლაბორატორიის ქსელებშიც. წიგნ „ანდერგრაუნდში“, რომელიც მწერალ სიულეტ დრეიფუსთან ერთად დაწერა, ასანჟმა ჰაკერული სუბკულტურის დასაწყისის „ოქროს წესები“ განსაზღვრა: „არ დააზიანო ის კომპიუტერული სისტემები, რომლებშიც შედიხარ, არ გამოიყვანო ისინი მწყობრიდან; არ შეცვალო ინფორმაცია სისტემებში (იმ შემთხვევების გარდა, როცა სარეგისტრაციო ჩანაწერების შეცვლა კვალის დასაფარად გჭირდება); გაუზიარე ინფორმაცია სხვებს“.

თითქმის იმავე პერიოდში ჯულიანს 16 წლის გოგო შეუყვარდა და მცირე ხნით მასთან გადავიდა საცხოვრებლად. „რამდენიმე დღეში პოლიცია გამოჩნდა. მთელი კომპიუტერული მოწყობილობა წამართვეს“, – გაიხსენა მან. მისივე თქმით, რეიდი შტატის პოლიციამ განახორციელა: „იქ ერთი გაიძვერა ტიპი იყო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჩვენ 500 000 დოლარი მოვპარეთ Citibank-ს“. საბოლოოდ ასანჟს ბრალი არ წაუყენეს და თავისი ნივთები დაუბრუნეს. „მაშინ გადავწყვიტე, რომ უფრო გონივრული იქნებოდა, თუ ცოტა წინდახედული ვიქნებოდი“, – მითხრა მან. მერე ჯულიანი და მისი შეყვარებული მელბურნში, მიტოვებულ შენობებში თვითნებურად ჩასახლებულ უსახლკაროთა შორის აღმოჩნდნენ. ასე ცხოვრობდნენ, სანამ გაიგებდნენ, რომ გოგო ორსულად იყო. ამის შემდეგ კლერთად ახლოს დასახლდნენ. ასანჟი 18 წლის იყო, როდესაც ისინი არაოფიციალურად დაქორწინდნენ. მალევე მათ ვაჟი შეეძინათ.

ჰაკერობა მუდამ მისი მთავარი საქმიანობა იყო. „საერთაშორისო დივერსანტებს“ გამოძიების განახლების ეშინოდათ, რადგან უფრო და უფრო ხშირად ესმოდათ, რომ ხელისუფლება მათი საქმიანობით იყო დაინტერესებული. ავსტრალიის ფედერალურმა პოლიციამ ჯგუფის მიერ განხორციელებული ოპერაციების გამოძიება დაიწყო, საკუთარ ოპერაციას კი „ამინდი“ უწოდა. ჰაკერები ყოველმხრივ ცდილობდნენ, ამ პროცესის შესახებ მეტი ინფორმაცია მოეპოვებინათ.

1991 წლის სექტემბერში, როდესაც ასანჟი 20 წლის იყო, მან კანადური სატელეკომუნიკაციო კომპანიის, Nortel-ის მთავარი ტერმინალი გატეხა, რომელიც მელბურნიდან იმართებოდა. ის ინფორმაციის ძებნას შეუდგა. ამის შემდეგ „საერთაშორისო დივერსანტები“ მთავარ ტერმინალს ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე. ჯულიანი, ტრადიციულად, კომპიუტერულ სისტემებში ღამით შედიოდა, როდესაც ისინი პასიურ რეჟიმზე იყო გადაყვანილი, მაგრამ ერთხელაც სისტემაში Nortel-ის ადმინისტრატორი აღმოჩნდა შესული. ასანჟი მიხვდა, რომ გამოიჭერდნენ და გახუმრება სცადა. „ყველაფერს მე ვაკონტროლებ. წლების მანძილზე დავეხეტებოდი ბინდში, ახლა კი, როგორც იქნა, სინათლე ვიხილე“, – დაწერა მან, თუმცა თავისი სახელი არ უთქვამს. ადმინისტრატორს პასუხი არ გაუცია. ასანჟმა მას კიდევ ერთი შეტყობინება გაუგზავნა: „მშვენივრად გავერთეთ

გაბრძელება

თქვენი სისტემით. არაფერი დაგვიზიანებია, პირიქით, რაღაცები გავაუმჯობესეთ კიდეც. გთხოვთ, ავსტრალიის ფედერალურ პოლიციას არ დაურეკოთ“.

Nortel-ში „საერთაშორისო დივერსანტების“ შეჭრამ ოპერაცია „ამინდის“ მიმდინარეობაში გარდატეხა მოახდინა. ფედერალური პოლიციის გამომძიებლებმა სატელეფონო ხაზების შემოწმება დაიწყეს იმის დასადგენად, თუ რომლებს იყენებდნენ ჰაკერები. „ჯულიანი ყველაზე მეტის მცოდნე და ყველაზე გულდახურული იყო“, – მითხრა მთავარმა გამომძიებელმა კენ დეიმ, – „მას რაღაც ალტრუისტული მოტივაცია ამოძრავებდა. ვფიქრობ, იმ რწმენით მოქმედებდა, რომ ყველაფერი ყველასთვის ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო“.

„ანდერგრაუნდში“ აღწერილია, თუ როგორ ეშინოდა ასანჟს დაპატიმრების: „მენდაქსს დღე და ღამ პოლიციის რეიდები ელანდებოდა: სახლის გზაზე მომავალი პოლიციელების ფეხის ხმა, მათი ჩრდილები ალიონამდელ ბინდ-ბუნდში, შეიარაღებული კაცების შემოჭრა უკანა კარიდან დილის 5 საათზე“. ჯულიანი მხოლოდ მაშინ ისვენებდა, როცა დისკებს საფუტკრეში დამალავდა ხოლმე. ოქტომბერში ის საშინელ მდგომარეობაში იმყოფებოდა: ცოლმა მიატოვა და მათი ბიჭუნაც თან წაიყვანა. სახლი არეულ-დარეული იყო. ასანჟი ძალიან ცოტას ჭამდა და თითქმის არ იძინებდა. 29 ოქტომბერს კი, პოლიციის მოსვლამდე, მან ტელეფონი მაგნიტოფონს შეუერთა: ღამის 12-ის ნახევრამდე დაკავების მაუწყებელ სიგნალს უსმენდა. სწორედ ამ დროს დააკაკუნა კარზე კენ დეიმ და უთხრა: „ვფიქრობ, მელოდით“.

ასანჟის საბრალდებო აქტი 31 პუნქტისგან შედგებოდა. მას ბრალი ჰაკერობასა და მსგავსი დანაშაულების ჩადენაში ედებოდა. სასამართლო პროცესის ლოდინში ჯულიანს დეპრესია დაეწყო. მცირე ხნით ის საავადმყოფოშიც იწვა. თავიდან გადაწყვიტა, დედასთან დარჩენილიყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ახლომდებარე პარკებში დაიწყო ღამის გათევა. ასანჟი დენდენონგის მთების ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მდებარე ევკალიპტის ტყეში ცხოვრობდა და დაეხეტებოდა. იქ კოღოები გუნდ-გუნდად ირეოდნენ და მათმა ნაკბენებმა სახე დაუკენკა. „შინაგანი ხმა აღარაფერს გკარნახობს. საკუთარ თავთან დიალოგის განწყობას, ზოგადად, საუბრის სურვილი ქმნის, მაგრამ როდესაც ირგვლივ არავინაა, ეს სრულიად უსარგებლო რამაა“, – მითხრა მან და დაამატა: „არ მინდა, მეტისმეტად ბუდისტურად გამომივიდეს, მაგრამ ასეთ დროს საკუთარ თავს ვეღარ აღიქვამ – ეს აღქმა ქრება“.

„სამ წელზე მეტი დასჭირდა ხელისუფლებას, რომ ასანჟისა და „საერთაშორისო დივერსანტების“ წინააღმდეგ სასამართლოში საქმე აღეძრა“, – მითხრა დეიმ, – „ჩვენ კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი ჯგუფი შევქმენით და მთავრობამ გვითხრა: „შემაკავებელი ფაქტორის შექმნა თქვენი პრივილეგიაა“. აი, ეს შემაკავებელი ფაქტორი რომ გქონდეს, ვიღაც-ვეღაცებს ხომ სასამართლოში უნდა უჩივლო. ჯულიანისა და მისი ჯგუფის შემთხვევაში მიზანს მივაღწიეთ“. კანადაში Nortel-ის მიერ შექმნილმა კომპიუტერული უსაფრთხოების ჯგუფმა ამ ინციდენტთან დაკავშირებით ანგარიში მოამზადა, რომელშიც ამტკიცებდა, რომ ჰაკერების მოქმედებებით გამოწვეული ზარალის აღმოფხვრას 100 000 დოლარზე მეტი დასჭირდებოდა. მთავარმა პროკურორმა, რომელიც ყველგან შეღწევის ასანჟისეულ უსაზღვრო შესაძლებლობას აღწერდა, სასამართლოს განუცხადა: „ყოველისშემძლე ღმერთივით დადიოდა და რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა“.

ასანჟი, ვისაც 10-წლიანი პატიმრობა ელოდა, სახელმწიფოს რეაქციამ სასოწარკვეთამდე მიიყვანა. მან ალექსანდრ სოლჟენიცინის „პირველი წრე“ იყიდა – რომანი გულაგში იძულებით გამოკეტილი მეცნიერებისა და ტექნიკოსების შესახებ – და ის სამჯერ წაიკითხა („როგორი მკვეთრი პარალელებია ჩემს ცხოვრებასთან!“ – დაწერა მან მოგვიანებით). ჯულიანი დარწმუნებული იყო, რომ „დამთვალიერებელი“ ჰაკერის საქმიანობა ისეთ დანაშაულს წარმოადგენდა, რომელსაც დიდი ზიანი არ მოსდევდა. მან გადაწყვიტა, საკუთარი თვალსაზრისი ნებისმიერ ფასად დაეცვა. თუმცა ჯგუფის დანარჩენმა წევრებმა სასამართლოსთან თანამშრომლობა გადაწყვიტეს. „როდესაც მოსამართლე ამბობს: „ახლა ბრალდებული უნდა ადგეს“ და ამ დროს დარბაზში ერთის გარდა არავინ დგება – ეს პიროვნების გამოცდაა“, – მითხრა მან. საბოლოოდ, ასანჟმა თავი დამნაშავედ 25 პუნქტში სცნო, 6 პუნქტი კი მოუხსნეს. მიუხედავად ამისა, განაჩენის გამოტანისას მოსამართლემ თქვა: „არ არსებობს იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ მას რაიმე სხვა მოტივაცია ამოძრავებდა და არა მოაზროვნეთათვის დამახასიათებელი ერთგვარი ცნობისმოყვარეობა, სხვადასხვა კომპიუტერის თვალიერებით სიამოვნების მიღების სურვილი“. ასანჟს, ჯარიმის სახით, ავსტრალიის სახელმწიფოსთვის მცირეოდენი თანხის გადახდა მოუხდა მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

იმ დროს, როდესაც სასამართლოში ამ საქმის განხილვა მიმდინარეობდა, ჯულიანი, დედასთან ერთად, თავგამოდებით იბრძოდა, რათა ვაჟის აღზრდის უფლება მოეპოვებინა და მისი სრულუფლებიანი მეურვე გამხდარიყო. ამ საქმემ ის ბევრად უფრო გააწამა, ვიდრე სასამართლოში საკუთარი პოზიციის დაცვამ. დედა-შვილი დარწმუნებული იყო, რომ ასანჟის ყოფილი ცოლი და მისი ახალი საყვარელი ბავშვისთვის საფრთხეს წარმოადგენდნენ. ისინი დედის უფლებების შესაზღუდად იბრძოდნენ. ბავშვთა დაცვის სახელმწიფო სააგენტო „ჯანმრთელობისა და საზოგადოების სამსახური“ კი მათ აზრს არ იზიარებდა. მისი დასკვნის საფუძველი გაურკვეველია – ავსტრალიაში საოჯახო საკითხების განხილვების ჩანაწერების საჯაროდ გამოტანა აკრძალულია. თუმცა 1995 წელს საპარლამენტო კომისიამ აღმოაჩინა, რომ სააგენტოს ქმედებების საფუძველს „რაც შეიძლება, მეტი საქმის თავიდან მოცილების ფილოსოფია“ წარმოადგენდა. როდესაც სააგენტომ გადაწყვიტა, რომ ბავშვი უსაფრთხო გარემოში იზრდებოდა, ამ გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ გასაჩივრება შეუძლებელი აღმოჩნდა.

მეურვეობის მოსაპოვებლად გამართული ბრძოლა სახელმწიფოს წინააღმდეგ კიდევ უფრო სასტიკ ბრძოლაში გადაიზარდა. „ვხედავდით, რომ ხალხი დიდი ბიუროკრატიული წნეხის ქვეშ იმყოფებოდა“, – მითხრა კლერმა. მან და ჯულიანმა, სხვა აქტივისტებთან ერთად, ორგანიზაცია ჩამოაყალიბეს: „მშობლები და ბავშვთა დაცვის კვლევა“. „აქტივისტთა მეთოდებს ვიყენებდით“, – გაიხსენა კლერმა. „ჯანმრთელობისა და საზოგადოების სამსახურის“ წარმომადგენლებთან შეხვედრების დროს ისინი საუბრებს ფარულად იწერდნენ. ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების აქტს იმისთვის იყენებდა, რომ „ჯანმრთელობისა და საზოგადოების სამსახურისგან“ სასურველი დოკუმენტები მიეღო. ისინი ბავშვთა დაცვის სფეროში მომუშავეებს ფლაერებს ურიგებდნენ, დახმარებას სთხოვდნენ – შიდა ინფორმაციის მიწოდებას იმ „მონაცემთა მთავარი ბაზისთვის“, რომელსაც თავად ქმნიდნენ. „თუ გსურთ, ვინაობას ნუ გაგვიმჟღავნებთ“, – ეწერა ფლაერში. ერთმა თანამშრომელმა ამ ჯგუფს მნიშვნელოვანი შიდა განაწესი გადასცა. ასანჟმა მითხრა: „აგენტები გვყავდა, რომლებიც ფარული დისიდენტები იყვნენ“.

1999 წელს, 40-მდე მოსმენისა და აპელაციის შემდეგ, ჯულიანმა და მისმა ყოფილმა ცოლმა მეურვეობის თაობაზე შეთანხმებას მიაღწიეს. კლერმა მითხრა: „დიდი რაოდენობით ადრენალინი გამოგვეყო. ეს ყველაფერი რომ დამთავრდა, პოსტტრავმული აშლილობის სინდრომი აღმომაჩნდა. თითქოს ომიდან დავბრუნდი. ამ დროს უბრალო ხალხთან ჩვეულებრივი ურთიერთობა აღარ შეგიძლია. დარწმუნებული ვარ, ჯულსაც პოსტტრავმული აშლილობის სინდრომი აწუხებს, რომლის განკურნებაც შეუძლებელია“. მისივე თქმით, სასამართლო პროცესების დასრულებიდან ცოტა ხანში ასანჟს მუქი წაბლისფერი თმა ერთიანად გაუთეთრდა.

მოქანცულმა და გამოფიტულმა ჯულიანმა ვიეტნამში მოტოციკლეტით იმოგზაურა. სხვადასხვა საქმეს ასრულებდა, ერთხანს კომპიუტერული უსაფრთხოების კონსულტანტადაც კი მუშაობდა და შვილს ფინანსურად შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა. მერე მელბურნის უნივერსიტეტში ფიზიკას სწავლობდა. ის ფიქრობდა, რომ იმ იდუმალი კანონების ჩაწვდომის მცდელობა, რომლებითაც სამყარო იმართებოდა, ინტელექტუალურ იმპულსებს მიაწვდიდა და ჰაკერობისას განცდილ სიამოვნებას აგრძნობინებდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. 2006 წელს მან საკუთარი ბლოგი შექმნა და ავსტრალიის ფიზიკის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული კონფერენციის შესახებ დაწერა: მას „900 ფიზიკოსი ესწრებოდა – თვალთმაქცი, მხდალი კონფორმისტები, რომელთა დონეც, სამწუხაროდ, წარმოუდგენლად დაბალი იყო“.

ის მიხვდა, რომ კაცობრიობის უმთავრესი ბრძოლა მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს, რწმენასა და რაციონალურ განსჯას შორის კი არ მიმდინარეობს, არამედ ადამიანსა და ინსტიტუციას შორის. კაფკას, კესტლერისა და სოლჟენიცინის მონაფეს სწამდა, რომ ჭეშმარიტებას, სიყვარულს, თანაგრძნობასა და შემოქმედებითობას ინსტიტუციური იერარქია სახეს უცვლიდა და ამახინჯებდა. ამ საქმეში „პატრონაჟის ქსელიც“ – ეს მისი საყვარელი გამოთქმაა – თანაბრად მონაწილეობდა: ადამიანის სულს ამახინჯებდა. ასანჟმა ერთგვარი მანიფესტი შეთხზა: „ხელისუფალთა შეთქმულება“, რომელშიც გრაფთა თეორია პოლიტიკას მიუსადაგა. ის წერდა, რომ არალეგიტიმური მთავრობა, თავისი არსით, შეთქმულთა მთავრობა იყო – იმ მოხელეებით შედგენილი, ვინც „საიდუმლო ვითარებაში ხალხის საზიანოდ მოქმედებდა“. მისი მტკიცებით, როდესაც რეჟიმის შიდა კომუნიკაციის გზები მოშლილია, შეთქმულები სულ უფრო მცირე ინფორმაციას იღებენ და როგორც კი მიღებული ინფორმაციის რაოდენობა ნულს გაუტოლდება, შეთქმულებაც ქრება. ასე რომ, ინფორმაციის გაჟონვა საინფორმაციო ომის იარაღს წარმოადგენს.

ეს იდეები მალევე განხორციელდა „ვიკილიქსში“. 2006 წელს უნივერსიტეტთან ახლოს მდებარე სახლში გამოკეტილმა ასანჟმა მუშაობა დაიწყო. შემოქმედებითი აღმაფრენის წუთებში ის სისტემისთვის აუცილებელი ინფორმაციული ნაკადების დიაგრამებს კედლებსა და კარზე ხაზავდა, რომ არ დავიწყებოდა. სამზარეულოში საწოლი იდგა, კემპუსში დროებით ჩამოსულებს კი ჯულიანი სახლში პატიჟებდა და ღამის გასათევს სთავაზობდა ხოლმე, რის სანაცვლოდაც ისინი საიტის შექმნაში უნდა დახმარებოდნენ. „საერთოდ არ იძინებდა, არაფერს ჭამდა“, – მითხრა ერთმა პიროვნებამ, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა.

ამჟამად ვებსაიტი შვედური ინტერნეტ-პროვაიდერის PRQ.se-ს სერვერზეა განთავსებული, რომელიც თანაბრად უძლებს სახელმწიფოს ზეწოლასა თუ კიბერთავდასხმებს და კლიენტების ანონიმურობას მკაცრად იცავს. დოკუმენტები თავიდან PRQ-ზე იდება, მერე ბელგიაში მდებარე „ვიკილიქსის“ სერვერზე თავსდება და ამის შემდეგ, როგორც ასანჟმა მითხრა, „კიდევ ერთ ქვეყანაში ინახება, რომელსაც ხელსაყრელი კანონმდებლობა აქვს“. იქ მათ კიდევ ერთხელ ახარისხებენ და საღაც სხვაგან ინახავენ. ამას სრულიად გასაიდუმლოებულ პირობებში ახორციელებენ „ვიკილიქსის“ „უმაღლესი ქურუმები“. ერთ-ერთმა მათგანმა, რომელიც მხოლოდ დაშიფრული გზავნილებით მესაუბრებოდა, მითხრა, რომ ასანჟს და „ვიკილიქსის“ სხვა ცნობილ წევრებს „ხელი არ მიუწვდებათ სისტემის გარკვეულ ნაწილებზე, რაც უსაფრთხოების ზომას წარმოადგენს“. მთელი არხი, რომლითაც ეს დოკუმენტები გადაიცემა, დაშიფრულია, ტრეფიკი კი ანონიმური რჩება, რასაც Tor network-ის შეცვლილი ვერსია უზრუნველყოფს. მისი საშუალებით ინტერნეტ-ტრეფიკი საუკეთესოდ დაცული, კერძო „ვირტუალური გვირაბების“ მეშვეობით ხორციელდება. გარდა ამისა, „ვიკილიქსის“ კომპიუტერებს, ნებისმიერ დროს, ასობით ათასი ყალბი დოკუმენტი გადაეცემა ამ გვირაბების მეშვეობით, რაც ნამდვილი დოკუმენტების შესანიღბად ხდება. ასანჟმა მითხრა, რომ სისტემას სუსტი ადგილები ჯერ კიდევ აქვს, მაგრამ „ეს ბევრად უსაფრთხოა, ვიდრე ნებისმიერი საბანკო ქსელი“.

საიტის ამუშავებამდე ჯულიანს პოტენციური სპონსორებისთვის უნდა ეჩვენებინა, რომ ის სიცოცხლისუნარიანი იყო. „ვიკილიქსის“ ერთ აქტივისტს სერვერი ჰქონდა, რომელიც Tor network-ისთვის საკვანძო ფუნქციას ასრულებდა. მასში მილიონობით საიდუმლო ინფორმაცია გადიოდა. აქტივისტმა შენიშნა, რომ ჩინელი ჰაკერები ამ ქსელს უცხო ქვეყნების მთავრობების ინფორმაციების ხელში ჩასაგდებად იყენებდნენ და ტრფიკის ჩაწერა დაიწყო. როგორც კი „ვიკილიქსზე“ ინფორმაციის მცირე ნაწილი გამოქვეყნდა (მისი დიდი ნაწილი საიტის ფუნდამენტად დაიდო), ასანჟს უკვე შეეძლო ეთქვა: „ჩვენ მილიონამდე დოკუმენტი მივიღეთ 13 ქვეყნიდან“.

2006 წლის დეკემბერში „ვიკილიქსმა“ პირველი დოკუმენტი გამოაქვეყნა: „საიდუმლო გადაწყვეტილება“, რომელსაც ხელს შეიხ ჰასან დაჰირ ავეისი აწერდა – „ისლამური სასამართლოების კავშირის“ სომალელი მეამბოხე ლიდერი. ის იმ დოკუმენტების ნაკადიდან ამოარჩიეს, რომლებიც Tor network-ის საშუალებით ჩინეთისკენ მიემართებოდა. მასში მთავრობის მაღალჩინოსნების დასახოცად მკვლელების დაქირავებაზე იყო საუბარი. ასანჟი და სხვები დარწმუნებულები არ

იყვნენ, რომ დოკუმენტი გაყალბებული არ იყო, თუმცა მათი აზრით, მკითხველები საიტისთვის დამახასიათებელი, „ვიკილიქსის“ მსგავსი ფუნქციების გამოყენებით, მის გაანალიზებაში დაეხმარებოდნენ. მათ საკუთარი გადაწყვეტილება ძალიან გრძელი კომენტარის სახით გამოაქვეყნეს, რომელშიც ასეთი შეკითხვები იყო: „ეს თავხედური მანიფესტი იმ გამორჩეულ მუსლიმ მებრძოლს ეკუთვნის, რომელსაც ბინ ლადენთან აქვს კავშირი? თუ ამერიკის დაზვერვის მიერ შორსგამიზნულად არის შეთხზული „ისლამური სასამართლოების კავშირის“ დისკრედიტაციისთვის, სომალელთა ერთიანობის დარღვევისთვის და ჩინეთის მანიპულირებისთვის?“

დღემდე არ არის დადგენილი, ეს დოკუმენტი გაყალბებული იყო თუ არა. თავად „ვიკილიქსის“ შესახებ გავრცელებულმა ცნობებმა ის მალევე დაჩრდილა. რამდენიმე კვირის შემდეგ ასანჟი კენიაში გაფრინდა, რათა „მსოფლიოს სოციალურ ფორუმზე“ – ანტიკაპიტალისტურ შეკრებაზე ვებსაიტის პრეზენტაცია მოწყო. „ბარგი ისე სასაცილოდ ჩაალაგა, მსგავსი არასდროს არაფერი მინახავს“, – გაიხსენა იმ პიროვნებამ, ვინც მის სახლში ცხოვრობდა, – „აეროპორტში წასაყვანად ვიღაცამ მოაკითხა და ჰკითხა: „სად არის შენი ბარგი?“ ის სახლში შევარდა. ერთი ტომარასავით ჩანთა ჰქონდა და რაც ხელში მოხვდა, ყველაფერი შიგ ჩატენა – ძირითადად, წინდები“.

ასანჟი კენიაში რამდენიმე თვე დარჩა. დრო და დრო მეგობრებს ტელეფონით და ინტერნეტით ეხმიანებოდა ხოლმე, მაგრამ არასდროს აკონკრეტებდა, სად იმყოფებოდა. მისმა ერთმა მეგობარმა მითხრა: „შეკითხვაზე „სად არის ჯულიანი?“ პასუხი არ გვქონდა. ყოველთვის ძნელი იყო იმის თქმა, თუ სად იმყოფებოდა. ჩანდა, რომ იმალებოდა“.

აღდგომის დილით მას დაახლოებით ერთი საათი დასჭირდა იმისთვის, რომ გრეტისგატაზე მდებარე სახლიდან ისლანდიის ეროვნულ აეროპორტამდე მისულიყო, რომელიც ზღვის სანაპიროს სიახლოვეს, ლავით დაფარულ ველზე მდებარეობს. ტერმინალში ასანჟმა გადაქექილი, ცისფერი ზურგჩანთით შეაბიჯა, რომელშიც დისკები, სატელეფონო ბარათები და უამრავი მობილური ტელეფონი ედო. გონგრიპი ვაშინგტონში გაყოლასა და პრეს-კონფერენციის მოწყობაში დახმარებაზე დათანხმდა. მან რეგისტრაცია გაიარა. აეროპორტის თანამშრომელი, რომელიც ბილეთებს ამოწმებდა, ასანჟს მიუბრუნდა:

– ბოდიში, თქვენს გვარს ვერ ვპოულობ.

– საინტერესოა, – უთხრა ჯულიანმა გონგრიპს, – აბა, კარგად გაერთე პრესკონფერენციაზე.

– იცით, ბილეთის დაჯავშნის დროს მიღებული საიდენტიფიკაციო ნომერი გვაქვს, – აუხსნა გონგრიპმა აეროპორტის თანამშრომელს.

– დიახ, დავადასტურეთ კიდეც, რომ ნამდვილად გვინდოდა, – უმტკიცებდა ასანჟი.

თანამშრომელი დაბნეული ჩანდა.

– ვიცი, – თქვა მან, – მაგრამ სიაში მის გასწვრივ წერია: „გაუქმებულია“.

კაცებმა ერთმანეთს გადახედეს: ნუთუ სახელმწიფო დაწესებულება მათ გეგმებს ფარულად შლიდა? აღელვებული ასანჟი საქმის გარკვევას ელოდა. როგორც აღმოჩნდა, ბილეთი კი შეეძინა, მაგრამ საბოლოო დადასტურება დავიწყებოდა. ჯულიანმა სწრაფად იყიდა სხვა ბილეთი და გონგრიპთან ერთად ნიუ-იორკში გაფრინდა, საიდანაც Acela Express-ით ვაშინგტონში უნდა გამგზავრებულიყო. ისინი იქ დაახლოებით ღამის 2 საათზე ჩავიდნენ. ტაქსის მძღოლს ასანჟმა სასტუმროსთან ახლოს მდებარე ქუჩის სახელი უთხრა, რადგან ზუსტი ადგილმდებარეობის გამჟღავნება არ უნდოდა.

– ახლა კი ლომის ბუნაგში ვართ, – თქვა გონგრიპმა, როდესაც მასაჩუსეტსის ავენიუზე გასულებმა უღიმღამო საოფისე შენობებს ჩაუარეს.

– ლომებს მაინცდამაინც არ ვგავართ, – უპასუხა ასანჟმა.

მზის ამოსვლიდან რამდენიმე საათში ჯულიანი ეროვნული პრესკლუბის ტრიბუნასთან იდგა და მზად იყო, „კოლატერალური მკვლელობა“ შეხვედრაზე მოსული 40-მდე ჟურნალისტისთვის ეჩვენებინა. მას ყავისფერი პიჯაკი და შავი პერანგი ეცვა, რომლისთვისაც წითელი ჰალსტუხი შეერჩია. ასანჟმა აუდიტორიას ფილმი აჩვენა. დრო და დრო ის პაუზის ღილაკს იყენებდა, რათა სხვადასხვა დეტალი განეხილა. როდესაც ფილმი დამთავრდა, მან ჟურნალისტებს „ჰელფაიერებით“ განხორციელებული იერიშის ამსახველი მასალაც აჩვენა. ერთ ქალს სუნთქვა შეეკრა, როგორც კი შენობას პირველი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა მოხვდა. ასანჟმა ის ი-მეილებიც წაიკითხა, რომლებიც ერაყში წასულმა ისლანდიელმა ჟურნალისტებმა გამოუგზავნეს. მან რეპორტიორებს უთხრა: „ამ მასალიდან ჩანს, რომ სამხედროებს შორის ზოგიერთს არ მოსწონს ის, რაც ხდება“.

ეს ვიდეო, როგორც დაუმონტაჟებელი, ისე დამონტაჟებული სახით, იმ საიტზე გამოქვეყნდა, რომელიც „ვიკილიქსმა“ ამ მიზნით შექმნა და ამასთანავე, YouTube-სა და რამდენიმე სხვა საიტზეც განთავსდა. პრესკონფერენციის დასრულებიდან რამდენიმე წუთში ასანჟი ალ ჯაზირას ვაშინგტონის ოფისში მიიწვიეს, სადაც ნახევარი დღის განმავლობაში ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობდა. იმავე საღამოს MSNBC-მა ამ მასალის მოზრდილი ფრაგმენტი გაუშვა ეთერში. ვიდეოს შესახებ Times-მაც დაწერა და ყველა სხვა წამყვანმა გაზეთმაც. „კოლატერალური მკვლელობა“ მხოლოდ YouTube-ზე 7 მილიონზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როდესაც თავდაცვის მდივანს, რობერტ გეიტსს ამ ფილმის შესახებ აზრის გამოთქმა სთხოვეს, აშკარად გაღიზიანებულმა განაცხადა: „ამ ხალხს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, რასაც მოისურვებს და ამისთვის პასუხს არასდროს აგებს“. მისი თქმით, ვიდეოში „ჭუჭრუტანიდან დანახული“ ომი ჩანდა: „ამას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული“. არმიის პრესსპიკერი კი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მოცემულ შემთხვევებში ომის წარმოების წესები არ დარღვეულა. თავიდან მედიის რეაქცია ასანჟის ინტერპრეტაციას შეესაბამებოდა, მაგრამ მომდევნო დღეებში, როდესაც უფრო მეტი მიმომხილველი ჩაერთო ამ საკითხის განხილვაში და სამხედრო პირებმა საკუთარი თვალსაზრისი გაახმოვანეს, მან იმედგაცრუება იგრძნო. ტელესიუჟეტებისა და საგაზეთო პუბლიკაციების უმრავლესობაში ყურადღება „ჰელფაიერებით“ განხორციელებულ იერიშზე ან ფურგონზე თავდასხმაზე კი არ მახვილდებოდა, არამედ ჟურნალისტების მკვლელობაზე და იმაზე, თუ რამდენად დასაშვები იყო, რომ ჯარისკაცს ფოტოაპარატი RPG-ში არეოდა. Twitter-ზე ასანჟმა გეიტსს მატყუარა უწოდა და მედიის წარმომადგენლებს სთხოვა, „მომხდარის შელამაზება“ შეეწყვიტათ.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ "ᲘᲗᲘ"

1995 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲐᲜᲐᲰᲛᲝᲔᲑᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲘᲡᲮᲘᲡ, ᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲜᲐᲘᲠᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ

ᲡᲐᲑᲢᲕᲨᲕᲠ • ᲮᲐᲥᲝᲩᲜᲘᲜᲝ • ᲡᲐᲓᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ • ᲨᲘᲜᲐᲛᲘᲩᲔᲑᲘᲡ

ᲓᲔᲝᲜᲘᲫᲘᲡ Ქ.10 ᲢᲔᲚ.: (+995 32) 99-60-91 /
ᲕᲔᲞᲮᲕᲘᲡ-ᲤᲐᲪᲕᲔᲚᲐᲡ 41. ᲢᲔᲚ.: (+995 32) 39-56-89
ᲛᲡᲮᲔᲗᲘᲡ Ქ.3. ᲢᲔᲚ.: (+995 32) 30-96-82

გარკვეული აზრით, ასანჟი ყველაზე მეტად სწორედ ჟურნალისტების საქმიანობამ გააღიზიანა. „მშიშარა ტიპები ოფიციალურ წყაროებს ეწაფებიან, რათა ამბის საბოლოო ვერსიას ერთგვარი ოფიციალური შეფერილობა მისცენ“, – თქვა მან ერთხელ. „ვიკილიქსს“ დიდი ხნის მანძილზე დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ტრადიციულ ჟურნალისტიკასთან. 2008 წელს, როდესაც მან შვეიცარიული ბანკის საიდუმლო დოკუმენტები გამოაქვეყნა და ამის გამო სასამართლოში საქმე აღიძრა, Los Angeles Times-მა, Associated Press-მა და ათმა სხვა ორგანიზაციამ, მის მხარდასაჭერად, სასამართლოს საკუთარი დასკვნები წარუდგინეს (მოგვიანებით ბანკმა სარჩელი უკან გამოიტანა). მიუხედავად ამისა, ერთ საღამოს, ბუნკერში, გონგრიპმა მითხრა: „ჩვენ პრესა არა ვართ“. ის „ვიკილიქსს“ საზოგადოებრივ ორგანიზაციად თვლის, რომლის ამოცანაც საზოგადოების ინფორმირებაა. მისივე თქმით, ვებსაიტის ფარგლებში „ინფორმაციის გამჟღავნება აღარ არის დამოკიდებული იმაზე, იპოვი თუ არა იმ ჟურნალისტს, რომელიც მოცემულ დოკუმენტს ან გამოიყენებს სწორად ან არა“.

ასანჟმა, სამეცნიერო ჟურნალისტიკის მიმართ სიმპათიის მიუხედავად, ჩემთან საუბრისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი მისია უსამართლობის მხილებაა და არა მოვლენების ობიექტურად ამსახველი დოკუმენტების მოძიება. 2006 წელს, როდესაც თანამშრომლობისთვის სავარაუდო კანდიდატებს იწვევდა, ის წერდა: „ჩვენი უპირველესი სამიზნე ჩინეთის, რუსეთისა და შუა აზიის დიქტატორული რეჟიმებია, მაგრამ დასავლეთშიც დავეხმარებით მათ, ვისაც თავისი მთავრობებისა თუ კორპორაციების უკანონო და ამორალური ქმედებების დღის შუქზე გამოტანა სურს“. ჯულიანის მტკიცებით, საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც საიდუმლოებს გაამჟღავნებდა, ბევრ ისეთ ადმინისტრაციას ჩააყენებდა სავალალო მდგომარეობაში, რეალობის შენიღბვით რომ სულდგმულობდნენ, მათ შორის, ამერიკის ადმინისტრაციასაც.

ასანჟი არ ცნობს იმ საზღვრებს, რომლებიც ტრადიციული ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებისთვის არის ცნობილი. ახლახან მან სამხედრო დოკუმენტები გამოაქვეყნა, რომლებიც ჯარისკაცების სოციალური დაზღვევის ნომრებს შეიცავდა. მას ბუნკერში ვკითხე, ნუთუ „ვიკილიქსის“ მისიას ჩრდილი მიადგებოდა, ეს დოკუმენტები ცოტა რომ ჩაგესწორებინათ-მეთქი. ჯულიანმა მიპასუხა, არის რისკი, რომ ზოგიერთი გამოქვეყნებული საბუთი უდანაშაულო ადამიანებს დააზარალებს, თუ გნებავთ, „კოლატერალურ ზიანს მიაყენებს“, მაგრამ შეუძლებელია თითოეული დოკუმენტის თითოეული დეტალის მნიშვნელობა ავწონ-დავწონოო. მან ისიც მითხრა, ერთ დღეს სოციალური დაზღვევის ნომრები, ალბათ, იმ მკვლევარებისთვის გახდება მნიშვნელოვანი, რომლებიც სამართალდარღვევებს გამოიძიებენო. ამ ინფორმაციის გამჟღავნებით ის საზოგადოებას მტყუან-მართლის განსჯის საშუალებას აძლევდა.

წელიწადნახევრის წინ „ვიკილიქსმა“ 2004 წელში ჩატარებული სამხედრო შეიმოწმების შედეგები გამოაქვეყნა – იმ ელექტრომაგნიტური მექანიზმების გამოცდის ანგარიში, რომლებიც თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების ამოქმედების შესაჩერებლად იყო შექმნილი. დოკუმენტში აღნიშნული იყო, თუ როგორ მოქმედებდა ეს მექანიზმები და ისიც ეწერა, რომ ისინი ჯარისკაცების მიერ გამოყენებული საკომუნიკაციო სისტემების მუშაობას აფერხებდა. შეიძლებოდა აღნიშნული ინფორმაცია რომელიმე მეამბოხეს გამოეყენებინა. იმ დროისთვის, როდესაც „ვიკილიქსმა“ ეს ანგარიში გამოაქვეყნა, ამერიკელი ჯარისკაცები უფრო ახალ ტექნოლოგიურ საშუალებებს იყენებდნენ, მაგრამ ზოგიერთი ჯერ კიდევ ამ მოწყობილობას ხმარობდა. ასანჟს ვკითხე, შეიკავებდით თუ არა თავს ინფორმაციის გამჟღავნებისგან, თუ გეცოდინებოდათ, რომ ამის შედეგად შეიძლებოდა ვინმე მოეკლათ-მეთქი. მან მიპასუხა, „მინიმალური ზარალის პოლიტიკას“ ვატარებთ, რომლის თანახმადაც ზოგიერთ დოკუმენტში დასახელებულ ხალხს მასალის გამოქვეყნებამდე ვუკავშირდებით და ვაფრთხილებთ, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როცა „ვიკილიქსის“ წევრებმა შესაძლოა „ხელები სისხლით დაისვაროონ“.

ერთ-ერთმა წევრმა მითხრა, რომ თავიდან ასანჟის სარედაქციო პოლიტიკა აშფოთებდა, მაგრამ შემდეგ მისი პოზიცია მისაღებად ჩათვალა, რადგან სჯერა, რომ უსამართლოდ არავინ დაზარალებულა. რასაკვირველია, ასეთი ზარალი ყოველთვის იოლი გასაზომი არ არის. როდესაც ჯულიანი ორგანიზაციის მმართველთა საბჭოს წევრებს ეძებდა, ის სტივენ აფთეგუდს დაუკავშირდა, ვინც ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს ამზადებს ამერიკელი მეცნიერების ფედერაციისთვის და გასაიდუმლოებულ დოკუმენტებს აქვეყნებს ხოლმე. აფთეგუდმა თავაზიანი უარი განაცხადა საბჭოს წევრობაზე. „როდესაც სპეციფიკური ჩანაწერი გასაიდუმლოებულია და ამავე დროს მიმდინარე დისკუსიის თემას შორდება, მე, როგორც რედაქტორი, სიფრთხილის მხარეს ვიხრები. მათ კი მსგავსს ვერაფერს ვამჩნევ“, – თქვა მან.

აფთეგუდმა ისიც მითხრა, რომ ინფორმაციის ზედმეტად გასაიდუმლოება სულ უფრო მზარდი პრობლემა ხდება. ეს კი არა მხოლოდ იმ მოქალაქეებს აზარალებს, რომლებსაც სამთავრობო ჩანაწერებზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ, არამედ თავად გასაიდუმლოების სისტემასაც. როდესაც ზედმეტად ბევრი საიდუმლო ინახება, ძნელი გასარჩევი ხდება, რომელია მნიშვნელოვანი. სამხედრო პირებს „აპაჩიდან“ გადაღებული ვიდეო, ინფორმაციის თავისუფლების აქტის საფუძველზე, „როიტერისთვის“ რომ გადაეცათ, დღეს, ალბათ, აღარ გვექნებოდა ფილმი სახელწოდებით „კოლატერალური მკვლელობა“ და აღარც საინფორმაციო კოშმარის მომსწრენი გავხდებოდით.

როდესაც დაზვერვის სფეროში ამერიკის არმიის პრესსპიკერს, ვიცე-პოლკოვნიკ ლი პეკნეტს დავურეკე, ის მეტად აღელდა. „„ვიკილიქსის“ დოკუმენტების სამართლებრივ განხილვას არ ვაპირებთ“, – მითხრა მან, – „არმიას არაფერში წაადგება, თუ „ვიკილიქსის“ შესახებ ვისაუბრებთ. შეგიძლიათ სხვა ვინმეს ესაუბროთ. ეს საკითხი არმიას არ ეხება“. მისი თვალსაზრისით, როგორც კი „კოლატერალური მკვლელობა“ საინფორმაციო გადაცემების თემად იქცა, თავისთავად მოიხსნა კონტრდაზვერვის უფრო დიდი პრობლემა და ის საფრთხეც გაქრა, რასაც „ვიკილიქსი“ წარმოადგენდა შეიარაღებული ძალებისთვის.

„კოლატერალური მკვლელობის“ გამოსვლისთანავე „ვიკილიქსმა“ 200 000 დოლარზე მეტი მიიღო შემოწირულობის სახით, 7 აპრილს კი ასანჟმა Twitter-ზე დაწერა: „ჟურნალისტური საქმიანობის

დაფინანსების ახალი ფორმა: სცადეთ მრავალფეროვნებისთვის“. ზამთარში მან საიტი „ნახევრად პასიურ“ რეჟიმში გადაიყვანა, რადგან საკმარისი ფული აღარ ჰქონდა და ტექნიკური მხარეც მოსაგვარებელი იყო. ჯულიანს ბევრად მეტი მასალა აქვს, ვიდრე მისი გადამუშავების ძალა შესწევს, ამიტომ ის იმ სპეციალისტებს ეძებს, ვისაც შეუძლია „ვიკილიქსის“ ქაოსური კოლექცია გულდასმით შეისწავლოს და მოხალისეებს საჭირო დოკუმენტები გადასცეს გასაანალიზებლად. შემოწირულობების მიღების შემდეგ „ვიკილიქსს“ უკვე შეეძლო რამდენიმე მოხალისესთვის გარკვეული თანხა გადაეხადა, მაისის მიწურულს კი საიტზე ისევ სრული არქივი გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, პროექტი განვითარების ადრეულ სტადიაში იმყოფება. ასანჟი სწორ გზებს ეძებს არა მხოლოდ საიტის სამართავად, არამედ კიდევ უფრო გასაიდუმლოებული დოკუმენტებით მკითხველების დასაინტერესებლად.

2007 წელს მან საიდუმლო სამხედრო ინფორმაციის შემცველი ათასობით გვერდი გამოაქვეყნა, რომლებშიც დაწვრილებით იყო აღწერილი უამრავი რამ, რაც ამერიკის არმიამ ერაყსა და ავღანეთში ომის საწარმოებლად შეიძინა. ასანჟმა და ერთერთმა მოხალისემ კვირები მოანდომეს მონაცემთა ბაზის შექმნას, შეძენილი ნივთების სამხედრო კოდების დადგენას და ფასების დაჯამებას (ღირებულებამ, საერთო ჯამში, მილიარდობით დოლარი შეადგინა). მონაცემთა ბაზაში ყველაფერი იყო რეგისტრირებული, რაც თითოეულმა საჯარისო დანაყოფმა შეუკვეთა: ტყვიამფრქვევები, ჰამერები, ფულის დამთვლელი აპარატები, სატელიტური ტელეფონები. ჯულიანს იმედი ჰქონდა, რომ ჟურნალისტები ამ ყველაფერს გულდასმით შეისწავლიდნენ, მაგრამ ეს არავის გაუკეთებია. „ძალიან გავბრაზდი,“ – მითხრა მან, – „ისეთი წარმოუდგენელი, ფანტასტიკური მასალა იყო: ავღანეთსა და ერაყში მოქმედი შეიარაღებული ძალების სტრუქტურა უკანასკნელი თანამდებობის ჩათვლით და შედეგად – არაფერი“.

WikiLeaks Knight Foundation-ის იმ გრანტის მაძიებელთა ფინალში მოხვდა, რომლის ოდენობაც ნახევარ მილიონ დოლარს აჭარბებს. განსახორციელებელი პროექტი გზის გამონახვას ითვალისწინებს, რათა წყაროებმა გაზეთების რეპორტიორებს დოკუმენტები უსაფრთხოდ მიაწოდონ. „ვიკილიქსი“ ერთგვარი სივრცის როლს შეასრულებს, სადაც ინფორმაციის ანონიმურად გაცვლა იქნება შესაძლებელი (ეს სისტემა საშუალებას მისცემს წყაროს, რომ ბოლო ვადა დაუწესოს რეპორტიორს, რომლის შემდეგაც დოკუმენტი ავტომატურად გამოქვეყნდება „ვიკილიქსზე“). ასანჟი სხვა ექსპერიმენტებსაც ატარებს. რამდენადაც ადამიანები ღირებულად მხოლოდ იმას მიიჩნევენ, რაშიც ფულს იხდიან, მან აუქციონზე დოკუმენტების გატანა და საინფორმაციო ორგანიზაციებისთვის მათი მიყიდვა სცადა. 2008 წელს ჯულიანმა უგო ჩავესის ყოფილი სპიჩრაიტერის 7 000 ი-მეილის გაყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ ვაჭრობა არ შედგა. ის სააბონენტო მომსახურების შემოღებაზეც ფიქრობს, როდესაც წევრები, რომლებიც მნიშვნელოვან თანხას გადაიხდიან, გაჟონილ ინფორმაციას სხვებზე ადრე ნახავენ.

თუმცა საიტზე ინფორმაციის პრეზენტაციისა თუ ტექნიკური ოპერაციების გასაუმჯობესებლად განხორციელებული ექსპერიმენტები იმ სერიოზულ შეკითხვას ვერ უპასუხებს, რომელზეც „ვიკილიქსი“ უნდა დაფიქრდეს: რას ემსახურება ის? ვებსაიტის ძალა – მისი თითქმის სრული შეუვალობა სასამართლო პროცესებსა თუ სამთავრობო აგრესიასთან მიმართებაში – მას იმ საზოგადოებების ინსტრუმენტად აქცევს, სადაც უსამართლო კანონები მოქმედებს. თუმცა, ავტორიტარული რეჟიმებისგან განსხვავებით, დემოკრატიული მთავრობები საიდუმლოებებს უმეტესწილად იმიტომ ინახავენ, რომ თავად მოქალაქეები თვლიან ამას საჭიროდ – კანონიერი, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. ლიბერალურ საზოგადოებებში ამ საიტის სიძლიერე მისი სისუსტეცაა. როდესაც სასამართლო პროცესები სამართლიანად ტარდება, ისინი დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ასანჟი საკმაოდ მალე წააწყდება თავისი ქმნილების პარადოქსს: ის, რაც მას ყველაზე მეტად სძულს – ძალაუფლება პასუხისმგებლობის გარეშე – საიტის „გენეტიკურ კოდშია“ მოცემული და უფრო მეტად გამოიკვეთება, რაც უფრო მეტად დაემსგავსება „ვიკილიქსი“ ნამდვილ ინსტიტუციას.

ვაშინგტონში მოწყობილი პრეს-კონფერენციის შემდეგ ჯულიანს ნიუ-იორკში, ბრაიანტ პარკში შევხვდი. მას ბარგიც წამოეღო, რადგან მეგობრების მეგობრების ბინებში ხან სად რჩებოდა და ხან – სად. შადრევანთან ჩამოვსხედით. ყავა დავლიეთ. იმ კვირას ასანჟი ბერკლიში და შემდეგ იტალიაში გაფრენას აპირებდა, მაგრამ ისლანდიაში ვულკანმა ისევ ამოფრქვევა დაიწყო და ჩანდა, რომ ევროპაში ვერ გაფრინდებოდა. ცოტა გაოგნებული და დაბნეული მომეჩვენა. „გამაკვირვა იმან, რომ ასეთ მიუკერძოებელ მსაჯულებად და ჭეშმარიტების დამცველებად მიგვიჩნიეს, რაც კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რა გავაკეთეთ“, – მითხრა მან, თუმცა უმალვე დაამატა, – „აბსოლუტურად მიუკერძოებლები იდიოტები არიან. ასე რომ იყოს, მაშინ ჩვენს თვალში ქუჩის მტვერსაც იმდენივე ღირებულება ექნება, რამდენიც მოკლული ადამიანების სიცოცხლეს“.

რამდენიმე მიმომხილველი დაინტერესდა, იძლეოდა თუ არა ფილმის სახელწოდება მანიპულაციის საფუძველს. „სჯობდა, „ცეცხლის გახსნის ნებართვა“ დაგვერქმია, ვიდრე „კოლატერალური მკვლელობა?“ დღესაც ვერ ვიტყვი დარწმუნებით“, – მითხრა ჯულიანმა. რობერტ გეიტსის კომენტარით მეტად უკმაყოფილო იყო: „ის ამბობს: „ამას არც დასანყისი აქვს და არც დასასრული“. კარგი, შუა ნაწილი ხომ გვაქვს, რაც დიდი მიღწევაა“. მერე ასანჟი წინ გადმოიხარა და ჩურჩულით მომითხრობდა იმ გამოჟონილ მასალაზე, რომლის კოდური სახელწოდებაც G-გეგმაა და რომელზეც ის კიდევ ერთ საიდუმლო ადგილას მუშაობს. დამპირდა, ეს ნამდვილი სიახლე იქნებაო. ამ დროს მის სახეზე სერიოზულობისა და მხიარულების, დემონური კმაყოფილებისა და სიღრმისეული გააზრების ისეთი ნაზავი შევნიშნე, რაც ბუნკერში ჰქონდა. „თუ ოდნავ მაინც ვტოვებთ ისეთ შთაბეჭდილებას, რომ დილეტანტები ვართ... ეს იმიტომ ხდება, რომ მართლაც დილეტანტები ვართ. ამ საქმეში ყველა დილეტანტია“, – მითხრა მან. მერე კი, როცა ყავა ბოლომდე დალია, პარკიდან ტაიმს სკვერზე გავიდა და მოფუსფუსე ხალხის ნაკადში გაუჩინარდა.

სექსი და სიკვდილი – არაბი მწერალი ქალების სახიფათო თამაშები

<<< დასაწყისი გვ. 86

გაგვახვიეს რწყილებით სავსე გალაბიებში და წაგვიღეს სასტუმრო ოთახში... საფია მაგიდაზე დააწვინეს, მე კი სამუჰას თავის ძლიერ მკლავებში ვყავდი მომწყვდეული. ქალებმა ჩემს დას წრე შემოარტყეს და ფეხები ჰაერში ააწევინეს. ალ ჰაჯჯა-ვარდამ, სოფლის ბებიაქალმა, ღმერთი ახსენა და საფიასკენ გაემართა; თავისი გაძვალტყავებული თითებით სხეულის სათუთ ნაკეცებში დაუწყო ქექვა. ცოტა ხანში ხორცის პატარა ნაჭერი ეკავა ხელში და თითებით სრესდა. „გოგო კურთხეულია, განწმენდილია. ანგელოზმა განწმინდა, მისი კოკორი კი ჩემს ხელში კვდება“... ცოტა ხანში მეც უდიერი ხელის დასმა ვიგრძენი. დავინახე როგორ მიახლოვდებოდა მოელვარე სამართებელი და ვიყვირე.. ვიყვირე, როცა მან ცხლად და ჩამიარა სხეულზე და ხორცი მომჭრა. ვყვიროდი და ღმერთს შველას ვთხოვდი. ალ ჰაჯჯა-ვარდამ სპირტი დამასხა, რომელიც მოგიზგიზე ცეცხლად მექცა. ამ დროს გამოჩნდა ტანადი დედაჩემი. გავიგე როგორ დაჰკივლა: „ვაიმე! გოგო სისხლისგან იცლება. დაუჩქარე! ისედაც სუსტია და არც შენ აკლებ.“ (ალიფა რიფათი „ვინ იქნება ის მამაკაცი“)

წინადაცვეთა, რომლის შესახებაც მწერალი წერს, ეგვიპტის ფარაონთაგან მოდის და დღემდე სრულდება ეგვიპტესა და სუდანში. ბოლო წლების მიღწევად ის უნდა ჩაითვალოს, რომ მაღალი და საშუალო წრის წარმომადგენლები საავადმყოფოებში უტარებენ შვილებს ამ ოპერაციას. დაუცვეთელი გოგონა კარგავს გათხოვების უფლებას. სუდანის ქალების 98% დაცვეთილია მშობლების განათლების, კლასობრივი წარმოშობის და შეგნების მიუხედავად, ამათგან 85% დაცვეთილია უმკაცრესი ფარაონული წესით (კლიტორის, პატარა და დიდი ბაგეების მოკვეთა.)

მოწიფულ ქალებს კარგად ესმით წინადაცვეთის საჭიროება და აუცილებლობა. ეს მხოლოდ 4-10 წლის გოგოებისთვის არის გაუგებარი. მაგრამ პასუხი მათთვისაც არსებობს. და რიფათის მოთხრობის გმირს სამუჰა პასუხობს:

„იმიტომ, ჩემო მშვენიერო, რომ თუ მამაკაცები მოსვენებას არ მოგცემენ, შენ არაფრად ჩაგდებ მათ. როცა გათხოვდები... ქმარი თუ გვერდით არ გეყოლება, აღარ დაიტანჯები.“

მიუხედავად ამისა, ქალები მაინც იტანჯებიან. რადგან გრძნობები მათთვის ჯერ არავის დაუცვეთია. მათთვის სიყვარული მხოლოდ „მინარეთის შორეული ხედია“. მკრთალი, ბუნდოვან ნისლში გაქნილი პეიზაჟი, მინარეთისა, რომელსაც თანდათან ჩამოეფარა მაღლივი შენობები. მაგრამ ყოველი დილა მაინც მისი ჭვრეტით იწყება. „ნახევრად გახელილი თვალებით გახედა ქმარს, მარჯვენა გვერდზე მწოლიარეს, თავისი სხეული ქალისაზე გადაეხლართა, თავი კი მის მარჯვენა მხარზე დაეხარა. ასეთ დროს გრძნობდა, რომ ქმარი მისი სამყაროსგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში ცხოვრობდა და იგი უარყოფილი იყო მის მიერ. ქორწინების პირველ დღეებში, კაცს რომ მისი გაღვიძებული ვნება ეგრძნო, ქალი აქტის გახანგრძლივებას თხოვდა, მაგრამ მორცხვი იყო და ტრადიციებით შებოჭილი, რაც მსგავსი გრძნობების გამომჟღავნებაში ხელს უშლიდა. მოგვიანებით გამბედაობა მოიკრიბა, რომ ნათლად გამოეხატა, რაც სურდა. ამ დროს ეჩვენებოდა, რომ ქმრის ცოტა მეტი მოძრაობა მიიყვანდა სულიერ და ფიზიკურ სიამოვნებამდე, მაგრამ ყოველთვის როდესაც ქალი თრთოლვით თხოვდა მეტი ემოძრავა, ის აჩქარდებოდა, თითქოს მის მოშორებას ესწრაფვოდა და უცებ ამთავრებდა აქტს. უკანასკნელად, როცა კიდევ ერთხელ შეეცადა ქალი ამას, აუსრულებელი წადილის მისაღწევად, იმ დელიკატურ წამს, მთელი ძალით ზურგში ფრჩხილები ჩაასო, კაცი მასთან რომ დარჩენილიყო. ქმარმა იყვირა, ხელი ჰკრა თავის დასაღწევად „გაგიჟდი, ქალო? ჩემი მოკვლა გინდა?..“

საბოლოოდ, სასიყვარულო სარეცელს სასიკვდილო სარეცელი ენაცვლება. ხოლო იქ, სადაც არ არსებობს სიხარული, აღარც მწუხარებას აქვს ადგილი. რიფათის ქალები უსიყვარულობას მშვიდი, არაფრისმთქმელი გულგრილობით და სიცივით პასუხობენ. თუმცა ესეც მხოლოდ მათთვისაა ცხადი და სხვისთვის შეუმჩნეველი რჩება: „მწუხრის აზანის მოახლოება იგრძნო. სპილენძის ყავადანი წყლით გაავსო, შაქარი და ყავა ჩაყარა. ქმარს უყვარდა, როცა ყავას თვალწინ უსხამდა... სიგარეტით ხელში საწოლზე მჯდომარეს მოელოდა, როცა მისი უცნაურად გადახრილი სხეული დაინახა... მაშინვე მიხვდა, რომ ოთახში სიკვდილის სუნი ტრიალებდა... ქალი სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, ყავა დაისხა. უჩვეულო სიმშვიდე დაეუფლა“ (ალიფა რიფათი. „მინარეთის შორეული ხედი“).

საინტერესოა, მაინც რატომ არის თითქმის ყველა არაბი მწერალი ქალის მოთხრობაში ქმარი ცივი და გაუცხოებული არსება, ხოლო სექსი – ტკივილის და ძალადობის სინონიმი: „ეს იყო ტკივილის და ძალადობის ღამე. ის რაც

მის თავს ხდებოდა, არ ჰგავდა მანამდე განცდილსა და ნანახს. იქიდან მოყოლებული ასობით განმეორებულა მსგავსი რამ. ქმრის უხეში ხელების ფათური სხეულზე, კაიფში მყოფი კაცის მყრალი ოხშივარით დანერწყვილი სუნთქვა ტკივილის გრძნობას ზიზღში უცვლიდა, მაგრამ დაემორჩილა ქმარს და ირწმუნა, რომ ქმრის სახლს მხოლოდ მაშინ დააღწევდა თავს, როცა სასაფლაოზე წაიღებდნენ“ (ალიფა რიფათი. „გრძელია ზამთრის ღამე“)...

არაბი მწერლების შემოქმედებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ისინი ფემინისტი ქალები არიან. თავად რიფათი ერთგან ამბობს, რომ „არ წერს სექსზე ისე, როგორც ამას დასავლელი მწერლები აკეთებენ, რათა თავისი წიგნები გაასაღონ. მაგრამ მან იცის მისი მნიშვნელობა და ფასი ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში. შესაძლებელია, ამაში გარკვეული გამოწვევაც იყოს, რადგან ქალს ავალდებულებენ ტაბუ დაადოს სექსის თემას. ქალი სექსუალური მოთხოვნილებების და პოტენციის მხრივ აღემატება მამაკაცს. შესაძლებელია, ამიტომ მამაკაცს ქალის ეშინია, ამიტომ ესწრაფვის მის იზოლაციას და საბურველში გახვევას, ითხოვს წინადაცვეთასა და ქალწულობას. დიახ.. იმიტომ რომ მან შეიცნო ეს ჭეშმარიტება.“

„ის ღამეც გაიხსენა, როცა გამოლვიძებულს ქმარი გვერდით არ დახვდა. როგორ წამოდგა მოსაძებნად და პატარა შინამოსამსახურეს გვერდით მწოლარე იპოვა. ისეთმა სიძულვილმა და სიმწარემ ამოხეთქა, რომ გადაშალა ყოველგვარი აღზრდა, ტრადიცია და ქმარს გაყრა მოსთხოვა. მან ზურგი შეაქცია და უთხრა: – რატომ გაგეყარო? წადი, ჰკითხე დედაშენს, მამაშენი მთელ დღეს სალოცავ ფარდაგზე ატარებდა?“

დედის პასუხი სქემატურია. დამამშვიდებელიც კი:

„ – ყველა კაცი ერთნაირია

– მამაჩემიც კი?

– ჩემო გოგო! ისიც კაცი იყო.. ალაჰიმც შეიწყალებს მას“ (ალიფა რიფათი. „გრძელია ზამთრის ღამე“).

ბუსაინა ხადირ მაქის პერსონაჟებიც ასევე გარეგნულად ბედს შეგუებული ქალები არიან. ისინი უსიტყვოდ ემორჩილებიან ჰაჯიბს, ქმრის ნებას, მაგრამ როგორც ჩანს, დიდი იმედგაცრუების და განხიბვლის ფასად. ქმარს არ მოსწონს დაუცვეთავი ცოლი და მას წეს-ჩვეულების ასრულებას სთხოვს: „თუ მართლა გიყვარვარ, გააკეთე ეს. ტკივილს ვერ იგრძნობ. უმნიშვნელო „მოკვეთა“ ჩატარდება რამდენიმე უბრალო ნაკერი...“

ცოლის მთავარი მოტივი სიყვარულია. მას სურს, ქმარს მოსწონდეს, უყვარდეს და იმას აკეთებს, რასაც ის თხოვს. მოდის ექიმი. ტკივილგამაყუჩებელი ნემსი, სხეულში მაკრატლით ჭრა... „ამ საშინელი ოპერაციის შემდეგ ქმარმა გულის მოსაგებად მომინახულა. გამოქვაბულის პირველყოფილი ადამიანივით მოჩანდა ჩემ წინ მდგარი. გარეული კურდღელი დაეჭირა, შეეწვა და ბედნიერი იყო, რომ უნდა ეჭამა. მე სწორედ ეს შემწვარი კურდღელი ვიყავი. რა საშინელებაა... სამუდამოდ დავკარგე ჩემი გულისა და გონების რჩეული. თუმცა შევიძინე კაცი, რომელსაც ჩემი ქმარი ჰქვია“ (ბუსაინა ხადირ მაქი. „წეს-ჩვეულებანი“)

თუმცა არსებობენ მეამბოხეებიც. როგორია მათი ბედი რეალურ ცხოვრებაში, რეალური საქინეს მაგალითზე შეგვიძლია გავიგოთ. რეალური ამბები ხომ გამოგონილზე გაცილებით სასტიკია. მოთხრობის პერსონაჟის ბედიც, ცხადია, გადაწყვეტილია, თუმცა მშრალი სასამართლო ოქმიდან მხოლოდ ქალის ჩვენებას ვკითხულობთ:

„ჩვიდმეტი წლის ვარ და ისე გარიყული ვარ, როგორც სახლის კედლებქვეშ მოქცეული ჭია. ყოველღამ უცნაური გრძნობა მიპყრობს, როცა კი ამ მიხრწნილ კაცს გადავხედავ, ჩემ სიახლოვეს რომ დაგდებულა. ვუცქერ მის სახეს და ჩემს თავს ვეკითხები: რატომ თავს არ ვუშველი? რატომ არ გამოვასწორებ დედაჩემის და მამაჩემის დანაშაულს, რომელშიც ჩემი – 14 წლის გოგოს – სურვილის გარეშე გამხვიეს? მაინც რა ვლირდი? ათასი დინარი, ასი სული ცხვარი, ოცი ჯიშიანი დედალი აქლემი. დღედაღამ ეს გრძნობა მდევს თან. არ მასვენებს. ბავშვიც არ მყავს ამ ბებრისგან, ან საიდან უნდა მყავდეს? ამ სამოცდაათ წელს, რომელსაც ჩირქის გარდა არაფერი გამოსდის, არ შესწევს უნარი ბავშვის სახით გაბრწყინდეს. მითხარით, ბატონო მოსამართლე, რატომ არ უნდა მოვკლა? რატომ არ უნდა მოვკლა?“ (ლეილა ოსმანი „ერთი ქალის სასამართლო ოქმიდან“)

ასეთია ამბები სამყაროდან, სადაც თავის დროზე ამ ქალების დაბადებაც არ გახარებიათ მშობლებს. სწორედ ამაზე წერს იემენელი მწერალი ქალი რამზია აბას ალ-ირიანი საკუთარ მოთხრობაში „მემკვიდრე“. ის წერს ცოცხლად დამარხულ არასასურველ ახალშობილ გოგოებზე. წერს მემკვიდრე ბიჭის მშობიარობას გადაყოლილ დედებზე. „რა უნაყოფოა შენი წიაღი, ხაჯიდა. ვაი, შენ, ხაჯიდა, თუ გოგოს ატარებ მუცლით. შემწყრალი იქნება მასუდი შენზე და თავის უბედურ ბედზე“. სწორედ ამიტომ ხაჯიდა მძიმე მშობიარობის შემდეგ და სიკვდილის წინ მხოლოდ იმას კითხულობს, ვინ შეეძინა – ბიჭი თუ გოგო. აქ ხდება ქმრის კათარზისიც და ისმის მისი გულწრფელი გლოვა: „დაგვიბრუნდი, ხაჯიდა.. არ მინდა ბიჭი. შენ მინდიხარ, შენ.. ჩვენს გოგონებს ჭირდები. როგორ დავბრუნდე ექვს ბავშვთან? მათ მხოლოდ შენი არსებობა უნდათ. შეიძლება, შენმა ბიჭმაც ვერ იცოცხლოს შენი მოსიყვარულე გულის და მადლიანი ხელის გარეშე..“ – ყველა ცდილობდა ზეწარგადაფარებული ცხედრისგან აეგლიჯათ.. ამ დროს ექთანი მიუახლოვდა ბავშვით – კაცისთვის რომ გადაეცა მოცახცახე ხელებში...“ (რამზია აბას ალ-ირიანი. „მემკვიდრე“)

ასე რომ, აღმოსავლეთის ქალებს, ალბათ, მართლაც აღარაფერი დარჩენიათ, უკეთესი დროის მოლოდინის გარდა. ეს მოლოდინი, უმეტესად, სიკვდილის მოლოდინია. სიკვდილის, როგორც მარადი საქმროს, როგორც აღთქმული სამოთხის, როგორც ჯილდოს საკუთარი მოთმინებისთვის. „სიკვდილი სიცოცხლის ერთ-ერთი სახეობაა. მე ისევე ვმეზობლობ სიკვდილს და ვეხები მას, როგორც სიცოცხლეს – ყოველგვარი შიშისა და კრძალვის გარეშე. მე სევდის გარეშე ვწერ სიკვდილზე. მე მას აღვწერ, როგორც საზეიმო მოვლენას.. მისი ადათ-წესები ქორწინებისას ჩამოჰგავს. მოვა სიკვდილი და დაგვანახებს გადაცვლილისადმი გამოვლენილ ადამიანურ სიყვარულს, მოვა სიკვდილი და დაგვანახებს ადამიანურ სიხარბეს“...

FM 101.9 MYRADIO.GE

ქართული

თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი FM 105.5
გორი, ქარელი, ხაშური FM 103.0
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია FM 104.5
ურეკი, ქობულეთი, ბათუმი FM 101.0
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი FM 101.9

საბელისწერო პრემია

<<< დასაწყისი გვ. 98

რაც მართალია, მართალია, ამით მულტიმილიონერი ფელტრინელის მემარცხენეობა არ დასრულებულა: იგი შემდგომშიც მეგობრობდა ფიდელ კასტროსთან, დასტამბა მისი ნაშრომები, გამოსცა ჩე გევარასა და ხო ში მინის მარქსისტულ-ლენინისტური ნაწერები, ბოლოს „წითელი ბრიგადების“ წინამორბედი ტერორისტული მემარცხენე დაჯგუფებაც კი ჩამოაყალიბა; სწორედ ამ იატაკქვეშა მოღვაწეობამ შეიწირა: 1972 წელს მაღალი ძაბვის დენის მავთულით მოკლული ნახეს მილანის მახლობლად (ჭორების ერთი ვერსიით, ის იტალიის სამართალდამცავებმა მოკლეს საიდუმლო სპეცოპერაციის დროს, ხოლო მეორე ვერსიით, მას თავად თავისიანები გაუსწორდნენ ასე დაუნდობლად).

იტალიაში გამოიცა „ექიმი ჟივაგო“ და დაიწყო ამ წიგნის საერთაშორისო აღმასვლა. შემდეგ წელს წიგნი ითარგმნა ინგლისურად (მთარგმნელები იყვნენ მანია ჰარარი და მაქს ჰეივორდი – სახელგანთქმული ბრიტანელი დიპლომატი და მეცნიერი, რუსული ლიტერატურის უდიდესი პოპულიზატორი მთელს მსოფლიოში); მას მოჰყვა თარგმანები ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პორტუგალიურ, ჰოლანდიურ, შვედურ, დანიურ, ნორვეგიულ, ფინურ ენებზე (სულ 1958 წლის განმავლობაში წიგნი ითარგმნა თვრამეტ სხვადასხვა ენაზე). ჭეშმარიტად იშვიათად მოიძებნება მეოცე საუკუნეში წიგნი, რომელმაც ასე მოკლე დროში ასეთი არნახული პოპულარობა მოიპოვა.

ამ მოვლენებმა განსაზღვრეს შვედეთის აკადემიისა და ნობელის პრემიის კომიტეტის ხელახალი დაინტერესება პასტერნაკით (იგი მანამდეც რამდენჯერმე იყო წარდგენილი პრემიის მოსაპოვებლად, 1946 წლიდან 1950 წლამდე მისი, როგორც პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პოეტის, კანდიდატურა ყოველწლიურად განიხილებოდა ნობელის კომიტეტში. როგორც ჩანს, 1954 წელს ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო მისი დაჯილდოება, მაგრამ საბჭოთა კავშირი დაჟინებით და ჯიუტად ითხოვდა ამ ჯილდოს მართლაც რომ საბჭოთა მწერლისთვის, მიხაილ შოლოხოვისთვის და ბოლოს პრემია პრინციპით „არც შენი, არც ჩემი“ ერნესტ ჰემინგუეის ერგო – ამასთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო მიმოწერა ჰქონდათ ბორის პასტერნაკს და მის ბიძაშვილს, სახელგანთქმულ ლიტერატორს, ოლგა ფრეიდენბერგს). ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ნობელის პრემიის კომიტეტში ბორის პასტერნაკის მთავარი წარმდგენი და რეკომენდატორი იყო ნობელის პრემიის წინა, 1957 წლის ლაურეატი, ალბერ კამიუ. მის უამრავ ცნობილ გამონათქვამს შორის ერთი საბჭოთა პრესას შეეხო: „თავისუფალი პრესა არსებობს კარგიც და ცუდიც, ეს მართალია. მაგრამ კიდევ უფრო მართალია ის, რომ არათავისუფალი პრესა მხოლოდ ცუდი არსებობს“, – ასე გამოიცნო აბსურდის ყველაზე დიდმა თეორეტიკოსმა, „სიკვდილის უახლოესმა მეგობარმა“, გენიალურმა ეგზისტენციალისტმა მწერალმა ის ბაკქანალია, რომელიც მალე ატყდა პასტერნაკისა და მისი რომანის ირგვლივ საბჭოთა, ეგრეთ წოდებულ, პრესაში. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მანამდე, 1958 წლის 9 ივნისს, კამიუ წერდა პასტერნაკს, რომ მასში იპოვა ის რუსეთი, რომელიც ევროპას სულიერ საკვებს და ძალას ანიჭებს. ფრანგმა მწერალმა რუს პოეტს გამოუგზავნა თავისი „შვედური გამოსვლების“ გამოცემა, რომელშიც მას უკვე ჰყავდა ნახსენები „დიდი პასტერნაკი“, როგორც მწერალი, რომელიც ნობელიანტობას მასზე მეტად იმსახურებდა.

იმავე დღეს, 1958 წლის 23 ოქტომბერს, როდესაც ნობელის პრემიის კომიტეტმა პასტერნაკს პრემიის მინიჭება მიულოცა და წიგნის მოყვარული მთელი მსოფლიო აღაფრთოვანა, სკკპ ცეკას პრეზიდიუმმა თავისი მთავარი იდეოლოგის, რუხი კარდინალის, ასკეტური ცხოვრების მიმდევრისა და იდეური მოწინააღმდეგეების მიმართაც კი ხაზგასმულად თავაზიანი პიროვნების, მიხაილ სუსლოვის წინადადებით, მიიღო დადგენილება „ბ. პასტერნაკის ცილისმწამებლური რომანის შესახებ“, რომელშიც პასტერნაკისთვის პრემიის მინიჭება განიხილებოდა, როგორც „ჩვენი ქვეყნისადმი მტრული აქცია და საერთაშორისო რეაქციის იარაღი, რომელიც მიმართულია ცივი ომის გასაჩაღებლად“. გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სარედაქციო სტატია „საერთაშორისო რეაქციის პროვოკაციული გამოხტომა“.

კამპანიის ერთ-ერთი პუნქტი იყო სუსლოვის წინადადება „... მწერალ კ. ფედინის მეშვეობით პასტერნაკს აეხსნას ვითარება, რომელიც მისთვის ნობელის პრემიის მინიჭებით ჩამოყალიბდა და ერჩიოს პასტერნაკს, უარი თქვას პრემიაზე და გამოვიდეს პრესაში შესაბამისი განცხადებით“.

24 ოქტომბერს პასტერნაკის მეუღლის დაბადების დღე იყო და იუბილარი საზეიმო სუფრისთვის ემზადებოდა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, მანამდე არც ისე ცუდი კაცი და საშუალო ნიჭის მწერალი კონსტანტინე ფედინი, პასტერნაკის მეგობარი და აგარაკის მეზობელი იყო. იგი მართლაც გამოცხადდა პერედელკინოში, არც მიესალმა პასტერნაკის მეუღლეს, პირდაპირ მეორე სართულზე ავიდა და ძალიან ხმამაღლა აუხსნა პოეტს, რომ პრემიაზე უარი უნდა ეთქვა.

შემდეგ ხმადაბლა მოახსენა, ჩემთან აგარაკზე მობრძანებულია პარტიული ბოსი, ამხანაგი პოლიკარპოვი. პრემიაზე უარს თუ არ იტყვი, კატასტროფა გარდაუვალიაო. როგორც პასტერნაკის შვილი იხსენებს, პოეტი განსაკუთრებით გაუკვირვებია იმ ფაქტს, რომ ძველი მეგობარი თანამდებობის პირის ენით, ოფიციალური ტონით ელაპარაკებოდა.

პასტერნაკთან მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო და დაინიშნა საბჭოთა მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომა, დღის წესრიგში იყო ერთი საკითხი „სსრკ მწერალთა კავშირის წევრ ბ. პასტერნაკის მოქმედების შესახებ, რომელიც შეუთავსებელია საბჭოთა მწერლის წოდებასთან“.

25 ოქტომბერს გაიმართა მწერალთა კავშირის პარტიული ჯგუფის სხდომა, ხოლო 27-ში სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, რსფსრ მწერალთა კავშირის ორგკომიტეტისა და სსრკ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის ერთობლივი სხდომა.

ცეკას ანგარიშში სკრუპულოზულად იყო ჩამოთვლილი ყველა, ვინც ამა თუ იმ მიზეზით არ ან ვერ დაესწრო სხდომას, მაგალითად, ავადმყოფობის გამო: კორნეიჩუკი, ტვარდოვსკი, შოლოხოვი, ლავრენიოვი, გლადკოვი, მარშაკი, ტიჩინა. უცნობი მიზეზით, მწერალი ლეონიდ ლეონოვი და დრამატურგი ნიკოლაი პოგოდინი. ცალკე აღნიშნეს, რომ ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ მოვიდა პასტერნაკის მეგობარი და მეზობელი ვსევოლოდ ივანოვი. ყველა დანარჩენი მოვიდა და იაქტიურა კიდეც. განსაკუთრებულად „ივარგეს“ ნიკოლაი გრიბაჩოვმა და სერგეი მიხალკოვმა. არც საქართველოს წარმომადგენელს დაუკლია ხელი, ირაკლი აბაშიძე სიტყვითაც გამოვიდა და მკაცრადაც გაკიცხა კაცი, რომლის დამსახურება ქართული ლიტერატურის, საერთოდ, საქართველოს და, კერძოდ, ირაკლი აბაშიძის წინაშე განუზომელი იყო. საქმე მარტო ის არ იყო, რომ პასტერნაკმა ბარათაშვილი და ვაჟაფშაველა, ფაქტობრივად, რუსული განათლებულობის აუცილებელ მინიმუმში შეიტანა, არც ის, რომ თავისი გენია მავან საშუალო გაქანების ქართველ პოეტსაც დაახარჯა, რომელთაგანაც ზოგიერთზე საქართველოშივე ხუმრობდნენ, კარგი პოეტია, ოღონდ არა ქართულად, არამედ პასტერნაკის თარგმანშიო. საქმე სხვა იყო: შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს, მის ისტორიას და მის კულტურას არც მანამდე და არც შემდეგ არ ჰყოლია ასეთი რანგისა და ასეთი გულწრფელი შემართების გულშემატკივარი.

29 ოქტომბრის დილას ცნობილი გახდა, რომ ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიენიჭათ საბჭოთა მეცნიერებს ტამს, ფრანკსა და ჩერენკოვს. საბჭოთა პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ ფიზიკაში პრემიები სწორად მიენიჭათ, ხოლო ლიტერატურის პრემია პოლიტიკანების ხელში აღმოჩნდა. საღამოს ფიზიკოსი, აკადემიკოსი ლეონტევიჩი პასტერნაკთან გაემგზავრა, რომ ფიზიკოსების პოზიცია გაეცნო მისთვის, ეთქვა, რომ მათ ახარებთ პასტერნაკის წარმატება და რცხვენიათ საკუთარი ხელისუფლებისა. პასტერნაკი სახლში არ დახვდათ. როდესაც პოეტი მობრუნდა, როგორც მისი უფროსი შვილი იგონებს, „სახე რუხი და საშინელი ჰქონდა“. სწორედ მაშინ თქვა, პრემიაზე უარს ვამბობო.

პრემიაზე უარის დაგვიანებულმა თქმამ სიტუაცია ვერ შეცვალა, ზიზღისა და სიძულვილის მექანიზმი უკვე კარგად დაქოქილი იყო. გამოცხადდა დიდი ნადირობა კუდიან პოეტზე. ამ ნადირობაში ჩაერთო ყველა: თანამოძმე მწერლები, მეცნიერები, მუშები და სტუდენტები ერთხმად გმობდნენ პასტერნაკს და დაჟინებით მოითხოვდნენ მის გასამართლებას სამშობლოს ღალატის მუხლით ან, როგორც მინიმუმ, ქვეყნიდან სამარცხვინოდ გაძევებას. ყველაზე სიურეალისტური ხატი ჩამოაყალიბა საკავშირო კომკავშირის ლიდერისა და კაგებეს მომავალი თავმჯდომარის, ამხანაგ ვლადიმირ სემიჩასტნის კომუნისტურმა ფანტაზიამ, რომელმაც, როგორც ჭეშმარიტად განათლებულმა და დახვეწილი გემოვნების საბჭოთა ადამიანმა, საჯარო გამოსვლაში ბრძნულად აღნიშნა, რომ ღორი არ იკადრებს იმას, რაც პასტერნაკმა იკადრა, ანუ არ დასვრის იმ ადგილს, სადაც ჭამს (რა სახეებია! რა მეტაფორები! რა სულისშემძვრელი სიღრმე!). კაგებეს საყვედური არ ეთქმის, იცოდნენ მოსასხამის და დაშნის საბჭოთა „რაინდებმა“ საკადრო პოლიტიკა, რაც მართალია, მართალია!

ეწვიეთ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, რომელსაც ძველები დღემდე „საჯაროს“ ეძახიან, მიბრძანდით მეორე კორპუსში, ადით მესამე სართულზე, შებრძანდით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სამკითხველო დარბაზში და მოითხოვეთ 1958 წლის ოქტომბერ-ნოემბრის გაზეთები „კომუნისტი“ და „ლიტერატურული საქართველო“. შეგიძლიათ სხვა დარბაზშიც გააკეთოთ ეს, მაგრამ იქ თუ მოითხოვთ, იქაურ ახალგაზრდა, ლამაზ და ჭკვიან თანამშრომლებს ეცოდინებათ, რომ მართლა გჭირდებათ და სწორი რეკომენდაცია გაქვთ მიღებული. პირუთვნელად შეაფასეთ ჩვენი „ეროვნული წვლილი“ დიდი მწერლისა და საქართველოს მეგობრის გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკაში. მე ჩვენი სასიქადულო მწერლების საფლავებიდან მორალური ამოთხრისა და სამარცხვინო ტექსტუალური საზიზღრობის ციტირების სურვილი არ მაქვს. გაფრთხილებთ, სუსტი ნერვების პატრონები მესამე სართულზე არ ახვიდეთ, ის კი არა, ეროვნულ ბიბლიოთეკას ახლოსაც არ გაეკაროთ!

ამასობაში პასტერნაკმა ახალი ლექსი, „ნობელის პრემია“ დაწერა, რომელიც უცხოელ კორესპონდენტს ფრანგ მეგობართან გაატანა, იმან კი დიდ ბრიტანეთში, „დეილი მეილში“ გამოაქვეყნა. ამ ფაქტმა საბოლოოდ გამოიყვანა წყობიდან საბჭოთა ხელმძღვანელობა. 1959 წლის ერთ მშვენიერ დღეს პასტერნაკი პირდაპირ აგარაკიდან მოიტაცეს „კომპეტენტურმა პირებმა“ (იყო, იყო ასეთი გამოთქმა!) და გენერალურ პროკურატურაში მთელი დღე აყურყუტეს, სადაც მსოფლიოსთვის ნიურნბერგის პროცესიდან ნაცნობი გენერალური პროკურორი რუდენკო პოეტს დაპატიმრებით და ციხეში სამუდამო ამოლპობით ემუქრებოდა.

ამდენს უკომპრომისო და შეუ-

დრეკელმა პოეტმაც ვერ გაუძლო: 1960 წლის 30 მაისს პოეტის გულმა ფეთქვა შეწყვიტა.

პასტერნაკის სიკვდილის შესახებ იყო მხოლოდ პეტიტით აწყობილი პატარა ცნობა „ლიტერატურნაია გაზეტას“ ბოლო გვერდზე: „სსრკ ლიტფონდის გამგეობა იუწყება, რომ 70 წლის ასაკში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლიტფონდის წევრი, მწერალი ბორის ლეონიდეს ძე პასტერნაკი და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს“. ეს იყო და ეს. მეტი არაფერი. „ლიტფონდის წევრი“ – აი, ეს ეპითეტი გაიმეტა საბჭოთა კავშირმა კაცისთვის, რომლის სიკვდილს მთელი მსოფლიო გლოვობდა. რა გასაკვირია, თუკი რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა კავშირი თავის ხალხს იმასაც კი უმალავდა, რომ ადამიანმა მთვარეზე დადგა ფეხი?! პასტერნაკის სიკვდილსაც ასე მალავდნენ. აქაც საბჭოთა ხელისუფლება საკუთარი თავის ერთგული რჩებოდა, მაგრამ დაკრძალვის ადგილისა და დროის დამალვა არ მოხერხდა. მიუხედავად იმისა, რომ პასტერნაკის დაკრძალვაზე არ წარმოთქმულა ხმამაღალი სიტყვები, ეს მოვლენა მაინც შევიდა ისტორიაში, როგორც იმ ადამიანთა სამოქალაქო გმირობის მოწმობა, რომლებიც, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მივიდნენ პერედელკინოს სასაფლაოზე. ბუნებრივია, ამ ადამიანთა შორის ერთ-ერთი პირველი იყო პასტერნაკის ყველაზე ძველი და ერთგული მეგობარი, ტიციან ტაბიძის ქვრივი, ნინო ტაბიძე, რომელსაც რუსი პოეტი ყველა თავის საიდუმლოს ანდობდა და რომელთან ხანგრძლივი და უზარმაზარი მიმოწერა არის არა მხოლოდ XX საუკუნის ეპისტოლარული ჟანრის ნამდვილი საგანძური, არამედ ძირითადი მასალაც იმ პერიოდის, იმ დღეების, იმ საათების ობიექტურად, მეცნიერულად და ადამიანურად აღსაწერად.

ივან ტოლსტოი, რადიო თავისუფლების ჟურნალისტი, ავტორი წიგნისა „პასტერნაკის ჩარეცხილი რომანი, «ექიმი ჟივაგო» КГБ-სა და CIA-ს შორის“, წერდა: „ამ კაცმა დაძლია ის, რისი დაძლევაც საბჭოთა კავშირში სხვა მწერლებს არ შეეძლოთ. მაგალითად, ანდრეი სინიავსკი თავის ხელნაწერებს დასავლეთში აბრამ ტერცის ფსევდონიმით აგზავნიდა. 1958 წელს სსრკ-ში იყო მხოლოდ ერთი კაცი, რომელმაც ნიღაბი მოიხსნა და თქვა: «მე ვარ ბორის პასტერნაკი, ავტორი რომანისა „ექიმი ჟივაგო“ და მე მსურს, რომ იგი დაისტამბოს იმ სახით, რა სახითაც მე შევქმენი». და ამ ადამიანს მიანიჭეს ნობელის პრემია. მე მიმაჩნია, რომ ეს უმაღლესი ჯილდო მიენიჭა ყველაზე მართალ კაცს იმ დროს დედამიწაზე“.

საბჭოთა ადამიანებს, რა თქმა უნდა, არ აჩვენეს რომანის მთელ მსოფლიოში გახმაურებული ეკრანიზაცია, რომელიც რეჟისორმა დევიდ ლინმა გადაიღო 1965 წელს და რომელშიც მთავარ როლებს ომარ შარიფი, ჯული კრისტი და ჯერალდინა ჩაპლინი ასრულებდნენ. ფილმმა ხუთი ოსკარი მოიგო (ათ ნომინაციაზე იყო წარდგენილი), მათ შორის იყო ოსკარი მორის ჟარის შესანიშნავი მუსიკისთვისაც. რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირში ეს მუსიკაც აკრძალული იყო და ერთ-ერთ რუს რადიოჟურნალისტს სამოცდაათიან წლებში დიდ გმირობად ჩაეთვალა, როდესაც მუსიკალური შედევრი, ბალალაიკების თანხლებით შესრულებული ე.წ. „ლარას თემა“ მოსკოვის რადიოს ეთერში გაუშვა ასეთი წარდგენით „მორის ჟარი, რუსული სუიტა“.

„ექიმი ჟივაგო“ საბჭოთა კავშირში ოფიციალურად მხოლოდ 1988 წელს გამოიცა.

შემდგომში არავინ ამაყობდა იმით, რომ პასტერნაკს დევნიდა. არავის გახარებია, როდესაც პერესტროიკისა და გლასნოსტის ეპოქაში ცენტრალურ არქივში სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, რსფსრ მწერალთა კავშირის ორგკომიტეტისა და სსრკ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების ერთობლივი „ისტორიული“ სხდომის სტენოგრამა აღმოჩნდა და იგი კუპიურების გარეშე გამოქვეყნდა. აქ სახელგანთქმული საბჭოთა მწერლები, მათ შორის, ისინიც კი, რომლებიც მაინცდამაინც არ მტრობდნენ პასტერნაკს, რეჟიმის უბადრუკ მარიონეტებად წარმოჩინდნენ. რა თქმა უნდა, მათ შერცხვათ და თავი დახარეს (უტიფარი მიხალკოვის გარდა). თავი დახარეს, შემდეგ ისევ მაღლა აწიეს და საკუთარ თავს შეუნდეს. რა თქმა უნდა, ამ „მცირეოდენი კონფუზის“ შემდეგაც მათ თავი დიდ მწერლებად და კეთილ ადამიანებად მიაჩნდათ. ის, რომ მავანი ადამიანი უფრო მაღალი აზრისაა საკუთარ თავზე, ვიდრე მას ობიექტურად ეკუთვნის, საპატიებელ ადამიანურ სისუსტედ მიიჩნევა (ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ, ყოველი შემთხვევისთვის, სხვებიც იმზადებენ ნიადაგს მომავალში ასეთი საქციელის ჩასადენად და თავის გასამართლებლად). ახლა უკვე სამეცნიერო თვალსაზრისით უტყუარად დადგენილ ფაქტად ითვლება, რომ ამ სისუსტისთვის დიდი ადამიანობაც არ არის საჭირო, დიდი კი არა, საერთოდ, ადამიანობაც არ არის საჭირო, პრიმატობაც მისაღებია და მაიმუნობაც საკმარისია.

ამ უკანასკნელ ხანებში სადღაც ავსტრალიაში, ბიოლოგიურ სადგურსა თუ მაიმუნების სპეციალურ საშენში მკვლევარი ზოოლოგები ატარებდნენ ფართომასშტაბიან კვლევებს პრიმატების ინტელექტუალობის საზღვრების დასადგენად. საკმაოდ მალე მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ მაიმუნებს ფრიად განზოგადებული კატეგორიების წვდომაც კი შეუძლიათ. მაგალითად, პრიმატებს თურმე შეუძლიათ ერთმანეთისგან გაარჩიონ ადამიანები და სხვა ცხოველები. მდედრობითი სქესის ყველაზე უფრო ნიჭიერ მოსწავლეს მიაწოდეს ფოტოების სქელი დასტა და აჩვენეს, როგორ სურდათ მათი დანაწილება. გონიერმა მაიმუნმა სწრაფად გადააწყო ფოტოები ორ ჯგუფად. ერთში დააჯგუფა ცხოველები – საკუთარი მრავალრიცხოვანი ნათესავები, დედა, და, ძმები, ნაკრძალში მცხოვრები ძაღლები და ცხენი. მეორეში კი ნაკრძალის დირექტორის, ჟაკლინ კენედისა და იმ საოცრად საყვარელი თანამშრომლის გვერდით, რომელიც მაიმუნებს ბანანებს ურიგებდა, მან, ფაქტობრივად, დაუფიქრებლად და უყოყმანოდ მოათავსა საკუთარი ფოტოც.

ექსპორტზე გატანილი პირველი ქართული ღვინო

ს.ს. შატო მუხრანი
მცხეთა, 3309, მუხრანი

Chateau Mukhrani
Mukhrani, Mtskheta, 3309, Georgia

tel.:(995 32)22 04 84;
e-mail: sales@mukhrani.com
www.mukhrani.com